114
1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

2

თბილისი
1942

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

ფელიეტონი მეცხრამეტე

38310

Тбилисский филиал
Библиотека
Институт при ЦК ВКП (б)

## 2

19 თებერვალი 42
ხახელგამი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი ალიო მაშაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/II-1942 წ. უე 1297. ანაწყობის ზომა 7 × 12. ნიშანთა
რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50.688. შეკვეთის № 196. ტირაჟი 2500.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ეორესის ქ. № 5. რედაქციის მისამართი:
ეორესის ქ. № 5. სახელგამი. ტელ. 3-04-64.

# დიადი თარიღი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიადი სამამულო ომის მძაფრსა და დაძაბულ გარემოცვაში აღნიშნავს საბჭოთა ხალხი თავისი სიცოცხლისა, ღირსებისა და თავისუფლების დამცველი შეიარაღებული ძალის, თავისი სიამაყის, გმირული წითელი არმიის XXIV წლისთავს და ამ დიადი თარიღის აღსანიშნავ დღეებში თავისი სახელოვანი არსებობის 21 წელი უსრულდება საბჭოთა საქართველოს.

ამ ორ საზეიმო თარიღს ერთმანეთთან აკავშირებს არა მარტო ქრონოლოგიური შეხვედრა, არამედ ღრმა შინაგანი, მიზეზობრივი ურთიერთობა: საბჭოთა საქართველო მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძმური დახმარების შედეგად წარმოიშვა, ხოლო წითელი არმიის შექმნა და გამოჭედვა ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა წყობილების დამყარების ნიადაგზე გახდა აუცილებელი და შესაძლებელი.

24 წლის წინათ, სამოქალაქო ომის ქარიშხლიან დღეებში, მაშინ, როდესაც ჩვენს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას სისხლში ჩახრჩობას უქადდენ საერთაშორისო რეაქციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის უბოროტესი ძალები, ბოლშევიკების სახელოვანმა პარტიამ, ლ ე ნ ი ნ მ ა და ს ტ ა ლ ი ნ მ ა შეიარაღებული რევოლუციური პროლეტარიატის რაზმების, წითელგვარდიელთა რაზმების საფუძველზე შექმნეს წითელი არმია, როგორც ოქტომბრის დიად მონაპოვართა დაცვისა და შენარჩუნების, თეთრგვარდიელი გენერლების გაცამტვერების, უცხოელ ინტერვენტთა შემუსვრისა და უკუქცევის უპირველესი გარანტია და საწინდარი.

პირველად, კაცობრიობის მთელს ისტორიაში წარმოიშვა ახალი ტიპის არმია — არმია განთავისუფლებული მუშებისა და გლეხებისა, ხალხთა ძმური თანამშრომლობის, მათი სიცოცხლისა და მშვიდობიანობის დაცვისათვის მებრძოლი არმია, ინტერნაციონალური სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობის უმაღლესი გრძნობით გამსჭვალული, მშრომელი კაცობრიობის უმაღლესი და უწმინდესი იდეალებით შთაგონებული არმია.

ახალი კაცობრიობის უდიდესი გენიოსები ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი არიან წითელი არმიის შემომქმედნი და აღმზრდელები. ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ს დიადი და უძლეველი დროშით გაიარა ჩვენმა მშობლიურმა წითელმა არმიამ თავისი გმირული არსებობის ოცდაოთხწლოვანი გზა, რომელიც აღბეჭდილია მრავალი ბრწყინვალე გამარჯვებით, პატრიოტულ თავგანწირულებისა და რაინდობის უთვალავი მაგალითებით, რომლებიც ჩაუქრობელი შარავანდედის შუქით არიან და მარად იქნებიან შემოსილნი ჩვენი ხალხის მეხსიერებაში.

თავისი არსებობის პირველსავე წლებში ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა, ჯერ კიდევ არასაკმაოდ გაწვრთნილმა და ნაკლებად შეიარაღებულმა წითელმა არმიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა გაცილებით უკეთესად შეიარაღებულსა და მრავალრიცხოვან მტრებზე, მან გაანადგურა და განდევნა 14 იმპერიალისტური სახელმწიფოს ინტერვენტული არმიები, შემუსრა და გაჰფანტა თეთრი გენერლების კონტრრევოლუციური ბანდები და ამით მტკიცე საფუძველი შეუქმნა სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური რეკონ-

სტრუქციის წლებში, დიადი სტალინური ხუთწლედების განხორციელების, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის წლებში, წითელი არმია ფოლადისებურ კედლად ერტყა ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენელ მიწა-წყალს, ფხიზელ გუშაგად ედგა მის წმიდათა-წმიდა საზღვრებს და [illegible] ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღმავლობის მტკიცე და საიმედო დასაყრდენს.

ამ წლების მანძილზე ჩვენმა გმირულმა წითელმა არმიამ არაერთხელ უკუაგდო თავისი გამანადგურებელი დარტყმით ჩვენი სამშობლოს მტრების მუხანათური ცდები შემოჭრილიყვნენ ჩვენს მიწა-წყალზე, ჩაეშალათ, ან. შეეფერხებიათ სოციალიზმის ძლევამოსილი აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა ხალხის ყოველი წარმატება, მისი ყოველი მონაპოვარი უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი მშობლიური წითელი არმიის საგმირო საქმეებთან.

განუზომელია წითელი არმიის ღვაწლი და დამსახურებანი ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის, მთელი მშრომელი კაცობრიობის წინაშე, მაგრამ არასოდეს ჩვენი წითელი არმია არ მდგარა ისე დიადი და საამაყო, ისე მძიმე და საპასუხისმგებლო ისტორიული ამოცანის წინაშე, როგორც ახლა, რადგან ჩვენი სამშობლოს ხალხთა სიცოცხლესა და თავისუფლებას არასოდეს ყოლია ისე ბოროტი და ვერაგი მტერი, როგორიც არის ჰიტლერული გერმანია.

მერვე თვეა, რაც კაცობრიობის ამ უბოროტესი მტრის პირისპირ ვეებერთელა ბრძოლის ველზე უშიშრად და რაინდულად დგას ჩვენი სახელოვანი წითელი არმია და იარაღით თავგანწირულად იცავს არა მარტო ჩვენი სამშობლოს სიცოცხლეს და ღირსებას, არამედ მთელი პროგრესიული კაცობრიობის მომავალს, მთელს საკაცობრიო კულტურასა და ცივილიზაციას.

წითელი არმიის გმირულმა წინააღმდეგობამ ჩაშალა ჰიტლერის „ელვისებური ომის" ვერაგული სტრატეგია. სამშობლოს დაცვის საქმეში ჩვენი შეიარაღებული ძალების მიერ მოპოებულმა წარმატებებმა განამტკიცეს ჩვენი საერთაშორისო პოზიციები და ჩვენს გარშემო დარაზმეს თანამედროვე მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები, მსოფლიოს დემოკრატიული და თავისუფლებისმოყვარული ხალხები, მთელი პროგრესიული კაცობრიობა.

წითელი არმია გადაიქცა „მიხაკისფერი ჭირისაგან" თანამედროვე საკაცობრიო ცივილიზაციის გადარჩენის დიად სიმბოლოდ, მთელი მოაზროვნე კაცობრიობის, მსოფლიო ინტელიგენციის იმედად და საამაყოდ.

ამიტომაც არა მარტო მრავალეროვანი და მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, არამედ მთელი კულტურული მსოფლიო უდიდესი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით შეჰყურებს ჩვენს გმირთა-გმირ წითელ არმიას, რომელიც ანხორციელებს რა თავისი უძლეველი სარდალის, ხალხთა უსაყვარლესი ბელადის დიდი სტალინის გენიალურ სტრატეგიულ გეგმებს, ანადგურებს ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილ უცხოელ დამპყრობელთა ველურ ურდოებს, მომაკვდინებლად ურტყამს და უკუაქცევს მათ.

ამ დიადი საერთაშორისო-ისტორიული მასშტაბის გამარჯვებათა ნათელით არის გაბრწყინვებული წითელი არმიის 24 წლისთავის სახელოვანი თარიღი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს ხალხებთან ერთად დღესასწაულობს ყოველი მოწინავე ადამიანი თანამედროვე მსოფლიოს ყოველ კუთხეში.

წითელი არმიის საგმირო საქმეთა სახელოვან მატიანეს დამამშვენებელ

ერთერთ დაუვიწყარ ეპიზოდს შეადგენს ის ძმური დახმარება, რომელიც გაუწია მან 21 წლის წინათ კონტრრევოლუციური მენშევიკური ტირანიის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დახმარებამ უზრუნველჰყო ქართველი მშრომელი ხალხის გამარჯვება თავის უბოროტეს მტრებზე — მენშევიკებზე, მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების ამ უდღეურ დამცველებზე, საერთაშორისო კონტრრევოლუციის ამ უბადრუკ დამქაშებზე.

21 წელიწადია, რაც საქართველოს მიწა-წყალზე ამაყად ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების დროშა, ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს დიადი და უძლეველი დროშა.

მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრისა და მონობისაგან საბოლოოდ თავდაღწეულმა ქართველმა ხალხმა საბჭოთა საქართველოს არსებობის წლებში მოიპოვა თავისი სამეურნეო აღმავლობისა და ნაციონალური კულტურის აღორძინების განუსაზღვრელი შესაძლებლობანი.

სტალინური მეგობრობის დულაბით შემჭიდროებულ საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში, საქართველო გადაიქცა ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთ მოწინავე, აყვავებულ კუთხედ, საბჭოთა კავშირის მარგალიტად.

წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დიად თარიღს ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში ვდღესასწაულობთ. სამამულო ომის უზარმაზარ ბრძოლის ველზე სწყდება საკითხი ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა კავშირის და მათ შორის საბჭოთა საქართველოს ხალხის სიკვდილ-სიცოცხლისა.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ არასოდეს, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის არცერთ ეპოქაში იგი არ მდგარა ისეთი საშიშროების წინაშე, როგორის წინაშეც დგას ახლა, რომ ქართველი ხალხის უბოროტესი მკვლელები და მძარცველები წარსულში — არაბები, მონღოლები, სელჯუკები, თემურლენგები და შაჰაბაზები თავიანთი ვერაგობითა და მუხანათობით ოდნავადაც ვერ შეედრებიან იმ შავბნელ ძალას, რომელიც გერმანული ფაშიზმის სახით დღეს ჩვენთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებს.

ჰიტლერელ ავაზაკებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არა მარტო დაამხონ ჩვენი დიადი ნაციონალური და სოციალური თავისუფლება, არა მარტო მოსპონ და გააცამტვერონ ჩვენი კულტურა, არამედ ფიზიკურად გაანადგურონ ჩვენი ხალხი და აღგავონ იგი პირისაგან დედამიწისა.

ეს იცის ჩვენმა ხალხმა და ამიტომ არის, რომ იგი დიდის პატრიოტული აღფრთოვანებით აგზავნის თავის საუკეთესო შვილებს გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ახლანდელ დიადს სამამულო ომში.

საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ყველა ფრონტზე ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხთა საუკეთესო შვილებთან ერთად თავდადებულად იბრძვიან ქართველი გმირებიც, რომლებიც სახელოვნად განაგრძობენ ქართველი ხალხის დიად პატრიოტულ ტრადიციებს და ახალი დიდებით მოსავენ ჩვენი სამშობლოს გმირულ სახელს.

ახლა საბჭოთა ხალხის მთელი აზრი და გრძნობა, მისი მთელი ფიზიკური და სულიერი ენერგია ერთი მისწრაფებით არის ამოძრავებული. ეს არის მისწრაფება ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმის გამარჯვებისა კაცობრიობის უბოროტეს მტრებზე, მეოცე საუკუნის ბარბაროსებზე, გერმანელ-ფაშისტ თავდამსხმელებზე.

ამ ერთადერთი აზრით ცოცხლობს და სულდგმულობს ახლანდელ მრისხანე დღეებში საბჭოთა ლიტერატურაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ჰეროიკამ, საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის, სოციალისტური მშენებლობის პათოსმა წარმოშვა და აღზარდა ქართული საბჭოთა მწერლობა.

ყველაფერი, რაც საუკეთესო შეუქმნია ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, ორგანიულად არის დაკავშირებული საბჭოთა საქართველოს მშენებლობის გმირულ ყოველდღიურობასთან. მართალია ჩვენი ეპოქის გმირ ადამიანებს და დიად მოვლენებს ჯერ კიდევ არ უპოვიათ შესაფერისად ღრმა და სრულყოფილი გამოხატულება ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც არ გამოხმაურებოდეს ჩვენი ლიტერატურა, რომელიც არ გამხდარიყოს თანამედროვე ქართველ მწერალთა შთაგონების საგნად. მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ჩვენი ლიტერატურა შთაგონებულ ჰიმნს უმღეროდა ჩვენს აღორძინებულ სამშობლოს, ჩვენი ხალხის მზიურ, ნათელ ცხოვრებას, ჩვენს სამშობლოში გაშლილ შემოქმედებითი შრომას.

და ახლა, როცა ჩვენი დედა-სამშობლო თავგამოდებით იგერიებს უცხოელ დამპყრობელთა ბანდებს, სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების, მებრძოლი პატრიოტიზმის მოტივი კიდევ მეტის ძალით და ცხოველმყოფელობით გაისმის ჩვენს პოეზიაში, მთელს ჩვენს მწერლობაში.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისა და ფლოტის საუკეთესო ადამიანები ახლა ჩვენი ლიტერატურის ცენტრალურ პერსონაჟებად იქცნენ, მათი უკვდავი საგმირო საქმეების მხატვრულ განსახიერებას, მათ მიმართ ჩვენი ხალხის უსაზღვრო მადლიერებისა და სიყვარულის გამოხატვას ხმარდება ახლა ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა მწერლის ნიჭი და ძალა.

მაგრამ ყოველივე ის, რაც დღემდე დაიწერა ამ დიადსა და წარმტაც თემაზე, მხოლოდ დასაწყისია, მხოლოდ პირველი დაწყებითი ნაბიჯებია იმ დიდი შემოქმედებითი მოძრაობისა, რომელიც არ შეიძლება არ გამოიწვიოს ჩვენს მწერლობაში დიადი სამამულო ომის სწორუპოვარმა ჰეროიკამ. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებში და ჩვენი პრესის ფურცლებზე ყოველდღიურად ვკითხულობთ ჩვენი სამშობლოს მამაცი დამცველების ისეთ საგმირო საქმეთა შესახებ, რომლებიც შთაგონების დაუშრეტელ წყაროს, თემების ამოუწურავ მარაგს აძლევენ ჩვენს ლიტერატურას და ხელოვნებას, მათს ყოველ დარგს, ყოველ ჟანრს.

ჩვენი მწერლობა არა მარტო მეთვალყურეა და მოწამე საბჭოთა ხალხის უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანებისა, არამედ უშუალო მონაწილეცაა ყველაზე სამართლიანი, ყველაზე ხალხური და პატრიოტული ომისა კაცობრიობის მთელს ისტორიაში. არა ერთი ქართველი მწერალი უშუალოდ დგას გმირული წითელი არმიის რიგებში, ხოლო დანარჩენები მხატვრული სიტყვის მჭრელი იარაღით აღვივებენ ჩვენი ხალხის პატრიოტულ მგზნებარებას და განამტკიცებენ საბჭოთა ზურგის განუყოფელ ერთიანობას სამამულო ომის ფრონტთან.

გმირული წითელი არმიის 24 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 21 წლისთავის საზეიმო დღეებში ქართული საბჭოთა მწერლობა დიდებისა და უძლეველობის მგზნებარე ჰიმნს უმღერის ჩვენს დედა-სამშობლოს, მის ძლევამოსილ შეიარაღებულ ძალას — დევ-გმირ წითელ არმიას და საბჭოთა ხალხების სწორუპოვარ ბელადს, ჩვენს მშობლიურ სტალინს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

# ორ ათეულ წლით, და კიდევ მეჯით...

ჩანგო! ვით წინად — ეხლაც მოველი, შენგან მრავალ ხმებს... მზეა ცხოველი
საქართველოში, სადაც ნანატრი თავისუფლებით სუნთქავს ყოველი.

რა სიცოცხლეა მხარეში, სადაც ყოველივე წამს—რთულსა და სადას,
დაუღალავი განაგებს ხელი, რათა მოხაზულს გაუსწროს ვადას.

რა სიცოცხლეა — შეიგრძნო რომა — ნამდვილ ედემად აქცია დრომა
მხარე, რომელსაც გაღვივებული აშუქებს შრომა და მხოლოდ შრომა.

სადაც მხატვრული გრძნობა წესია, სად ყველაფერზე უტკბოესია
მშვენიერების დიადი გრძნობა, მეცნიერება და პოეზია.

ორ ათეულ წლის მეტით, რომელიც თავდადებული, დაუცხრომელი —
სხვა რესპუბლიკებს მხარდამხარ უდგას, როგორც მებრძოლი, როგორც
მშრომელი.

აი, ამ მხარეს, სადაც ოდესმე ერების შუღლმა უბოროტესმა
გააწამა და დაღრღნა ქვეყანა, სანამ სხვა ბრძოლის ხმა არ მოგვესმა.

გაახგრია რა ვიწრო საკანი, წინ უბოლოო აქვს გასაქანი
და გაქანება ხალხთა გენიის მრავალთა ზრუნვის არის საგანი.

სად ეჯიბრება სართულს სართული, სდგას თვით სტალინი, ზრუნვით
გართული.
საერთო ენა ქვეყნის ენაა, და მშობლიური ენა — ქართული.

და დღეს, როდესაც მტერი სდგას კარად, და ისტორიის ტრიალებს ჯარა,
შენ დადუმდები გამარჯვებისთვის? — არა და არა! არა და არა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

## მგლების ნაკვალევი

ერთდროს აქ იყო მკვიდრი სოფელი,
სახლი სახლს ედგა, გომურს —
გომური.
დედ-მამა, და-ძმა და მეზობელი.
სიამე, სიტკბო შემოდგომური.

ეხლა ვერანად გადაქცეულა,
არსად ჭიშკარი, არსად სახლები,
ვინ სად წასულა, სად გაქცეულა,
ხმაჩახლეჩილად ყეფენ ძაღლები.

აქ ბევრი ხოცეს (და იყო ლხინი),
განა ასები და ათასები?
ძირგახვრეტილი კასკები რკინის
გზად ჰყრია, როგორც სისხლის
თასები.

ყელზე მარყუჟით აგდია გვამი,
ჩამოხრჩობისგან ვეღარ უხსნიათ,
ქარს მოუსწრია და გვიან ღამით
ტოტიდან ძლივსღა ჩამოუხსნია.

ხის ჯვრები... კაცს გვრის შიშს და
ფათარაკს.
სვავთა ლაშქარი საფლავებს იცავს.
ცოცხლად დამარხეს დიდი, პატარა,
აქ ერთხანს, თურმე, იძვროდა მიწა.

გაყინულია თოვლის ველები, —
ალმური ასდით სუსხით ნაგვალევს,
სისხლი აცხია მგლების ნაკვალევს...
გუშინ აქ იყვნენ გერმანელები.

## მ ა მ ა

მტრის მიმართ ხალხის რისხვას
აჩაღებს
ზურგის და ფრონტის ერთი მიზანი,
იქ შვილი მუსრავს ველურ ყაჩაღებს,
აქ მამა იბრძვის — ტყის პარტიზანი!

ეხლაც ხიდესთან ჩასაფრებულა,
რომ ფრონტზე მებრძოლ შვილს
მიეშველოს,
ნაღმების ხმებმა გამძაფრებულმა
ცას მიახალონ მტრის ეშელონი!

ჩაფიქრებულა, იგონებს კერას,
ალრჩობს, აწუხებს ჯავრი მრავალი,
შვილი ადარდებს ლურჯთვალა, ქერა,
სახლს რომ სტოვებდა შორს
მიმავალი!

დედამ შუქივით მკრთალი ხელები
ალაპყრო, შვილი დალოცა ტკბილად,
შემდეგ მიიკრა მკერდზე ცხელებით,
ღაზლის ხალათი ჩააცვა თბილად

და უთხრა: „შვილო, იმარჯვე
ყველგან,
აბჯრად გფარავდეს ტანზე ხალათი,
მტერს ვაკაცურად დაუხვდი, შენგან
არ გამეგონოს ქვეყნის ღალატი!

სამშობლოს რწმენა გიძღოდეს
ფიცად,
გელოდო, დიდხანს ნუმც მალოდინა“...
თან საგულეში მთრთოლვარე მიწა
ჩაუდო, — ჩიტის გულის ოდენა!

ვაი, თუ სადმე გდია დაჭრილი,
არვის არ ესმის ხმა შეწყალების,
სულთამხუთავის მსგავსი აჩრდილი
მოერია და აღრჩობს ბრჭყალებით?!.

უცებ გაისმა გრგვინვა საზარი,
დრტვინვა-ზანზარი განუწყვეტლივი,
და რკინის ხიდი უზარმაზარი
ცაში აფრინდა ცეცხლის ეტლივით!

კვამლში გადახტა ვეფხვურ
ალკზნებით,
არც შებრალება, არც სინანული,
მტრებს დაერია [illegible]
ბრძოლა გაჩაღდა პარტიზანული!

ხედავს: მოძვრება მტერი დუშმანი,
გველურ სისინით მოხოხავს დანა,
მაგრამ დაასწრო... ტყვიის
ლურსმანით
კლდეს მიაჭედა, როგორც სატანა!

თვალგაშტერებით მსხვერპლს
დააცქერდა,
იცნო ხალათი, სისხლით სოველი,
ხალათზე გული თითქოს აძგერდა —
დედის ხელებით ამოქსოვილი!

ცეებ-ცხელებით აცახცახებულს
ცრემლი აღრჩობდა გულის დამწველი,
მის წინ ღაფავდა სულს ჩაძაღლებულს
შვილის მკვლელი და შვილის
მძარცველი!

ვაჰმე! დაიკრა მკერდზე ხელი და
მტრებს გაეკიდა ტყვიის ჟივილით,
და გაიტანა ბრძოლის ველიდან
იგი ხალათი დაჭრილ შვილივით!

## დედა და შვილი

მიჰქრის მხედრების რაზმი ქართული,
მირბის, მიფრინავს წინ ბედაური,
მიჰქრის მხედარიც ხმალაღმართული,
თითქოს ნიავზე ზის მეთაური.

აჰა, შეაგდო ალმურში ცხენი,
ასტყდა ბრძოლა და სისხლის
დუღილი,
ხმლებიც ამღერდნენ ფოლადის ენით,
ელვას აჩენენ ჭექა-ქუხილით.

მტერი შედრკა და ბევრმა დაყარა
აბჯარი, აბგა და ნაქურდალი,
შვიდმა მის ხმალ-ქვეშ ზურგი
დახარა,
შვიდს წააცალა თავი მურდალი.

მაგრამ დაასწრო მერვემ ლახვარი,
ტანმოშვილდული შედგა ქურანი,
სისხლი, მკერდიდან გადმონაღვარი,
ღონეს აცლის და აღრჩობს ბურანი.

უცებ შორიდან თოვლის ნარვალებს
თითქოს ამოჰყვა დედის ძახილი:
შვილო, არ შედრკე! დაჰკა
მტარვალებს,
არ შეარცხვინო მამის სახელი! —

თითქოს დაჭრილი მოეშვა მკერდიც,
ხელწამოიჭრა ხმალზე დაყრდნობით,
ომახიანად დასჭყივლა ერთიც,
მტერს დაეწია ვეფხვის ნახტომით.

შეხვდნენ პირისპირ, ეგ ის მერვეა,
რომ დგას მიზანში ამოღებული,
მტერი სულძაღლი! მის მიერვეა
ჩვენი ქვეყანა აოხრებული.

სხვის ღობე-ყორეს რომ ეფარება
და მსხვერპლს დაეძებს ზაფხულ-
ზამთარი,
ეგ არის აკვნებს რომ ეპარება
და ბავშვებს აღრჩობს, როგორც
აფთარი.

რომ სისხლით გაძღეს და გაიხაროს—
მოსულა მხეცი რამ მანკიერი,
ახ, მისი ჯავრი უნდა იყაროს,
უნდა მიუზღოს სამმაგიერი.

ჩვენი მამებიც ეგრე მუსრავდნენ
მტერს, შემოსეულს ავაზაკურად,
ხმალი შემოჰკრა ელვის [illegible]
და მერვე თავიც [illegible]

ერთხანს იბრძოდა მარტო სხეული,
ბრმად მოიქნევდა ხმალს გახელებით,
მაგრამ წაფერხდა გვამზედ, წყეული
დადრკა, თავის-თავს დასწვდა
ხელებით,

სხვებმაც იკადრეს რბენა ლაჩრული,
მამაპაპურად დასცხეს ჩვენებმა,
შემდეგ დაიწყეს მძლავრი
ლაშქრულით
მათი შერისხვა და შეჩვენება.

წინ მიუძღოდა მხედარი მხნე და
მტერს მისთელავდა ფეხქვეშ
ლანდივით
და გამარჯვება მას, როგორც დედა,
ეგებებოდა დროშის მანდილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კაჭახიძე

# ისევ ფრონტზეა

სამჯერ დაიჭრა, მაგრამ სამჯერვე
განიკურნა და სიკვდილს გადარჩა.
ისევ მოისხა ხალხის დამჯერემ
მხრებზე მებრძოლის რუხი ფარაჯა.
ისევ თოფს ეძმო, მტკიცედ ნაკეთებს,
ლაშქრობისათვის მკერდი გაშალა.
მტრის ბარიკადებს ისევ აფეთქებს,
ისევ მტრებს გმირავს მისი შაშხანა.
ვინ იფიქრებდა: ვეფხვად ვნახავდით
ბავშვს, ობლობაში გაზრდილს, ონავარს;
რომ იქნებოდა მტრისთვის ლახვარი
თავის და-ძმებში ეს ნაბოლარა.
ცელქობისათვის ხშირად ვერ სჯიდნენ,
უმალ გარბოდა სოფლის ბიჭებთან.
არ ასვენებდა მინდვრად მწყერჩიტებს,
ხან მდინარეში თევზებს იჭერდა.
სძულდა აბეზარ ჩხიკვთა მაყრული,
უფრო ხიბლავდა დავა იმათი...
დედას ეჭირა მისკენ თვალყური,
არ შეემთხვეოს რამე ხიფათი.
ახლა მტრის ურდოს მუსრავს, მკაცრდება,
შველის ფოლადი, შველის ზამთარიც.
გაშლილ ფრონტზეა, მაგრამ კვლავ წვდება
დედის მარჯვენი, შრომით გამთბარი.
ომის გრიგალში ხალხის დამჯერე
მიაფრიალებს მხედრულ ფარაჯას.
სამჯერ დაიჭრა, მაგრამ სამჯერვე
განიკურნა და სიკვდილს გადარჩა.
იქნებ ბრძოლაში კიდევ დაიჭრეს,
ველზე დაეცეს ღონემიხდილი,
კაცურ სიცოცხლეს ის კვლავ დაიჭერს,
წყლულთან ჩვევია ვეფხვებრ ჭიდილი;
ისე მტკიცე აქვს გულის კარიბჭეც,
არ უწერია იმას სიკვდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჯუთათელი

# პირისპირ

## რომანი

## წიგნი მესამე

### ნაწილი პირველი

## მზარეული

მსახურებმა ყველაზე უკეთ იციან, რაც
მათი ბატონების ბინაზე ხდება.
ბალზაკი — „ჭლეტები".

ბოლოს გამოჩნდა კორნელისათვის მუდამ სანატრელი თბილისი. არა მზიანი და ნათელი, არამედ სევდიანი და მოღრუბლული.

გვიანი შემოდგომის ცივი და ნესტიანი დღე იდგა.

არაქათგამოცლილი ორთქლმავალი დიდის ვაივაგლახით მიადგა სადგურს.

კორნელიმ ჩემოდანი და კალათი აიღო და სადგურის ბაქანზე გავიდა.

ბაქანზე უცნაური რამ იხილა კორნელიმ. აქა-იქ დაყრილ სამხედრო ბარგზე ინგლისის კოლონიური არმიის ჯარისკაცები ისხდნენ. მათ მზეზე გატრუსული სახე ჰქონდათ და შავკანიანებსა ჰგვანდნენ.

— რა რჯულის ხალხია? — იკითხა ქართველმა დედაკაცმა.

— ინდოელები არიან! — მიუგო რკინიგზელმა.

მგზავრები გაფაციცებით აკვერდებოდნენ უცხო და უცნაურ ჯარისკაცებს, რომლებიც გულუბრყვილოდ ღიმებოდნენ და თეთრი კბილების რკალს აჩენდნენ.

დედაკაცმა თავშალი გაისწორა და რკინიგზელს შეედავა:

— რისი ინდოელი? ვერა ხედავ: მუსულმანები არიან!

ბრეზენტდაფენილ ბარგზე წამოწოლილ ერთ ჯარისკაცს თვალები გაშტერებოდა, ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის სასაცილოდ გაჩრილ, უმუშტუკო პაპიროსს ტუჩმიუდებლად ეწეოდა. სქელსა და წამოზიდულ ტუჩებთან ახლოს მიიტანდა, სულს შეითქვამდა, ჰაერს შეისრუტავდა და ასე აბოლებდა.

ჯარისკაცი მართლაც მუსულმანს ჰგავდა.

— მუსულმან ჯან, ბილურსან? (მუსულმანური იცი?) — შეეკითხა რკინიგზელი.

— ბილურამ (ვიცი), — უპასუხა ჯარისკაცმა.

თავშალიანი დედაკაცი რკინიგზელს მკლავში სწვდა:

— აკი გითხარი, მუსულმანები არიან მეთქი!

მას დაეთანხმა რუსი დედაკაციც, რომელსაც სანოვაგით სავსე კალათი ჭირა და ქართულს ამტვრევდა:

— განა ბაკოში და ბატუმში არ მინახავს ტატარი? მაგრამ იკ სხვანაირად იხურავენ ამ ჩამალახს.

— ჩამალახს კი არა, ჩაბალახს. მერე ეს ჩაბალახი კი არა, ჩალმაა. შე მატუშკა! — გაუსწორა ქართული რუს დედაკაცს რკინიგზელმა და ლმობიერად გაუღიმა.

— სულერთია: ორივენიც ჩალბალდაა! — ენა კინაღამ არ მოიტეხა ქალმა, ხელი ჩაიქნია და გაიცინა. მას ცისფერი თვალები ჰქონდა და ღაჟღაჟა ლოყაზე მეჭეჭი აჯდა.

ბაქანზე ინდოელი ჯარისკაცების წინ თავმოყრილმა ხალხმა გადაიხარხარა. ინგლისელმა სერჟანტებმა კი მრისხანე სახით შეუტიეს ხალხს და უკან დააბრუნეს. ერთი სერჟანტი ბრეზენტზე არხეინად წამოწოლილ ჯარისკაცს ბაუწყრა, რაღაც უთხრა და ჯარისკაცები მაშინვე გასწორდნენ და დადუმდნენ.

სერჟანტებს ეშინოდათ, თბილისელებმა აგიტაცია არ გასწიონო.

კორნელიმ ჩემოდანი და კალათი აიღო, სადგურს უკან მოედანზე გავიდა და ტრამვაის დაელოდა.

კოლოფივით პატარა, ღია და ფარღალალა ვაგონი საცოდავად მორაბრაბებდა ლიანდაგზე. ვერის ხიდზე სუსხიანმა ქარმა კორნელის ცხვირი და ყურები დააზრო და კინაღამ არ წააცალა. ტანთ გააჟრჟოლა, საყელო აიწია და ქარს ზურგი მიუშვირა.

კორნელი ზემელის აფთიაქთან ჩამოვიდა და მუშა დაიქირავა. იგი რაღაც უსიამოდ შეუდგა გრიბოედოვის ქუჩის აღმართს. ხშირად მოუხედავდა მუშას: ჩემოდანი და კალათი არ გაალალოსო.

თვითონ იონას მიერ ნაჩუქარი წიგნები ილლიაში ამოეჩრა და სასოებით მოჰქონდა. აი, ეს წიგნებიც: შექსპირის „ჰამლეტი“ — თარგმანი მაჩაბლისა, „ქვეყანა, როგორც ნება და წარმოდგენა“ — შოპენჰაუერისა, „სიბრძნე სიცრუისა“ — საბა-სულხან ორბელიანისა, „ქადაგებანი“ — გაბრიელ ეპისკოპოსისა, „გიორგი სააკაძე და მისი დრო“ — ანტონ ფურცელაძისა, „იმერეთის მეფე სოლომონ დიდი“ — სიკო კანდელაკისა, „ძმები კარამაზოვები“ — დოსტოევსკისა, „ანნა კარენინა“ — ტოლსტოისა, დიმიტრი მერეჟკოვსკის წიგნი ტოლსტოისა და დოსტოევსკის შესახებ და ბოლოს: გიგო თავაძის მიერ მიძღვნილი წიგნი: „მონისტური თვალსაზრისი ისტორიაზე“ — პლეხანოვისა.

ბაწრით შეკრული ეს წიგნები ერთიმეორეზე იყო დაწყობილი, ამიტომაც ისინი თანმიმდევრობით ჩამოვთვალე და ვთხოვ მკითხველს, ზემოთმოყვანილ თანრიგში ნურავითარ სხვა დაფარულ აზრს ნუ მოსძებნის. (მით უმეტეს, კორნელიმ კარგად იცოდა, პლატონ მოგველაძის მაგალითის მიხედვით, თუ როგორი ზიანის მოტანა შეეძლოთ უკულმართად დაწერილ ზოგიერთ წიგნებს ადამიანისათვის).

მუშის დამტვრეული რუსულით კორნელიმ გაიგო, რომ იგი სომხეთიდან გამოქცეული, ლტოლვილი ქურთი იყო. კორნელიმ ორიოდე სიტყვა იცოდა ქურთული და ჰკითხა:

— კურმანჯი? (ქურთი ხარ?)

— ბალი, (ჰო), — მიუგო მუშამ და გაოცებული მიაშტერდა. ქურთის სახემ კორნელის ოსმალთა ეშელონის ერთი ჯარისკაცი მოაგონა რატომღაც, რომელიც ბატიბუტს შეექცეოდა და გაშტერებული თვალებით გასცქეროდა რიონის სადგურის ბაქანზე თავშეყრილ ხალხს.

— ნოვე ტაჩია? (რა გქვია?) — შეეკითხა კორნელი მუშას.

— ალი, — მიუგო ქურთმა, ჩემოდანი მიწაზე დასდო, კორნელის წინ გაჩერდა და ქურთულად დააყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორნელიმ ვერაფერი ვერ გაიგო და ლტოლვილ ქურთს

— ჰარმენ? ურუს? (სომეხი ხარ? რუსი ხარ?) — შეეკითხა მუშა.

— გურჯი, (ქართველი), — მიუგო კორნელიმ. მუშამ უნდობლად შეხედა. უმალვე გაიდო მხარზე ჩემოდანი. „ეს კაცი სამხედრო პირსა ჰგავს. მე უპასპორტოდ ვცხოვრობ თბილისში და არ დამიჭიროსო“, — გაიფიქრა.

ესტატე მაყაშვილის ბინაც გამოჩნდა. კორნელის ნინო მოაგონდა და, ისე როგორც ყოველთვის, გულის ძგერა აუვარდა, მაგრამ მღელვარებამ მაშინვე გაუარა, რადგან პირადი ბედნიერება და ნინოსადმი სიყვარული ეხლა უმნიშვნელოდ ეჩვენა თავისი ქვეყნის უბედურების წინაშე.

დღე და ღამე ჯერაც არ გაყრილიყო, როცა კორნელი ალაყაფის კარებს მიუახლოვდა. მრეცხავი ქალი მარინე მოაგონდა, რომელსაც შამქორის ბრძოლაში შვილი მოუკლეს. შამქორის ბრძოლიდან ჩამოსვლისას კორნელის სწორედ ამ ალაყაფის კარებთან შეეყარა უბედური დედა მარინე. კორნელიმ იცოდა, მაგრამ დედას შვილის სიკვდილი დაუმალა. ამ დღის შემდეგ მარინესთან შეხვედრას ერიდებოდა, რადგან მაშინვე შამქორის ბრძოლაში მოკლული მისი შვილი პეტო მოაგონდებოდა და ერთგვარ დანაშაულს ჰგრძნობდა. „თუმცა პეტო ტყვიით იყო მოკლული, მე კი ქვემეხზე ვმუშაობდი და, მაშასადამე, პეტოს სიკვდილში წილი არ მიდევსო“, — თავს იმართლებდა კორნელი. მიუხედავად ამისა, შამქორის მოგონებისას, მაინც ცოდვა-მადლი ღრღნიდა მის გულს და, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად.

ასეთის განწყობილებით შევიდა კორნელი ეზოში. ეზო ცარიელი იყო. კორნელი არავის არ შეუმჩნევია. სარდაფში მოთავსებული მრეცხავი ქალის, მარინეს ბინის პატარა ოთახის კარები დაფეტილი იყო.

„ხომ არ გარდაიცვალა მარინე?“ — გაიფიქრა კორნელიმ და მოკრძალებით მიაშტერდა უბედური დედის დამუნჯებულ ოთახს, ოთახის კარებს, რომელზედაც პატარა, მოშავო ბოქლომი ნაღველივით ეკიდა. თითქო დედა-მარინეს გლოვისა და უბედურებისათვის პასუხი უნდა ეგო კორნელის. კორნელიმ ამოიოხრა და იმ წამსვე ხრახნილ კიბეზე ესტატე მაყაშვილის ძაღლმა ყეფა ასტეხა. ეზოში გამოვარდა, მუშას შეუტია, მაგრამ მალე მუშას თავი გაანება, კორნელი იცნო და მას შეახტა. მერმე, როგორც ყოველთვის, კუნტრუშით აირბინა კიბე, თითქო შინაურებს კორნელის ჩამოსვლა უნდა ახაროსო.

აივანზე კორნელის მზარეული და გამდელი შეეგებნენ.

— შვილო, კორნელი, — დაიძახა თავშალიანმა, კბილებჩაცვენილმა ბარბალემ და კორნელის მოეხვია.

კორნელიმ მოხუც ქალს ლოყაზე აკოცა. სველი შალისა და ბურნავათის მაგვარი რაღაც უსიამო სუნი ეცა. ასეთი სუნი კორნელიმ პირველად დიდედის გარდაცვალების დროს იგრძნო. დარბაზში ცხედრის, საკმევლის, დამჭკნარი ვარდისა და ყვავილების სუნი იდგა, უსიამო და გულისამრევი.

კორნელიმ ჩონჩხივით შემხმარი და ლურჯი ძარღვების ხლართით დაკვანძული ხელები დაინახა გამდელისა და გაიფიქრა: „ამას დიდი დღე აღარ უწერიაო“.

მზარეული ევტიხი სირაძე ჩასუქებული, მწითური კაცი იყო. ჭორფლიანი სახე, გახურებულ ღუმელთან მუშაობის გამო, ჭარხალივით გასწითლებოდა. ხელები და ტანიც ჭორფლიანი ჰქონდა ევტიხის და ზედ ფაფრებელი მოსდებოდა. თეთრი ხალათი ჩაეცვა. თავზე თეთრივე ქუდი [illegible] ჩაჩი დაეხურა, ხოლო სახელო-აკაპიწებულ ხელში დოსტაქარსავით დანა დაეჭირა. სახეზე და ხელებზე, ისე, როგორც შიშველსა და ბანჯგვლიან მკერდზე, აგურისფერი თმა ჯაგარივით დასდგომოდა ევტიხის, თითქოს ეს-ეს არის ქვაბი გაუხეხავს და ყანგი და მური მოსდებიაო.

მზარეულმა კორნელის ხელი ჩამოართვა, კრეჭა დაიწყო და კალათი შეათვალიერა: ნეტავ სოფლიდან რა ჩამოიტანაო. კორნელიმ გაწუწკებულ მზარეულს გაუღიმა და სამზადში შევიდა. აქედან უშუალოდ შეეძლო უკანა კარებიდან თავის ოთახში შესვლა, ხოლო წინა კარებიდან მაყაშვილთა დერეფანი უნდა გაეარა.

კორნელიმ ოთახში პალტო გაიხადა და სავარძელზე დაადგო. მერმე კალათი გახსნა. კალათში სანთლის არაყი, დაკლული გოჭი და ინდოური ეწყო; კომში, ჩურჩხელა, თხილი და უნაბი ეყარა. კალათიდან საამო სუნი ამოვარდა და კორნელის სოფელი მოაგონდა.

სანთლის არაყით სავსე ბოთლი აიღო და ხელპირის დასაბანად სამზადში შევიდა.

— აი, ჩემო ევტიხი, არაყი.

ევტიხიმ მადლობა გადაუხადა და ბოთლი ჩამოართვა. ხალათის კალთით გასწმინდა, ლამპასთან მიიტანა და გაჰხედა:

— ჰო, რა ანკარა არაყია! კორნელი, შენი ჭირიმე, გენაცვალე სულში! — შესძახა მზარეულმა. ბოთლი სასოებით მკერდზე მიიხუტა. მერმე ოსტატურად ცალ ფეხზე შეტრიალდა და ლეკურ-ბუჭნა დაუარა. მისი უცნაური, მომწვანო თვალები სამზადში ისე ანათებდნენ, როგორც ღამეში კატისა. მზარეული ევტიხი სირაძე მხიარული გუნების კაცი იყო. პილატეს ცრემლი უყვარდა და ასე იფიქრებდით: მუდამ ნაღვინევი არისო.

კორნელის გაეცინა: არაყი და ღვინო ასე გაგიყებით რამ შეაყვარა ამ ღმერთგამწყრალსო. ქვაბებით სავსე, ვავარვარებულ ღუმელს გადახედა და ევტიხის შეეკითხა:

— ჩვენებს ჯერ არ უსადილნიათ?

— ეს არის, აი, ამ წუთში დასხდნენ სადილად. ჯერ მხოლოდ სუპი მივართვიყე. — მიუგო ევტიხიმ და არაყი კარადაში შეინახა.

ამ დროს სამზადში წინსაფრით კოხტად მოკაზმული ქალი შევიდა. ხელში ერთმანეთზე შედგმული ღრმა საინები ეჭირა.

— გამარჯვებათ, კორნელი! თქვენ სადილად გელოდებიან, — გაუღიმა კორნელის ჯანღონით სავსემ, მაღალმა და ლოყაწითელმა რუსმა ქალმა.

— გადაეცით ქალბატონ ვარდოს, რომ ეხლავ მოვა-თქო, — მიუგო კორნელიმ და, ცოტა არ იყოს, ეწყინა, რომ არც ვარდომ და არც ნინომ არ გამოხედეს და, ამდენის ხნის უნახავს, არ მიეგებნენ.

ხელპირის დასაბანად ბაკანს მიადგა.

— სად აწყობ საინებს?! — შეუწყრა ევტიხი დამლაგებელ ქალს, ხელი მოჰხვია და ღუმელიდან მაგიდისაკენ წაიყვანა. ქალმა მზარეულს გვერდში იდაყვი დაატაკა, ხელი გააშვებინა და შერისხა:

— ხელი გამიშვი, სატანა!

— ნუ ცხარობ, შურა! ნე სერჩაი, შუროჩკა, — დაყვავებით უპასუხა მზარეულმა.

შურამ ოქროსფერი თმის კულულები გაისწორა და მოლიმარი ცისფერი თვალებით ისევ კორნელის გადახედა.

„ჰერი-ჰა, ამათაც რომანი გაუჩაღებიათ!“ — გაიფიქრა კორნელიმ და პირსახოცით ხელპირი შეიმშრალა.

შურა ევტიხის აჩქარებდა. ევტიხი ლანგარზე შნიტცელს აწყობდა და საკაზმით ოსტატურად რთავდა.

როდესაც შურამ ლანგარი წაიღო, კორნელიმ ევტიხის თვალი უყო და დასცინა:

— გეტყობა, შუროჩკასთან საქმე გაგიჩარხავს, შე მაცდურო!

— ეხ, ჭირმა გადამიშენოს მაგის თავი! მიუკარებელი და ბუტიაა! — ხელი ჩაიქნია ევტიხიმ.

მერმე კორნელის წინ გაჩერდა, დინჯი შემოიდგა და გულითადის ხმით დაიწყო, თითქო კორნელის მესაიდუმლე ყოფილიყოს:

— კორნელი, ჩვენი ბატონის ქალი არავინ წაგართვას, მაცადინად იყავი. ვაი, საყვარელო, რა ქალია, მისი ნაბანიც კი არ დაიქცევა. უხ, შენი ჭირიმე! კორნელი, გენაცვალე სულში!

— ვინ უნდა წამართვას, რას ამბობ?! — გაუკვირდა კორნელის.

— ვილაც ძალიან ნასწავლი კაცი — პლატონ მოგველაძეო, პოეტი რაფაელიო, სანდრო ხოტივარიო... ყოველ დღე დაიარებიან ბატონისას. რა ვიცი, კორნელი! მაცადინად იყავი!

— სანდრო ხოტივარი, შე კაცო, ხომ ჩემი მეგობარია! — მიუგო კორნელიმ.

— ა, პა, პა, პა! — დაიძახა ევტიხიმ და თვალები დააპარპალა, — მეგობარს ნუ ენდობი, მეგობარი ავი სანდობია მაგფერ საქმეში; მეგობარი არ იყო, ჩემ ქალთან რომ შევისწარი? ცოლს იმიტომ არ გავეყარე...

ეს ამბავი ბევრჯერ ჰქონდა კორნელის მზარეულისაგან მოსმენილი და ამიტომ სიტყვა შეაწყვეტინა:

— რა გაეწყობა, სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალათაო, ხომ გაგიგონია, ჩემო ევტიხი, ეს სიმღერა?

— როგორ არ გამიგონია! შენი ჭირიმე, კორნელი, ყველაფერი რომ იცი, იმიტომ! — შეაჭო მზარეულმა და ეხლა თავისიანსავით, მეგობრულად მიჰმართა:

— კორნელი, შენ ჩვენებური, ზემოიმერელი ვაჟკაცი ხარ, დიდი ოჯახის შვილი, ვინ უნდა გაჯობოს? ჩემი კახელი ბატონის, ესტატე მაყაშვილის მზეთუნახავი ქალი, ნინო, შენ შეგფერის და შენი უნდა იყოს კიდევაც. მორჩა და გათავდა! — დაადგინა ევტიხიმ.

მერმე ხოროცისსაჭრელ დიდ დანას დასწვდა, ჰაერში სატევარივით დაატრიალა და იყვირა:

— თუ გაგიჭირდეს, შემატყობინე და დედას ვუტირებ ყველას. უხ, დედისა მერილისასა!

მზარეული კორნელის მოკიაფე თვალებით მიაშტერდა, მკლავში სწვდა და ჩაიხითხითა:

— კორნელი, გვასახელე იმერლები, გვასახელე, გენაცვალე სულში!

კორნელის გაეცინა. ევტიხი ოთახში შეიყვანა და სავსე კალათი სამზადეში შეატანინა.

როდესაც კორნელი ოთახში მარტო დარჩა, მოეწყო — ფრენჩი, გალიფე, ჩექმები ჩაიცვა და სადილზე წასვლა დააპირა, — შეკრთა და გაიფიქრა: „ევტიხის ნათქვამი არ მომეწონა. როგორც სჩანს, ნინოს არშიყნი შემოსჩვევიან. იქნებ ჩემი ადგილი სხვამ დაიკავა კიდეც! ეტყობა, ევტიხიმ რაღაც უნდა იცოდეს, თორემ, აბა, ისე რატომ მეტყოდა: ნინო არავინ არ წაგართვასო?! მსახურებმა ყველაზე უკეთ იციან, რაც ბატონის ბინაზე ხდება. რაღაც რომ არ მომხდარიყო, ვარდო და ნინო უთუოდ მინახულებდნენ. ნეტავ პირველად ეს მწითური ევტიხი არ შემყროდა, მოჭირებული რიჟაა და იქნებ დამნავსაო“. — გაიფიქრა და მაყაშვილთა ბინის კარებისაკენ გაუბედავის ნაბიჯით წავიდა.

## საღილი ცუდი დესერტით

„მდგომარეობა ამიერკავკასიაში, კარგა ხანია, რაც უიმედოა. იქ (ამიერკავკასიაში) მობინადრე ტომებმა ერთმანეთი უნდა ელიტონ მანამდე, სანამ სავსებით არ დაიქანცებიან და სისხლისგან არ დაიცლებიან. მაშინ კი, ჩვენ, ალბათ, შევძლებთ იქ წესრიგის დამყარებას“.

ინგლისელი გენერალ-მაიორის, ვინმე — დენსტერვილის მოსაზრებანი. მისი მემუარებიდან: „კავკასიასა და ირანზე გალაშქრება“. გამ. „სოვეტსკი კავკაზ“, თბილისი, 1925 წ. გვ. 107.

3830

ჩვეულებრივის სიხარულითა და ჟრიამულით როდი მიეგებნენ მაყაშვილები კორნელის.

კორნელიმ მაშინვე შენიშნა, როგორ შეკრთა და ერთბაშად გაწითლდა ვარდო. ვარდომ ნინოს გადახედა. ნინო გაფითრებული იჯდა, საინს დასჩერებოდა და თავს არ იღებდა. ეტყობოდა, ძალზე ჰღელავდა.

სუფრის თავში მჯდომმა ესტატე მაყაშვილმა დაიძახა მხოლოდ ჩვეულებისამებრ:

— ჩვენს დაკარგულ მხედარს გაუმარჯოს!

სანდრო ხოტივარი კი ბედნიერის ღიმილით მისჩერებოდა მეგობარს და კორნელი მიხვდა, რომ ევტიხი ცდებოდა.

პლატონ მოგველაძისათვის, ჯიბო და ვიღაც უცნობ კაცისათვის კორნელის არ შეუხედავს. ვარდოსთან მივიდა და ხელზე აკოცა. მერმე ნინოს. ნინოს არც ეხლა აუწევია თავი, ისე გაუწოდა რბილი და ცივი ხელი კორნელის. მის ხელის ჩამორთმევაში ჭაბუკმა გულგრილობა იგრძნო, თითქო ხელი თავისთავად მოძრაობს, მისი პატრონის მონაწილეობის გარეშეო.

ეკალივით მოხვდა კორნელის გულზე ნინოს ასეთი გულგრილობა და გაიფიქრა: „რა დავუშავეო“.

— იცნობდეთ, კორნელი, ეს ესტატეს დედა გახლავთ, დიდედა ჩვენი, ქალბატონი ივლიტე! — გააცნო ვარდომ.

— გამარჯობათ, შვილო. — დარბაისლად ეუბნა კორნელს ჩიხტაკოპით თავდახურულმა, შავთვალწარბა, მოხუცმა ქალმა. კორნელიმ შენიშნა, რომ ესტატე ძალიან ჰგავდა დედას.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე კორნელიმ პლატონ მოგველაძეს ჩამოართვა ხელი. პლატონმა გაუღიმა და კორნელიმ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს მისი ღიმილი: დაცინვას, თანაგრძნობას თუ გამარჯვებული კაცის შემწყალებელ ღიმილს?

ესტატეს ძმამ — ამჟამად პოლკოვნიკმა, ჯიბო მაყაშვილმა, ეჩვენა კორნელის და უსაყვედურა:

— ეხ, შენ დეზერტირო! თქვენი ბატარეის უფროსმა, ალექსიძემ შემომჩივლა: თქვენის თხოვნით, ჯარისკაცი კორნელი მხეიძე ერთი თვით შვებულებაში გავუშვი და ის კი დაიკარგაო. ასე უნდა, კაცო, სამსახური?

კორნელი გაწითლდა და მიუგო:

— ბატონო ჯიბო, მე დეზერტირი არა ვარ. მე ავად ვიყავი. და ექიმთა კომისიამ ერთი წლის შვებულება მომცა.

— აგაშენა ღმერთმა. ყველას თუ ერთი წლის შვებულება მიეცა, ვინღა იომოს მაშინ! — ჩაიქნია ხელი პოლკოვნიკმა ჯიბო მაყაშვილმა

ეხლა ტანმორჩილი, მსუქანი კაცის წინ გაჩერდა კორნელი. ვარდომ ესეც გააცნო:

— სენატორი, გიორგი დადვაძე.

სენატორს მრგვალი და გაპარსული სახე ჰქონდა, ღვინისაგან ალანძული. თმა, სავსებით ჭალარა. წარბები კი შავი. კაცი იფიქრებდა: იღებავსო. სენატორმა ლმობიერის ღიმილით შეხედა ჯარისკაცს, თითქოს ამ ღიმილით, თანაგრძნობას უცხადებსო. იგი გულკეთილი კაცი სჩანდა.

ბოლოს კორნელიმ სანდრო ხოტივარს ჩამოართვა ხელი, მაგრამ სანდროს ხელის ჩამორთმევით არ დაკმაყოფილდა: მარცხენა ხელი კისერში მოავლო, მოსწია და შეზარხოშებულმა ჭაბუკმა ამხანაგს ტუჩებში მაგრა აკოცა.

ჯიბომ გადიხარხარა. კორნელი სანდროს გვერდით დაჯდა. სანდრომ თვალებში შეხედა, გაუცინა და მაშინვე ღვინო დაუსხა. თანაც დასცინა:

— ეს ულვაშები რომ მოგიშვია, ვითომ რა ამბავიაო?!

სანდროს აზერბაიჯანთან ომში მიღებული ორდენი — გიორგის ჯვარი ეკიდა მკერდზე. „ჩემი ამხანაგები გმირობისათვის ორდენებს ღებულობენ, მე კი დეზერტირობისათვის მკიცხავენო". — გაიფიქრა კორნელიმ და დარცხვენით შეხედა ჯიბოს. მაგრამ ჯიბოს ეხლა მისი დარდი არა ჰქონდა, თამადა იყო და მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო.

— ასე უნდა, კორნელი? სამი თვეა, რაც ჩვენ კარისმერეთიდან წამოვედით და თქვენ კი ერთხელაც არ მოგვიგონეთ! — უსაყვედურა კორნელის ვარდომ.

— მე ორი წერილი გამოგიგზავნეთ, ქალბატონო. — იცრუა კორნელიმ, რადგან მან მხოლოდ ერთი წერილი გამოუგზავნა კარისმერეთიდან ნინოს.

— არცერთი არ მიგვიღია. — ვაიქნია უარის ნიშნად ვარდომ ბეჭდებით შემკული, ფაფუკი ხელი. მერმე კორნელის დედა — ტერეზა მოიკითხა: როგორ ბრძანდებაო.

კორნელიმ მადლობა გადაუხადა და მოკლედ უამბო ყოველივე კარისმერეთის შესახებ.

ირონას ხსენებაზე ნინომ თავი ასწია, ოდნავ გაიღიმა და კორნელის შეხედა. გადასხვაფერებული ეჩვენა კორნელი შავი ულვაშებისა და ძალზე დაბოხებული ხმის გამო.

„სახე სრულიად შეცვლიაო", — გაიფიქრა. უმალვე ვერ მიხვედრილიყო მოძხდარ ცვლილებას, მაგრამ როდესაც დააკვირდა, მიხვდა: „სრულებით არ უხდება ულვაშები. პროვინციელს დამსგავსებიაო", — გადასწყვიტა.

კორნელის ფრენჩზე სამხედრო ნიშნები არ ეკერა და ნინომ დასცინა თავის გულში: „ხარისხაყრილ პრაპორშჩიკს ჰგავსო“.

შეკრთა და თვალი მოარიდა.

კორნელიმ იგრძნო ეს დაცინვა და გაწითლდა. დარცხვენილი ადგა და სდუმდა.

— კორნელი, მიირთვით სადილი. წვნიანს მიირთმევთ? — უთხრა ვარდომ.

— გმადლობთ, ქალბატონო. მე სადილი უკვე გეახელით. — მიუგო კორნელიმ. ნინოს არ მოეწონა, ბანალურად ეჩვენა თავის დახრა, მკერდზე ხელის ძიდება და ასე მადლობის გადახდა. კიდევ უფრო დარწმუნდა თავის დასკვნაში: პროვინციელს დამსგავსებიაო და კარისმერეთის „დონ-ჟუანი“, მოქეიფე და თავზე ხელაღებული ვაჟკაცი იასონ ჯანჯღავა მოაგონდა.

ვარდო კი არ ეშვებოდა კორნელის: ცოტა რამ მიირთვით, ნასადილევს ბევრ რამეზე უნდა მოგელაპარაკოთო.

ნინო საშინლად გაწითლდა რატომღაც. პურის გული აიღო და ზელა დაუწყო. მისი მაგიდაზე ჯდომა უხერხული იყო. მამამ შენიშნა და საქმე გაუჩინა:

— ნინო, პაპიროსი გამომელია. წადი ჩემს კაბინეტში, გილზები გამიტენე თუთუნით.

ნინო ჩქარის ნაბიჯით გავიდა სასადილო ოთახიდან.

პლატონ მოგველაძემ ვნებიანი თვალები გააყოლა და კორნელის მოაგონდა ევტიხის ნათქვამი: ჩვენი ბატონის ქალი არავინ წაგართვასო.

ვარდომ ისარგებლა ნინოს წასვლით და კორნელის უთხრა:

— უთქვენოდ აქ დიდი ცვლილებები მოხდა. დეიდა თქვენი ელენე ბაქოდან ჩამოვიდა და ამჟამად თბილისშია. ელენეს მეუღლე — დათა გიმნაზიის დირექტორად დანიშნეს და იქვე შესანიშნავი ბინა მისცეს. ამ გაჭირვების ჟამს, იმ ბინაში სამი ოჯახიც კი თავისუფლად მოთავსდება. საერთოდ, ბინის საკითხზე ნასადილევს მოგელაპარაკებით.

კორნელის გაუკვირდა: ელენეს ბინას ვარდო რად აცივდებაო!

ესტატე შეკრთა: ვაი თუ ვარდომ, ამ სტუმრების თანდასწრებით, ყველაფერი უთხრას კორნელისო და ცოლს სიტყვა გააწყვეტინა:

— ვარდო, აცალე კაცს სადილობა. ეგ შენი მოლაპარაკება კი ნასადილევს იყოს. — კორნელის გაუღიმა და გააფრთხილა: — გახსოვდეთ, ვარდო ცნობილი დიპლომატია და მოლაპარაკების დროს არ გაჯობოთ.

კორნელი ცოტა დამშვიდდა, მაგრამ მაინც შიშობდა: ნეტავ რა უნდა მითხრას ნასადილევს ვარდომ ასეთიო.

ვარდოს ეწყინა ქმრის უხეში შენიშვნა, მაგრამ სხვა გზით შეუძლებელი იყო სულწასული ცოლის შეჩერება.

ესტატე მიხვდა და მაშინვე თავის შენიშვნას სხვაგვარი ჟუდი გამოაბა. მაშ, რისთვის იყო იგი ცნობილი ვექილი, თუ ყოველ შემთხვევას თავსა და ბოლოს ვერ მოაბამდა!

— დიპლომატია ჩვენში ადვილი საქმე ჰგონიათ. — დაიწყო დინჯად ესტატემ, — აი, თვალი კი დაუდგება სომხეთში წარგზავნილ იმ ჩვენს ბეც ელჩსა და დიპლომატს!

— ვითომ რათაო? — შეეკითხნენ ესტატეს პლატონი და ჯიბო.

ვექილსაც ეს უნდოდა: მსმენელნი ანკესზე წამოაგო, ვექილმა სიტყვის მასა-

ლა მონახა. მასალას ძერწვა დაუწყო, მაგრამ გამოძერწილი უმსგავსო რამ ქმნილება გამოვიდა. მის თავსა და ბოლოს ადამიანი ერთმანეთისაგან ვერ გაიოიცნობდა, რომ ესტატეს ხელოვნების კარგი მცოდნე სენატორი — გიორგი დადვაძე იქ არ ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაცო,—ამბობდა ესტატე, — ორი თვე არის, რაც იმ ჩვენს ბედოვლათ ელჩს კაჩაზნუნის მთავრობა ლათაიებით ჰკვებავს. კაჩაზნუნი და ტიგრანიანი იმ ჩვენს არიფ დიპლომატს ქეიფითა და პატივისცემით თვალებს უხვევენ: ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ ბორჩალოს მაზრაში სადავო ტერიტორიის საკითხი მშვიდობიანის გზით გადაიჭრასო და, ამავ დროს, მობილიზაციას აცხადებენ. გაფაციცებით ემზადებიან ომისათვის, საქართველოს საზღვრებზე ჯარებს აგროვებენ და თავს გვესხმიან.

— მეტსაც უნდა მოველოდეთ, რაკი ჩვენი მთავრობა ომისათვის მზადების ნაცვლად სომხეთთან არშიყობას ირჩევს. — განაცხადა პოლკოვნიკმა ჯიბომ.

— საინტერესოა მაინც, ვიცოდეთ: რას გვედავებიან სომხები? — იკითხა პლატონ მოგველაძემ.

— მოგეხსენებათ, — მიუგო ესტატემ,—ამა წლის 1918-ს, მაისში, ოსმალები კვლავ განაგრძობდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის დაკავებას. ოსმალთა ჯარებმა საქართველოსთან მოსაზღვრე სანაინის მიდამოები დაიჭირეს და, ამრიგად, თბილისის გუბერნიის საზღვრებს მოადგნენ და გადმოლახეს კიდეც იგი.

— დიახ, ეს კარგად მახსოვს, — მიუგო პლატონმა, — აკი საქართველოს ჯარებმა შეაჩერეს მათი წინსვლა სანაინის რაიონში, დაამარცხეს ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრილი ოსმალთა ურდოები და უკუაგდეს! მერმე სომხები აქ რა შუაშია?

— მე მოგახსენებთ, — ჩაერია ეხლა ლაპარაკში სენატორი გიორგი დადვაძე, — მართალია, ჩვენმა ჯარებმა დაამარცხეს ოსმალნი სანაინის რაიონში და კარგა დიდ მანძილზეც მისდიეს მათ, მაგრამ, ამ დევნის დროს, ჩვენმა ჯარებმა იმჟამად უპატრონოდ მიტოვებული სომხეთის მიწაწყლის კარგა დიდი ნაწილი დაიკავეს ბორჩალოს მაზრაში და აი, იმ თავის ტერიტორიას გვედავებიან ეხლა სომხები, დაგვიბრუნეთო. განა მათი ეს მოთხოვნილება სამართლიანი არ არის?

ამ დროს ნინო შემოვიდა და მამას პაპიროსები მოუტანა. იგი, შედარებით, დამშვიდებული იყო, რადგან კაბინეტიდან მოჰკრა ყური სხვა საგანზე საუბარს. სამაგიეროდ, ეხლა მამა მისი, ესტატე ჰოელავდა:

— დაიცათ, დაიცათ, გიორგი, — ესტატე ამჟამად სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარედ იყო დანიშნული და სამხედრო საქმეების მცოდნე კაცად მოჰქონდა თავი, — კეთილი და პატიოსანი: ვსთქვათ, რომ კაჩაზნუნის მთავრობის მოთხოვნილება სამართლიანია. მერმე რა? განა ჩვენ არ შევთავაზეთ მას ტერიტორიალური დავა მშვიდობიანის გზით გადაგვეჭრა? ოთხჯერ ჩაგვიშალეს დაშნაკებმა თბილისში მოწვეული სამშვიდობო კონფერენცია, არც ერთხელ არ გამოგზავნეს დელეგატები.

— ისინი თბილისში მოწვეულ კონფერენციას არ ენდობოდნენ. ეს ჩემთვის გასაგებია. — შენიშნა რუსულად დადვაძემ და გაიღიმა. პატარა, ღიპიან მუცელზე ძველებური მოდის მიხედვით შეკერილი ჟილეტი გაისწორა და ოქროს ძეწკვიან საათს დაჰხედა. დადვაძე დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში და რუსულს მშვენივრად ამბობდა.

— ვითომ, რათაო? — გაუკვირდა ესტატეს.

— რათა და, — მიუგო დადვაძემ, — იმ კონფერენციაზე აზერბაიჯანის და ჩრდილო-კავკასიის მთიელ ხალხთა კავშირის მთავრობათა წარმომადგენლებიც იყვნენ მოწვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მით უმეტეს, მერმე რა? — აღარ აცალა ესტატემ.

— ისინი — განაგრძო დადვაძემ, — მხარს დაუჭერდნენ საქართველოს დელეგატებს. სომხები სადავო საზღვრების საკითხში გარიყული აღმოჩნდებოდნენ და დამარცხდებოდნენ.

— აგაშენა ღმერთმა! — ნიშნის მოგებით დაიძახა ესტატემ: — სიმართლისა ეშინიათ?

დადვაძემ გაიღიმა და ესტატეს შეეკითხა:

— დღევანდელი სომხეთის მესვეურებმა განა არ იციან, რომ ჩვენი, — მენშევიკური მთავრობა საზღვრების საკითხს არა ეთნოგრაფიულის, არამედ სამხედრო-ისტორიული თვალსაზრისით უდგება?

— მაშ, როგორ გნებავთ? — გაცხარდა ესტატე. თეთრი, ქათქათა მანჟეტები გაისწორა, ხელებით მაგიდას დაეყრდნო, წინ წამოიწია და დადვაძეს განცვიფრებული მიაშტერდა: — ეთნოგრაფიულ პრინციპს თუ გავყევით, აშენდა საქართველო!

ამდენხანს გაჩუმებულმა ცრუ სწავლულმა, პატრიოტმა და „ოქროპირმა“ — პლატონ მოგველაძემ ველარ მოითმინა, თვალები დააბრიალა და კამათში ჩაერია:

— კარგად უწყიდეს ყველა, რომ საქართველო მუსულმანთა მიერ დარბეულ და აწიოკებულ სომხეთს შველოდა მრავალგზის! როდესაც სომხეთი მუსულმანებმა დაარბიეს და მათ სატახტო ქალაქში — ანისში აბულსოვარი გამეფდა, დავით აღმაშენებელმა, სომხეთის დაჟინებითი თხოვნის თანახმად, ერთმორწმუნე ერის გადასარჩენად, სამოცდაათი ათასი ჯარით ანისზე გაილაშქრა, აბულსოვარი სასტიკად დაამარცხა, სომხეთიდან განდევნა და სატახტო ქალაქი — ანისი კვლავ სომხებს დაუბრუნა. როცა, ამრიგად, სომხის ერი სარწმუნოებრივ დევნიდან განთავისუფლდა, — „მივიდეს მეფე და კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა, ახლად წესი აუგის და თვითონ მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახა: გიხაროდენ შენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი ურჯულოთა ხელთაგანო“... ქართველი მეფენი დიდად მფარველობდნენ მუსულმანთაგან დევნილ, დარბეულ და ლტოლვილ სომხებს. და ნუთუ ეხლა, მადლობის ნაცვლად, სომხები ჩვენ მიწაწყალს უნდა გვედავებოდნენ?

ყველანი სულგანაბული უსმენდნენ „ოქროპირს“, განსაკუთრებით კი — ვარდო და ნინო, და, როცა ცრუ პატრიოტი და სწავლული დადუმდა, ვარდომ თავის ქალს ნინოს ყურში რაღაც უჩურჩულა და კორნელი მიხვდა, რომ პლატონ მოგველაძეს მაყაშვილთა ოჯახი უკვე სავსებით მოეჯადოებინა და დაეპყრო.

შური დაებადა და პლატონთან კამათი გადასწყვიტა. მას არ მოსწონდა პლატონის მიერ ჭაღარა წარსულის ჩიჩქნა, წარსულით ამაყობა. უგონო ბატები მოაგონდა, რომლებიც პლატონივით ამაყობდნენ: „ჩვენმა წინაპრებმა რომი იხსნესო“. უმალვე მოაგონდა აგრეთვე დიდი ილიას მიერ სადღეისო მოქმედებისათვის ლექსად თქმული საღი მოსაზრება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა.
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

მაგრამ, სანამ კორნელი ამ სტრიქონებს მოიგონებდა და საკამათოდ გამიზნულ სიტყვას მოიფიქრებდა, პლატონს დადვაძე შეედავა:

— ჰო, და, აი, ასეთი ლაპარაკის და განწყობილების შემდეგ, კაჩაზნუნის მთავრობა განა ჩვენ გვენდობა? აშკარად უნდა ითქვას ერთი რამ: არც დაშნაკური და არც მენშევიკური მთავრობა ერთმანეთს არ ენდობიან. ერთსულოვნების და თანხმობის ნაცვლად, მენშევიკებმა და დაშნაკებმა ქართველი და სომეხი ხალხი ერთმანეთს გადაჰკიდეს, ამ უთანხმოების გაღვივებას უცხო ძალა, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს იმ მიზნით, რომ შემდეგ მთელ ამიერკავკასიას დაეპატრონოს, „Divide et impera“, — ეს საუკუნეთა მანძილზე ნაცადი მისი პოლიტიკაა.

კორნელის თბილისის სადგურზე ნახული უცხოელთა კოლონიური ლაშქრის ჯარისკაცები მოაგონდა და პლატონს პასუხი აღარ აცალა:

— ჯერ იყო და, ოსმალეთის წინაშე დავიჩოქეთ, მერმე გერმანიისა, ეხლა კი — ინგლისისა და, ვინ იცის კიდევ, ვის წინაშე არ მოგვიხდება მუხლდრეკა და დამცირება... ესეც ჩვენი „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა!

— როგორც სჩანს, თქვენზე დიდი გავლენა მოუხდენია იონას. — წყენით შენიშნა ესტატემ. მეტი პასუხის ღირსი აღარ გაჰხადა. დადვაძეს შეხედა, მასთან კამათი დააპირა, მაგრამ, ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, ნინომ წამოიძახა:

— კორნელი, თქვენ კარისმერეთელ აგიტატორს დამსგავსებიხართ..

ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა და კორნელი აილეწა. ნინო მიხვდა, რომ უშნოდ წამოაყრანტალა და კორნელის შეეხვეწა:

— არ კი გეწყინოთ!

მაგრამ გვიანლა იყო. ამაზე მეტი წყენა პატივმოყვარე ჭაბუკისათვის განა იქნებოდა? კორნელიმ მაშინვე მოუჭრა:

— კარისმერეთელი აგიტატორი, რაც უნდა იყოს, თელაველთა ქვევრი მაინც არ არის, რასაც ჩასძახებთ, იმას რომ ამოგძახებთ ხოლმე!

— თქვენ ძალზე მწარე ენა გქონიათ! — წყენით შენიშნა ვარდომ.

— თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილო, ნათქვამია, ქალბატონო ვარდო.

უხერხულობის განსაფანტავად ბრაზისგან ალეწილ ჭაბუკს დადვაძემ ლმობიერად უთხრა:

— მუდამ ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ საქართველოს უცხო ძალის წინაშე მუხლდრეკა უბედურებას შეამთხვევს,

კორნელის ესიამოვნა, რომ მისი და დადვაძის მოსაზრება ერთმანეთს დაემთხვნენ, მაგრამ ნინოს და მის მშობლებს რომ უკმეხად უპასუხა და აწყენინა, ეს გულს უკლავდა. თავჩაკიდულ ნინოს თვალი შეაპარა და ფიქრობდა: ამ სამიწე ენას კბილი რად არ დავაჭირეო. კორნელის ერთადერთი ხსნა ის იყო,

რომ კამათი მეტად საჭირბოროტო საკითხს შეეხებოდა, მან დამსწრეთა მთელი ყურადღება მიიპყრო და უსიამოვნება თავისთავად იქნა მივიწყებული.

— უცხო ძალის გარეშე საქართველოს დღეს რა გამოსავალი გააჩნია? — შეეკითხა ესტატე დადვაძეს.

— საქართველოს ხსნა რუსეთისა და ამიერკავკასიის დემოკრატიის მთლიანობაშია. — მიუგო მაშინვე დადვაძემ.

— შენ მუდამ რუსოფილი იყავი. — ჩაიქნია ხელი ესტატემ.

— გაიგეთ, ადამიანებო, — დარწმუნებით დაიწყო დადვაძემ, — უცხო ძალას ჩვენში ყოველთვის პირადი ინტერესები ამოქმედებდა და დღესაც ამოქმედებს, ხოლო რუსეთისა და რუსეთის ფარგლებში შემავალი ერების რევოლუციური დემოკრატია საერთო ინტერესით ხელმძღვანელობს.

— როგორ არ მოგწყინდათ თქვენ რეალურ საფუძველს მოკლებული ეგ რევოლუციური ფრაზეოლოგია? — გაუკვირდა პლატონს.

— მაშ, მიდით და პასუხი აგეთ ინგლისელთა წინაშე. ინგლისი ეხლა შემოდის საქართველოში, როგორც დამარცხებულ გერმანიის მოკავშირე ქვეყანაში. — ნიშნის მოგებით განაცხადა დადვაძემ.

— ეს ჩვენთვის მართლაც დიდი უბედურებაა, დიდი უბედურება! — თავი ჩაჰკიდა და მწუხარედ განაცხადა პლატონმა.

— სრულიად არ მოველოდი ასეთ სიურპრიზს! — ვერ ურიგდებოდა ესტატე მის მიერ არჩეულ ფალავნის — გერმანიის წაქცევას და სასტიკ დამარცხებას.

ამ დროს სადილიც დამთავრდა. შურამ სუფრა აალაგა და სტუმარ-მასპინძლები დესერტის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ დადვაძის მიერ ნათქვამი ისე ეჩვენათ, როგორც ამ კარგი სუფრისა და ჩინებული კახური ღვინის შემდეგ ძთხლენარევი ღვინო და ძირმწარი.

ესტატე იხტიბარს მაინც არ იტეხდა:

— არა მგონია ინგლისმა ჩვენს მიმართ შურისძიებით იხელმძღვანელოს! ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ინგლისელები, რომ ინგლისსა და საქართველოს საერთო ინტერესები გააჩნიათ. ვნახოთ, რას გააკეთებს, ამ მხრივ, ევროპაში წარგზავნილი ჩვენი დელეგაცია!? — დაიწყო აბრუნდსა და ახალი ბატონის წინაშე მლიქვნელობას და მუხლდრეკას შეჩვეულმა ქართველმა თავადმა. მაშინდელი, მენშევიკური მთავრობაც ამ გზას დაადგა: თავის პოლიტიკის სამზადში სახელდახელოდ გამომცხვარი პურმარილით, ტკბილეულით მიეგება ახალ ბატონს და მბრძანებელს. ბოლოს ბატონს გაცილებით უფრო მოეწონა ეს პურმარილი — ამიერკავკასიაში აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სახით მოპოებული ტკბილი ლუკმა, ვიდრე ბატონ ესტატეს და მის სტუმრებს ძხარეულის — ევტიხი სირაძის მიერ ნახელავი დესერტი.

დესერტის შემდეგ სტუმრები აიშალნენ.

ქალები ცალკე დარჩნენ.

ესტატეს დედამ, მოხუცმა ქალმა — კნეინა ივლიტემ, რომელიც ამდენხანს სთვლემდა და ამთქნარებდა, თავი ასწია და ჩიხტაკოპი გაისწორა. ირანელ ქალთა მაგვარი, ხშირი და ნახშირისფერი, შეერთებული წარბები გველებივით მაღლა აჰყარა. საშრობზე დაცემული, წყალნარევი მელნის ლაქის მსგავსი უაზრო და ჩანისლული თვალები დააჭყიტა და ვარდოს უთხრა:

— აბა, ერთი შეხედე იმ თქვენ ფხიკიან იმერელ მდგურსა, როგორი მწარე ენა ჰქონია!? თელაველიო! კახელების ღმერთი ილოცონ იმერლებმა, ისა სჯობია!

— არც ჩვენს ქალბატონ ნინოს ჰქონია ტკბილი ენა, დიდედა! — მიუგო ვარდომ და ნინოს უსაყვედურა: — აბა, ხალხში რად დასცინე, განა არ იცი როგორი ამაყი და ამპარტავანია!?

ნინოს ლოყები შეუწითლდა, თვალზე ცრემლი მოადგა და [illegible] ხმით მიჰმართა ვარდოს:

— ეგ შენი ბრალია, დედა! განა შენ არ მიჩურჩულე: კარისმერეთელ აგიტატორს დამსგავსებიაო?

— ეგ რა პასუხია! მე ბევრი საიდუმლო გამიმხელია შენთვის, მაგრამ ქვეყანას კი არ უნდა შეატყობინო.

— ჰო, და, მე წამომცდა.. წამომცდა იმიტომ, რომ თქვენ ყველანი შემოჩენილი ხართ: მაძულებთ კორნელის. მან კი რა დაგიშავათ, არ ვიცი...

ამ დროს მამაკაცები ესტატეს კაბინეტში იყვნენ და საქართველოს ბედიღბალზე საუბარს განაგრძობდნენ.

ნამდვილი ცხოვრება და საქართველოს ბედიღბალი კი ამ კაბინეტის მიღმა ვითარდებოდა და იჭედებოდა.

## საშინაო დიპლომატია

> რა კარგი იქნებოდა, რომ დედები თავის ქალების
> გულითად საქმეებში არ ერეოდნენ.
>
> **ხალხური მოარული თქმა**

ვარდო კორნელის ოთახში შევიდა და საწერ მაგიდასთან დაჯდა. ტანზე შალის მოსასხამი შემოიტმასნა და კორნელის თვალი გაუსწორა. ნინოს სწორედ დედის მსგავსი თვალები გამოჰყოლოდა: ასეთივე შუქიანი, ასეთივე შავი გუგა და ოდნავ მოცისფრო თეთრი გარსი. სიყვარულისა და პატივისცემის გარდა, სხვას არაფერს ჰგრძნობდა ამჟამად კორნელი ამ დარბაისელი და ლამაზი ქალის მიმართ.

სიჩუმე ჩამოვარდა. გუშინდელი უსიამოვნების გამო კორნელის ბოდიში უკვე მოხდილი ჰქონდა ვარდოს და ნინოს წინაშე და ეხლა მის განმეორებას აღარ აპირებდა.

კორნელი უხერხულად იჯდა სკამზე და საუბრის დაწყებას ელოდა.

ბოლოს ვეღარ გაუძლო ლოდინს და გაუბედავად დაიწყო:

— მე გისმენთ, ქალბატონო ვარდო, რა გნებავდათ ჩემთვის გეთქვათ? — ხმამ უმტყუვნა და თვალი მოარიდა.

ვარდომ, პასუხის ნაცვლად, ქაღალდის საჭრელი ძვლის დანა აიღო. შეაბრუნა და მაგიდას ტარით დააბჯინა. ფინური ბებუთივით გაღუნული დანის წვერი ჰაერში თანაბრად ირხეოდა. კორნელიმ შენიშნა, როგორ ჰკანკალებდა ძვირფასი ბეჭდებით შემკული ვარდოს პატარა და ფაფუკი ხელი.

ვარდო აშკარად ჰღელავდა.

კორნელის გულისძგერამ უმატა და გაიფიქრა:

„ეტყობა, ვარდო რაღაც საშინელის თქმას აპირებსო“. ტანთ გააჟრჟოლა და მაშინვე ქალის ნარნარი და მღელვარებით სავსე ხმა გაისმა:

— კორნელი, მე თქვენი ბავშვობა მახსოვს. თქვენ ჩემ თვალ წინ დავაჟკაცდით. ეხლა სრულუფლებიანი მოქალაქე ბრძანდებით, საკუთარი თავის ბატონპატრონი, რომელსაც ბევრი რამ მოეკითხება. ასე არ არის?

— ასე გახლავთ.

— მაშ, პირდაპირ მიპასუხეთ, მიპასუხეთ ისე, როგორც ქალბატონ ტერეზას შვილს შეჰფერის...

ვარდო შეჩერდა. სუნთქვა გაუჭირდა და მაღალი მკერდი საბერველივით ბაღლა აეზიდა.

„ვაი, შენ ჩემო თავო". — გაიფიქრა კორნელიმ.

ვარდომ სული მოიბრუნა და პირდაპირ შეეკითხა:

— გიყვართ თუ არა თქვენ ჩემი ქალი?

კორნელის არ მოეწონა რატომღაც „ჩემი ქალი". ამ სიტყვებს ხაზი გაუსვა და ისე მიუგო:

— განა შეიძლება, ქალბატონო ვარდო, „თქვენი ქალი" კაცს არ მოსწონდეს და, არ უყვარდეს?

„სიტყვას ბანზე მიგდებსო", — გაიფიქრა ვარდომ და დაჟინებით გაუმეორა:

— მე მაგას არ გეკითხებით. გაუმჟღავნეთ თუ არა ჩემ ქალს სიყვარული? ნუ დამიმალავთ. მე ბევრი რამ ვიცი და ბევრ რამესაც ვგრძნობ.

კორნელის მაშინვე მოაგონდა, რომ ნინო მორცხვი, გულჩათხრობილი ქალი იყო, ამავ დროს, ამაყიც და კორნელისთან ურთიერთობას არავის არ გაუმხელდა. ისიც მოაგონდა, თუ რა უთხრა ნინომ, როდესაც ცოლობაზე დასთანხმდა: „კორნელი, შინ არავის უთხრა, რაც დღეს გითხარი. მე არ მინდა ვინძემ იცოდეს. გესმის? მე მრცხვენიაო". ეს მოაგონდა ეხლა კორნელის და ვარდოს განუცხადა:

— ჩვენ სიყვარულზე საუბარი არა გვქონია.

— კორნელი. აბა, შემომხედეთ: მართალს ამბობთ?

კორნელიმ უტიფრად შეხედა და მტკიცედ მიუგო:

— მართალს მოგახსენებთ.

მერმე თავი დაჰხარა და ვარდოს ხელს დააცქერდა.

ვარდო ისევ აწვალებდა ძვლის დანას. მღელვარების გამო, ქაღალდივით თეთრი და ნაზი ხელი სისხლისგან დაშრეტილიყო და კანის ქვეშ ცისფერი ძარღვების ხლართი ილანდებოდა. თითებზე წამოცმული ბეჭდების თვალი პატიოსანი — ზურმუხტი, ლალი და ამეთვისტო ლამპის შუქზე ათასფრად ენთებოდნენ, ციმციმებდნენ, თვალის მჭრელ სხივებს ისროდნენ, კიანთებდნენ და უცნაურად ელვარებდნენ.

— ნუთუ სიყვარულზე საუბარი არა გქონიათ? „სიყვარულსა მალვა უნდაო", — ნათქვამია, მაგრამ არა დედის წინაშე. — ისევ ნარნარის, მღელვარებით სავსე და მწუხარე ხმით ჩაილაპარაკა ვარდომ და თავი ჩაჰკიდა.

კორნელიმ საწერ მაგიდის ლამპასთან თავდახრილ ქალს შეხედა. შუაზე გაყოფილ, წაბლისფერ კრიალა თმაში ვარდოს ჭაღარა შეპარვია აქა-იქ, თითქოს ობობას ძნელად შესამჩნევი ქსელი გაუბამსო.

— რისთვის ამბობთ მაგას? — გულითადის ხმით შეეკითხა კორნელი.

— იმიტომ, რომ დედა ვარ, მინდა ვიცოდე, რა გზას დავადგე და ჩემი ქალის ბედიღბალი როგორ წავმართო. — ისევ ნაღვლიანის ხმით მიუგო ვარდომ და ამ მწუხარე და ღვიძლი შვილის ბედიღბალის გამო შეშფოთებული მშობელის წინაშე, ალბათ, ქვაგულიც კი გადნებოდა, მაგრამ კორნელი რატომღაც აენთო. ელვის სისწრაფით ჩატარდნენ მის გონებაში ასეთი კითხვები: „საქმრის

ეძიებთ? იქნებ მონახეთ კიდეც! პლატონ მოგველაძე ხომ არა? ჩემი სიძობა ხელს არ გაძლევთ?"

სისხლი აემღვრა პატივმოყვარე ჭაბუკს. მრისხანედ შეხედა ვარდოს, და ალარ მოერიდა:

— თქვენ გარკვეული მდგომარეობა გყვარებიათ, ეს ცუდი როდია. მეც ასეთი ვარ. ეხლა ნება მიბოძეთ, მე შეგეკითხოთ: მე და ნინოს რომ ერთმანეთისათვის სიტყვა გვქონდეს მიცემული, ეს ხომ არ დააბრკოლებდა თქვენი ქალის ბედიღბალს?

„უი, ჩემს დღეს! ეს როგორ გამიბედა? იქნებ მართლაც მიცემული აქვთ ერთმანეთისათვის სიტყვა და მე მიმალავენ!?" — გაიფიქრა ვარდომ, გულზე შემოეყარა, ძუ ვეფხვის თვალები შეანათა კორნელის წამიერად, მაგრამ უმალვე თავი დაიჭირა და შორიდან დაიწყო:

— კორნელი, ისევ გიმეორებთ: მე თუ შეგეკითხეთ თქვენი და ნინოს დამოკიდებულების გამო, ეს იმიტომ, რომ დედა ვარ და ყველაფერი უნდა ვიცოდე.

„მაგრამ შვილის ბედიღბალით არ უნდა ივაჭროთ", — გაიფიქრა კორნელიმ და უკმეხად შენიშნა:

— თქვენ მართალს არ ლაპარაკობთ.

— კორნელი, როგორ გეკადრებათ ეს?

— მაპატიეთ, ქალბატონო. მე მეგონა თქვენ სულ სხვას ფიქრობდით.

— მაინც?

— იქნებ სასიძო ჰყავთ მეთქი მოძებნილი.

„უი, ჩემს დღეს! ამ იმერლებს განა რამეს გამოაპარებ?" — გაიფიქრა ვარდომ და პასუხი მიკიბ-მოკიბა:

— მაგას რასა ბრძანებთ? რა დროს ნინოს გათხოვებაა? ნინო ჯერ ბავშვია, ჯერ უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაამთავროს, ცხოვრება ნახოს, გაიგოს და მერმე ქმარშვილს მოეკიდოს. ქურთის ქალი ხომ არ არის, ცამეტი წლისა რომ გავათხოვოთ? განა მე კარგი ჩავიდინე, ჩვიდმეტი წლისამ რომ გავთხოვდი! — ორი წელი დაიკლო ვარდომ, ცბიერად გაიღიმა და გვერდზე ჩამწკრივებული ოქროს კბილები გამოუჩნდა. ვარდო შენახული ქალი იყო. ოცდახუთმეტ წელზე მეტს არ მისცემდა კაცი. ტუჩებსა და თვალებთან თუ შეამჩნევდით, დრო-ჟამით გაბზარულ სახის კანზე, ვიწრო ნაოჭებს!

— არც თქვენ გირჩევთ, კორნელი, უნივერსიტეტის დამთავრებამდე ცოლშვილის მოკიდებას. — განაგრძო ვარდომ, — ეხლა ისეთი უკეთესი დროება დადგა, რომ კაცი კაცს ველარ დაეხმარება. ყველამ საკუთარ თავს უნდა ძიჰხედოს. ძმის იმედით ოჯახს ვინ მოჰკიდებია? ან დედა თქვენს ტერეზას, რაღა შერჩა, რომ იმ ქვრივი და მარტოხელა ქალის იმედით ფართო ლოგინი გაშალოთ?!

— ეს მართალია, ქალბატონო ვარდო, მაგრამ გარწმუნებთ: ცოლშვილზე ჯერ არ მიფიქრია. ჯერ მეც უმაღლეს სასწავლებელს დავამთავრებ, ფეხზე დავდგები და მერმე ვნახოთ. — მიუგო დამცინავის ღიმილით კორნელიმ, რადგან წინასწარ იცოდა თუ როგორ ასიამოვნებდა ასეთი პასუხით ნინოს ბედიღბალით შეშფოთებულსა და წარჩინებული სიძის მაძიებელ დედას.

— ყოჩაღ. თქვენ სწორი გეზი აგიღიათ! — მოუწონა ვარდომ და დასძინა: — უთქვენოდ აქ უნივერსიტეტი დაარსდა. შეიტანეთ თუ არა თქვენ განცხადება?

— ჯერ არ შემიტანია.

— აკი დაგვიანებულია!

— ეხლა შევიტან. ალბათ მიმიღებენ.

— ჯერ მხოლოდ სამი ფაკულტეტია გახსნილი: სიბრძნის მეტყველების, სიტყვიერებისა და სამკურნალო. თქვენ რომელზე აპირებთ შესვლას?

— სამკურნალოზე.

— მამისა და ძმის კვალს გინდათ გაჰყვეთ? — გაუღიმა ვარდომ.

კორნელის ესიამოვნა, ვარდო რომ ასეთ ცნობისმოყვარეობას იჩენდა მისი ძმავლის მიმართ. „ეს კარგი ნიშანია. იქნებ ნინოსათვის დაწუნებული არა ვარო", — გაიფიქრა, მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ვარდომ საუბარი, მოულოდნელად, სულ სხვა გზით წარმართა:

— ეხლა დეიდა თქვენი ელენეც თბილისშია და არა გიშავთ. ხელს შეგიწყობთ. აკი გითხარით კიდეც, შესანიშნავი ბინა მისცეს მეთქი. ერთი ოთახი კორნელის უნდა დავუთმო, ჩემთან იცხოვრებს და მივხედავო, თითონვე მითხრა. როგორ გაეხარდება, წარმომიდგენია, ეს ამბავი ქალბატონ ტერეზას?!

ქალბატონ ტერეზას რა მოგახსენოთ, ხოლო კორნელის კი არ გაეხარდა. პირიქით — ეკალივით მოხვდა გულზე ვარდოს ნათქვამი:

— ქალბატონო ვარდო, თუ თქვენ არ გაწუხებთ, მე მაინც აქ მირჩევნია ცხოვრება.

— თქვენ რითი უნდა შეგვაწუხოთ! აბა, რასა ბრძანებთ, მაგრამ რა ანგარიშია? ელენეს მიერ თქვენთვის მიჩნეული ოთახი ამაზე ორჯერ მეტია, — მიუგო ვარდომ და ღარიბულად მოწყობილ, კორნელის პატარა სტუდენტურ ოთახს მუშტრის თვალი შემოავლო. — რა შედარებაა! იქ გირჩევნიათ ცხოვრება. აბა, რა სათქმელია?! — დაამღერა თელავურ კილოზე ვარდომ.

კორნელის ეწყინა და მოუფიქრებლად წამოცდა:

— ამაზე ოთხჯერაც მეტი რომ იყოს, მე მაინც აქ მირჩევნია.

„შენ კი გირჩევნია, შენმა გაზრდამ, მაგრამ ჩვენ აღარ გვკითხავ, გვირჩევნია თუ არაო", — გაიფიქრა ვარდომ. წარბები შეჰყარა და შუბლზე მრისხანებით სავსე კოპები დააჯდა. მაგრამ მალე გაეხსნა შუბლი. ვარდისფერი და ძსუქანი ქვედა ტუჩი მუდარით წინ წაჰმოზიდა და კორნელის გულითადის ხმით მიჰმართა:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვეჭირვება ჩვენ ეხლა ეს ოთახი. გარდა იმისა, რომ დიდედა ჩვენი, ქალბატონი ივლიტე ამ ზამთარ ჩვენსა იქნება, კიდევ ერთი გარემოება გვაიძულებს მე და ესტატეს გთხოვოთ თქვენ, დაგვითმოთ ეს ოთახი! — აღარ მოერიდა ვარდო.

კორნელი მოხარშულ კიბოსავით გაწითლდა. მერმე თანდათან დაცხრა და გაიფიქრა: „ჩემი თავიდან მოშორება გადაუწყვეტიათო". სასოწარკვეთილ ჭაბუკს სახსრები მოეშალა, ძალა გამოელია და ციმა ოფლმა დაასხა. თითქო საყვარელი არსება გარდაეცვალა და განშორების ჟამს უცნაური ხმა ჩასძახის: „შვიდობით, შვიდობითო.

ვარდო ამაოდ ელოდა პასუხს. კორნელი დამბლადაცემულივით იჯდა და სდუმდა. ვარდომ ტუტუცობად მიიჩნია ეს დუმილი. გაბრაზდა, მაგრამ ისევ დაიჭირა თავი — ისევ დიპლომატია არჩია:

— თქვენ ალბათ არ გაგიგიათ სამწუხარო ამბავი! ერთი თვეა, რაც ელო ქმარს გაეყარა. აი, იმ თქვენ ლოთ მეგობარს — ვანო მაჭავარიანს.

— რასა ბრძანებთ! — გამოერკვა ფიქრში წასული კორნელი.

— დიახ, ელოს, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს მეტი არავინ არა ყავს თბილისში. ჩვენა ვართ მისი პატრონი. ელო უცნაური ადამიანია. ჩვენ ორიც კი შეგვატყობინა თავისი უბედურება. ხან ერთთან და ხანაც მეორე ძმისწულთან ათევს თურმე ღამეს, საცოდავი. პიანინო, საწოლი, ხალიჩები, სავარძლები და სხვა ნივთები კი იმ გარეწარი ქმრის ბინაზე დაუტოვნია. ხომ იცით, ელო ესტატეს ძმისწულია და ასე უპატრონოდ, აბა, როგორ დავტოვებთ. მეშინია, ნერვები ისედაც მოშლილი ჰქონდა უბედურს და, ვინ იცის, რა გუნებაზეა ეხლა. ცუდი რამე არ გააკეთოს. — ვარდოს თვალზე ცრემლი მოადგა.

ვინ იცის, რისთვის მოადგა ეგ ცრემლი—ელოს უბედურებისა, ნინოს ბედიღბალისა თუ ამ პატარა ოთახის დაბრუნების გამო. რაც უნდა იყოს, ამ ცრემლს კორნელის თანაგრძნობა არ გამოუწვევია. კორნელის თავისი დარდი აწუხებდა, მაგრამ ბოლოს ხომ უნდა გამოეთქვა რამე ამ უბედური შემთხვევის გამო?

— მე არ ვიცოდი, ელო თუ ვანოს გაეყარა. ნუთუ ვანოს ლოთობის გამო მოხდა ეგ?

ვარდო შეწუხდა, რადგან კორნელი ოთახის დათმობაზე პასუხის გაცემას გაურბოდა და უკმეხად მიუგო:

— ლოთობისა, ოხრობისა და გარყვნილების გამო, ღმერთი შეაჩვენებს მას. ელო მეცოდება, თორემ ის წყალსაც წაუღია, ჯანდაბის იქით გზა ჰქონია, რას დავეძებ!

კორნელი გაოცდა. არასოდეს არ უნახავს ვარდო ასე გაბრაზებული. ვარდომ განაგრძო:

— ელოს იღბალი არა ჰქონია, მაგრამ რა? თავის თავს დააბრალოს: ერთის ნახვით შეიყვარა და ისე ჩამოეკიდა კისერზე იმ უმსგავსს და უსაქმურ მხატვარს. ნეტავ ნიჭი მაინც ჰქონდეს. მისი სურათები დაბმულ ქაღალდს ააწყვეტინებს. — ისევ სწყევლიდა ვარდო და ქოქოლას აყრიდა თავზე ვანოს.

კორნელის კი იმ მხატვარის დარდი არა ჰქონდა და ისევ თავისი ბედი აწუხებდა:

„იქნებ ნინოსიც გეშინიათ — კისერზე არ ჩამომეკიდოსო", — ფიქრობდა. მაგრამ ფიქრისათვის დრო აღარ დარჩა, ვარდომ ღარ მოითმინა და პირდაპირ დაუსვა კითხვა:

— კორნელი, აი, თქვენ რომ შეხვიდოდეთ ჩვენს მდგომარეობაში და ამ ოთახს დაგვითმობდეთ, მაშინ ელოსაც ეშველება და მეგობართა კარდაკარ აღარ ივლის. ეხლა სჭირია, იმ უბედურს, ყურადღება და ჩვენი თანაგრძნობა. თქვენ კი რა დაგიშავდებათ: დეიდასთან იცხოვრებთ, ამაზე ბევრად უკეთეს ოთახში. კორნელი, შეგიძლიათ თუ არა თქვენ დაგვითმოთ ეს ოთახი?

„ძალაზე ხომ არ არის", — გაიფიქრა ბოლოს კორნელიმ და მყისვე მიუგო:

— რახან ასეთი გამოუვალი მდგომარეობა ყოფილა, რა გაეწყობა, მე თანახმა ვარ.

თითქო ამ სიტყვებს გულღვიძლიც ამოატანაო კორნელიმ და ბრაზისგან გაიგუდა, მაგრამ გამარჯვების გამო გახარებულ ვარდოს ეს არ შეუნიშნავს.

— გმადლობთ, კორნელი. — დაიძახა მან და ოთახს ისევ მუშტრის თვალი შემოავლო, თითქო წინასწარ, გონების თვალით ზომავს, სად რომელი ავეჯი და ნივთი უნდა დაიდგას და მოთავსდესო. სრულიადაც არ შედიოდა იმის გა-

გებაში, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა ამჟამად მისი ქალის მიჯნურის გულ'მი; თუ როგორ დაჰკოდა და შეურაცხყო ცხოვრებაში ათასგზის გამოცდილმა და ცბიერმა ქალმა ჯერ კიდევ გულუბრყვილო ჭაბუკი.

ბოლოს გლოვით მოკლული და თავჩაღუნული კორნელი [illegible] მიხვდა და ანუგეშა:

— მართალია, კორნელი, ჩვენ ერთმანეთს შევეჩვიეთ და ეხლა, ალბათ, გეძნელებათ ჩვენი განშორება, მაგრამ სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვქონდა. ერთმანეთს სამუდამოდ ხომ არ ვშორდებით? თქვენ თბილისში იქნებით და ჩვენსა ივლით. მაშ, როგორ მოვქცეულიყავით! ელოს ქუჩაში ხომ ვერ დავტოვებდით?

— რაღა თქმა უნდა... — მიუგო კორნელიმ, მაგრამ მისი გული სხვას ფიქრობდა: „თავიდან მომიშორეთ და ეხლა ნუგეშისცემა ზედმეტია. პირდაპირ გეთქვათ ეს, არა სჯობდა?! შორიდან რად იწყებდით? ესტატემ არა თქვა თქვენზე — ვარდო დიპლომატია და არ გაჯობოთო? ასეც მოხდა. თქვენ მაჯობეთ და ეხლა რა გაეწყობა? იზეიმეთ თქვენი გამარჯვება! მე თაყვანსა გცემდით, გაფასებდით, თქვენ კი ბოროტი და ცბიერი ქალი ყოფილხართ. ფეხქვეშ გათელეთ ჩემი გრძნობა და თავმოყვარეობა". — ასე ფიქრობდა კორნელი, მერმე მთვრალივით, რაღაც ბოროტად შეხედა ვარდოს და ვარდო საშინლად შეკრთა. კორნელის შერცხვა. ნაძალადევად გაუღიმა და უთხრა:

— მაშ, ასე, ქალბატონო ვარდო, ეს საქმე მოგვარდა.

— დიდად გმადლობთ, კორნელი. — მიუგო ვარდომ და ფეხზე წამოდგა. კორნელიც წამოიჭრა და შეეკითხა:

— ნინო ძალიან შეწუხდებოდა, ალბათ, ელოს უბედურებით?

— ისედაც მოშლილი ჰქონდა ნერვები და ეხლა სულ სტირის.

— შეიძლება ვნახო?

— ნინო შინ არ არის, კორნელი. დიდედამ წაიყვანა თავის დასთან.

„გაჰხიზნეთ!" — გაიფიქრა კორნელიმ.

## ამხანაგები

„ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ...
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი"...

ი. ჭავჭავაძე: „გუთნის დედა".

კორნელი ბორჯომის ქუჩაზე ერთსართულიან პატარა სახლის წინა კარებში შევიდა. ბნელი დერეფანი გაიარა და ვანო მაჭავარიანის ბინის კარებზე დააკაკუნა.

ხმა არავინ გასცა.

კორნელი ეზოში შევიდა და ეხლა აქედან დააკაკუნა ვანოს ოთახის ფანჯარაზე.

ფანჯარასთან ტახტი იდგა. ზედ ვანო იწვა და, კაკუნი რომ შემოესმა, დაფეთებული წამოიჭრა, ფანჯარას მოაწყდა, კორნელი იცნო და დაუძახა:

— კორნელი, შენა ხარ! შემოდი. საიდან-სადაო?

კორნელიმ აივანზე გამოსასვლელი, მინაჩასმული კარები შეაღო და ბნელ ოთახში შევიდა. ვანო გადაეხვია და მეგობარი გადაჰკოცნა.

ვანო ტანადი, ახოვანი ვაჟკაცი იყო. ოცდახუთი — ოცდაექვსი წლისა თუ

იქნებოდა. შავი ხავერდის ხალათი ეცვა და ჰალსტუკი გვერდზე მოქცეოდა. დაკვარკნილი, ღია წაბლისფერი თმა ასჩეჩოდა, ხოლო ნამძინარები თვალების უპეები დაჰსივებოდა.

— რა დროს ძილია! ალბათ, ისევ ნაღვინები იქნები!? — ეუბნებოდა ... კორნელიმ. — ვინ გაიგონა დაუსრულებელი ლოთობა, შე ოჯახქორო?

— არა, ნასადილევს დავწევი და ჩამძინებია. — მიუგო ვანომ.

მაღალ შუბლზე ხელი გადაისვა და თმა გაისწორა. რუსივით აწეულ ცხვირზე პენსნე გაიკეთა, ელექტრონის ლამპა აანთო, წყლისფერი თვალები კორნელის შეანათა და გაიცინა. სქელი ბაგეები გაეხსნა, ცხენსავით გრძელი კბილები გამოუჩნდა.

„ძალიან არ გლოვობს ელოსთან გაშორებას, ეს ვაჟბატონი!“ — გაიფიქრა კორნელიმ.

ელომ ქართლში, მეგობარი ქალის ქორწილში, გაიცნო ვანო. ვანოს მამა ქართლელი იყო, ხოლო დედა კი — რუსი. ამიტომ ვანო რუსსა ჰგავდა. ქართული, სათავადაზნაურო გიმნაზია ჰქონდა თბილისში დამთავრებული. მერმე სამხატვრო აკადემიაში და კონსერვატორიაში სწავლობდა.

ჩინებული ხმა, სწორი რუსული და ევროპული იერი თვალში ეცა ელოს და მოიხიბლა. ნაცრისფერ კოსტუმში გამოწყობილი, ფერადი ჰალსტუკით მოკაზმული და თმადაკვარკნილი მხატვარი მაშინვე მოეწონა ელოს და, ხანმოკლე რომანის შემდეგ, ცოლად გაჰყვა. ქორწილში, ქეიფის ბოლოს, უზარმაზარი ყანწი რომ დასცალა და ყველა დაათრო ვანომ, ეს როდი ეუცხოვა ელოს. შემდეგ კი, სწორედ ეს ქეიფი და უზომოდ ღვინის სმა გახდა ცოლქმართა უთანხმოების საბაბი.

— რა კარგია, რომ მინახულე. სხვა, რა ამბავია ქუთაისში? — ჰკითხა კორნელის ვანომ.

— ქუთაისში კარგი ამბავია, მაგრამ თბილისში კი — ცუდი დამიხვდა. — ამრეზით მიუგო კორნელიმ.

— რა ცუდი ამბავი? — გაუკვირდა ვანოს.

— კაცო, რა ღმერთი გაგიწყრათ შენ და ელოს? რად გაეყარეთ ერთმანეთს? ოავი დაიღუპეთ და მეც უბედურებას შემყარეთ.

— შენ რა შუაში ხარ?

— იმ შუაში ვარ, რომ ვარდომ და ესტატემ იმ ჩემს ოთახიდან დეიდასთან გადასვლა მაიძულეს. თქვენი ოთახი ელოს დაუთმეთ, ქმარს გაეყარა და უბინაოდ არისო. — მიუგო კორნელიმ. ქუდი მოიხადა და მაგიდასთან ულონოდ დაჯდა.

ვანო ცნობისმოყვარეობამ წაიღო და დაწვრილებით გამოჰკითხა კორნელის ყოველივე. კორნელიმ ვარდოს სამდურავი უამბო.

— რა უყო, კაცო, რა წყალს მივსცე თავი, არ ვიცი! ელოსთან ცხოვრება შეუძლებელია! — სწუხდა ვანო.

— შენი ბრალი იქნება. განა არ ვიცი, რაც ვაჟბატონი ბრძანდები! პირველად, ალბათ, მამა აბრაამის ბატკანივით დაუტკბი და მერმე კი შენებურად აურიე და დაამლაშე. ვაი, შენს პატრონს, რა ქალი გაგეჭცა! — არ დაინდო მეგობარი კორნელიმ.

ვანომ ტუჩზე ხელი მიაფარა და გააფრთხილა:

— ჩუმად ილაპარაკე, მეზობლები გაიგონებენ!

ვანოს ოთახის გვერდით სომხები ცხოვრობდნენ—წყნარი და წესიერი ცოლ-ქმარი. მათ თავის ბინიდან გასასვლელი ვანოს ოთახზე ჰქონდათ. „ეს ოთახი კი არა, დერეფანი არისო“, — ცხარობდა ელო და ესეც ათასგვარი უსიამოვნების საბაბად იქცა და ვანომ იმდენი ფული ვერ იშოვნა, რომ ეს ბინრბლეებისათვის აივანზე ცალკე გასასვლელი კარები კედელში გამოეჭრა.

— რაღა ჩუმად ვილაპარაკო, შვილო, ეხლა ხომ ყველაფერი გათავდა. რას დაეძებ მეზობლებს?! — მიუგო კორნელიმ, მაგრამ ვანო იმედს არ ჰკარგავდა:

— ვინ იცის! ელო, განა, პირველად მეყრება? კვირაში შვიდი პარასკევი აქვს.

— ღმერთმა ჰქნას. იმედიც კარგი საქონელია! რამ გამოიწვია მაინც ელოს წასვლა? აკი, გითხარი, შე ვერანავ შენა, გადაამლაშებდი მეთქი!

— არა, ჩემმა მზემ! რა რო ჯვარი დავიწერეთ, ლოთობა და ქეიფი სულ მივატოვე. ამ ორი წლის განმავლობაში წელიწადნახევარი ხმას არა მცემდა. მემდუროდა.

— ვითომ რათაო?

— ელო ფაქიზი, მორცხვი და აზიზი ქალია. ამაზე არა ღირს ლაპარაკი.

„ეტყობა, ეხლაც უყვარს ელო, რომ ამ აღვირახსნილმა კაცმა, ელოსთან ცხოვრების ინტიმური მხარეების გამქღავნებისგან თავი შეიკავა“. — გაიფიქრა კორნელიმ.

— ნაღვინები, ან გვიან თუ მოვიდოდი, მაშინ ხომ ახლოსაც ვერ გავეკარებოდი. ფეხაკრეფით უნდა მევლო ოთახში. ჩუმად გავშლიდი ამ ტახტზე ლოგინს და უხმოდ დავიძინებდი. ჩახველებისაც კი მეშინოდა. ეს ოხერი, ღვინის შემდეგ ხვრინი ვიცი და ელო ტუფლს აიღებდა და ჩემკენ გამოაქანებდა. კარგია, თუ ამაცდენდა, თორემ ხანდახან პირდაპირ სახეში მომახვედრებდა და იყვირებდა: „ნუ ხვრინავ, შე ღოროო!“ — სიცილი წასცდა ვანოს, ცხენსავით გრძელი კბილები გამოუჩნდა. ზედ ხელი აიფარა და ჩაიხვიხვინა.

— ჰერი-ჰა! ეგ როგორი ცოლი ყოფილა?! — გაუკვირდა კორნელის. ამ თანაგრძნობით წაქეზებულმა ვანომ ეხლა კაეშნიანის სახე მიიღო და კორნელის გული გაუშალა:

— ჩემს ტანჯვას კარგი მწერალიც ვერ ასწერს. — ამოიოხრა მან.

წამოდგა. ჯიბეში ხელები ჩაიდო და ოთახში სიარული დაიწყო. სიცივის გამო მხრები ასჩეჩოდა. ოთახში საკეცი თეჯირი იდგა. თეჯირის იქით—კოხტად მორთული რკინის საწოლი. როდესაც ვანო თეჯირს მიუახლოვდებოდა, მაშინვე შეჩერდებოდა და ცარიელ საწოლს კაეშნით გადახედავდა. სიცივეს და სიცალიერეს იგრძნობდა და, ალბათ, ფიქრობდა: „ვაი, რა ქალი დავკარგეო!“

თეჯირის და საწოლის გარდა ოთახში პიანინოც იდგა. ფანჯარასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, — ფარდაგდაფენილი ტახტი, ერთი სავარძელი, სკამები. ტახტის წინ კი — სუფრა და კუთხეში — კარადა. იქვე — პატარა საწერ ძაგიდაზე წიგნები ეწყო ხელოვნებასა და მხატვრობაზე, სურათების რეპროდუქციები, ალბომები და ფუტურისტული ჟურნალი. კედელზე ვანოს სურათები ეკიდა — მყვირალა საღებავებით დახატული, წელამდე შიშველი ქალი, რომელსაც ვნებააშლილი სახე, ხორციელი ბაგეები და შიშველი ძუძუები ჰქონდა, გადამთვრალი თვალები ენისლებოდა და უტიფრად იღიმებოდა. თეჯირის ახლოს, პიკასოს მიბაძვით დახატული, კუბისტური სურათი დაინახა კორნე-

ლიმ — ერთმანეთში არეული, უცნაური და გაუგებარი საგნები: ჭიანური, სიმები, უზარმაზარი ყური, თვალი, თვალიდან გამოსროლილი სხივები, ნოტები და სხვა. იქვე — ფანტასტური ყვავილები, ვარდები და დეკორატიული ხეები. დეკორატიული ხეები, ნიამორები და შვლები ყველაზე უფრო მოსწონდა კორნელის ვანოს ნახატებში. განსაკუთრებით კი — წმინდა ნინოს პორტრეტი, ირახული მინიატურის მსგავსი და ჯვარი ვაზისა. ვანოს ფერწერა აქ, კორნელის აზრით, ეჭვმიუტანელ ტალანტს ამჟღავნებდა. ვანო თეატრის დეკორატორიც იყო და ზოგიერთი დადგმების გაფორმება ალბომში ჰქონდა ჩაწყობილი.

კორნელი მანამდეც ყოფილა ამ ოთახში, როცა ელო ვანოსთან ცხოვრობდა. ელო ოცდასამი წლის ქალი იქნებოდა, ნინოს ჰგავდა. განსაკუთრებით — თვალწარბით, მაგრამ ნინოზე მაღალი და გამხდარი იყო. ნინოზე უფრო გრძელი, ფერმკრთალი სახე და კაეშნიანი თვალები ჰქონდა. იშვიათად თუ ნახავდით გაცინებულს, თუმცა მის ლამაზ ტუჩკბილს ძლიერ შვენოდა ღიმილი. სწორედ ელოს მწუხარე სახე და კაეშნიანი თვალები გამოიყენა ვანომ წმინდა ნინოს პორტრეტში — მინიატურაში.

კორნელიმ წასვლა დააპირა. ვანო ისევ მკლავში სწვდა, პალტო გაჰხადა და სკამზე დააჯინა.

— დაიცა, სად მიგეჩქარება!? — უთხრა ვანომ. კარადისაკენ გაიხედა და თვალები აუციმციმდნენ: — ბიჭო, მგონი ღვინო უნდა მქონდეს.

წამოდგა. კარადისაკენ ქურდივით მოღუნული, ცერად წავიდა. ელოს წინაშე მორიდებულს, ფეხის წვერებზე ფრთხილი და უჩუმარი სიარული ბოლომდე შერჩა. კარადაში სამი ბოთლი ღვინო აღმოაჩინა და აღტაცებით ჩაიხვიხვინა:

— სამი ბოთლი ღვინო მქონია! დაიცა, აი, ძეხვი და ვეტჩინა. — უცნაურად გაუწვრილა ხმას ამოდენა კაცმა.

დასხდნენ. დიდი ჭიქებით დაიწყეს სმა და ორი ბოთლი ღვინო უმალვე დასცალეს.

ღვინომ სევდა ვერ განუქარვა კორნელის, პირიქით — ვარდოსთან საუბარი აგონდებოდა და ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— ვატყობ, მაყაშვილები თავიდან მიშორებენ. ალბათ სასიძო ჰოსძებნეს, პლატონ მოგველაძე უნდა იყოს.

— ნინო რას ამბობს?

— ნინო გაჰხიზნეს, ჯერ ვერა ვნახე სალაპარაკოდ.

— ნინო თუ ცოლობაზე დაგთანხმდა და დღესაც უყვარხარ, მშობლები მიზანს ვერ მიაღწევენ.

— ყოველივე მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის იყო, მე არა მგონია ნინომ ასე უმიზეზოდ ამოიღოს გულიდან ჩემდამი გრძნობა. — მიუგო კორნელიმ.

ელოსგან უარყოფილ ვანოს ასეთმა პასუხმა გული დასწყვიტა, რადგან უნდოდა მისივე ბედი სწვეოდა კორნელისაც და ანუგეშა:

— ნუ დარდობ, ბიჭო! მერწმუნე, ნინოს ხელში შენც ჩემსავით უბედური იქნებოდი.

— შენ გიყვარდა ელო და ცოლადაც შეირთე. მერმე ერთმანეთს ვერ შეეგუეთ და განშორდით, ეგ სხვა ამბავია! — მიუგო ვანოს სასოწარკვეთილმა ბეგობარმა.

— კორნელი, ნინოსთან ხომ არ გიცხოვრია?

— ეგ რა შენი საქმეა!

— მინდა ვიცოდე, რადგან, თუ არ გიცხოვრია და ისე განშორდი, ხოლო ნინოსადმი სიყვარული ეხლაც გულში ჩაგრჩა, მაშინ ეს კაეშანი, კაეშანი, ბოლომდე მიულწეველ სიყვარულის გამო გამოწვეული, სიკვდილამდე არ მოგშორდება. — ცეცხლს უკიდებდა ვანო ისედაც გულდამწვარ ამხანაგს.

— ეს მართალი უნდა იყოს. — წამოცდა კორნელის, მერმე შერცხვა და დასძინა: — სიყვარულის დროს ადამიანი მასეთ რამეზე არ ფიქრობს.

— მე კი სულ ეგ მახსოვს და მაგაზე ვფიქრობ. — დარწმუნებით განაცხადა ვანომ.

— იმიტომ, რომ შენ ქალში მხოლოდ სქესსა სჭვრეტ.

— შენ კი სულს? — დასცინა ვანომ. — თავი გამანებე, ეგ სულ თავის მოტყუილებაა... ილუზიაა! იცი, რას ამბობს ამის შესახებ შოპენჰაუერი?

— ვიცი. მაგრამ მე მაინც მომწონს ჭეშმარიტი სიყვარული, სილამაზისაკენ, მაღალზნეობისაკენ სწრაფვა. ამით განსხვავდება ადამიანი ცხოველისგან. „ცისგან ითხოვს იგი უმშვენიერეს ვარსკვლავებს, ხოლო დედამიწისგან — მაზე არსებულ ყველაზე დიდ სიტკბოებას და სიამოვნებასო“, ამბობს გოეთე მეფისტოფელის პირით ფაუსტის შესახებ.

— მერმე ხომ გახსოვს, როგორ სასტიკად დასცინის გოეთე, იმავ მეფისტოფელის სახით, ჭაბუკი ფაუსტის ილუზიებს! მოხუცი ფაუსტი, გაჭაბუკების შემდეგ, თავის შეცდომებს ამა ქვეყნად ისევ მიჯნურობის ცდუნებით იწყებს. მშვენიერი ტყუილი მას ახალგაზრდა ქალის — მარგარიტას სახით აღემართა. — შენიშნა ვანომ.

— ბედნიერიც იქნებოდა, რომ მეფისტოფელს არ დაემსხვრია მისი ილუზია, ილუზია კი არა — რეალობა! მართალია, მარგარიტას ანგელოსის მსგავსი სახე, სათნოება და ზნეობა ჰქონდა, მაგრამ იგი მიწიერი სიყვარულისა და ქმარშვილისათვის გაჩენილი ქალი იყო, — მიუგო კორნელიმ.

ვანომ მაცდურად გაიღიმა და დაიწყო:

— ჭაბუკი მანამდე არ შეირთავს ასულს, სანამ არ დარწმუნდება, რომ მისი სატრფო ანგელოსია. ასულიც არ მითხოვდება ჭაბუკს მანამდე, სანამ არ დარწმუნდება, რომ მისი სატრფო გმირია. ამ ილუზიით მოჯადოებული ქალი თავის მიჯნურთან დაქორწინებას იჩქარის.

— სწორედ ეგ ილუზია გაუცრუე შენ ელოს და გული გაუტეხე. — გაეხუმრა მეგობარს კორნელი.

ვანოს არ სწყენია და განაგრძო:

— ქალს, თუ იგი საღი და ჯანმრთელია, დაქორწინების შემდეგ, მიჯნურობის ილუზიის გაცრუებით, გული არ გაუტყდება. დარდი ნუ გაქვს! იგი ადრე გაიგებს, რომ ერთი რეალური მამაკაცი, ყველა თავისი ნაკლით, უდრის ყველა იმ გმირებს, რომლებიც ოდესმე ქალის წარმოდგენაში ყოფილან. ასევეა მამაკაციც; ქორწინების შემდეგ, გულის გატეხის ნაცვლად, ისიც ადრევე რწმუნდება, რომ ერთი ჯანმრთელი, რეალური დედაკაცი, ყველა თავისი სუსტი მხარეებით, თორმეტ ანგელოსს სჯობია. ასე რომ არ იყოს და, ილუზიის გაცრუების შემდეგ, ცოლქმარნი გულგატეხილი რჩებოდნენ, მაშინ ახალი თაობების წარმოშობა შეწყდებოდა.

— ილუზია ხშირად უფრო წარმტაცია, ვიდრე რეალობა. — ურჩობდა კორნელი და თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად ცნობილი მაგალითი მოი-

ყვანა: — პეტრარკას რომ თავისი ლაურა ეპოვნა, მიულწეველი მიჯნურობის გამო გამოწვეული ტანჯვა და კაეშანი განექარვებინა, — მაშინ, [illegible] სების თქმასაც ვერ შესძლებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— და იგი დადუმდებოდა და მიატოვებდა გალობას, როგორც ჩიტები კვერცხის დადების შემდეგ, — დამცინავის ღიმილით დაუმატა ვანომ.

— შენ ყველაფერს ამასხრებ.

— მე კი არა, შოპენჰაუერი.

— შენცა და ისიც.

— კაცო, — გაუკვირდა ვანოს; — შენ ხომ რომეო არა ხარ, ჯულიეტა რომ პირველად იხილა და აღტაცებით აღმოხდა: „დაიფიცეთ, თვალებო, რომ თქვენ ჭეშმარიტი სილამაზე დღემდე არ გიხილავთო!“ ან ნინო ჯულიეტა ხომ არ არის, შენს შესახებ რომ ეთქვა: „თუ მისი გული სხვას ეკუთვნის, ჩემი საქორწინო სარეცელი საფლავი იქნებაო?“ დაუკვირდი, როგორ სასაცილო მდგომარეობაში ვარდება ადამიანი მიჯნურობის ილუზიის გამო.

კორნელიმ რომეო და ჯულიეტას მიჯნურობაში სასაცილო ვერაფერი დაინახა. პირიქით, შექსპირის გენიისადმი ღაღადისი იგრძნო, ნინოსთან პირველი შეხვედრა მოაგონდა, და, თუმც იცოდა — ვანო გულგატეხილი, დამცინავი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცი იყო, მაინც განუცხადა:

— აი, ასეთი მიჯნურობა, აღტაცება და მაღალზნეობისაკენ სწრაფვა ამშვენიერებს ჩვენს ცხოვრებას, თორემ ადამიანში რომ ნადირი, ცხოველი და მარტო სქესობრივი აღტკინება ეძიო, ეს რა კაცობაა!?

— შენც მშვენიერი ტყუილის ტყვეობაში ყოფილხარ, ამხანაგო!

— დეე, ასე იყოს. მაგრამ ეს ტყუილი ხომ მშვენიერია. — მიუგო კორნელიმ და განაგრძო: — მე არასოდეს არ დამავიწყდება ნინოსთან პირველი შეხვედრა, — როდესაც მან თანაგრძნობა გამომიცხადა და ულონო ხელები მოშხვია. მე ეხლაც ჟრუანტელსა მგვრის ეს მოგონება. რა აღტაცება ვიგრძენი ძე იმ დღეს, შენ ვერ გაიგებ! რა ბედნიერი ვიყავი მაშინ! როგორ ავმაღლდი მე საკუთარ თვალში! დილით ოთახში შევედი და ფანჯარა გამოვაღე. განთიადი იწყებოდა. ცაში ნათელი ჩამდგარიყო. ცასა და ვარსკვლავებს გავხედე. განთიადის ვარსკვლავი უცნაურად ციმციმებდა და მე ეხლაც ზეპირად მახსოვს, როგორ მივმართე მას:

„ჰეი, შენ ვარსკვლავო, შუქურავ განთიადისა! შენი ციმციმი არის სანეტარო ჰანგეოსზე და შენი ნათება საიმედო მეზღვაურთათვის; არცა ღმერთებმა და არცა მომაკვდავმან მომცენ მე რაიმე, უტკბილესის შენის ციმციმის სანაცვლო, მაგრამ ხარ უბედური, რადგან უცხოა შენთვის გრძნობა მიჯნურისა!“

ვანო განცვიფრებული უსმენდა მიჯნურობის გრძნობით მთვრალ მეგობარს, რა დაემართაო? — ფიქრობდა და ბოლოს ვეღარ მოითმინა:

— კაცს თუ მიჯნურობის სენი შეეყარა, ვერც ერთი აქიმი ვერ განკურნავს მანამდე, სანამ იგი თავის სატრფოს საქორწინო სარეცელზე არ იხილავს.

— ეს მართალი უნდა იყოს, — წამოცდა ისევ კორნელის და განაგრძო: — იქნებ კარისმერეთში მიღწეული სიყვარული შეიქნა, მართლაც, მიზეზი იმისა, რომ წარიშალნენ ჩემს გულში ის პირვანდელი გრძნობა და აღტაცება და, მიჯნურთა სიშმაგის ნაცვლად, გაუგებარი სიმშვიდე და სიცალიერე მეწვია! მაგრამ რად შემეყარა თბილისში ისევ ის ძველი ტანჯვა და კაეშანი!

მიჯნურობის ასეთი გადაფასება, გონების თვალით მიჯნურობის ასეთი

აწონ-დაწონა და სინჯვა, ნათლად მოწმობდა კორნელის მერყეობას და, არ კი უწყიდა, რომ დღევანდელი მისი ტანჯვა და კაეშანი გამოწვეული იყო არა მიღწეული სიყვარულის, არამედ შებღალული თავმოყვარეობის და ეგოცენტრიტი გრძნობის უქონლობის გამო.

კორნელის უკანასკნელი სიტყვებისათვის ვანოს ყურადღება არ მიუქცევია და წამოიძახა:

— მოგილოცავ, მეგობარო, მიჯნურობის სენისგან განკურვნას! ეხლა ხომ გაიგე, რისთვის შეგეკითხე წელან: ნინოსთან თუ იცხოვრე მეთქი? შენ კი გეწყინა!

— კი არ მეწყინა.

— ავაშენა ღმერთმა! მითხარი — ჰო თუ არა!

— ასეთ რამეს მიჯნურზე არ ამბობენ!

— რისა გრცხვენია, მითხარი — განა არ ვიცი შენი ამბავი! — ჩააცივდა ვანო და უსიამოდ ჩაიხვიხვინა. კორნელი გაბრაზდა:

— სხვა რამეზე ილაპარაკე.

— რისა გრცხვენია? მე არავისთან არ წამომცდება. მაშ, მე გეტყვი: ელო...

— ეგ რა სათქმელია? — არ მოუწონა კორნელიმ.

— მერმე რა? ერთ თვეზე მეტს ხმას არ მცემდა. სულ სტირიოდა. სანაძლეოს ვდებ, — დაიძახა ვანომ, — ნინო ქორწინების შემდეგ გულგატეხილი არ დარჩება! თვალებზე და ოდნავ ულვაშიან, სქელ ბაგეებზე ვატყობ ნინოს, რომ იგი ვნებიანი და ნამდვილი ქალია!

— ვანო, ისევ გთხოვ, სხვა რამეზე ილაპარაკე.

— მაშ კარგი, ისევ ელოზე გეტყვი, — მიუგო ვანომ, — ელო უსქესოა. აი, ეგ ჩემი პორტრეტი კინალამ არ დახია, შენს წარმოდგენაში ქალი ასეთი გარყვნილი არისო, მიჯავრდებოდა.

— არც შემცდარა.

— ცდებოდა! მეძავი ქალი არ ვარგა, მაგრამ უსქესოც საშინელია. მე მიყვარს ქალი ჩვეულებრივი, ჯანსაღი და ადამიანური ვნებების მქონე.

— აბა, საიდან მოიტანე, ელო უსქესო არისო!

— კორნელი, მე აღსარებას გეუბნები და ყური მიგდე. — დაიწყო ვანომ. — ელო უსქესო და ავადმყოფი ქალია. სულ მასთან უნდა ვყოფილიყავ, კაბაზე მიკერებული. თვალში უნდა მეცქირნა და გამერთო. კინო-თეატრში და ნაცნობ-მეგობრებში მეტარნა.

— ყოველი ქალი ასეთია. მერმე რა არის აქ საკვირველი?

— დაიცა, კაცო, — მიუგო ვანომ. — მერმე ესეც ერთბაშად მობეზრდებოდა და უმიზეზოდ ამიხირდებოდა. არა. ელო ავადმყოფი ქალია. ცხოვრებაზე, ადამიანზე და ზნეობაზე დრომოჭმული, ბავშვური და გულუბრყვილო წარმოდგენა აქვს. იგი დღესაც ილუზიის ტყვეობაშია. ისეთი რამ გააბრაზებდა, რაც ყურადღების ღირსი არ იყო. იჭვიანობდა. ნერვიულობა მამისგან დასჩემდა. მამა, ხომ იცი, გაგიჟებულა ოდესღაც და ფსიქიატრულ საავადმყოფოში მოუთავსებიათ. იგი წინათ ანარქისტი ყოფილა. ემიგრაციაში — შვეიცარიაში ცხოვრობდა, ელოსაც იქ ზრდიდა. მერმე საქართველოში ჩამოვიდა. მამაპაპისეული ადგილმამული გლეხებს დაურიგა. რწმენა შეიცვალა. თმა და წვერულვაში მღვდელივით მოუშვა, მორწმუნე გახდა: ქრისტეს მცნებათა მიმდევარი. — ჩაიხვიხვინა ვანომ და განაგრძო, — იგი ნასწავლ და წარჩინებულ

ცოლს გაეყარა და უბრალო გლეხის ქალი შეირთო. ახირებული კაცია ჩემი სიმამრი ქრისტეფორე და ელოც სწორედ მას დაუტანჯავს და უწამებია. ეხლა ხმას არა სცემენ ერთმანეთს. ქუჩაზე რომ დაინახავს ელო, გარბის! ეს ამბავი. უცნაური ალტაცება და მოწყენა მამისგან აქვს თანდაყოლილი. მოწყენის დროს თავის საშინელი ტკივილები სტანჯავდნენ. უმიზეზოდ შეიქნებოდა ხოლმე უგუნებოდ. აი, იმ ბალიშებში პირქვე ჩაემხობოდა და სტიროდა. ალაპმა უწყის: რატომ და რისთვის! მაშინ მთელი დღეები მოშხამული მჭონდა. ღვინოსაც იმიტომ დავეძალე. მერმე, შენ ხომ იცი, მე ქვიფი, მეგობრებთან ყოფნა მიყვარს, და რა უნდა მექნა?

— მართალი გითხრა, მე არ ვიცოდი ყოველივე ეს, — შეეცოდა კორნელის ვანო. ვანომ ალსარება განაგრძო:

— შენი ერიდებოდა და იმიტომ. ექიმებმა მირჩიეს — ელოს ბავშვი აყოლე და ნერვების მოშლა გაუვლისო. საქმე არა გაქვს! — ჩაიქნია უიმედოდ ხელი ვანომ: — ბავშვი არ გაიჩერა. ეხლა ეს მისი ორსულობა და მუცლის მოშლა იყო უდიდესი ტრაგედია.. ხომ გითხარი, უცნაური ქალია მეთქი.

— საკვირველია! მე როგორც მახსოვს, ელოს ძალიან უყვარდა ბავშვები. — შენიშნა კორნელიმ.

— მართალია, ბავშვები გაგიჟებით უყვარს, მაგრამ თვითონ არ ისურვა ბავშვის გაჩენა. — დაემოწმა ვანო.

კორნელის უნებურად წამოცდა:

— იქნებ, შენგან არა სურდა ჰყოლოდა!

— შესაძლებელია! — მიუგო ვანომ და ეკალივით მოხვდა გულზე კორნელის ნათქვამი. მაგიდაზე იდაყვი დასდო და ხელისგულს ყვრიმალით დაებჯინა.

კორნელიმ იგრძნო, რა ტკივილიც მიაყენა ამხანაგს და შეეცოდა:

— არა, ეგ რა შუაშია! შესაძლებელია სქესობრივი აქტი და მშობიარობა ეზიზღებოდეს. რა ვიცი. ამბობენ, ასეთი ქალებიც არიანო. აბა, ისე მე კარგად ვიცი — ელოს ბავშვები უყვარს. გახსოვს, — მოაგონა კორნელიმ, — ამ ოთახში რომ შევიკრიბებოდით შენ, ელო, ნინო და მე? ნინო შესანიშნავი იმიტატორია ბავშვთა ქცევისა და ლაპარაკისა. ბავშვურის არტიკულაციით და მიმიკით წაიკითხავდა ხოლმე ლექსს:

„მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფალები გოლასაო“. ელო სახეში შესცქეროდა და თავშეუკავებლად იცინოდა... არა, ელოს ბავშვები უყვარს. — დაუტკბა კორნელი.

მაგრამ ვანოს არ ავიწყდებოდა კორნელის სასტიკი განაჩენი: „იქნებ შენგან არა სურდა ჰყოლოდა ბავშვი“ და ბოროტად ჩაილაპარაკა:

— ელო და ნინო არც ისეთი ბავშვები და წმინდანებია, როგორც შენ წარმოგიდგენია! თავი გამანებე: სხვას არაფერს აპატიებენ, თვითონ კი აუტანელი არიან, ადამიანს შეურაცყოფას აყენებენ და სტანჯავენ. ელოს მამა ქრისტეფორე ცოლშვილს გაეყარა და თვრამეტი წლის სოფლის გოგო მოიყვანა, ხოლო როდესაც ელომ გაიგო, ნაცოლები ვიყავი და ბიძაშვილიშვილთან ვცხოვრობდი, მან სულ გააგიჟა...

კორნელის გულიანად გაეცინა:

— შე კაცო, ბიძაშვილიშვილთან თუ ცხოვრობდი, გაგიჟდებოდა, აბა, რა დაემართებოდა? აი, შენ კი მომიკვდი! — შესძახა კორნელიმ და ვანოს თავში ჩააფარა.

ვანოს არ გაუკვირია, ისე უპასუხა:

— დაიცა, კორნელი. დეე, შენც წამხდარი და გარყვნილი კაცი გეგონო.. რა გაეწყობა! მე წმინდანი, ასკეტი არა ვარ. მე ცოდვა-მადლის, განკითხვისა არ მეშინია. ღმერთი არა მწამს, მაგრამ არც ეშმაკისათვის შიმეკიდია სული. მე კეთილიც ვარ და ბოროტიც, კარგიცა და ავიც. მორჩა და გათავდა! მე, შენსავით, თავს არ ვიღორებ ილუზიითა. კარგა ხანია, რაც მას დავემშვიდობე. ჩემთვის ნაცნობი ჭირია — გულისგატეხა, უბედურება, ვაება და კაეშანი. ცხოვრებას, მეტნაკლებად, მეც ვიცნობ. მიყვარს ალკოგოლი და პროსტიტუტკა. თავს რად მაჩვენებ წმინდანად? ეგ შენ არ შეგფერის: მე შენი მიჯნური ხომ არა ვარ, პატიოსნებით და სიწმინდით რო მომაჯადოვო!?

კორნელის ეწყინა და მიუგო:

— მე თავს წმინდად არავის არ ვაჩვენებ, პირიქით! როდის იყო, რომ თავს ვაებზრებდი ვისმე ჩემის სიწმინდით, პატიოსნებით და უცოდველობით? მაგრამ არ შემიძლია არ შეგნიშნო ერთი რამ — „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში". არის პროსტიტუციაში ადამიანის დამლონებელი და შემაზრზენი მხარეები. ადამიანთა დამოკიდებულების უნიადაგობა, გულისგატეხა, სხეულის დამამცირებელი ალტკინება და ფულის ძალა. — კორნელიმ კედელზე როსკიპის სურათს შეხედა და დასძინა: — განა ეს ქალი საშინელი არ არის!

ვანოს აღგზნება დაეტყო. თვალები აუციმციმდნენ. სურათისკენ გაიშვირა ხელი და დაიწყო:

— მე მინდოდა გადმომეცა: როსკიპის დაუნდობლობა, ცხოვრებაზე დაკინვა და ცოცხალი ადამიანის მიმართ გულგრილობა. ამ ქალს თუ დასჭირდა, ადამიანის გვამზე გადაივლის და სისხლსაც არ მოერიდება! მისი საძაგელი, სქელი ბაგეები ფულზე არიგებს უვნებო კოცნას. მისი ბინძური სხეული ყოველ მამაკაცს შეუძლია წამიერად იყიდოს და სჯიჯგნოს. ყოველ მამაკაცს შეუძლია წამიერად იყიდოს ეს უცნობი ქალი და მერმე ვერასოდეს ვერ იხილოს იგი. ეს, მართლაც, გულისდამლონებელი და საშინელი რამ არის.

ვანომ გაცილებით უკვე გადასცა კორნელის თავისი სურათის შინაარსი, ვიდრე იგი სინამდვილეში იყო ხორცშესხმული. კორნელის მოეწონა ვანოს ნათქვამი და შენიშნა:

— როდესაც ყოველივე მაგას ჩაწვდები და შეიგნებ, საოცარი კაეშანი გეწვ

სიმღერის შემდეგ კორნელიმ ვანოს თვალზე ცრემლი შენიშნა. შეეცოდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ეხლა თეჯირს მიაჩერდა კორნელი. თეჯირის იქით ბალიშის საფარით და ნაზი ფარდებით მორთული და მოკაზმული საწოლი ადგა, ქალის მიერ მიტოვებული, მდუმარე და რაღაც საიდუმლოებით მოცული. და მოაგონდა კორნელის ელო და ამ ოთახში გატარებული საღამოები. მაშინ სხვა იერი ჰქონდა ამ ოთახს. გადამთვრალი მენადის პორტრეტი არ ეკიდა კედელზე. ირგვლივ წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. დაღვრილი ღვინის გამო ამჟამად მოოხრებულ მაგიდას თეთრი, უმტვერო სუფრა ეფინა. ზედ ყვავილებით და ვარდებით სავსე ლარნაკი იდგა და კორნელის მშვენებით სავსე ელოს თვალები უღიმოდნენ. საღამოობით, ტკბილი საუბრის და ჩაის შემდეგ, ნინო პირველს იტყოდა, ელო — მოძახილს, ხოლო ვანო და კორნელი კი ბანს და ოთახს საამური ჰანგი ავსებდა. ისმოდა არაგვივით ჩქარი და მონავარდე სიმღერა; ხან ალაზანივით ზანტი და დინჯი; ხანაც კიდევ ისეთი ნარნარი, საამური და ხმადაბალი, თითქო ამ თეჯირის იქით საწოლზე მძინარ ბავშვს ნანას უმღერიანო. მაშინ ნინოს და ელოს ქალწულური და სათნოებით სავსე თვალები კორნელის და ვანოს გულში სპეტაკსა და მშვენიერებისადმი ტრფობის გრძნობას ჰბადებდნენ. ეხლა კი ყველაფერი გათავდა. ვანოს ოჯახი დაინგრა. უქალობა დასტყობოდა აქაურობას. ოთახში უცოლო კაცის უწესობა სუფევდა. კედლიდან ისევ გადამთვრალი, შიშველი ქალის ვნებააშლილი და უსირცხვილო თვალები იხედებოდნენ და, თითქო დასცინოდნენ წითელი ღვინით მოსვრილ სუფრასთან დამწუხრებულსა და მთვრალ მხატვარს. იგი დასცინოდა კორნელის და ნინოსადმი მის მიჯნურობასაც.

კორნელიმ დიდხანს უცქირა ვანოს. ბევრი იფიქრა მეგობრისა და საკუთარი უბედობის გამო და მაღალზნეობას მოწყურვებულმა ჭაბუკმა ასეთი საუბარი დაიწყო:

— ვინ იცის, ვანო, რა ეშმაკი უშლის ხელს ადამიანს, იყოს ზნეობრივად სპეტაკი და ბედნიერი? ზოგს — ლოთობა, ზოგს — სიძვა და სიმრუშე, ზოგს — პატივმოყვარეობა, სახელის მოხვეჭის წყურვილი და, ამ სახელის მოხვეჭისათვის ჩადენილი, დაუნდობლობა, ვერაგობა... თორემ, უმისოდ, ადამიანში ბოროტება და სიავე განა გაიმარჯვებდა?!

ასეთ გუნებაზე დადგა კორნელი, როდესაც ამ ოთახში გატარებული საღამოები მოაგონდა და ვანოს თვალზე ცრემლი შენიშნა.

კორნელიმ და ვანომ შეხედეს ერთმანეთს და ეხლა მათ გულში კეთილმა **გრძნობამ** დაისადგურა.

მეოცნებე ჭაბუკმა სძლია გულგატეხილს და დამცინავ ამხანაგს.

ეხლა კორნელი უკიდებდა ვანოს ცეცხლსა და გენიას:

— „სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეჟვანი ამას ქღერენ“.. სიყვარულისა და საყვარელი არსების გარეშე ცხოვრება ძნელი რამ ყოფილა! — სთქვა კორნელიმ და კაეშნით სავსე სიმღერა წამოიწყო:

„ოდეს მეწვევა სევდა დამწველი
და გულღვიძლს მიღრღნის, ვით გესლი გველი, —
შენი სახე მყავს მაშინ მხსნელ-ფარად,
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!“

ვანო მაშინვე მიხვდა, ვისაც ეტრფოდა კორნელი და ვისი სახეც ჰყავდა მას მხსნელ-ფარად.

ცოლის მიერ მიტოვებული, დაწუნებული და შეურაცხყოფილი ქმრის გულში ისევ შურმა გაიღვიძა და, ბროლოტის აზრით, კორნელის ნინოსადმი ეჭვი ჩაუნერგა:

— ნუ დაღონდები! მერწმუნე, მე შენი კეთილისმსურველი ამხანაგი ვარ. ხშირად მიფიქრია შენზე — რა უბედური იქნება, ნინო თუ შეირთო მეთქი!

— წინათ ასე არ ფიქრობდი! — მოაგონა კორნელიმ.

— ელოს და ნინოს ხასიათი მე გვიან გავიგე. — დაიწყო თავისმართლება ვანომ. — აკი გითხარი, მათ გვარში სიგიჟე მოსდევთ მეთქი. მათ წარმოდგენაში არსებული ადამიანი — სატრფო, რომანების მიხედვით არის, ყალბი საღებავებით შეთხუპნული. ამიტომ ისინი არცერთი ადამიანით არ დაკმაყოფილდებიან საბოლოოდ. მათთან ცხოვრება ტანჯვაა! მენდე, როგორც ძმას, ისე გეხვეწები — ნინოსთან განშორებას ნუ იდარდებ. მე ვიცი ვარდოს აზრი შენს შესახებ. — გესლიანად შეაპარა ვანომ.

კორნელი ვანოს ანკესზე წამოეგო.

სისხლი მოაწვა სახეზე და ბრაზით მიუგო:

— ვარდომ არც შენ დაგინდო. ისეთი გლანძღა და გათრია, მტკვარიც კი ვერ გაგრეცხავს. არ კი წამოგცდეს.

— ნუ გეშინია. არც შენ გიფენენ მაყაშვილები ვარდსა და იას! ხომ იცი, იძერლებს დასცინიან. — ისევ დაგესლა ვანომ ამხანაგი.

— დასცინონ, რამდენიც ენებოთ! ეს მათი ჩამორჩენილობის, შეზღუდულობის და კუთხური განსაზღვრულობის შედეგია. კახეთი დღეს — დიდი პროვინციაა! — გადაამლაშა კორნელიმ. — მაყაშვილები — ფილისტერები! თუ ჭკუით არ იქნებიან, მე იმ მეშჩანობის და კაცთმძულვარების ბუდეს ავაფეთქებ!

ისეთი დარწმუნებით განაცხადა კორნელიმ, თითქო ტერორისტია და ხელყუმბარის გატყორცნას აპირებსო.

— მეც შენთანა ვარ! — კვერი დაუკრა ვანომ. — წავიდნენ ეხლა და ჩვენზე უკეთესი საქმრო მოსძებნონ ელო და ნინოსთვის!

ჭაბუკებმა ერთმანეთს შეხედეს, ეხლა მათ თვალში სიკეთის ნატამალიც კი ჩამქრალიყო და მის ნაცვლად ბოროტი გრძნობა გამოსჭვივოდა.

ვანომ ბეჭზე შემოჰკრა ხელი კორნელის და უთხრა:

— ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ!

მერმე გადაჰკოცნა და მეგობრობა შეჰფიცა.

ასეა მოწყობილი ადამიანი ამა ქვეყნად — თუ იგი განკიცხული, უარყოფილი, ბედშავი და უბედურია, — თავისავე ბედში მყოფი ძმად მიაჩნია. ბედნიერის მიმართ კი — შურით ივსება.

ვაგლახ, რომ ეს ხშირად ასეა!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ბალიაური

# ქალი გრიგალში

ვასილი დაღლილი შედგა.

— აი სოფელი, მოვედით! — უთხრა ქმარს და ტვირთი მოიხსნა. ქალმა უაზროდ გაიცინა, პატარა გოგონას, ტანიუშას, გაუწყრა და ქმრის მახლობლად დაჯდა.

ორივე ჩუმად იჯდა და სოფელს აკვირდებოდა. ახლად აშენებულ თეთრ შენობებიდან აშლილი კვამლი ნელა იშლებოდა მათ თავზე, იფანტებოდა და ლაჟვარდს უერთდებოდა. მზის სხივთა შუქი სოფელს იქით, თეთრი არყების კენწეროებში ჰქრებოდა. მინდვრიდან დაბრუნებული ნახირი ზარმაცად შედიოდა სოფელში. გლეხებს თავი მოეყარათ, გარმონს უკრავდნენ და ჯგუფ-ჯგუფად ცეკვავდნენ, მღეროდნენ. ვასილის ხიზანი რომ იხილეს, შესდგნენ, რამდენიმე გლეხი მივიდა ვასილთან. მიესალმნენ, მგზავრობის ამბავი ჰკითხეს. საუბარი კოლექტივში წევრად მიღების შესახებ ჩამოვარდა. პატარა გოგონამ უყურა უცხო მამაკაცებს, დედას, მერე ადგა, გაიპარა და ბუჩქების ქვეშ გაცრეცილი ყვავილების კრეფას შეუდგა. მამას რომ მიხედა, შედგა: ვასილს თოხი აეღო ხელში და მიწას სთხრიდა.

— საუცხოვო მიწაა! — ეუბნებოდა იგი მეუღლეს.

— ტანიუშა! — დაუძახა ქალმა გოგონას და ახლად მოთხრილ მიწაზე ჩამოჯდა. შავი მიწა ცივად მოხვდა ქალს ფეხებზე, შეაჟრჟოლა.

— მიწა! — ჩურჩულებდა.

ვასილი მიუახლოვდა, ქალთან დაჯდა. ჩიბუხი ამოიღო. მოსწია. იგი ტანმაღალი იყო, კისერ-გრძელი, ქერა. სიყმაწვილე სოფლიდან სოფელში სიარულში დაალია, სადაც უთენდებოდა, იქ უღამდებოდა, სადაც სამუშაოს იშოვიდა, იქ დაიდებდა ბინას. დაბადების ადგილი არ იცოდა. ხრიოკ ტრამალზე რომ გეთქვათ, აქ დაიბადეო, თავს ჩააქნევდა. ბაზარში იქორწინა, ტანიუშა მატარებელში შეეძინა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, სოფელში რომ ბრუნდებოდა, მაშინ ჩაფიქრდა: რომელ სოფელში დაიბადა იგი...

— ეჰ, ეშმაკმა წაიღოს ყველაფერი! — დღეის შემდეგ სახლსაც აიშენებს და სოფელიც ექნება.

ასე დაიწყო მათი ახალი ცხოვრება...

*
* *

ვასილი სრულიად გამოიცვალა: ხარივით დაობა მიწაზე კოლექტივმა. ახლა იშვიათად მოსდიოდა ხეტიალის წადილი. ოჯახი დამძიმდა, კერას ფადილი და ბარაქა მიეცა, უმეგობროს მეგობრები გაუჩნდა, ოჯახი სტუმრობამ

დააშვენა. ტანიუშა წამოიზარდა, ჯარასავით ტრიალებდა ოჯახში. ლოყაწითელი იყო, ტანმაღალი, საქმის მოყვარული. ახალგაზრდები კარგი თვალით უყურებდნენ. ნიავის ოდნავი შეხებაც კი უღიტინებდა და ეცინოდა — როდესაც მეზობლის ბიჭს ვანიას მოჰკრავდა თვალს. მეგობრები [illegible] ხშირად გაშორდებოდნენ სოფელს, უყვარდათ თვალუწვდენელ ველზე გაშლილ ყანებში სიარული, ჩურჩულებდნენ რაღაცაზე, თავთავების თავზე მოლივლივე ჩიტებს აფრთხობდნენ, ტანიუშა ყაყაჩოს აგროვებდა და ნატრობდა მინდორში მომუშავეთა შორის ყოფნას. ჯერ ტრაქტორი გაუკვირდა, შემდეგ კომბაინი. ტრაქტორი რომ ნახა, სთქვა:

— დიდებულია!

ვანიამ გაიცინა, ცას ახედა, ხმა არ ამოუღია. ტანიუშა გაუწყრა, ვერ მიუხვდა სიწითლის მიზეზს. მეორე დღეს, როცა ვანიამ თვითმფრინავის დანახვაზე დაიკივლა, მიხვდა ტანიუშა, თუ რატომ იცინოდა იგი.

— დიდებულია! — ამბობდა ვანია და თვალს აყოლებდა თვითმფრინავს.

— ჰო-და... — დაიბნა დარცხვენილი ტანიუშა.

ვაჟი ცას ეტრფოდა, ქალი დედამიწას.

*

* *

ერთხელ ტანიუშა, მინდვრისკენ რომ მიდიოდა, გზაში შეხვდა მიწითა და მაზუთით ტანისამოსშესვრილ ქალს. უცნობი ქალი ტრაქტორთან იდგა. ისე ტკბილად იცინოდა, ისეთი მშვიდი თვალები და მიმზიდველი სახე ჰქონდა, რომ ტანიუშამ უნებლიედ უთხრა:

— გამარჯვება, დაო!

ქალმა უფრო ტკბილად გაიცინა, ოქროსფერი თმის კულულები შეისწორა, თეთრი კბილები გაუელვა.

— ტანიუშა! — მიაძახა, ტრაქტორის საჭესთან რომ ჯდებოდა.

ტრაქტორმა ტანიუშას თვალწინ შავი მიწა გაშალა. ტანიუშა უყურებდა. მოულოდნელად ვიღაცა მიუახლოვდა. მიიხედა: ვანიას თავი დაეხარა, იცინოდა.

— მივდივარ, ტანიუშა, — უთხრა მან.

— სად? — ანგარიშმიუცემლად ჰკითხა ტანიუშამ.

— დიდ ქალაქში...

ტანიუშა გაოცებით დააკვირდა.

— დიალ, — სთქვა ამაყად ვანიამ. — მე მსურს მფრინავი გავხდე.

— აა!

დიდხანს იდგნენ და შეჰყურებდნენ ურთიერთს.

— ჰო-და, რაღა.... — ტანიუშა წყნარად წავიდა მინდვრისაკენ.

ვანია ერთხანს შეყოყმანდა, შემდეგ გაჰყვა. უხმოდ გაიარეს თაფლისფერ ყანაში გაწოლილი გზა. ტანიუშას ქერისფერი ჩიტი აუხტა ფეხებთან. შეკრთა და უნებლიედ მიუახლოვდა ვანიას. წუთით შედგნენ. ტანიუშას მოეჩვენა, რომ ვანია თავისკენ ეწეოდა. აი, ხელებიც გაშალა მან, სითბოც იგრძნო ტანიუშამ. გონება დაებნა, თრთოლვა შეუჯდა მუხლებში. ყანა, მთელი ველი მსუბუქ ლაქვარდად მოეჩვენა. აი, ვანია დაიხარა, ცხელი ტუჩებით მოუახლოვდა, მაგრამ ტანიუშა ხელიდან გაუსხლტა.

— აჰ! — სთქვა მან და თავდახრილი დადგა თავთავებთან. თავთავები ნაზად ირხეოდნენ, ეხებოდნენ ჭრელ ჩითის კაბას.

— მივდივარ! — შემოესმა ტანიუშას. სწრაფად მიიხედა: ვანია თავდახრილი ჩქარა ნაბიჯით მიდიოდა სოფლისკენ.

— მიდის! — უნებლიედ სთქვა ტანიუშამ. მოეჩვენა, რომ ვანია საძულდამოდ შორდებოდა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა. ცისფერი ჩიტი დაჯდა მის მახლობლად, გამწყრალივით დაუსტვინა და სტვენის დამთავრების შემდეგ ახტა.

*
* *

ტანიუშა მარტო დადიოდა ყანებში და მღეროდა:

„როდესაც შევარდნები აიშლებიან ცაზე...“

სიმღერის დროს ვანია ეზმანებოდა. ხან ბრაზობდა, ხან უხაროდა, — იქნება ვანია მფრინავი გახდეს... რა ძნელი ყოფილა სიმარტოვე!

ჩიტების ხმაურს უსმენდა, ყვავილების კრეფით ერთობოდა.

რამდენჯერმე შეხვდა იგი დუნიას, კოლექტივის ტრაქტორზე მომუშავე ქალს, გაეხუმრა, ინატრა:

— ეგ ხელობა მაინც ვიცოდე!

ერთხელ დუნიამ ტრაქტორზე დასვა და შორს წაიყვანა. იმ დღის შემდეგ დამეგობრდნენ. ტანიუშა გაუცინებდა და შორიდან მიაძახებდა:

— გამარჯვება, დაო!

დუნია შედგებოდა, გაეხუმრებოდა და გზას განაგრძობდა. ერთხელ უთხრა:

— დაო ტანიუშა, აჰა საჭე, მოდი, დაჯექი!

ითმინა ტანიუშამ, ბოლოს გულმა დასძლია: შეუხტა ტრაქტორზე და ველზე დაუჯდა.

დუნიამ გაუცინა, ტრაქტორის რული მისცა ხელში. რომ შეხედა, იამა: წელწვრილ, მკერდმაღალ ტანიუშას შვენოდა ტრაქტორის მართვა.

— ვისწავლი! — ამბობდა იგი და გაბრწყინებული თვალებით გასცქეროდა შავ მიწას.

ერთი თვის შემდეგ ტანიუშამ ტრაქტორი ეზოს კარებთან გააჩერა. მამამ, ვასილმა, ჯერ თვალებს არ დაუჯერა, შემდეგ წელში გაიმართა და ხმამაღლა მიაძახა:

— ტანიუშა! — დაუსტვინა, ბუქნას ჩაჰკრა, რამდენჯერმე შემოუარა ტრაქტორს გარშემო, ტანიუშას გრძელი ხელები შემოხვია და შუბლზე აკოცა.

*
* *

ერთხელ ტანიუშა ჩვეულებრივზე ადრე მივიდა სამუშაოზე. ეგონა, იმ დღეს მარტო იმუშავებდა: დუნია საექიმო კომისიაში იყო წასული გასასინჯად. ტრაქტორს ეალერსებოდა, სწმენდდა. მოულოდნელად თვალი მოჰკრა დუნიას. სახეწამოწითლებული მიესალმა. დუნია მიუახლოვდა და ჩაფიქრებული დაეყრდნო ტრაქტორის საჭეს.

— რა მოხდა? — ძლივს გაბედა კითხვა ტანიუშამ.

დუნიამ მორცხვად უთხრა:

— ორსული აღმოვჩნდი... სამუშაოდან გამანთავისუფლეს.

ტანიუშას უნდოდა ეცეკვა, მაგრამ შერცხვა, სამაგიეროდ ხელები შემოხვია დუნიას და ანგარიშმიუცემლად დაუწყო კოცნა. დუნია ვერ მოხვდა, მისი ორსულობა ეამა ტანიუშას თუ ტრაქტორზე მუშაობის დასაკუთრება. დაეჭვებულმა თვალებში ჩახედა, შუბლზე აკოცა და განშორდა. ტანიუშამ ტრაქტორი რომ გაიყვანა ყამირზე, ფიქრობდა: „ღმერთო, კეთილად დასრულე დუნიას ორსულობა!“

... ხვნა რომ დამთავრდა, ტანიუშა დაასაჩუქრეს, თანაც დააწინაურეს; კომბაინზე გადაიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ დუნია მივიდა მასთან.

— მომილოცე, ტანიუშა! — უთხრა სიცილით.

ტანიუშამ გაუღიმა, მისი ოცნების თვალწინ ვერცხლისფერი ყანა ალივლივდა და გაჰქრა.

— ახლა კომბაინზე იმუშავებ! — ეუბნებოდა სახეგაბრწყინებული დუნია.

*
* *

წინა დღეს ტანიუშას ოჯახში დიდი სტუმრობა იყო: კოლმეურნეობის თავმჯდომარეს საჩუქრები მიეტანა. გოგო-ბიჭები მოგროვილიყვნენ, სვამდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. გათენების ჟამს მისწყდა დროსტარება. სტუმრების წასვლის შემდეგ ტანიუშას მოუსვენრობა დაეუფლა. იწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. თვალების დახუჭვის უმალ ვანია ეზმანებოდა. „სად ხარ, სად დაიკარგე?“ — ეუბნებოდა ფიქრით და ცეცხლი ეკიდებოდა ქალის გულს. უნდოდა ვანია მასთან ყოფილიყო, ყოველ წუთს მისთვის ეცქირა. იქნება ქორწილიც მოხერხებულიყო. მაგრამ ვანია დაიკარგა.

მხოლოდ დედამამას **არ ეჩქარებოდა ტანიუშას დაქორწინება.** ვასილი დაწოლის წინ ფიქრობდა: „აი ოჯახი და ბედნიერება... ღმერთო ჩემო, ტანიუშას ქორწილი რომ დაჩქარდეს, როგორღა ვიცხოვრო!“ მეორე ოთახში მწოლარე ტანიუშამ ორიოდე სიტყვას მოჰკრა ყური: „სანამ ვანია დაბრუნდება, ის ქალი...“ — ეუბნებოდა ცოლი ვასილს.

„აჰ! ნეტავ დაბრუნდებოდეს“, გაიფიქრა ტანიუშამ და თვალები მილულა. მის გულს ეწადა, იმ წუთში იქ, მისი ტახტის მახლობლად, მდგარიყო ვანია და მისი ტკბილი ხმა გაეგონა. „ტანიუშა!“ — ჩიტმა წაიგალობა ფანჯარასთან და მწყრალად გაფრინდა.

— გათენდა! — სთქვა ტანიუშამ და წამოდგა.

მისი თეთრი ტანი მჭრალ რიჟრაჟში გაეხვია. ოდნავ გაიზმორა, მაღალი ტანი მომშვილდა, უკან გადაიხარა, შემდეგ წინ. თმას რომ ივარცხნიდა, ღია ფანჯრიდან შემოჭრილი დილის ნიავი ნაწნავებს უღიტინებდა ქორფა მკერდზე. ტანი თანდათან შიშვლდებოდა: ეხდებოდა იისფერი რიჟრაჟი, თითქოს რცხვენიაო დილისა, სწრაფად იკაზმებოდა.

კარებთან მივიდა, დედას გადახედა: რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მშობლებს ტკბილად ჩასძინებოდათ. რატომღაც ოთახი შეათვალიერა: ყველა ნივთი ახალი იყო, მაგრამ ტანიუშას სულ სხვანაირად დაუჩნდა ყველაფერი, თითქოს მოძველებულიყვნენ ისინი, თითქოს ემშვიდობებოდნენ, თითქოს უკანასკნელად ხედავდა მათ ტანიუშა. დიდხანს აკვირდებოდა ვანიას სურათს. იგი სულ სხვანაირად უმზერდა, თითქოს რაღაცაზე აფრთხილებდა, თითქოს საყვედურს ეუბნებოდა. წავიდა მისკენ. რატომ? რა უნდა ეთქვა? გულის

სიღრმეში ისახებოდა უამური რაღაც, რომელიც ვანიას სიახლოვეს ენდა გაეჭარვებინა.

ფიქრში გართულ ტანიუშას მამის ხმა შემოესმა: „არა, [illegible] ჩემი ტანიუშა არასოდეს არ გათხოვდება!“ გადახედა ტანიუშამ და ცივად გაიცინა. დედას დაღლილი სახით ეძინა, მამას საბანი გადაეხადა, იშმუშნებოდა. კარებისკენ რომ წავიდა, ტანიუშას გულს ყველაფრისთვის გამოთხოვება ეწადა. ნაძალადევად მიდიოდა.

სოფელი ახალი გაღვიძებული იყო, როდესაც ტანიუშა შარაზე გავიდა. ახალგაზრდა ქალ-ვაჟები ხვდებოდნენ, ყველას სამუშაოზე მიეჩქარებოდა. ტანიუშა უნებლიედ შედგებოდა: სურდა გამომშვიდობებოდა ყველას, მაგრამ ისინი გაიცინებდნენ და განშორდებოდნენ.

„ჩემი თავი ველარ მიცვნია“, — გაიფიქრა. მკაცრად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ ფიქრები მაინც არა სცილდებოდნენ. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც კომბაინის ბორბლები აეშვნენ და ვერცხლისფერი თავთავები შეირხნენ. ისე მშვიდად დაჰქროდა ქარი, ისე ნელა ირხეოდა თვალუწვდენელ ველზე გაშლილი ვერცხლისფერი ყანა, თითქოს აბობოქრებული ზღვა დაოსებულა და სიმშვიდეს მიცემულ მზის სხივებს აწვენს მკერდზეო. ტანიუშა გაჰყურებდა ყანას და გული მასავით უღელავდა. რატომ? თავათ არ იცოდა ტანიუშამ.

ერთი ნაბირით მისდევდა სამკალი მანქანა ტანწერწეტა თავთავების ჯარს, შილასტავდა, მიიმკიდა. ტანიუშა გამტკნარებული იჯდა საჭესთან, დასცქეროდა ყანას და უნებლიედ მღეროდა:

— როდესაც შევარდნები აიშლებიან ცაზე...

მოულოდნელად შეირხა სიწყნარე, შემდეგ გატრუვდა ყველაფერი, თითქოს შედგენინო დედამიწის გულის სიმნი, თითქოს ცის იდუმალმა ქუხილმა გაუარაო მთების უტეხ მკერდს და შედგაო მთის გული. უცნობ ფრინველთა გუნდმა შემკრთალი ხმაურით გადაიარა ყანებზე, შემდეგ პეპელათა ფარამ გაიქროლა. დაფეთებულმა ჩიტებმა სულ ახლოს ჩაუარეს ტანიუშას. ტანიუშას მოეჩვენა, თითქოს ის ჩიტები თავშესაფარს ეძებდნენ, მაგრამ ვერ მიეგნოთ სიჩქარით. თვალი გააყოლა ფრინველს. ყველანი დასავლეთიდან მოიჩქაროდნენ და აღმოსავლეთისკენ მიისწრაფოდნენ. მოეჩვენა თითქოს ყველა მათგანს შიშის სუსხი მიაქროლებდა, მოეჩვენა ისიც, თითქოს რისხვის ჟრუანტელმა გაუარა დედამიწის მკერდს. თითქოს თავთავები შეკრთნენ, მანქანაც შედგა. ყველაფერი შედგა, ყველაფერი, სამაგიეროდ ჰაერის სიმქისე მოზვავდა. ტანიუშამ ცას შეხედა: დასავლეთის მხარეს ცის მკერდს კვამლის ზოლები შესდგომოდნენ.

— ღმერთო ჩემო!..

* * *

ტანიუშა კომბაინიდან რომ ჩამოდიოდა, ქვეყანა ირგვლივ ტრიალებდა, დახუნძული თავთავები ღელავდნენ და ოქროსფერი ჩიტები თავშესაფარს ეძებდნენ. მოწმენდილ ცაზე ღრუბლები გაჩენილიყვნენ. ეს ღრუბლები ცის იქით დედამიწის მკერდიდან ამოდიოდნენ, სვეტებად ირხეოდნენ ლაჟვარდის უბეში და მედიდურად შლიდნენ ფრთებს. ტყის იქით უგემურად რაღაცა ხმაურობდა, თითქოს ცის მნათობთ მოსწყინდათო სიმშვიდე და ურთიერთდაჯა-

ხებულნი ილეწებიანო. ჩიტების გუნდი ყიყინით დაესია ჩაფიქრებულ ტანიუშას. შემკრთალმა გაცეცხლებული თვალები დაადევნა და თვალებზე ხელაფარებული გაეკანა ბუჩქებისკენ, ყანის ნაპირზე რომ გაშლილიყვნენ მწვანე ფოთლიანნი. ბუჩქებს რომ მიუახლოვდა, თბილი ნიავი [illegible] ეუცხოვა. ბუჩქების იქითა მხარეს რაღაც ამბავი ხდებოდა: გაცხელებული ნიავი მოსდევნიდა მწერებს, თან მოჰქონდა დამწვარი პურისა და ბალახის სუნი. ტანიუშა გაშტერებული შედგა ბუჩქებთან: მის წინ ცეცხლის ზღვა გაიშალა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მან.

კანკალი შეუჯდა ტანში. მზად იყო პატარა ხელებით და ცისფერი კაბით გადაჰფარებოდა თვალუწვდენელ ველს, ხალხის ქონებას. ერთ ადგილას დატრიალდა: ცეცხლის ენები უახლოვდებოდნენ. გამოუქროლებდა მწვანე ჰაერი, შემდეგ ალი ცეცხლისა.

— ღმერთო, ღმერთო! — ერთსა და იმავეს იმეორებდა იგი.

გამოარკვია უცნაურმა გუგუნმა: შორს შავი ფარა გამოჩნდა, მორბოდა იგი, მოსდევდა. ცოტა ხნის შემდეგ საშინელი გრიალი ატყდა. მიწის შადრევნები მოსდევდა. ცოტა ხნის შემდეგ საშინელი გრიალი ატყდა. მიწის ადრევნები აიმართა მიწის მკერდზე...

ცეცხლის ალმა გაუქროლა ტანიუშას. ბუჩქებში შევარდა, თვალი მოჰკრა ცეცხლის ალში გახვეულ კომბაინს. მწარედ დაიკივლა და მიწაზე დაეცა...

*
* *

ტანიუშა მხოლოდ მაშინ წამოდგა ფეხზე, როცა მის მახლობლად ხმელი ბალახის ხმა გაისმა. ცეცხლის ალი წივოდა, ღუღუნებდა. შორიდან სროლის ხმა ისმოდა. კვამლი, მიწის მტვერი და ბინდი ნელნელა იშლებოდა. ტანიუშამ მიხედ-მოხედა გარემოს. მარტო იდგა ცეცხლის შუაში.

— სიკვდილი მირჩევნიან! — სთქვა. იმავე წუთს გაახსენდა დაღონებული დედის სახე, დაღვრემილი მამა, სახლი, ნივთები. უცბათ მოაგონდა დუნიას სახე. დუნიას პატარა ბავშვის ხელები გაიშალნენ მის თვალწინ.

დაუფიქრებლად მოსწყდა ადგილს, გაიქცა, გაიქცა სწრაფად; გარბოდა ისე, თითქოს შველი შეუკრთია პირდაღებულ ნადირსო. გარბოდა, მაგრამ საით? ცეცხლის ალი გზას გადაუჭრიდა, მაღლიდან დაღუღუნებდა, თავთავების ფერფლს აშლიდა თავზე. სოფლიდან ხმაური მოჰქონდა ნიავს. რაც უფრო უახლოვდებოდა სოფელს, მით უფრო საშიში ხდებოდა წინსვლა.

სოფლის მახლობლად ვიღაც ადამიანებს მოჰკრა თვალი: ისინი ჩუმად მიიწევდნენ წინ. ტანკებმა მძლავრი ხმაურით გაუქროლეს, სოფელში შეიჭრნენ. საშინელი ხმაური ატყდა. მოშორებით ვიღაცამ დაიკივლა. კივილი სუსტი იყო, სიკვდილის ზარიანი. დატრიალდა ტანიუშა: მის გარშემო რაღაც უხილავი არსება ხმაურობდა: წიოდა, ფაჩუნობდა. წატორტმანდა, სახეზე მწვავე სილასავით გაჰკრა რაღაცამ და თხრილში გადავარდა.

„ისვრიან“, — გაიფიქრა, მერე გაიცინა. ის სიცილი უჩვეულო იყო. შეეშინდა. კვლავ ეწადა სიცილი, თავი ძლივს შეიკავა. სამაგიეროდ ცრემლები წამოუვიდა ღაპა-ღუპით, პირი უშრებოდა. ეჩვენებოდა, რომ ეხლა იგი დედამიწისა და ცის შუა დაღვრილ ნიაღვარში მოხვდა, ირგვლივ ყველაფერს კიდეები გადაუტყდა და სიკვდილის პირში იხრჩობოდა... ხელზე სისველე იგრძნო,

თითები ოდნავ შეეწება, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, მიეღოდა სოფ-ლისკენ. იქვე, რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე, ბალი იყო, ბალის ბოლოს დუნია ცხოვრობდა, მივა მასთან... — მიწის მკერდიდან ამოშლილი [illegible] გადა-ეფინა თავზე, დამძიმდა, ძლივს ადგა, მაგრამ ადგომის უმალ [illegible] მიწაზე. მის მახლობლად ადამიანები მიეხოხავდნენ სოფლისკენ და ისროდნენ.

— მხეცებო! — სთქვა ტანიუშამ. ეუცხოვა: მას არასოდეს არ უთქვამს ეს ადამიანის მიმართ, როგორ უყვარდა მას ყველა. ეხლა კი... წუთით გამეფე-ბულ სიწყნარეში სიცილი შემოესმა, შემდეგ ტირილი. ხმა იცნო, მაგრამ არა სურდა დაეჯერა... ტირილი და სიცილი განშორდნენ. ადამიანებიც გაჭრნენ. სამაგიეროდ სოფლიდან დამწვარი ხორცისა და პურის სუნი მოვარდა, ღმუ-ილი გაისმა და მიწყდა.

ტანიუშამ სიარული განაგრძო. დუნიას სახლს რომ მიუახლოვდა, სიცილი კვლავ შემოესმა. ტანიუშა შედგა: ცეცხლმოკიდებულმა რაღაცამ ჩაუქროლა წინ. ალის სინათლეზე ქალის ლანდს მოჰკრა თვალი. ის ქალი ერთ ადგილზე ტრიალებდა. ეძებდა რაღაცას, ხან იცინოდა, ხან ტიროდა. ტანიუშა რომ მი-უახლოვდა, შიშისაგან გახევდა: ტანისამოსჩამოგლეჯილი, თმაგაწეწილი დუ-ნია ხარხარებდა. ტანიუშა რომ იხილა, შედგა, გაიცინა, დაილმუა და სახე-შეშლილმა გაიწია მისკენ:

— ფაშისტი! — სთქვა.

ტანიუშას შეაკრთოლა.

— დუნია! — შესძახა მან. დუნია შეკრთა, უკან დაიწია, სისხლით შესვრილ სახეზე დამტვერული ხელი გადაისვა. გაიცინა, ისე მშვიდად გაიცინა, თითქოს მის გარშემო მორთულ-მოკაზმული ყმაწვილები ცეკვავენო. მაგრამ უცბათ შეჰკივლა, ხელებგაშლილმა ცეცხლისაკენ გაიწია.

— ფაშისტები... — ამბობდა იგი. ცეცხლისთვის თავის მიცემას ლამობდა. მოქანცულმა ტანიუშამ ძლივს შეაკავა.

— გაძეხი, გაძეხი, აჰა! — ეუბნებოდა დუნია, გულმკერდს იკაწრავდა, სახე-ში აფურთხებდა.

დროდადრო ეტაკებოდა, ისე მაგრად უჭერდა გარკინებულ მკლავებს, რომ სიმწარით მუხლები ეკეცებოდა ტანიუშას.

— მე ვარ, ტანიუშა, დაო დუნია! — შესძახა მოთმინებიდან გამოსულმა ტა-ნიუშამ.

დუნია წუთით ჩაფიქრდა, გაიცინა.

— რა იქნა ჩემი ბავშვი? — უთხრა საცოდავი ხმით.

ტანიუშამ ხელები მოხვია, ატირებულმა მკერდზე მიიკრა. დუნიამ ხელი ჰკრა, მოიშორა.

— ჩემი ბავშვი! — დაიჭყივლა მან და საშინლად ახარხარდა.

მათ მახლობლად რაღაცამ დაიგრიალა, შრიალით წამოსული მიწა გადმო-ეშალათ თავზე. ტანიუშა ლობის ნაპირზე მიაქცია. დუნიამ სიცილ-ხარხარით ჩაირბინა შარაზე...

ღამე ნაცემი ძაღლივით ღმუოდა.

— ფაშისტები! — ესმოდა ტანიუშას ღამის ღმუილში. ნელა ბურანში გა-დადიოდა. ცივი მიწა მძიმედ აწვებოდა დასველებულ ტანზე. სისველე ხან თბილად ხვდებოდა, ხან ცივად, — წებოვანი იყო, უამური.

*
* *

ის დღე ისეთი მშვიდი გათენდა, ისეთი საამო ფერი გადაჰკრავდა ცასამოს, ცა ისე მოწმენდილი იყო, თითქოს ერთი მეორის ტრფიალს შეტი ბრაფერი ადარდებდაო ცასა და დედამიწას. მზის სხივების ქვეშ შეიშმუშნა ფერდაკარგული მიწა, წითელი ფერი რომ გადაჰკრავდა აქა-იქ. გულსაკლავად მოსჩანდნენ დაორმოებული სოფელი, დანგრეული სახლები, ნახევრად გადამწვარი ნივთები. მიწაში მოსჩანდა მზის სხივებზე გამთბარი ხელები ადამიანებისა. ოქროსფერი ჩიტები მკრთალად იყურებოდნენ. მიწით შესვრილი ძაღლები ღმუილით რაღაცას სთხრიდნენ. კატამ ჩამტვრეულ კარებზე გადაიარა, ზღრუბლს მიუახლოვდა, დაიკნავლა და სწრაფად გაბრუნდა უკან. მოთხრილ მიწაზე რომ გადადიოდა, მიწა დაზვავდა, ფიფქ მიწაში სქელი თმის ნაწნავი გამოჩნდა. მოშორებით ძლივს ემჩნეოდა ბროლივით თეთრი თითები, იქვე აკვანი იყო დალეწილი. ნახევრად დანგრეულ ბაღის პირად მიწას ადამიანის ნაკვალევი აჩნდა. ახლად გამოშლილ მიწაზე ტანიუშა იწვა. გაფითრებული სახე მიწითა და სისხლით ჰქონდა შესვრილი. თბილი მზის სხივები რომ მოხვდა, ოდნავ შეირხა, ცისფერი თვალები გაახილა.

— ადამიანო! — სთქვა მან.

მის მახლობლად პატარა ჩიტი აწრიპინდა და ღობის ქვეშ შეძვრა. იმავე დროს სოფლის იქითა მხარეს სროლის ხმა გაისმა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა ვაჟი აიმართა ბაღის იქით. ტანიუშა რომ დაინახეს, შედგნენ, ერთმანეთს რაღაცა უთხრეს და პირდაპირ მისკენ წავიდნენ. ტანიუშას გაქცევა უნდოდა, მაგრამ ტანი არ დაემორჩილა, ხელები უღონოდ ეკიდა, ბრძოლის თავი არა ჰქონდა. სუსტად მოკუმა ნაზი თითები, უცხოსკენ გაიწია, მაგრამ ლონემ უღალატა და თხრილში გადავარდა. მაგრა დაჰკრა საფეთქელი ქვას და რბილ მიწას მიაწვა.

უცნობი მიუახლოვდა, ამხანაგს თვალი ჩაუკრა.

— ჰეი, ქალო! — გაიცინა მან. ხელები გაშალა და სწორედ ამ დროს საშინლად დაიგრიალა რაღაცამ. ხუთი თვითმფრინავი გამოიჭრა ლაჟვარდ ცაზე. უცნობი ახალგაზრდა დაბარბაცდა და ტანიუშას გვერდზე დაეცა....

ტანიუშას ფეხზე ადგომა და თვალის ახელა რომ შესძლებოდა, იმ ჰაეროპლანის ფრთებზე წითელ ვარსკვლავს შენიშნავდა... ეხლა საბრალოდ იწვა იგი, თავისი სოფლის მიწა ეყარა თეთრ მკერდზე. მან რა იცოდა, რომ საბჭოეთის მფრინავი ვანია გაცეცხლებული თვალებით დაეძებდა მტრის ბანაკს. მას ახსოვდა ტანიუშა... ტანიუშას ერთხელაც არ გახსენებია ვანია: მისი გაბრუებული გონების თვალწინ ცეცხლმოდებული ვერცხლისფერი ყანა ღელავდა, ესმოდა მამის შორეული ძახილი: „ჩემო ტანიუშა“, ხოლო სახედამწვარი დედის სისხლიანი ხელები თავისკენ უხმობდნენ.

—აჰა, ცხოვრება! — ამბობდა იგი.

ხოლო პატივახდილი, ძუძუსისხლიანი დუნია მწარე სიცილით გაუქროლებდა, სისხლს აფურთხებდა მიწაზე და ღიმილით იმეორებდა:

— აი ფაშისტი!..

რა უცნაურად ხმაურობდა დედამიწა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ასათიანი

# ასპინძა

სამამულო ომის ფრონტებზე პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ უშიშრად მებრძოლ ქართველ ვაჟკაცებს მამაცი და მოხერხებული წინაპრების მოსაგონებლად ვუძღვნი ამ ლექსს.

1.

ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო.
გადაიარა წინა დღის ბრძოლების პაპანაქებამ,
ხმალს დასვენება უნდოდა, მხედრობას დაბანაკება.
გადალეწილან შუბები... დროშები ჩამოძენძილან...
ნაომარ ქართველ მხედრობას ტრიალ მინდორში ეძინა.
ძთვარემ მძინარე სახეებს ბნელი ბურუსი გადახსნა,
სუნთქვა მძინარე რაინდთა აბიბინებდა ბალახსა.
გართხმულან მწვანე ბალახში ზვიადნი, მხარ-ბეჭიანნი;
ზოგი ლომია ლომგული, ზოგიც ვეფხია ბწკლიანი.
ერთი-ღა დადის ბანაკში, ეს, ალბათ, ირაკლი არი...
აქა-იქ ცეცხლი ანთია, თოფზე მიკრულან გუშაგნი,
სთვლემენ ცხენები, მორთულნი ლამაზ უნაგირ-უზანგით.
შორს კლდეში ჭოტი გაჭკივის, მდინარე მიდის დუდუნით,
ხმიანი ხვრინვა გაისმის, თოხარიკების ფრუტუნი.
გადალეწილან შუბები... დროშები ჩამოძენძილან...
წუთით გატრუნულ ქარიშხალს ცხენის ფაფარში ეძინა.
იქნებ სიზმარი გვესიზმრა, იქნება არის ზღაპარი,
ვით შეიკედლებს ქარიშხალს ფიცხელი ცხენის ფაფარი?
ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო.

2.

გართხმულან მწვანე ბალახში მაღალნი, მხარ-ბეჭიანნი;
ზოგი ლომია ლომგული, ზოგიც ვეფხია ბწკლიანი.
ერთი-ღა დადის ბანაკში, ეს, ალბათ, ირაკლი არი...
. . . . . .
სმენად ქცეულან მეფის წინ ალაბაბა და ხუდია,
ნეტავ, რა უნდა მეფესა, გულში რა ცეცხლი უნთია!
— ცუდი ილბალი გვილიმის, უომრად გავისრისებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არ დავხერხეთ ამალამ ასპინძის ხიდის ისრები,
რომ მტრის მაშველი ჯარები ვერ გადმოვიდნენ ხიდზედა.
რალა მაშველი სჭირდებათ, ბევრნი არიან ისედაც.
ამალამ ხერხი ვიხმაროთ, ხვალისთვის ხმალი ვინებოთ,
ალბა, გაფრინდით, სამშობლოს დროშა გფარავდეთ, შვილებო!
აჩრდილებივით მიდიან ალაბაბა და ხუდია,
ალბათ, იმიტომ არ სჩანან, უჩინ-მაჩინის ქუდი აქვთ.
გარშემო ისევ ულრანი ღამეა ჩამოძენძილი—
ძილ-ფხიზლად სძინავთ ვაჟკაცებს, ღელავს ულვაშთა ჯეჯილი.
ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გავუმასპინძლდით, როგორ გავრეკეთ ურჯულო.

3.

ინათა... ცისკრის ვარსკვლავის ბრწყინვამ წყვდიადი გარიყა,
ატოტდნენ თეთრი ცხენები — გამოელვიძა ქარიშხალს.
გაშალეს ძუა-ფაფარი, კორიანტელი დაირხა...
სინამდვილეში ზღაპარი ასე ახდება ხანდისხან.
ძოიგდეს თეთრი ნაბდები, მიუხარიათ მხარი-მხარ,
ქართველო მამულიშვილო, ხელი ვადაზე გაიკარ!
ბტერი ასპინძის სიმაგრეს შემოესია სერიდან,
წინა რიგებში მიგელავს პატარა კახი ცხენითა...
შეხვდება კოხტა ბელადსა, ხმალდახმალ გამოიტაცებს,
ტყვიას დაახლის ბეჭებში, უსულოდ დასცემს მიწაზე;
ხმალი წუნკლებსო, შესძახებს, რაზმებში გადავარდება, —
ასე სჩვევია ცხენდაცხენ ქარიშხალს ბანავარდება.
ასეთ ღელვაზე საკვირველს იტყოდნენ მამა-პაპანი:
— ზღვა როცა ვაიფოფრება, ზეცაში ავა ფაფარი.

4.

ჰკაფეს და ჰკაფეს ქართველთა, ვიდრე ჰყოფნიდათ ხმლის სისქე...
შეშინებულმა მტრის ჯარმა პირი იბრუნა ხიდისკენ.
ხიდი რომ არი, ხიდიც კი, ომში ხანდახან ხუნდია,
ბანა ამაოდ იღწვოდა ბორჩალოელი ხუდია!
ყური დაუგდეთ, ბრძნეული ადგილის დედა ჩურჩულობს:
წყალმა წაილო წყეული შემოსეული ურჯულო.

---

4. „მნათობი", № 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

# დავით აღმაშენებელი

## XLVII

## ეპიტიმია

ეზოსმოძღვარმა ზოსიმემ დაუყოვნებლივ აუწყა ეს ამბავი ჯონდის. თაკვერის ერისთავი ეახლა მამაი ბასილის და ეაჯა: როგორმე შეეგონებინა ერისთავის ასული და ავადობა მოემიზეზებინა მას, თუნდაც ერთი კვირით როგორმე.

მამაი ბასილი გააოცა ამ სათხოვარმა, იწყინა კიდევაც ოდნავ. უყოყმანოდ ამცნო ჯონდის: ვითარცა ბერი და მონასტრის მამაი, ტყუილის სათქმელად ან ვით შეეგულიანებო ქრისტიანს? ქარიმან სეტიელი არა ცხრებოდა: სირცხვილეული როგორ ვეჩვენოთო მეფეს; ახლა თავათაც დაეთანხმა ქარიმანს ჯონდი, წინ დავუხვდეთ სპიანად კლდეკარს მიმავალ ლიპარიტისძეს, ან შევაკვდეთ ცხრავე, ან გზიდან გავიტაცოთო როგორმე.

ჯონდიც ისე სასოწარკვეთილი იყო, საერთოდ გულდინჯი ვაჟკაცი, ამის გარეშე სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავდა იგი.

ამასობაში რატიმ უბრძანა მეგანძურთუხუცესს: ორ დღეში მოეთავებინათ ბარგის ჩალაგება. ჯონდი ერისთავმა სამი კაცი წარგზავნა აბჯრისა და საჭურველის შოშილეთის ეკლესიიდან მოსატანად.

კლდეკარს მიმავალი გზები დაზვერეს წინასწარ და სწორედ იმ ლასტის ბოგირთან, სადაც ანთიმოზის ჯორი ხელით გადაიყვანა ქარიმანმა, უნდა დახვედროდნენ კლდეკარს მიმავალ ლიპარიტისძეს, წინ მიმავალ ერისთავს გალმა გასვლას აცლიდნენ, მერმე აყრიდნენ ბოგირს და ვიდრე სპანი ხევს გადმოლახავდნენ, რატი უნდა გაეტაცებინათ საქორიას ტყეში.

ჯონდი დაეთანხმა ამ გეგმას ქარიმანისას, თუმცა კარგად ხედავდა, ამ საქმეს არ უჩანდა სასიკეთო პირი.

ყოველივე მზად ჰქონდათ თაკვერელ აზნაურებს, მაგრამ ახალი ვითარებანი გამოჩნდნენ ანაზდად და რატი ლიპარიტისძე იძულებული გახდა კლდეკარს წასვლა გადაედვა მცირე ხნით.

და ეს ამბავი ამგვარად დაიწყო:

ხულუტის ციხისთავი მამისთვალა მახარობლისძე ეახლა გვიანი ღამით რატის და ამცნო საიდუმლოდ პატრონს:

გზირებმა მაუწყეს გასულ შაბათს: ვერის ხეობის სათავიდან ათი ცხენოსანი გადმოსულა თრიალეთის საერისთაოში, ცხენთა ნატერფალს შოში-

ლეთის მუხნარამდე მოუყვანია მსტოვარნი, და აქ დაუკარგავთო კვალი, რადგან ლორებს გადაეჩიჩქნათ ნიადაგი ახოში.

მენახირენი დაუკითხავთ და გამორკვეულა: მეღორეთუხუცესს ბოლაი ავეანდისძეს პური უჭმევია ვიღაც ჯავახელ ცხენოსანისათვის. იგიც დასძინა მახარობლისძემ: ჯაჭვი ცმიაო ტყავკაბის ქვეშ მგზავრს, სატევარიც ჰქონია წელზე, თუმცა ორივეს გულმოდგინედ მალავდაო უცნობი.

რატი დააფიქრა ამ ამბავმა: მას ცნობა ჰქონდა ჯავახეთიდან: ბეშქენ ჯაყელიც ემზადებაო საომრად, თუხარისის ციხის გოდოლნი შეაკეთა, ახალქალაქის ზღუდენი გაასრულა და როგორც კი თრიალეთის საერისთაოში შემოიჭრება მეფე, ბეშქენ ჯაყელი ახალქალაქიდან დაიძრებაო სპიანად.

გააღვიძეს მეღორეთუხუცესი და ნამძინარევი თავათ დაჰკითხა იგი რატიმ. ბოლაი აიმღვრა, მაგრამ არ დაბნეულა: პური მთხოვა ქრისტიანმა მგზავრმა და ნაცრიანი ხმიადი ვაჭამე, არც საკურტაკე ჯაჭვი მინახავს თვალით და არც სატევარი, ტყავკაბა ეცვა პეწგაცლილი უცნობს, ფალნიანი ცხენი ჰყავდა სატალახო ერთი, ხვასტაგის შესასყიდად ჰერეთს მიდიოდაო მწყემსი.

ამით არ მოთავებულა კვლევა. მანგლისელმა მსტოვარმა ამბავი მოიტანა ლიპარიტის უბანში: კირიონ მანგლელის თავლებში მოიყვანესო ფალნიანი ცხენები, ბარე ცხრა. მისრატული წარგზავნა ლიპარიტისძემ მანგლისს. ძტკიცე უარი მოახსენა მანგლელის მერემეთუხუცესმა ორბელიანთა მისრატულს. უცხოთა ცხენები რა ჭირად გვინდოდა, საკუთარიც ძლივს ეტევიანი ჩვენს თავლებში.

ამით არ შეჯერდა რატი. ახლა მეჯინიბეთუხუცესი გაგზავნა მანგლისს. კირიონ ეპისკოპოსი წალკას ყოფილიყო წასული, მანგლელის თავლები გასჩხრიკეს და მანდ იპოვნეს ცხრა ცხენი ფალნიანი, ერთმა მეჯინიბემ წამოტორტლა, თურმე რეგვენმა: ეგ ცხენები მოიყვანესო ვიღაც მწყემსებმა ერთ ღამეს.

რატი ორბელიანი გახელდა ამის შემცნობი. კოზმან ბერი წარგზავნა და განმარტება მოსთხოვა მანგლელს.

კირიონ ეპისკოპოსი ისედაც აბრეზილი იყო ლიპარიტსა და მის სახლეულზე თრიალეთის ერისთავის გამუსლიმების გამო.

შეჰრისხა კოზმანი:

მოახსენე ჩემგან ლიპარიტსა და მის ვაჟს: მე თრიალეთის ერისთავი არ გახლავართ და არც მსტოვარნი დამიდიან ისპაჰანიდან ღამღამით. ფალნიანი ცხენები ბოლნისს მყავდა სანთლის მოსატანად წარგზავნილნი, ეგ ცხენები ჩემია და ჩემს თავლებში მიბია, ხოლო საჯინიბოს გაჩხრეკის გამო დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ჩემთან შენი პატრონი და ბოდიში გამოითხოვოს თავისი ხეპრე მეჯინიბეთუხუცესის საქციელის გამო, თორემ მატლივით ვახოხებო მიწაზე.

რატი ორბელიანი შეკრთა და შეყოყმანდა ოდნავ, რადგან მსტოვართა ჩვენება რიცხვის მიხედვით არ დაემთხვა მანგლელის თავლებში აღმოჩენილ ცხენთა რაოდენობას, რადგან ნატერფალნი ანთიმოზის ჯორისა ცხენის ნაკვალევად ჩაეთვალათ უმეცართ.

კლდეკარს წარგზავნა კოზმანი და თათბირი სთხოვა მამას. გაცოფდა ლიპარიტ ორბელიანი, როგორ გაბედაო მაგ ქაჩალმა ხუცესმა ჩემი ვაჟის საყვანოდ ხმობა!

მანგლელის საკათედრო ტაძარი პაპი ჩემის აგებულია, ჭკუით იყოს, თო-

რემ მაგ ეკლესიას მეჩეთად ვაქცევ, ხოლო თავათ კირიონს შევაპყრობინებ. და კლდეკარის დილეგში ჯაჭვით დავაბამო ლორიკით.

კოზმანმა იფიქრა: ახლა გააძრობენო კირიონს საეპისკოპოსოს ტანსაცმელს, იმ დღესვე ჩამოეხეტა მანგლისში, ნათლიდედისას დათვრა, [illegible] ტალა ლიპარიტის დანაქადნევი.

რატი იცნობდა ავგულა კირიონს; იგი მრავალ წელს ედავებოდა ლიპარიტ ორბელიანს სამონასტრო ტევრების, სათევზაო ფაცერებისა და საოჩხე ღელეთა გამო.

დაფიქრდა: დავით მეფეს თრიალეთში მოელოდნენ დღედღეზე. ლიპარიტის გამუსლიმების გამო ისედაც გაბოროტებულ სამღვდელოებას აგვიმხედრებსო ეგ წყეული ხუცესი, ივარაუდა ლიპარიტისძემ და მიაფუჩეჩა ფალნიანი ცხენების ამბავი, კვლავ შეუდგა კლდეკარს გადასვლის სამზადისს.

მაინც არ დასცხრა კირიონ მანგლელი.

მამაი ბასილის პირით შეუთვალა რატის: ერთი მსგეფსის[1]) განმავლობაში გამოცხადებულიყო მანგლისის საკათედრო ტაძარში.

კატაი შეძრწუნდა: ოჯახი არ დამიწყევლოსო გაავებულმა ეპისკოპოსმა. ამიტომაც დაჟინებით ურჩევდა ვაჟს: დაუყოვნებლივ ხლებოდა მღვდელმთავარს და თაყვანი ეცა მისთვის.

თაყვანება შორს დაიჭირა თავმოთნე ერისთავმან, კოზმან ბერს დაავალა, ბოდიში გამოეწმინდა მისთვის, ავადმყოფობის გამო ვერ გეახლებათო რატი, სამი საპალნე თაფლი გაუგზავნა მღვდელმთავარს.

მანგლელმა არ მიიღო კოზმანი, თავისი მესაწოლე ბერის პირით შემოუთვალა: თუ დათქმულ ვადაზე არ გამოცხადებულა ჩემს წინაშე შენი პატრონი, კვირას ნაწირვევს საქვეყნოდ შევაჩვენებო მამასა და შვილს, ორთავეს.

ძღვენი უკან დაუბრუნა ორბელიანს.

კატაი მდუღარე ცრემლით ევედრა ვაჟს, ოჯახს ნუ დამიქცევთო შენ და მამაშენი თქვენის უჯიათობით.

რატი არ ამხელდა, მაგრამ შეჩვენების წინაშე შეკრთა თავათაც.

კვირა დილით დიდის ამალით წავიდა მანგლისს. თრიალეთის მთელი საერისთავო მოსულიყო მანგლისის საკათედრო ტაძარში. ურმები და ცხენები გარს დაჯორგვილიყვნენ ტაძრის გალავნის გარშემო. ხალხი ეკლესიაში ვერ დატეულიყო, გაჭედილი იყო უზარმაზარი ეზოცა.

როცა რატი ორმოცდაათი თოროსანი რაინდითურთ ტაძარში შევიდა, დიდი და მცირე უჭვრეტდა მათ. გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ ამალის წინ ამაყად მიმავალ, ვერცხლის თორიან ვაუკაცს. შეტბორებული ბრბო გაირღვა: რატი, რატიო... აჩურჩულდა დიდი და მცირე.

კისერს იგრძელებდნენ, ყველას ეს უნდოდა: სახე დაენახა მისი. შუბლშეჭმუხვნილი, აბრეზილი რატი ჯიქურ დაწინაურდა და დადგა „უწინარეს ყოველთა აზნაურთა ციხოვანთა“, საკურთხევლის მარჯვენა კარის პირისპირ, ამბიონთან, იქ, სადაც ლიპარიტ ორბელიანი დგებოდა ხოლმე.

პირჯვარი გადაიწერა.

აღსავლის კარიდან გამოვიდა ოქროს მიტრიანი, ბისონით შემოსილი, ტანმორჩილი ეპისკოპოსი, იგი აკმევდა და ღიღინებდა. ბშვიდი და აუმღვრეველი

---

[1]) მსგეფსი—შვიდი დღე კვირისა.

სახე ჰქონდა მანგლელს. ამალის აზნაურნი დარწმუნდნენ: ქარიშხალს გარდუვლია უკვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომაც შენიშნა: სულ ახლოს მოვიდა მღვდელმთავარი, ეკმეხედა კიდევაც მას და საცეცხლურის ელარუნით მიბრუნდა ძხარმარცხნით.

წირვა გათავდა, რატი ეკლესიიდან აპირებდა გასვლას და აღსავლის კარებიდან გამოვიდა მთლად გაფითრებული მღვდელმთავარი და ქადაგებას შეუდგა. შორიდან, ფრიად შორიდან მოუარა მან სათქმელს.

სუსტი ხმა ჰქონდა მანგლელს, უზარმაზარი ტაძრის მაღალი თაღების ქვეშ იკარგებოდა იგი. სულგანაბული მრევლი ყურს უგდებდა მის ქადაგებას, ახველებდა ჟამიდანჟამზე, ისპაჰანის ამბებს გადასწვდა, მალიქ-შაჰ სულტანის სიკვდილი ახსენა და წარსთქვა:

„შეძრწუნდეს წარმართნი, მიდრკეს მეფენი, მისცა ხმა თავისი მაღალმან და შეიძრა ქვეყანა, უფალი ძალთა ჩუენთანა... რომელ ქმნნა ნიშნები ქვეყანასა ზედა... მშვილდები შემუსროს და შეფქვას საჭურველი და ფარები დაწვას ცეცხლითა“...

განკითხვის დღეი შორს აღარაა, განაგრძო კირიონ მანგლელმა, სელჯუკიანთა სასულტანოზე უკვე შემართულია ცეცხლოვანი მახვილი განკითხვისა. ალფ-არსლანის, მალიქ-შაჰს და მათი სარანგების მიერ გადაბუგული სოფლების, ჩვენი მამაცი მეომრების სისხლის საბადლოდ მიუზღაო მალიქ-შაჰსა და მის ვაზირს უფალმა.

ერთბაშად სელჯუკიანთა სასულტანოს აღრევის ამბებს მოეშვა და ლიპარიტ ორბელიანი ახსენა, მოღალატე მეფისა, შჯულისა და მამულისა. წვრილად მოუთხრო მრევლს მისი უთავეამო განდრეკილობის ამბები.

„განიკვეთოს [1]) იგი“. სოქვა მღვდელმთავარმა.

„ვანიკვეთოს“, დაიბუბუნა მრევლმა და უცნაური ზუნი მოისმა მთელ ტაძარში.

„განიკვეთოს იგი, შინაგამცემი მეფისა და სამეფოისა ჩვენისა“.

დასძინა მანგლელმა.

რატის სიმხურვალე შემოეგზნო ლაწვის თავებზე. მამამისის ხსენებაზე ყურები გაუწითლდა და მდუღარებასაებრ გადაესხა სახეზე კირიონის მიერ შემდგომ ამისა წართქმული სიტყვები:

„შჯულისა, მეფისა და მამულის ქვეგამხედვარმან, ერისთავთ-ერისთავმან ლიპარიტ ივანესძე ორბელიანმან შეიმოსოს წყევა, ვითარცა სამოსელი და შთახდეს, ვითარცა წყალი ნაწყალევთა მისთა და ვითარცა ზეთი ძვალთა მისთა და ეყავნ მას წყევა, ვითარცა სამოსელი, რომელ შთაიცვას და ვითარცა სარტყელი, რომელსა მარადის გარე შეირტყამს“.

აცახცახდა ქედმაღალი რატი, ჩოქვით მიფორთხდა ბისონის ომფორით შემოსილ მღვდელმთავართან და ეაჯა: ოჯახს მაინც ნუ დაუწყევლიო მამაჩემს და კურთხევა გამოითხოვა მისგან.

მანგლელმა წამოაყენა მუხლმოყრილი ერისთავი და ჯვარი გადასახა. ეპიტიმია დააკისრა გაურჩებისათვის. უბრძანა: სამი მსგეფსის მანძილზე პურისა და წყლის გარეშე არა ეგემნა რა და თორგაუხდელად წოლილიყო შიშველ იატაკზე ღამით.

ლიპარიტისძე უდვრტვინელად შეუდგა ეპიტიმიით დაკისრებულ სასჯელის მოხდას, მაგრამ ამით არ დასრულებულა რატი ორბელიანის ვნებანი.

---

[1]) განიკვეთოს—ამ შემთხვევაში მოასწავებს ქრისტიანული ეკლესიიდან გაძევებას.

ლიპარიტ ორბელიანის სასახლეში ოდითგანვე ეკიდა ფასდაუდებელი ჯვარცმა, რომელიც კეისარმა კონსტანტინე მონომახმა უსახსოვრა ლიპარიტის პაპას — ლიპარიტ მესამეს, 1047 წელს, როცა „წარვიდა ლიპარიტ დვინად და ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა“.

ბოლოს, სულა კალმახელმა და მესხმა დიდებულებმა შეიპყრეს ლიპარიტ მესამე, მერმე ის იყო „ლიპარიტმა გამოიღო კლდეკარითგან თავისი ხვასტაგი და ჩაიცვა ჩუხანი“ და პალესტინას წავიდა.

ეს ჯვარცმა თან წაიღო იერუსალიმს ლიპარიტ მესამემ, სადაც შემოსაზვნდა და მოკვდა იგი. მისმა ძემ იოანემ ჯვარცმა კაცხს ჩამოიტანა, სადაც დაფლეს ლიპარიტ მესამის ნეშტი.

კაცხიდან ივანემ, მისმა ძემ, ჯვარცმა ლიპარიტის უბანში ჩამოიტანა და ლიპარიტ მეოთხის სიცოცხლეშიაც ესვენა საწოლის დარბაზში იგი.

სერდოლიკისგან გაკეთებულ გოლგოთის ბორცვზე აღმართული იყო შავი მარმარილოს ჯვარი. ზედ ეკიდა სამი სამსჭვალით სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი ქრისტე, მხოლოდ მკლავები ჰქონდა მიდგმული მხრისთავებთან ტორზოს.

ოდნავ დახრილი თავი ნაზარეველისა მარჯვნით იყო მიღრეცილი, ოდნავ გაღებულ პირიდან თითქოს ძახილს მოელოდა მხილველი.

უცნაურის ხელოვნებით გამოსახული იყო ეს ოდნავ მოქცეული, დამანჭული სახე, უმცირესი წვრილმანები ჯვარცმული კაცის წამებული სახისა. ხოლო გვემულ სხეულიდან მოსჩანდა ყოველი ძვალი, ყოველი სახსარი, ლავიწებთან ჩაღრმავებული მცირე ორმონი, ფერდებსა და ფერდებს შორის დაყოლებული ღარები, ხორცშემომჭკნარი ბარძაყის ძვლებისა და წვივების ირგამხთრე; სიფრიფანა ძვალნი ჯვარზე მილურსმულ ხელფეხისა და საწყალობელად დაღვლარჭნილ თითებისა.

კვარცხლბეკზე მიკრულ ოქროს დაფაზე ეწერა:

„ქრისტე შეიწყალე მონა ღვთისა, ბერი ანტონი, ლიპარიტყოფილი“.

ისეთის სინატიფით გამოეკვეთა მთელი სხეული უცნობ ოსტატს, ხორცისძიერი სირბილე ესესხებინა სპილოს ძვლისათვის საშრეთელის მპყრობელს.

კაცთა ცხოვრებაში ხშირად ხდება აგრე: ზედიზედ მოსულ ბედისწერის პატიჟთ ბუნების უცნაურობანი ზედ დაერთვება ხოლმე, ასეთ შემთხვევაში პანდორას სდებდნენ ძველნი ბერძენნი ბრალს, პრომეთეოსის რძალს, რომელმაც ქვეყანა გაავსო სიავით, ხოლო ქრისტიანნი — სატანას.

არსებითად არც პანდორას, არც სატანას წილი არ უძევს იმ ამბავში, რომელმაც თავზარი დასცა რატი ორბელიანსა და მის ოჯახს.

1093 წლის თებერვლის 3-ს, დილის ექვს საათზე, ვიდრე ჩრდილისძვრა დაიწყებოდა, მთელს თრიალეთში სამჯერ ოდნავ შეტოკდა მიწა, ორბელიანის სასახლეში ხელშინაურთაც არ უგრძვნიათ იგი.

იმ ღამეს ლიპარიტ ორბელიანს მოელოდნენ კლდეკარიდან. რატისათვის დაკისრებულ ეპიტიმიასაგან გაცოფებული ერისთავი მოუთმენლობამ შეიპყრო, თავათ აპირებდა ლიპარიტის უბანში ჩამოსვლას.

მთელი ღამე ფსალმუნს კითხულობდა და ლოცულობდა კატაი.

კედელზე დაკიდულ ჯვარცმის ქვეშ სამი უქრობელი სანათური ბჟუტავდა ჩვეულებრივად, ზეთისა. სერდოლიკისაგან გაკეთებული ბორცვი ღვივოდა, როგორც ცეცხლმოდებული ჯაგი.

კატაი ეეედრებოდა მაცხოვარს თავისი დაწყევლილი ქმრის, ეპიტიმია დადებულ ვაჟისა და საწყალობელი ქალის მაგივრად.

რატი თორგაუხდელად იწვა აგურის იატაკზე და ეძინა.

მორიგეობით ხვრინავდნენ კატაის საწოლის წინ დაგებულ ჯეირანის ტყავებზე მიგდებული მესაწოლე დიაცები, დაჟინებით ყივოდნენ მამლები.

ერთბაშად კატაიმ შენიშნა: ქრისტეს ორივე მკლავი მოსცილდა სამსჭვალებს, თავჩაქინდრული ჯვარცმული გადმოიხარა ძირს, ხელები ძირს ჩამოეშვნენ და იდგა ფეხზე მიჭდობილ სამსჭვალზე დაყრდნობილი ნაზარეველი, როგორც ქარაფზე შემდგარი მცურავი, რომელიც ორივე ხელს ბარძაყებზე მიიტმასნავს და ოდნავ მოდრეკილი წელში, ზღვის უფსკრულში გადასაშვებად შეემზადება ხოლმე.

კატაი შეძრწუნდა, ლოგინიდან წამოვარდა და იკივლა. წამოცვივდნენ მესაწოლე დიაცები, რატი გააღვიძეს, ჭაღები აანთეს, რატიმ თვალები მოიფშვნიტა, თავზარი დაეცა მასაც და ოთხივენი გაიქცნენ საწოლის დარბაზიდან.

ეზოსმოძღვარმა ზოსიმემ მამაი ბასილი ახმობინა მონასტრიდან მყისვე. დადიოდა სასახლის დარბაზებში შემოსილი არქიმანდრიტი, ბერების დიდი ამალით; ფსალმუნებს გალობდნენ და აკმევდნენ.

თავჩაქინდრული, გულზე ხელებდაჭდობილი რატი უკან დაყვებოდა მათ და საწყალობელი ხმით ღიღინებდა თავათაც:

„მოყავ უფალო ყური შენი და ისმინე ჩემი, რამეთუ გლახაკ და დავრდომილი ვარ მე“...

## XLVIII

## თოვლისკაცი

საკმაოდ გულდინჯი ჯონდი ერისთავიც მოუთმენლობამ შეიპყრო. რატი ორბელიანის ეპიტიმიას ბოლო აღარ უჩანდა. ქარიმან სეტიელის შენახვაც გაუჭირდათ თაკვერელ აზნაურებს, გარდა ამისა, მომეტებულ ყურადღებას იქცევდა იგი თავისი დევკაცურის ანაგობითა. ბერული საზრდო აღარ ყოფნიდა მას, რადგან ერთი თოხლი საუზმედ შემოეჭმებოდა ხოლმე ამ უძღომელას.

მშია, მშიაო, შესჩივოდა მეგობრებს ბალღივით. ბოლოს ჯონდიმ და მამაი ბასილიმ მოითათბირეს, შოშილეთის ეკლესიაში დაასახლეს ქარიმან, ლიპარიტის უბნიდან უგზავნიდნენ ხორცეულს.

თმენის ღონე ეცლებოდა ქარიმანს, ერთ ღამეს ასეთი ყმაწვილური თათბირი მიაწოდა მან ერისთავს: თაკვერელ აზნაურებს წარუძღვები, ღამით თავს დავესხმებით და სასახლიდან გავიტაცებო რატის.

ჯონდის უკვე მოესწრო ლიპარიტის უბნის შეთვალიერება. სასახლესა და მონასტერს გარს ერტყა საკმაოდ მაღალი გალავანი ქვითკირისა. ხოლო გალავანს უსიერი ტევრი.

მონასტრის სიახლოეს საბრძოლო გოდოლი იდგა. თავათ სასახლე ორსართულიანი იყო, თლილი ქვისაგან აგებული, მასაც ციხისებური სამზერები და საისრეები ჰქონდა დატანებული კედლებში, ასე რომ გალავნის გადამლახველ მტერს დიდად გაუჭირდებოდა მისი აღება ფილაკავანების დაუხმარებლად.

ღამღამობით ჯოგის ძაღლებს აუშვებდნენ ხოლმე და ისინი შეელოდნენ სასახლის გარშემო ტალად დამდგარ სპათა.

საგონებელში ჩავარდნილ ჯონდის მსტოვარი მოუვიდა ბანასაროთ. შერგილ ლიპარტიანი იწერებოდა: მეფე ნაჭარმაგევიდან აპირებს მუსათგვერდს სპიანად წასვლას, ჩვენი პატრონი დარწმუნებულია ტყის გაფოთვლამდე შეასრულებსო დანაკისრებ საქმეს თაკვერის ერისთავი.

ჯონდი სირცხვილისაგან იწვოდა. დავით მეფემ ესოდენი ნდობა გამოუცხადა წინასწარ, თაკვერელ ლაშქართა სპასალარობა ისე მიუბოძა, რომ უბრალო საბრძოლო კენწლაობაშიაც არ გამოეცადა იგი. მოვლენანი ისე უხიაგად წაეწყვნენ ურთიერთს, შეუძლებელი სჩანდა რატი ორბელიანის შეპყრობა.

კიდევ სამი კვირა და რატი ეპიტიმიას რა მოათავებდა, ამალითურთ კლდეკარს წავიდოდა ალბათ და კლდეკარის ციხეში მას ქაჯიც ვეღარ შეიპყრობდა მერმე.

ერთ საღამოს თავი მოუყარა თაკვერელ აზნაურებს ჯონდიმ და განუცხადა: თუ დანაკისრები ვერ შეასრულეთ, თქვენ მხოლოდ ჩემს ცხედარს წაიღებთო თრიალეთიდან.

უეცარმა აზრმა გააშუქა შემჭირვებულის გონება, მაგრამ აქაც მანგლელის თანადგომა იქნებოდა საჭირო.

წინასწარ მოეთათბირა მამაი ბასილის; დააიმედა არქიმანდრიტმა: გულოვანი ვაჟკაცია კირიონი, ალბათ შეგისრულებთო წადილს.

ზამთრის ბნელსა და ქარიან ღამეში აიყოლია ჯონდიმ ქარიმან სეტიელი და შოშილეთიდან მანგლისს წავიდნენ ფეხით.

კირიონ მანგლელმა დიდის პატივით მიიღო დავით მეფის მიერ წარმოგზავნილნი აზნაურნი, გაიხარა ფრიად, შამან ერისთავის ვაჟი რომ აღმოჩნდა. ახალგაზრდა ერისთავი, მეფის იდუმალ დავალებათა აღსასრულებლად თრიალეთს ჩამოსული.

ჯონდის მამისაგანაც ჰქონდა განაგონი კირიონ მანგლელის უებარი სიმამაცის ამბები და გაოცდა, როცა ახოვანი ვაჟკაცის ნაცვლად წარუდგა იგი თავმოტვლეპილსა და ჩია მოხუცს, რომელსაც ჩამიჩივით დაჭმუჭვნილი სახე ჰქონდა. ძაბუნი ხმა. წვრილი, მაგრამ შუბლმაღალი თავი; როცა იღიმოდა, ნაოჭები ესეოდნენ წვრილ და ქარვისფერ თვალის უპეებზე.

უხშირო, მოწითანო წვერი ნიკაპის გარშემო ჰქონდა გაჟღალებული, ხოლო გამელოტებულ თავზე ალაგ ალაგ ჰქონდა ჭაღარა შერჩენილი, ისეთი უსუსური, როგორც ბატების მიერ მოძოვილი კორდელა. არც მის მიკნავლებულ ხმაში, არც მის ანაგობაში ნასახიც არა სჩანდა სიმამაცისა.

ქარიმან სეტიელი მადიანად ილუკმებოდა, ხანდახან მზერას ესროდა მასპინძელს, უკვირდა: ვინ მისცაო იმდენი გამბედაობა ამ ძაბუნ მოხუცს, შებრძოლებოდა ლიპარიტ ერისთავს, რომლის წინააღმდეგ ფილაკავანებით აღჭურვილ დავით მეფესაც ჯერ ვერ დაეწყო ომი.

მაგარი ქარი რომ წამოეწიოს სადმე ხეობაში, ბურბუშელასავით თან წაიღებსო, ფიქრობდა ქარიმან.

როცა გაწყობილ სუფრას მოუსხდნენ სამნი, კირიონმა თვალი მიანათა ჭაბუკ ერისთავს და უთხრა:

„მე და მამაშენი ალგეთთან ბრძოლაში ვახლდით მეფეთ-მეფეს გიორგის,

ახლად ნაკურთხი მღვდელი ვიყავი მაშინ, თორი მეცვა საკურთხეველი და ჯვრით წინ ვუძღოდი შიდა-ქართლელ სპათა".

ვიდრე მანგლელი გადახდილი ომების ამბებს უთხრობდა, ჯონდიდან სეტყელმა იდროვა და ღორის სუკი გადასანსლა ერთი. ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

როცა წვევის მიზეზი გამოჰკითხა მანგლელმა ერისთავს, ამ უკანასკნელს გაუჭირდა თავისი აჯა შეუფარველად ეუწყებინა მისთვის, ბოლოს მაინც მოიკრიბა მხნეობა და დაიწყო:

„ერთი საათხოვარი უნდა შეგვისრულო, მამაო სახიერო, ოდონდ გვევედრებით, მიზნის კითხვას ნუღარ ინებებთ ჯერხნობით, მამაი ბასილი მოგახსენებდათ ალბათ თუ რისთვის წარმოგვგზავნა ჩვენ მეფემან დავით. ახლა ამას გთხოვთ მხოლოდ: ეპიტიმიის ვადა შეუმოკლოთ ორბელიანს რატის".

კირიონ მანგლელს ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა ბაგეზე, წვერს წაეპოტინა, მცირე ხანს აფათურებდა თავის ჩხირისებრ თითებს ნიკაპს ზემოთ, უხშირო თმებში, ბოლოს თვალი გაუმართა თაკვერის ერისთავს და უთხრა:

„მაშ თქვენ რატი ორბელიანის შესავრდომებლად მობრძანებულხართ ჩემს სასახლეში, შვილნო"?

ჯონდის გაბუტული ტუჩები ოდნავ საჩინო ღიმილმა შესძრა, თელის ფოთლისებრ წაწვეტებული ყურები გაუწიფლდა და შესცინა კირიონს:

„აგრე გამოდის, მამა სახიერო".

„მესმის, მესმის... სთქვა მკაფიოდ, მოხუცმა, ხვალვე მსახურთუხუცეს წარვგზავნი ლიპარიტის უბანში, რატის ვიხმობ და ეპიტიმიას ავხსნი უცილოდ".

*
* *

რატი ორბელიანმა დიდძალი საკლავი გაგზავნა მანგლისს, კირიონმა ითაყვანა იგი; ეპიტიმია რა ახსნეს, გახარებული დაბრუნდა ლიპარიტის უბანში.

ეზოსმოძღვარმა ზოსიმემ ამცნო თაკვერის ერისთავს: დათვზე სანადიროდ ემზადებაო ლიპარიტისძე. გათამამდა ჯონდი. უკვე დღისითაც შედიოდა სასახლის ეზოში, გაერეოდა ხოლმე მარნებისა და სახაბაზოების წინ მოყაყანე ყმებში, ყურს მიუგდებდა მდაბიორთა გულისხმას.

ყველა იცნობდა სასახლეში თავაზიან კლარჯეთელ მეროქიკე ბერს. ჯვარცმის ამბავი ჯერაც ბაგეზე ეკერა დიდსა და მცირეს. თრიალეთის ერისთავის გამუსლიმებამ ისე გააბრაზა მაცხოვარი, იგი ჯვარიდან ჩამოიხსნა და ორბელიანთა სასახლიდან აპირებდაო გაქცევას, მაგრამ წმინდა კაცია მამაი ბასილი, ეს მისმა ლოცვებმა მოულბესო ნაზარეველს გული.

ერთ საღამოს თორნეების წინ იდგა ჯონდი და ხაბაზების ყაყანს ისმენდა. სთოვდა, ფიფქავდა ოდნავ. ეზოში მორიალე ხელშინაურთ ურთიერთისაგან ვერ გაარჩევდა კაცი; მაინც შენიშნა ჯონდიმ: ხარისხნი სასახლის კიბისა ჩამოათავა რატიმ და უხმლოდ, უმუზარადოდ გადაიარა ზღუდე, მერემეთუხუცესის ამარად თავლებისაკენ წავიდა.

მცირე ხნის შემდეგ უკან გამობრუნდა ლიპარიტისძე. ჯონდი გათამამდა, ჩაელა აცალა რატისა და მერემეთუხუცესს, ბოლოს იდროვა და უკან მიყვა ორივეს.

„რამდენი ცხენი დაგჭირდებათ, ერისთავთ-ერისთავო, ზეგისთვის?" შეეკითხა მერემეთუხუცესი.

„ოცდაათი, მიუგო პატრონმა. ჩემთვის მრეშაი შეაკაზმეინეთ, ეთვალში იგი ეჯობებს, არა?“

„მრეშაის მუხლი არ მოშუშებია, ერისთავთ-ერისთავო, ჯერაც“

„მაშ ზერდაგა იყოს, ეჰე. თუმცა, არა, ხვალ საღამოს თავათ გავუსინჯავ ნაიარევს მრეშაის“.

„ნება თქვენია, ერისთავთ-ერისთავო, ბატონო“...

ეგეც კმაროდა ჯონდისთვის, სასახლის კიბემდის არ მიჰყოლია წინ მიმავალთ და გამობრუნდა. გახარებული მიბრუნდა მონასტერში.

თოვა მიატოვა ნამწუხრევს, მთვარე ამოვიდა ქარისმიერ მოწმენდილ ცაზე. ჯონდიმ აიყოლა თაკვერელი აზნაური ღარიბაისძე ფეშანგი და თავლების დასაზვერად წავიდნენ. ორბელიანთა თავლები იმყოფებოდა სასახლის ზღუდეთა გადაღმა გორაკზე, ნაძვნარის გვერდით.

კორდზე სამიოდე კაცის ლანდი შენიშნეს თაკვერელებმა სუდარით მოსილნი. განუძრევლად იდგნენ ისინი, როგორც ტალად დამდგარნი სპანი.

ჯონდი შეცფუნდა: მზირები ხომ არ დაუყენებიაო დაშინებულ ორბელიანს ამ თავლების წინ. სატევარი მოსინჯა ბერულ ჩოხის ქვეშ. რა მიეახლნენ, თოვლის კაცები აღმოჩნდნენ. ახლა მოაგონდა: თავლების წინ თოვლაობდნენ ხოლმე საღამოობით მერემეთაგანნი, ყრმანი. აქვე პაწია სახლები და ყინულის კოშკები აეგოთ მათვე.

საჯინიბოში არავინ დაუხვდათ, მხოლოდ ცხენების ფრუტუნი მოისმოდა ეამიდანეამზე. ორი მხრიდან ნაძვის ტევრი ემიჯნებოდა საჯინიბოს, დასავლეთისაკენ დაქანებული სადენი ხევის წყალისა, კარგა მანძილზე უნდა ეარნა ბილიკ-ბილიკ კაცს, ხრამამდის რომ მიეღწია ბოლოს. ახლა ბილიკები დათოვლილნი იყვნენ, ასე რომ საჯინიბოდან გამოსულს შეეძლო კოტრიალით ჩასვლა ზედ ღელის პირამდის.

ორგზის შემოუარეს თაკვერელებმა, ბოლოს ისევ ამ ადგილს მიუბრუნდნენ და დააცქერდნენ მთვარის შუქით განათებულ ხეობას. დაღმართს ჩაჰყვნენ, დიდხანს იარეს თოვლში და მიაღწიეს ამომშრალ სადენს ღელისას.

თოვლის ქვეშ ეღურტულებდა წყალი, სილრმის გასინჯვაც საჭიროდ სცნო თაკვერის ერისთავმა.

ღარიბაისძემ გასტოპა, წელამდის უწია გაღმა გასულს ღელემ, ისევ გამოღმა გამობრუნდა იგი და ეუბნება ჯონდის:

„ეს მხარე ჯობია უთუოდ, ღელეს გადაღმა ხშირი ტყეა ღიჭიანი და მდევარს გაუჭირდება უკან გამოდგომა, ერისთავო, ბატონო“.

თავლებისაკენ მიბრუნდნენ კვლავ, ზეგანის ნაძვნარები შეათვალიერეს. ჯონდიმ სთქვა:

„ამ ნაძვნარებში გაქცევა ძნელია, ტყე უხშიროა და, თუ გასჭირდა, ცხენდაცხენ გამოგვიდგება მდევარი“.

მცირე ხანს უხმოდ იარა მონასტრისაკენ მიმავალმა ორმა ლანდმა, ბოლოს ხმა გაიღო ისევე ჯონდიმ:

„შენ ახლა შოშილეთს წადი, ფეშანგი. ქარიმანი წამოიყვანე, ჯაჭვ-საჭურველნი თან წამოიღეთ. ისარ-მშვილდნიც დაგვჭირდება, ტყავკაბები არ დაგაიწყდეთ, იცოდეთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მეორე დღეს დილიდანვე მოუხშირა თოვას. უხვად [illegible] ასხასა თოვლი.

შესაღამოვდა თუ არა, ქარმა იძალა, ნამქერს სცრიდა ჰაერში. სწორედ თოვლის კოშკების მახლობლად დაიწყეს თოვლაობა მწყემსურ ტყავკაბებში მორთულმა თაკვერელებმა.

ქარიმან სეტიელი მიეყუდებინათ თოვლის კოშკთან. თოვლში ჩაფლული წელამდის, ულვაშებიანად თოვლში ამოთხვრილი უზარმაზარ კერპს მიაგავდა იგი. რვა კაცი უშენდა მას გუნდას ყოველი მხრიდან.

ყველაზე ადრე ჯონდიმ შენიშნა: რატიმ მოათავა შელმარი. მერემეთუხუცესი უკან მოჰყვებოდა პატრონს.

მანვე გაიგონა რატის ნათქვამიც:

„თუ ამაღამაც ითოვა, ცხენები აღარ დაგვჭირდება, ალბათ“.

„მეც ეგრე მგონია, ერისთავთ-ერისთავო, ბატონო, ნაძვნარებში ვერ ინადირებთ ცხენდაცხენ“.

მიუგო მერემეთუხუცესმა.

რატიმ შენიშნა მეთოვლავენი, გაუკვირდა ოდნავ: ამოდენა ვაჟკაცებს ისე როგორ მოსწყენიათ, თოვლაობა რომ დაუწყიათო? რატის დანახვაზე ქარიმან სეტიელი გაშეშდა. ლიპარიტისძემ შეხედა: თოვლისკაცი ეგონა შორიდან იგი. გზა განაგრძო, ასე იფიქრა: მერემენი ყმაწვილობენო, და თავლისაკენ გაემართა ნელი ნაბიჯით.

ქარიმან სეტიელმა კარგა მოზრდილი გუნდა დაამრგვალა და ესროლა. გუნდა ზედ ყვრიმალზე მოხვდა ორბელიანს, მაგრამ აგრე ივარაუდა: ალბათ ერთმანეთს ესროდნენ და შემთხვევით მომახვედრესო.

ხელახლა ესროლა ქარიმანმა.

მერემეთუხუცესი შესდგა, მერემენი ეგონა მასაც, უყვირა:

„რა თავს იგდებთ, ნუთუ ვერ ცნობილობთ თქვენს პატრონს?“

„ვიცნობთ, ვიცნობთ, ვინცა ბრძანდება“, იჯღანება ქარიმანი, ახლა მესამე გუნდა მიაყოლა და ზედ ცხვირპირზე გაარტყა ერისთავს. თაკვერელი მეჯინიბე ღორღია მერემეთუხუცესს ეცა და ლავაშივით დაკუჭა იგი, თაექვე ჩაამხო თოვლში, ჯონდი და ქარიმანი რატის ეძგერნენ, დიდხანს ებრძოლა ორ ვაჟკაცს ორბელიანი, ბოლოს ქარიმანმა მისი მარჯვენა მკლავი მხარზე წაშოიგდო ანაზდად, ხრამისაკენ დაითრია ლიპარიტისძე.

მეჯინიბე ღორღია მერემეთუხუცესს მოეშვა, რადგან მან უმატა ყვირილს და ხრამისაკენ გაქცეულ თაკვერელთ ვასდია.

რატის ოთხი ვაჟკაცი მიათრევდა დალმართში, მან ყვირილი არ იკადრა, სამაგიეროდ ხან მკლავს გაინთავისუფლებდა, ხან ფეხს და დაუზოგავად სცემდა თავდამსხმელებს.

მერემეთუხუცესის ყვირილზე გამოცვივდნენ კეტებით აღჭურვილი მერემენი, ძაღლები აუშვეს და გამოენთნენ პატრონის გამტაცებლებს.

ქარიმანმა შენიშნა: დალმართში ფეხი უცურდებოდა ბიჭებს, ერთბაშად ხელი შეაშვებინა დანარჩენთ, თავათ ეძგერა ორბელიანს, მკლავი გადახვია და ორივენი კოტრიალით წავიდნენ ძირს, დანარჩენნიც ტყავკაბების კალთებზე დასხდნენ და ასე ჩასრიალდნენ ხევში.

საშინელი სტვენა და ქოთქოთი ატყდა ორბელიანთა სასახლეში. ვერეს დუმბულებს, უკვე ბნელოდა და არავინ იცოდა, რა მოემოქმედათ.

მერემეთუხუცესი და მერემენი დაიბნენ, ისინი ვერ მიხვდნენ ცოცხალითა ჩასულიყვნენ ხრამში, ნაბილიკარებს მიჰყვნენ, მაგრამ ბოლოს მაინც წამოეწიენ თაკვერელებს.

რატი ქარიმანსა და ლორლიას შეატოვა ჯონდიმ, თავათ სატევარი გააშიშვლა, წინ გადაეღობა მერემეთა, გარეკა ისინი; ამ კენწლაობისას ერთი მერემე თოვლში წაიქცა დაჭრილი, მერემეთ სძულდათ რატი, მათ არც თუ გულით ეწადათ თავის გამოდება მისთვის, დაჭრილ ამხანაგს მისცვივდნენ, ხოლო მერემეთუხუცესმა ძაღლები მიუსია გაქცეულთ.

ქარიმანს ამასობაში ისევ მხრებზე წამოეგდო ცხრა ვაჟკაცთან ბრძოლისაგან ქანცმილეული რატი. ღელეს გაღმა აპირებდა მის გაყვანას, მაგრამ ამ დროს ჯოგის ძაღლი ეცა ფეხში. ჰავაიო, იყვირა ქარიმანმა. რატის ხელი გაუშვა, სატევარი გააშიშვლა, ძაღლი ერთის დაკვრით განგმირა და ისკუპა, ღელეს გადაღმა გადაეშვა.

ჯონდიმ შენიშნა: სისხლი ღვართქაფით მოსდიოდა წვივიდან სეტიელს. ახლა მან ქარიმანი აიკიდა, წამოეშველნენ ბიჭები და მაჯაგანით შეათრიეს ტყეში.

რვა ვაჟკაცმა მხრებით ატარეს ქარიმან სეტიელი ტყე-ტყე და ძლივს მიათრიეს კირიონ მანგლელის თავლებამდე იგი.

* * *

დიდი შიშიანობა ჩამოვარდა ლიპარიტის უბანში.

რატი ხუდავდა: უკვე სახიფათო გახდა მანდ დარჩენა მისთვის. ხულუტის ციხეში აპირებდა გადასვლას, მაგრამ ხანგრძლივ გვემისა და თრევისაგან ისე დაბეჟილი იყო, ვერც ერთ გვერდზე ველარ წვებოდა.

ლიპარიტ ორბელიანი ჩამოვიდა კლდეკარიდან მოულოდნელად. იგი არ დაეთანხმა რატის: დავით მეფის მოგზავნილი არ უნდა იყვნენო გამტაცებელნი. ბეშქენ ჯაყელს თვალი უჭირავს თრიალეთის ციხეებისაკენ, ალბათ მისნი მსტოვარნი იქნებოდნენო ისინი.

ერთი ამბავიც მოაგონდა ერისთავს: სიჭაბუკეში ავხორცა იყო რატი. სადღაც ხატობაზე მან თვალი დაადგა ჯავახეთში ერთ დიაცს, ღამისთევის დროს მოიტაცა იგი მთვრალმა, ხულუტის ციხეში მოიყვანა, სამ თვეს ხარჭად ჰყავდა, ბოლოს მობეზრდა და პატრონს გაუგზავნა.

ეს ქალი აღმოჩნდა ფანაკარის ციხის პატრონის, ხურციასძის ასული, ღვიძლი დისწული ბეშქენ ჯაყელისა.

გაგულისდა თუხარისის ერისთავი და დაიქადნა: რატი ორბელიანს შევაჭყლეტინებ და თუხარისის ციხის დილეგში ამოვხდიო სულს.

ხუთმა წელმა გავლო მას შემდეგ, მაგრამ ლიპარიტმა კარგად იცოდა: ავგული იყო ბეშქენ ჯაყელი. ამიტომაც ივარაუდა ახლაც: ალბათ თუხარისის ერისთავმა გაუხსენაო სიჭაბუკის ცთომილებანი რატის.

გარდა ამისა, ამასაც ამბობდა ლიპარიტ:

მეფეს ჯერ არა სცალია ჩვენთვის. უტყუარი ცნობა მომიტანა ჩემმა მსტოვარმა: დავით მეფე ნაჭარმაგევიდან აყრილა სპიანად, მტკვარს ალმა დაჰყოლია, ტფილისის ამირას მსტოვარნიც იუწყებიან: ბანუ-ჯაფარის საწურთვნელად ემზადებაო მეფე.

## XLIX

## დედამიწა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა მოულოდნელმა ამბავმა სულის მშვიდობა განუმკაცრა: ... და როგორც ქვევით დავინახავთ, იგი ჩაიდინა მეფემ არა მარტო ზედაზენის ციხის პატრონის — ძაგანისა და ტფილისის ამირას, ბანუ-ჯაფარის შესაკრთომად, არამედ ლიპარიტ ერისთავისათვის თვალის ასახვევადაც.

უკანასკნელი მიწისძვრა კლდეკარში საგრძნობი იყო, ციხის კედლები თვალსაჩინოდ დააზიანა, ლიპარიტმა ოსტატები დააყენა, თავათ ლიპარიტის უბანში გადმოსახლდა, იმ ვარაუდით: ვინძლო დავით მეფე მუხათგვერდიდან დააპირებდა თრიალეთში შემოჭრას, ლიპარიტის უბანთან ახლოს იყო ორი მაგარი ციხე: ხულუტისა და ბერი-ქალისა, ეს უკანასკნელი კლდეებით იყო შემოზღუდული.

* * *

ჰაშიშჲუნების მიერ მალიქ-შაჰსა და ნიზამ ალ-მულკის მოკვლას ქრისტიანების დევნა თან მოჰყვა პალესტინასა, სირიასა და მცირე აზიაში, სომხეთში ეკლესიები დაარბიეს, ხარაჯა და ჯიზია გაუორკეცეს მკვიდრთა.

ეს მოხდა იმიტომ, რომ სელჯუკიანთა ამირები დარწმუნებულნი იყვნენ: ფანატიკოს ჰაშიშჲუნების უკან ქრისტიანი მეფენი და ეპისკოპოსნი იდგნენ. ამ დევნის ტალღა ტფილისის საამიროსაც გადმოწვდა ბუნებრივად.

აქაცა გაადიდეს ხარაჯა და ჯიზია, განუკითხავად ხოცავდნენ ქრისტიან ქართველებს და არბევდნენ სომხებს.

„ქალაქი სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: ოდესვე ჰყვიან ღაღავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრიან რაოდენნი ჰპოვიან ქრისტიანენი. ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა განსცნიან, შემომავალ, გამომავალ ქრისტიანენი და ტყვეობად სიკვდილისა მისცნიან და ესრედ იხუროდა ქვეყანა მრავალ-ჟამ“.

დიდხანს უცადა ჯონდი ერისთავისაგან მალემსრბოლს ნაჭარმაგევს სპიანად მდგომმა მეფემ; არც კირიონ მანგლელი, არც თაკვერის ერისთავი არაფერს იუწყებოდნენ. ანთიმოზ ბერი გაცივებულიყო ლიხზე გადმოსვლისას, ყინცვისის მონასტერს შეხიზნოდა ბედშავი. მხოლოდ ბერებს, მანგლისიდან შემთხვევით ჩამოსულთ, კანტიკუნტად მოჰქონდათ თრიალეთის ერისთავისა და მისი სახლეულის ამბავი.

მეფე უჩვეულოდ ღელავდა, რადგან კარგად იცოდა: თუ რატიც კლდეკარში შეასწრებდა, მერმე იქიდან მამა-შვილის გამოსაყვანად დიდძალი სისხლის გაღება დასჭირდებოდა სამეფოის ლაშქარს და ამას ერიდებოდა იგი.

შერგილ ლიპარტიანი და გიორგი ჯყონდიდელი პირიქით ასე ურჩევდნენ მეფეს: ჯერ ძაგან ერისთავსა და კახთა მეფეს კვირიკეს გავუსწორდეთ, მერმე შეუდექიო ლიპარიტ ერისთავის წურთვნას.

დავითი სდუმდა.

მას ცნობა ჰქონდა, რომ მიჯნების გამო ცილობა უკვე მოთავებული ჰქონოდა ძაგანს, კვირიკესა და ლიპარიტს, ტფილისის ამირასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სამივენი, მაგრამ ბანუ-ჯაფარი კოჟრის ციხეს ეპოტინებოდა, ამიტომაც განზე დარჩა ჯერჯერობით ტფილისის ამირა.

დავითი დარწმუნებული იყო, თუ იგი ზედაზენის ციხეს შემოეწყობოდა, ლიპარიტ ერისთავი ვერის ხეობის სათავეებით გადმოვიდოდა სპიანად, მუხათგვერდის ციხეს იოლად აიღებდა და ზურგში მოექცეოდა საქართველოს ლაშქარს.

ეს ფრიად საგრძნობი ძალა იყო, რადგან თრიალეთის ერისთავს შეადასი მძიმედ შეჭურვილი რაინდის გარდა, ოცი ათასი ცხენკვეთელი მონასპა ჰყავდა, მეციხოვნეთა ჩაუთვლელად.

დავითს ნაჭარმაგევს დგომისას, მსტოვარების მეშვეობით, კარგად ჰქონდა შესწავლილი კვირიკე კახეთ-ჰერეთის მეფისა და ძაგან ზედაზენის პატრონის საომარი უნარი.

ცხენოსანნი სპანი მათ თითქმის არ გააჩნდათ, აზნაურთა კიდეგან, ციხეებში გამაგრება დიახაც შეეძლოთ, უკეთუ კვირიკე და ძაგანი მეციხოვნეებს გაიყვანდნენ სიმაგრეებიდან და ლიპარიტის საშველად წარგზავნიდნენ თრიალეთს, იმჟამად მთებში გახიზნულნი, მეფის ერთგულნი აზნაურნი კახნი, არიშინისა და ბარამისძისა წინამდგომობით ბარად ჩამოვიდოდნენ და კახეთ-ჰერეთის ციხეებს სადაოდ გაუხდიდნენ მათ პატრონთ.

სელჯუკიანთა სასულტანო ისე აირია, სამთაგანს, არც ერთს, თურქის ჯარის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

დავითს წესად ჰქონდა: თათბირი ყველასაგან გულდინჯად მოესმინა, მაგრამ უდიდესს საიდუმლოს თავათ ინახავდა გულში.

თებერვლის მიწურულს თავის მსტოვარებს ხმები დაარხევინა შიდაქართლში, ბანუ-ჯაფარის მიერ ქრისტიანთა დევნის საპასუხოდ ტფილისის ასაღებად გაილაშქრებსო მეფე.

აიყარა და მუხათგვერდის ციხის სანახებში დაბანაკდა სპიანად.

შერგილ ლიპარტიანი თან ჰყავდა, ხოლო გიორგი ჭყონდიდელს უბრძანა: სამი ათასი მარგვეთელი მოისარი პირველი ხმობისთვის მზად ჰყოლოდა გეგუთში.

შერგილ ლიპარტიანიც კი დარწმუნებულ იყო მუხათგვერდთან მტკვარს გადალახავდა მეფე, ტფილისის საამიროს ჩრდილოეთიდან გადაუვლიდა და კახეთ-ჰერეთის ციხეებს შემოეწყობოდა.

ეს ფრიად გონივრულად მიაჩნდა სპასალარს, რადგან, თუ მეფე მანდაურ ციხეებს გასტეხდა, უკან მობრუნებულნი ერთის ჩამოქროლებით აიღებდნენ ზედაზენის ციხეს და შემდგომ ამისა, მოსდგებოდა თრიალეთის ერისთავის ჯერი. გვარამ ერისთავმა მარიამ დედოფლის მიერ გამოგზავნილი წიგნი ჩამოუტანა დავითს.

ფრიად სასიხარულო ამბებს იუწყებოდა მამიდა მარიამ.

ვაჟი მისი, კონსტანტინე პორფიროგენეტი მართლაც გაეხვიათ ალექსი კომნინის მტრებს კეისრის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყების ხვანჯებში, მაგრამ გულმოწყალე იმპერატორს ხათრი დაედო თავის დედობილისათვის და გაენთავისუფლებინა კესაროსი კონსტანტინე სულგრძელად.

გარდა ამისა, ნიანია ბაკურიანის ტყვეობიდან გამოსყიდვის საქმესაც ამცნობდა მარიამი დავითს:

ქილირჯ არსლანის სარწმუნო კაცი — აბდ-ელ-ვაჰიდ დაბეჯითებით მპირდება: უთუოდ გამოგაყიდვინებო ნიანია ბაკურიანს. ამავე ბარათიდან გამოარკვია მეფემ: საკმარისად უთრევია ნიანია თავის უცნაურ ბედს. ჯავახეთიდან მის გამტაცებელ თურქებს ისპაჰანში წაუყვანიათ ნიანია. ბარქიაროკის ამირებს ბაღდადს წარუტანებიათ ტყვე, სულტანის-ძის დამარცხების შემდეგ

ტუტუშს ჰრგებია იგი, როგორც ნადავლი, ტუტუშს ამირ-ალ-ლაზისთვის მიუყიდნია. იერუსალიმში იმყოფებაო ამ ჟამად ნიანია, როგორც ნეჯიმ-ედდინ-ილ-ლაზის ტყვე. ილ-ლაზი თვალის ჩინივით უვლისო [illegible] ტიკის ბაკურიანის ვაჟს, იმ იმედით, რომ გურჯისტანის მეფეს [illegible] ტრემს გადაიხდისო.

სათნო მამიდას ქრისტესმოყვარე ძმისწულისათვის გამოეგზავნა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ხელახლა ნათარგმანები სამოციქულონი და ღორის ტყავში დაკანული ორგანონი არისტოტელისა, არაბულ ენაზე.

ადამიანების საერთო სენია აგეთი:

სამწუხარო ამბების დაწერას უფრო ერიდებიან ისინი, ვიდრე თხრობას მათსას. არც მარიამ დედოფალს მიუწერია ერთი რამ, რაც ბეჭისციხის პატრონმა უამბო მეფეს:

კეისარს ალექსი კომნინს ხერსონს გადაუსახლებია ცრუუფლისწული, ვითომდაც კონსტანტინე დიოგენისძე.

ამ ქალაქის გოდოლთაგანი ერთი დილეგად ყოფილა ქცეული და აქ დაუმწყვდევია „დიოგენისძე“ იმპერატორს.

ყიფჩაღნი რკინის სასყიდლად დადიოდნენ თურმე ხერსონში, მათ მოუქრთამავთ მეკლიტენი იმ გოდოლისა და სტეპებისაკენ გაუტაცნიათ ცრუუფლისწული.

ტოგორტაკსა და ტოგორტაკს ჯერაც არ დავიწყნოდათ თუ რა „უმადურად“ მოექცა მათ კეისარი ალექსი კომნინი. ცრუ დიოგენისძე რა იხილეს თავიანთ ბანაკში, გაიხარეს და ბიზანტიის კეისრად გამოაცხადეს იგი. ბოლოს არ დააყოვნეს, აჰყარეს ურდონი და საკეისროს დასაპყრობად თან წამოიყვანეს ცრუკეისარი.

ალექსი კომნინი ხედავდა ფუ რა საშინელი ქარბორბალა მოიწევდა მისი დაუძლურებული იმპერიის დასაპყრობად, ამიტომაც ბალკანეთის მთების კლისურები გაამაგრა დაუყოვნებლივ.

ამ უეცარი განკითხვის ჟამს, თავათ იმპერატორმა ვერ გადასწყვიტა როგორ მოქცეულიყო: ბრძოლით წინ შეგებებოდა მოძალებულ მტერს, თუ ციხეებში გამაგრებულიყო სპიანად? სასწრაფოდ მოიწვია სარდალთა, ნათესავთა და უხუცესთა საბჭო.

უწინარეს ყოველთა სიტყვა აიღო თავათ.

ალექსი კომნინს ფილენჯი სჭირდა, მიუხედავად ამისა, მამაცი ვაჟკაცი იყო იმპერატორი, უყოყმანოდ ამცნო საბჭოს: ბრძოლით შეეგებოთო ყიფჩაღებს. სინკლიტის [1]) წევრნი შედრკნენ, მათ ერთხმად ურჩიეს კეისარს: ციხეებში გავმაგრდეთ და აგრე დავუხვდეთო მტერს.

მაინც შეყოყმანდა იმპერატორი და ბოლოს გადასწყვიტა „შეთათბირება ღმერთთან“.

ამგვარ შემთხვევაში ბიზანტიის კეისრებს წესად ჰქონდათ: საეგებიოდ გადაშლა სამღვთო წერილისა და საჭოჭმანო საქმეთა ამოკითხულის მიხედვით გადაჭრა.

სულ სხვა რიგად მოიქცა ალექსი კომნინი ამ ჯერად: კონსტანტინოპოლის პატრიარქის ლაშქართა დომესტიკების, ფლოტების დრუნგარების,

---

[1]) სინკლიტი — ბიზანტ. კეისრისა იგივეა, რაც ქართველ მეფეთა ტაძრეული.

კუროპალატების, ნოველისსიმების და ეპისკოპოსების დიდის ამალით გაემართა იგი წმ. სოფიას დიდ ტაძარში.

ორი ნაქერი ქარტისა[1]) აიღო თავათ, ერთზე წააწერა: „ეგვიპტეში შეეგებოთ ბრძოლით“, ხოლო მეორეზე — „ციხეებში გავმაგრდეთ“.

ორივენი დაბეჭდულ იქმნა .და კეისრის ბრძანებისამებრ საკურთხეველზე დასდო პატრიარქმა.

ღამე ათიეს ტაძარში უძილად, როგორც იმპერატორი, ისე მთელი სინკლიტი მუხლმოდრეკილად ლოცულობდნენ, ღაღადებდნენ და გალობდნენ გათენებამდის.

ნაცისკრევს პატრიარქმა ამოიღო წილი, ტაძარში გამოიტანა და იმპერატორს მიართვა. ალექსი კომნინმა გახსნა და ამოიკითხა:

„წინ შეეგებოთ ბრძოლით“.

მესამე დღესვე კონსტანტინოპოლიდან აიყარა კეისარი ლაშქრითურთ და ბანაკი დასცა ქალაქ ანხიალის სანახებში. თავისი სარდლები ნიკიფორე მელისინი და გიორგი პალეოლოგი ვეროის წარგზავნა, ამ ქალაქისა და მისი სანახების დასაცავად.

ბოლოს მახლობელ კლისურების მისახილველად გაემართა იმპერატორი. ანხიალში უკან მობრუნებულს ბლახი აზნაური დაუხვდა ერთი და მან ამცნო იდუმალ: ბალკანების მთებს უახლოვდებიანო ყიფჩაღთა ურდონი.

კეისარმა უთენია მოიწვია საბჭო. სარდლებმა და ნათესავთაც ერთხმად ურჩიეს, ანხიალში დახვედროდა მტერს.

ალექსიმ შეიწყნარა ეს თათბირი, თერმის ციხეც შემოიმტკიცა, სარდალნი თვისნი: ტატიკი და კანტაკუზინი ჩააყენა მანდ.

ახალი ამბავი მოიტანეს მსტოვარებმა: ადრიანოპოლს უახლოვდებიანო ყიფჩაღნი. კეისარმა იხმო ადრიანოპოლელი აზნაურნი და შთააგონა: მამაცურად დახვედროდენ მტერს, ისრები არ დაზოგოთ, ციხეთა კარნი დახშულნი გქონდეთო დღედაღამ.

ბალკანეთის მთებში მალემსრბოლნი წარგზავნა, კლისურების მზირებს უბრძანა: იწროებში შეძოუშვით ყიფჩაღნი, მერმე მოჰყევით ტყედატყე, უკან, ხევებში დაუხვდით, საგორავნი და ისარნი დაუშინეთ და ალიაქოთი შეიტანეთო მტრის ზურგში.

ბალკანეთის კლისურებთან ბლახნი დაუხვდნენ ყიფჩაღთა ბრბოებს, მეგზურობას უწევდნენ მათ და ასე შემოჰყავდათ ბიზანტიის საკეისროში მტერი.

ამგვარად მოაღწიეს ქალაქ გოლოემდის ყიფჩაღებმა. მოქალაქენი ზეიმით შეეგებენ ვითომდაც დიოგენისძეს კონსტანტინეს, მეციხოვნენი შეიპყრეს. და ყიფჩაღებს გადასცეს.

ცრუიმპერატორი გათავხედდა, კეისრული წითელი წაღები ჩაიცვა, ოქროს გვირგვინი დაიხურა, ბისონითა და ზეზით შეიმოსა. არც ეგ იკმარა, ანხიალისაკენ წამოიყვანა ლაშქარი, გარს შემოეწყო ქალაქს, რათა თავისი „ნეტოქე“ ალექსი კომნინი შეეპყრო როგორმე.

ანხიალი მიუდგომელი ციხე იყო მაღალ ქარაფებზე მდგარი, საგორავები დაუშინეს ყიფჩაღთა ცხენოსნებს, ბოლოს აიყარა ცრუიმპერატორი და ადრიანოპოლისაკენ გაემართა.

ვერც ადრიანოპოლს დააკლო რაიმე; ამასობაში ალექსი კომნინი დაიძრა

[1]) ქ ა რ ტ ა — ქაღალდი.

ანხიალიდან, მაგრამ ვიდრე ადრიანოპოლამდის მიაღწევდა იგი, ცრუგვეისარი საბრძოლო გოდოლში შეიტყუეს ბერძნებმა, დაათვრეს და ბორკილნი დაადვეს ქედზე.

ალექსი კომნინი თავს დაესხა მთავარ ბანაკს ყიფჩაღებისას — [illegible] ალნი, ტყვედ წამოასხა სამოიდე ათასი, გადარჩენილნი გაიბნენ ტყე-ლრეში, გაეშურნენ თავიანთ სტეპებისაკენ კვლავ, გზადაგზა ძარცვავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

დაღვრემილი მოუთხრობდა ამას ყოველივეს გვარამ ბეჭისციხის პატრონი მეფეს, ბოლოს ურჩია მას, სუნჯას წარგზავნილნი, დოლათო ცხუმის ერისთავი და სტეფანოზ წილკნელი უკუ ეხმო დაუყოვნებლივ.

მეფე დადუმდა და შერგილ ლიპარტიანს შეხედა. შერგილიც შეაკრთო ამ ამბავმა. ქვეგამხედვარნი შინაც ბევრი გყავს, მეფევ ბატონო, ახლა ყიფჩაღნიც მოვირთოთ, ვაჲ, თუ უარესად აგვიშალონო ქვეყანა.

„მე ასე მგონია მაინც, ამბობდა მეფე, ალექსი კომნინმა ვერ გამოიყენა ყიფჩაღთა ძალნი". მახარაის გადახედა და დასძინა:

„ქორი რომ შეიპყრას მონადირემ ვინმემ, სანადიროდ გაემართოს და გაუწვრთნელად მიუტიოს იგი ხოხობს, შესაძლოა შეიპყროს მტაცებელმა ხოხობი იგი, მაგრამ თავათ შესჭამს ნადავლს და ტყეს მიუბრუნდება ისევ ტყიური.

მახარაი ასე აკეთებს ამ საქმეს: ქორს შეიპყრობს თუ არა, საველურო ბურტყლს გამოაცლის ილლიიდან, მერმე თვალებს გაუბიდნავს ცვილითა, დაისვამს მარცხენაზე ხიზით გათოკილს, ღამეებს უთევს და უყვარის დღე-დალამ ყურში".

„მართალსა ბრძანებს მეფე", წამოტორტლა უკითხავად ამ იგავისაგან გახარებულმა ქოსამ, ხოლო მეფემ განაგრძო:

„კეისარს თუ ნებავდა მოკავშირეებად გაეხადა ყიფჩაღთა ძალნი, ჯერ ბიზანტიაში უნდა ჩამოესახლებინა იგინი, გაექრისტიანებინა, თავის მიწაზე დაეფუძნებინა ელნი, მერმე შეესვა კვლავ ცხენზე, თორემ დედაწულიანად აყრილნი ურდონი მისანდობარნი არ იქნებიან არასდროს და არაფერი ისე აკავშირებს ადამიანებს, როგორც დედამიწა თავათ".

## XLX

## როგორ უარჰყო ძარძაშმან ხრმალი

„... და რქვა აბდულაჰ იბნ-რავახამ:

მე მხოლოდ ორ რამესა ვთხოვდი შემომქმედს: ცოდვათა ჩემთა მიტევებას და უნარს იმგვარად ხმლის მოქნევისას, პირიდან დუეს რომ გამოადენს მტერს, ან არა და ძალას ჰოროლის ძგერებისას, რომელიც გულს მისას მისწვდება პირდაპირ, რათა ჩემ საფლავთან გამოვლილთა აგრე თქვან:

აჰა, რაინდი ჭეშმარიტი! დეე, უფალმან კეთილად მოაწყოს იმ სოფელს იგი, რადგან მიწაზედაც პირდაპირ სიარული სჩვევოდა მას".

**აბუ აბდულაჰ იბნ-ისხაკ-იბნ-იასარ.**

სამეფო კარავში მუხათგვერდის ციხისთავი, ფარეჯანიანი შემოვიდა. თაყვანისცა მეფეს და საუზმეზე აწვია იგი. დავითი, გვარამ ერისთავი, შერგილ ლიპარტიანი და მახარაი ნელი ნაბიჯით გაემართნენ ციხისაკენ. გვარამ ერისთავი ხმადაბლა ესაუბრებოდა პატრონს. გაზაფხულის ამო სურნელი ადი-

ოდა მიწას. ჩიტები ყივოდნენ ტყეში, გუგულის ხმა მოდიოდა დილაშის ველიდან. მეფემ თვალი შეასწრო ციხის მახლობლად, მინდორზე მოჩოჩოლე ბრბოს. მიზეზი ჰკითხა მათი დვრტვინვისა ციხისთავს.

მოახსენეს: მუხათგვერდელნი გლეხნი ტფილისს წასულიყვნენ ხალების სასყიდლად. საქონელი შეუსყიდნიათ, მაგრამ შეპყრობა მათი დაუპირებიათ თურმე თურქებს, ქართველი ნალბანდები მიშველებიან თვისტომთა და ციხეთა კარების დახშვამდის გამოუპარებიათ ქალაქიდან გლეხნი.

ბოლოს ლოჭინის ხევამდე მოულწევიათ, აქ მათ შექარავნე თურქნი წასტანებიან. სატევრებისათვის ხელი მიუყვიათ მუხათგვერდელთა, რამდენიმე თურქი მოუკლავთ, ხუთი გლეხი ტყვედ წაუსხამთ მექარავნეთა.

მინდორს რა მიეახლა ტაძრეულითურთ დავითი, სატევრიანი, მაღალი გლეხი თვალში მოხვდა ანაზდად, დააკვირდა, ფლურისოდენა ტყირპი ჰქონდა ღაწვისთავზე მას. ციხისთავს უბრძანა: აქ მომგვარეთო იგი.

ციხეში შესულთ სუფრა გაშლილი დაუხვდათ, სანიადაგო მათლაფებით მიერთმიათ მეციხოვნეთ კერძები. ციხისთავის მობრუნებამდე საუზმე დაიწყო მახარაიმ, თავათ სთავაზობდა მეფესა და ტაძრეულს ახლად მოხარშულ ციმორს. გვარამ ბეჭისციხის პატრონმა რობერტ ფრიზის ამბები წამოიწყო ახლა. სველი ხელადები შემოიტანეს მანდატურთა.

შერგილ ლიპარტიანს ეუბნება დავითი:

„ხვალვე წარგზავნე მალემსრბოლი ხუფთას, ამ საღამოს გამახსენე და წიგნს მივწერ მარიამ დედოფალს, დაუყონებლივ გამოისყიდოს ნიანია ბაკურიანი, მოთხოვნილი საფასი გაუგზავნოს ნეჯიმ ედდინ ილ-ღაზის.“

მეფე ხალისიანად შეექცა ახალ თევზს, ფიალა გაივსო თავათ, ინებეთო, ეპატიჟებოდა დანარჩენებსაც.

ყველანი გაერთვნენ ჭამით, მხოლოდ მახარაი სუფრის ბოლოს, სარკმელთან მიყუჟულიყო, მუხლზე დაედო არისტოტელესის ორგანონი და იკვრიტებოდა შიგ.

დავითმა ეს შენიშნა და ეუბნება:

„წინაუკმოდ რად გიჭირავს ეგ ეტრატი, მახო?“

„აქ წიგნის ბოლოს არაბული მინაწერია ერთი, იმის ამოკითხვას ვლამობ“. მიუგო ქოსამ.

„აბა წაგვიკითხე, მახო“.

მახარაიმ დიდხანს უკვრიტა მინაწერს და ტაატით ამოიკითხა ბოლოს:

ჩემს თვალებს რული მოსდგომოდა, როგორც მპარავი,
და სთქვა ვიღაცამ ბნელ ღამეში ასეთი ლექსი:
წუხელ, ურდუნში რა მოვაღწიეთ,
საწყალობელი ხმა გაიღო ჩემმა აქლემმა
თავისი ნაზი, საყვარელი კოზაკის გამო.
ნუ, კვნესი, ჩემო, რა მოუვა შენს პაშტა პირმშოს,
სანამდის ჟამი ჯერ ხელთა მაქვს მე ჩემი ხვედრი.
ასე მგონია: ვაჟღრიალებ სანჯს მოლხენილი,
ვიჯდე მე თითქოს მომშუშხუნე ხელადებს შორის.
ახლა ატირდა უარესად ჩემი აქლემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ნაზი, საყვარელი კოზაკის გამო,
რომლის ფერდები გამოლადრეს თურმე იმ ღამეს,
როგორც ფერდები მაკადიურ ღვინის რუმბისა.

ამ ლექსის დამწერის ვინაობა სურდა გაეგო დავითს, ამაოდ ჩხრიკა ძახარიამ, ეტრატზე არ აღმოჩნდა თვი.

ციხისთავმა ფარჯანიანმა სატევრიანი გლეხი შემოიყვანა, დავითმა იცნო ხორგაი, რომელმაც თეძმის ხევში პირველად უწოდა მას მეფე.

სტუმარი იატაკზე განერთხა და თაყვანისცა პატრონს.

წამოდექო.

უბრძანა დავითმა.

ხორგაი წამოდგა.

ღვინო დალიეო, უთხრა მეფემ და სავსე ფიალაზე ანიშნა თვალით.

გლეხმა მადლი მოახსენა, შეჭოჭმანდა.

დალიეო!

განუმეორეს.

თავისი გრძელი მარჯვენა გაუწოდა წელში ოდნავ მოდრეკილმა დევკაცმა ფიალას. მაჯიდან ვიდრე თითების სახსრებამდის კანი ჰქონდა გადაცლილი ხელზე.

რა მოგსვლიაო ძიაკაცო მაგ მარჯვენაზე?

შეეკითხა დავითი.

უფროსი ვაჟი ტყვედა ჰყამდათ მაგ უშჯულოთა ჩემი, ორნი უმრწემესნი ავიყოლიე, მუხათგვერდელებს თან გავყევი, ნალების სასყიდლად ქალაქს მიმაბალთ. ნალბანდები მყამს, მეფევ ბატონო, სახლიკაცები ქალაქად, ანგრევ ვიფიქრე, ეგებ ვიღონო მეთქი რაიმე, ი ბიჭის ამბავი მინდოდა გამეგო.

საგოდებელის კართან რა მივალწიეთ, წინ გადაგველობენ თურქნი, ცხენებიდან ჩამოგვყარეს, ვირის კეხი უნდა გედგათო ზიმიებს ცხენზე, ცხენებიც წარგვტაცეს და უნაგირნიცა. ვცემე კიდევაც გაავებულმან ერთ თურქს, შემიპყრეს მაგ უშჯულოთა, ბნელ გომურში დამაბეს იმ ღამეს ჯაჭვითა, მეორე დღეს დილეგში უნდა წავეყვანეთ. სახლიკაცებმა მომაკვლიეს, გუშაგი მოისყიდეს, მარჯვენა გამომაგლეჯინეს ბორკილის თვალიდან, მაშინ დამიშავდა მარჯვენაი, მეფევ ბატონო“.

„მერმე, მერმე“?

შეეკითხა მეფე.

„მერმე ის იყო ნალბანდებმა გამაპარეს ქალაქიდან, ლოჭინის ხევში გადამალულ მუხათგვერდელებსა და ჩემს ვაჟებს მიმგვარეს. შინისაკენ ვაპირებდი გამობრუნებას, გამოგვიდგნენ მექარავნენი, ჰავჭალის ღელემდის მოგვსდიეს, აქ წამოგვეწიენ, შეპყრობა მოიწადინეს ჩვენი, სამი თურქი ავკეპეთ ხანჯლითა, ახლა თვისტომნი მოირთეს მათ სხვანი, გვძლიეს, ორი ვაჟი ჩემი და სამი მუხათგვერდელი ღამის მეხრენი ტყვედ წაასხეს მაგ უშჯულოთა“.

სახელი ჰკითხეს ხორგაის.

გაბრიელად მიხმობენო, მეფევ ბატონო.

ანუგეშა მეფემ.

„ნუ გეშინია, გაბრიელ, თურქების სეირს გაყურებინებ მალე“.

პური აჭამეთო, ანიშნა ციხისთავს. შეყოყმანდა გაბრიელ. სანამ არ უბრძანეს, არ აპირებდა მეფის ტრაპეზის სიახლოეს დაჯდომას.

„სხვა რა ამბავია, ქალაქში, გაბრიელ?“

ეგეც მან იკითხა, მკოდოვანთა და გლახაკთა მეფემ.

„ნამეტნავად გაავებულან, მეფევ ბატონო, თურქნი. ქალაქის [illegible] კართან ძელნი აღუმართავთ, ხარაჯის არ გადამხდელთ [illegible] ძელზე გასვამენ; მოედნის კართან, კარისკართან მზირნი უყენიათ, უთვალთვალებენ ქალაქად ჩამოსულ ზიმიებს. მხოლოდ აბატის კარით მიმოდიან ქართველნი. თუ თვალი ჰკიდეს ყიდისო ზიმია რაიმეს, საქონელს წარსტაცებენ უმალვე, მხოლოდ შესყიდვას ანებებენ ქრისტეანეთა.

ანგრე მიამბეს ნალბანდებმა, მეფევ ბატონო, დავით მეფის თავდასხმის მოელიანო თურქნი. წრეულს შეუკეთებიათ კოშკნი კართანი, წყალყინისა და თაბორისანი, ისნის ზღუდენიც განუსრულებიათ მიწისძვრისაგან იავარქმნილნი.

მიმწუხრისას დაცალიერდებიან უბანნი და ფოლორცნი, მძიმედ აღჭურვილნი მხედარნი ღა მიმოდიან ქალაქში“.

ხორგაი დადუმდა.

ღვინო მოსვიო,

უთხრა მახარაიმ.

ხელობა ჰკითხეს გაბრიელს.

გუთნისდედა ალმოჩნდა.

დავითს გაახსენდა გიორგი მეფის ნაამბობი.

მეფეთ-მეფე გიორგი თუ გინახავსო?

როგორ არა, მეფევ ბატონო, მამაჩემი და შვიდნი ძმანი ჩემნი სამგზის თან ვახლდითო მეფეთ-მეფესა გიორგის.

„სადღა არიან შენი ძმები, ძიაკაკო?“

„სამნი ფარცხისში მომიკლეს თურქთა, ერთიც კარნიფორში, ყველაზე უმრწემესი კარის ციხეში“.

„უწინ სად სახლობდით, გაბრიელ?“

„ალგეთზე გვქონდა სახლკარი, მაგრამ თურქის სარანგმა გადაგვიწვა, მეფევ ბატონო“.

„როდის გამოხვედით ქალაქიდან შენ და მუხათგვერდელნი, გაბრიელ?“

„გუშლამ“.

მიუგო კითხულმა.

თურქის ლაშქარს ხომ არ მოელისო ბანუ-ჯაფარი, თუ იცი?

„ლოჭინის ხევში კაცნი შემოგვხვდნენ და მათ გვიამბეს. ქარავანი მოდისო განძიდან, თურქნი დიდ-დიდნი თან მოჰყვებიანო მაგ ქარავანს, მეფევ ბატონო“.

მეფე დადუმდა, შესჭამეო რაიმე, შეეპატიჟა გუთნისდედას თავაზიანად.

როცა გაბრიელ ხორგაი დარბაზიდან გავიდა, დავითმა ახმობინა ციხისთავს ინდო ვარაყანიძე. უბრძანა სეფე მეაბჯრეს: ათხუთმეტი ცხენოსანი აეყოლებინა, ქალაქელთა ხვასტაგი ჰავჭალისკენ გამოელალა. მე დაგიხვდებიო ჰავჭალის ღელეში.

საუზმეც არა ჰქონდა მოთავებული, შერგილ ლიპარტიანს დაავალა: მზად გყავდესო სამასიოდე ცხენკეთილი მხედარი.

ლიპარტიანი გააოცა ამ ამბებმა. დავითს არ სჩვეოდა გულფიცხობა ომის საქმეში. სამასი მხედრის ამარა როგორ აპირებსო თურქებთან შებმას? მაინც

ველარაფერი შეჰკადრა პატრონს. როცა მხედარნი მზად იყვნენ, მოაბსენა და ეაჯა: წარმიტანეთ თან.

მახარაი უკითხავად შემჯდარიყო თავის იაბოზე. მას უკვე მზად ჰქონდა სამეფო კარავი და ბიზანტიონიდან გამოგზავნილნი წიგნნი.

შენ და გვარამ ბეჭისციხის პატრონი ბანაკში უნდა დარჩეთო, ამცნო დავითმა შერგილ ლიპარტიანს. თუ საქმე მისჭირდა, გიხმობთ.

მუხათგვერდს ქვემოთ გადალახა დავითმა მტკვარი.

ჰავჭალის ტყე უკვე გაფოთლილიყო და სპიანად დაიმალა ჰავჭალის ხევში. „არავის მიენდო მხედველსა სხვასა, არამედ თვით მარტო წარვიდა, ყოვლად უსაჭურვლოდ, ხმლითა ოდენ, და თან წარიტანა წიგნი ღვთისმეტყველი და ამცნო სპათა არა შეძვრად ყოველივე მისვლამდე მის მათ თანა; ხოლო მონათა ათ-ხუთმეტთა ჰყვეს ბრძანებული მათდა და წარმოიღეს ნახირი ლოჭინის ხევითა და მოეწივნეს თურქნი და შემდგომად დიდისა ჰომისა, ჩამოჰყარნეს მონანი და დაუხოცნეს ცხენნი, გარნა ქვეითნიცა იბრძოდეს ფიცხელად:

ხოლო მეფე ცხენსა რა გარდახდა, არა ჰგონებდა ჯერეთ მოსვლასა, შეეჭცა კითხვასა და ესოდენ წარიტყვევნა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის ხმაი რაიმე კლვისა შემოისმა ყურთა.

მყის დაუტევა წიგნი მუნვე და ამხედრებულ მიჰყვა მას ხმასა და ვითარცა ზედა წარადგა მონათა თვისთა, ესე ვითარსა ღვაწლსა შინა მყოფთასა და რამეთუ აშორვიდა თვისთა სპათა უკეთუმცა მათდა ცნობად წასულიყო, მონათა დაუხოცდეს. მსწრაფლ შთაბრიალდა მეფე, ვითარცა არწივი და დააბნია ვითარცა კაკაბნი და მსწრაფლ ესოდენი მოსწყვიდნა, რომელ მათნი ცხენნი კმა ეყვეს მონათა მათ და ამხედრებულთაც ესოდენი მოსწყვიდნეს, რომელ მცირედნი შეესწრნეს ქალაქსა: ხოლო გზანი სავსენი იყვეს ძეძორითა მათითა და ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღვარჭნილმან უარჰყო ქარჭაში თვისი“.

*
* *

ახალი მთვარე ამოვიდა ტყეში. მოლხენილი მოაჯირითებდა დავითი თავის ჭუჯაის, მტკვარს მოჰყვებოდა აღმა. ჰავჭალის ღელეში რა შემოიქცნენ, ოთხ კაცს წამოეწიენ ქვეითად მიმავალს. ნაბადში შებურვილი კაცი მოჰყავდათ მუხათგვერდისაკენ მხარდამხარ.

ცხენი შეაყენა პატრონმა, ინდო გარაყანისძეს აკითხვინა ვინაობა დაკოდილისა. იგი აღმოჩნდა გაბრიელ ხორგაის ვაჟი, მუცლის არეში მძიმედ დაჭრილი ხანჯლით.

ისევ დამწუხრდა ამ ამბის შემცნობი, მკოდოვანთა და გლახაკთა მეფე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

# მე ის მოვკალი

მალალ და ფართოდ გადაშლილ ცაცხვზე შებმულ საქანელაზე ალექსეი ნელად არწევდა ვალიას. რწევის დროს სიტყვა შეაპარა ცოლად წამომყევიო. ეს სიტყვა უცნაურ ბგერებად მოესმა ვალიას, გაყუჩდა და უსმენდა განუწყვეტელ წკრიალს, მის გულში რომ მეორდებოდა.

ვალიამ თეთრი, პატარა ხელები მტკიცედ ჩასჭიდა საქანელას თოკებს, თავი და კისერი უკან გადააგდო და დიდხანს ჩუმად შესცქეროდა ცას. ცაცხვის აბრეშუმივით კრიალა ფოთლებს შორის ლურჯი ცა შეზურმუხტებული მოსჩანდა და ისე გრძნობდა ვალია, თითქოს თითონ კი არ ქანაობდა, არამედ ცა ეკიდა ხის კენწეროებზე და ეს ცა ირწეოდა.

— მიპასუხე! — ჩააცივდა ალექსეი.

ვალია საქანელიდან მოულოდნელად გადმოხტა, იქვე იასამნის ბალში შველივით შევარდა და მიიმალა. იასამნის თეთრსა და ვარდისფერ ყვავილებში მისი ჩალისფერი ჩაშლილი თმები ოქროს სხივებად მოსჩანდა, თვალები კი წკრიალა და ნაპერწკლიანი ფირუზებივით ციმციმებდნენ.

ალექსეი დაედევნა.

— მიპასუხე! — მისძახოდა ის.

ვალიამ იასამნის პატარა ტოტი მოსტეხა, ფიქრიანად დააშტერა თვალები, იასამნის ყვავილებს ლამაზად მოყვანილი თითებით სათითაოდ დაუწყო წყვეტა, მარწყვივით ფაქიზი და მწიფე ტუჩები კი ანგარიშმიუცემლად ამბობდნენ: „ხო, არა, ხო, არა“... ალექსეი თვალს არ აშორებდა ყვავილების წყვეტას. გული უცემდა, შიშობდა, უდროოდ არ გათავდესო იასამნის ბუტკოები.

„ხო“ — სთქვა ვალიამ, როდესაც უკანასკნელი ყვავილი მოსწყვიტა.

და მეორე კვირას ქორწილი მოაწყვეს.

ამხანაგები რთავდნენ ვალიას. ცისფერი ფარჩის კაბა ჩააცვეს. თმებში ყვავილები ჩაუწყეს. თეთრ მარმარა მკერდზე მისივე თვალებისფერი გულქანდი ეკიდა. როდესაც იღიმებოდა, მზიანსა და მცინარე გაზაფხულსა ჰგავდა ნამდვილად.

საღამო ხანს ალექსეი საცოლეს წამოსაყვანად ამხანაგებით წავიდა. შვენოდა ალექსეი. ეცვა შავი მალალყელიანი ჩექმები, პატარა სადაფის ღილებიანი ფერადად ნაქარგი თეთრი ხალათი, ფართო სახელოებით და გვერდზე გაჭრილ-გადახსნილი საყელოთი. როდესაც სამცხენიანი ეტლები დაბის მთავარ ბუჩაზე ეკვნების წკრიალით ჩაქროლდნენ, ხალხი სიყვარულით შესცქეროდა ვალიას, მხოლოდ ელამ გულს შეშურდებოდა მისი ბედნიერება, ის თვალი და გული იყო ამ დაბისა. უყვარდათ და უხაროდათ, რომ ვაჟიც შესაფერი შეხვდა. კოლმეურნეობის თვალუწვდენელი მიწები ალექსეის ტრაქტორით იხვნე-

ბოდა. მუხლიც მაგარი ჰქონდა და მარჯვენაც. ისიც იყო კოლმეურნეობის გამდიდრების მიზეზი.

ვარდები, კამელიები, ასკილის ყვავილები ფიანდაზად ეფინა ალაფის კარიდან ოთახის ზღურბლამდე. ყვავილებზე გადაიარეს და ოჯახში სიხარულით შევიდნენ ახალი ცხოვრების დასაწყებად.

დარბაზის ირგვლივ ჩამომსხდარიყვნენ ფერადად აჭრელებულ კაბებში და ხალათებში გამოწყობილი სტუმრები. სადაფის ფოლაქებით შელამაზებული ბაიანი უკრავდა ხან „გოპაკს“ ხან „იაბლოჩკოს“ ხან „ცეკვავდნენ სიცოცხლით სავსე ყმაწვილები. ისინი ოსტატურად ბუქნავდნენ, რიტმიულად აბაკუნებდნენ ფეხებს, დროდადრო შემოჰკრავდნენ ხოლმე ტაშს ხან ფეხებს შორის, ხან ზურგს უკან, ცდილობდნენ ესიამოვნებინათ ნეფისა და დედოფლისათვის.

ქორწილი საგულისგულოდ იყო მოწყობილი.

ოთახებში იდგა ერბოს მსუყე სურნელება.

მაგიდაზე უხვად ელაგა შინაური და გარეული ქათმები, ბრინჯით მუცელგამოვსებული წითლად შემწვარი გოჭები, მოხარშული ლორები, ტკაველის ოდენა სიმაღლის დამარილებული ქონები; ძვირფასი თევზეული: მთელმთელად მოხარშული ტარალანა, დაფარშული ფარგა, გამხმარი ნელმა. ვაშლით, ხაჭოთი და ტყის ქათმის ხორცით გულამოვსებული ნამცხვრები ალამაზებდნენ სუფრას. თავმომწონედ გამოიცქირებოდა გულყვითელა კვერცხებით, სისხლივით წითელი ჭარხლით და ნაირსახოვანად დაჭრილი სტაფილოთი შელამაზებული ვინეგრეტი. მაყვლის მურაბით, არაჟანით და მოცხარით დამტკბარი ერბოპურები იტაცებდნენ თვალს. ყველაფერ ამას აგვირგვინებდა უზარმაზარი „სამოვარი“, რომლის ჩუხჩუხა თბილი ოშხივარიც ოთახს აფერადებდა და ამხიარულებდა.

დროდადრო თეთრი ბრწყინვალე სინებით დარბაზის ირგვლივ მსხდომარე სტუმრების წინ ჩამოატარებდნენ ხოლმე და მიართმევდნენ მათ სუფთა არაყს, ქლიავით, მოცხარით და ალუბლით ჩამტკბარ სასმელებს. მერე ჩამჩებით აყოლებდნენ ზედ ჩამჟავებულ ბურახს, ლხინობდნენ და ულოცავდნენ ნეფე-დედოფალს ბედნიერ დღეს.

საჩუქრების მორთმევა დაიწყეს. მოაქვთ აბრეშუმის საკაბეები, თავსახვევები, შალები, ფერადი მძივებით შემკული სამაჯურები და გულქანდები. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, დინჯმა და დარბაისელმა ნიკოლაიმ საკუთარი ხელით შემოიტანა რადიომიმღები და ნეფე-დედოფალს მაგიდაზე დაუდო.

— კოლმეურნეობამ მოგართვათ! — ამბობს ნიკოლაი. მის გულკეთილსა და შეეერცხლილ სახეს კი მამობრივი სიყვარულის ღიმილი დასთამაშებს.

დილამდე ილხინეს.

გარიჟრაჟზე, როდესაც მტრედისფერი ცა გადმოეფინა მიწას, ერთმანეთის სიყვარულით დამტკბარი სტუმრები დაიშალნენ.

უფრო ხალისიანი შეიქმნა ალექსეისა და ვალიას შრომა და ცხოვრება.

ერთი ველ-მინდორზე მიდიოდა, სადაც ბინდამდე ხმაურობდა მისი ტრაქტორი და უზარმაზარ ბელტებად აბრუნებდა მშობლიურ მიწას, მეორე კი საბავშვო ბალისაკენ მიეშურებოდა. ვალია ისე შედიოდა შიგ, როგორც ყვავილე-

ბით სავსე ბაღში. მას ყოველი ბავშვისათვის შერქმეულიც კი ჰქონდა რომელიმე ყვავილის სახელი. ზოგს იას ეძახდა, ზოგს ოქროყვავილას, ზოგს იასამანს და გული სიხარულით ევსებოდა, თითქოს სურნელოვან ყვავილჩარში დადისო, ისე გრძნობდა თავს.

— რათ იცრემლები, ჩემო პაწაწა იავ?!

— ნუ ცელქობ, ჩემო იასამანო! — მიმართავდა ხოლმე ყოველ მათგანს და ალერსიანად გადაუსვამდა თმაზე ხელს.

ამ დღიდან ხომ ასკეცად შეუყვარდა ისინი. ასეთი ყვავილი მასაც ეყოლებოდა. გახდებოდა დედა...

*
* *

ბედნიერებამ რამდენიმე თვეს გასტანა.

დასავლეთის ცაზე ბოროტების მაუწყებელი სისხლისფერი ალი გამოჩნდა.

ყმაწვილ-ვაჟები მხიარულად მიდიოდნენ ფრონტზე. სიმღერითა და დაკვრით აცილებდნენ მათ.

— გახსოვდე! — მისძახოდა ხელსახოცის ქნევით ვალია.

ალექსეი საპასუხოდ ულიმოდა. მაგრამ ღიმილი აღარ მოსჩანდა. ის უკვე შორს იყო...

გავიდა თვეები. ველმინდორს ქალები მოეფინენ. ახლა ვალია იჯდა ტრაქტორზე. პურის მკა და ლეწვა მიდიოდა საჩქაროდ. მტერი მოძვრებოდა წინ. დასავლეთის ციდან სისხლისფერი ალი ახლოვდებოდა და ერთ დღეს მტერმა დაბა აიღო.

მამაკაცები ტყეში გაიხიზნენ.

დაბაში დათარეშობდნენ ცივი ქარები, ზამთრის სუსხი და მოსისხლე მტრები...

*
* *

შუადამისას ვიღაცამ კარზე მძლავრად დააბრახუნა. ვალია გაუჩდა. ის გააჩუმა შიშმა და სიმარტოვემ. მეორე ბრახუნზე უკვე ბრაზის სისხლი მოაწვა სახეზე და თითქოს სიმხნე იგრძნოო, თამამად წამოდგა.

— ვინა ხარ? — გასძახა.

უცნობი ხმა და სიტყვები მოესმა.

ვალია ყოყმანობდა გაეღო თუ არა კარი, მაგრამ ისეთი ბრახუნი და ნჯღრევა ატყდა, რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა.

ოთახში შემოვარდა ხელისფარნის შუქი, ეს შუქი ადამიანის ძებნაში კედლიდან კედელზე, კუთხიდან კუთხეზე გადარბოდა.

— რა გნებავთ? — შეეკითხა მშრალი ხმით ვალია, როდესაც ის შუქში მოექცა.

მიუხედავად იმისა, რომ ვალიას შემოსულისადმი სიძულვილისა და ზიზღის გამო ბაგეები ერთმანეთზე მტკიცედ ჰქონდა დაბჯენილი, შუბლი შეჭმუხვნილი, ის ამ ნათელ შუქში მოქცეული, ისე მშვენივრად გამოიცქირებოდა, რომ შემოსული დაიბნა.

ცოტა ხნის შემდეგ შემოსულმა ვალიას სანათის ანთება მოსთხოვა.

ოთახი განათდა.

გერმანელმა ოფიცერმა ხელის ფანარი ჩააქრო და იქვე სკამზე ჩამოჯდა. ოთახის მოწყობილობას გადაავლო თვალი. მერე ისევ ვალიას მიაცქერდა. კარგა ხანს უხმოდ უცქერდნენ ერთმანეთს. ოლონდ მასპინძელს სახეზე აანდათან მკაფიოდ ეხატებოდა განცვიფრება და ზიზღი, სტუმარს კი სიმხიარულე. თავის ენაზე რაღაცას ლაპარაკობდა და თან ცდილობდა ღიმილითა და სიცილით ქალისათვის ბოღმა და შიში გაექარვებინა. ოფიცერს მობეზრდა უნაყოფო ლაპარაკი, მას ნემსებივით ესობოდა ვალიას გაქვავებული სახის სიცივე. მოულოდნელად წამოდგა, უცბათ კარი გადარაზა და იარაღზე ხელი იტაცა. მეორე ხელით საწოლისაკენ მიუთითა.

ვალია მაინც უძრავი და გაქვავებული იყო. იარაღსაც გაუსწორა თვალი. ოფიცერი ფრთხილი ნაბიჯით უახლოვდებოდა მას. ვალია უკან-უკან იწევდა. ბურგით კედელს მიეყრდნო. ოფიცერმა იარაღი ბუდეში ჩაიდო და ორთავე ხელით ეცა.

კარადიდან სარკე გადმოვარდა და დაიმსხვრა. მაგიდა მძლავრად შეინჯღრა. აყირავდა ლამფა და ჯერ მაგიდაზე დაეცა, შემდეგ იატაკზე. პატარა ხანს ილაპლაპა და ჩაქრა. ოთახში კარგა ხანს გაისმოდა ნჯღრევა და მსხვრევა, ისმოდა ქალის კივილიც, მაგრამ გარედან შიგნით არავინ შემოდიოდა.

ბისწყდა ხმაური. რამდენიმე წუთიც და ოთახში ყრუდ გაისმა სროლის ხმა. შემდეგ ქურდული ნაბიჯები კიბეებზე ჩავიდნენ.

დილაზე ამ ბინას ჯარისკაცთა ჯგუფი ესტუმრა. ღიად დარჩენილ კარში შევიდნენ და ოჯახის ნივთებს ათვალიერებდნენ. სინანულით შეხედეს გატეხილ სარკეს, ფაიფურის დამსხვრეულ ფიგურებს. საწოლის ახლოს მათი თვალი ძირს მგდებარე ადამიანმა მოიტაცა.

— ლეიტენანტ კურც!.. — დაიძახა ერთმა. მეორემ მკვდარს, უშნოდ გაშხლართულ ლეიტენანტს სამხედრო სალაში მისცა და ზედვე მასხრული სიცილი დააყოლა.

ჯარისკაცები შეშფოთდნენ. იგრძნეს იდუმალი შიში. ერთი თვალის მოვლებით ოთახი შემოიარეს, იჭვით დააცქერდნენ სამზარეულოში შემავალ კარს და სასწრაფოდ გარეთ გავიდნენ.

ერთი საათის შემდეგ გერმანელ ჯარისკაცთა ათეული გაშმაგებული მოვარდა. ათეულს ტანდაბალი, ჩასუქებული, ქონში ჩამძვრალი სახის ოფიცერი მოუძღოდა. ის მყვირალა, ჩახლეჩილი ხმით ბრძანებდა, ჯარისკაცები კი დარბოდნენ ეზოში, შენობის სახურავზე, სარდაფში და საკუჭნაოებში. მაგრამ ყოველი ადგილიდან ხელცარიელნი და მარტონი გამოდიოდნენ.

მოთმინებიდან გამოსულმა ოფიცერმა რამდენადაც შეეძლო გააფართოვა თავისი წვრილი, დაბებრილ ქუთუთოებში ჩავარდნილი თვალები და ბრძანა შენობისათვის ცეცხლი წაეკიდათ. ის ფიქრობდა, ამ ცეცხლზე სახლს პატრონი გამოჩნდებაო.

ხის შენობა ცამდე ავარდნილი ალით იწვოდა. ეს ალი ბევრად მაღლა ადიოდა, ვიდრე მაღალ და ფართოდ გადაშლილ ტოტებიანი ცაცხვის ხე. ცეცხლი ბის ტოტებსაც სწვდებოდა, სტრუსავდა, ზედ მტკაველის სიმაღლედ დაფენილი თოვლი სიმხურვალისაგან დნებოდა და შტოებზე ცრემლებად ჩამოდიოდა.

შენობა იწვოდა.

მსუქანი, სქელი ოფიცერი აფაციცებდა თვალებს, ელოდა ვინმეს გამოჩენას; მაგრამ სახლთან არავინ მოდიოდა.

ჩაიარა ვილაც მოხუცმა გლეხმა. მან შეხედა გაფარვარებულ ცეცხლს, მერე ახედა ცას და თავის ქნევით განაგრძო გზა. ოფიცერმა ბრაზი ამ მოხუცზე ამოიყარა. ბრძანა და შეაჩერეს. რამდენიმე წამი ცხვირთან მიტანილი, მუშტით სტუქსავდნენ, უყვიროდნენ, ემუქრებოდნენ. მოხუცი [illegible] განცვიფრებული იცქირებოდა მაღლა ცისაკენ, თითქოს ამბობდა: „ღმერთმანი, არაფერი არ დამიშავებიაო". მაგრამ არც მისი სიტყვა ესმოდათ და არც მათი გაეგებოდა რამე. ცოტა ხნის შემდეგ მოხუცი უკვე რამდენიმე ჯარისკაცს კინწისკვრით მიყავდა.

ვალია დედისეულ სახლში მივიდა და ლოგინში ჩაწვა. მთელი ღამე სახეზე ალმური ასდიოდა. ეწოდა თვალები, ტუჩები, უშრებოდა ენა. თითონაც ვერ ერკვეოდა, ეძინა თუ ელვიძა. თითონაც არ იცოდა რა სწვავდა, სიცხე თუ სირცხვილი. გენია ტრიალებდა მის სულში, დაჩეჩქვილი სხეული სტკიოდა, თითქოს თითები მომტვრეული ჰქონდა, თითქოს გულის ფიცარი ჩასტყდა, ჩაენგრაო. ორი დღე და ღამე ხმა არავისათვის გაუცია, არაფერი უჭამია. მხოლოდ წყურვილს იკლავდა. მესამე დილას დედამ ჩურჩულით უთხრა:

— შვილო, ამბობენ, ჩვენები ისევე მოდიანო, თურმე ერეკებიან ეშმაკის კერძებს.

მხოლოდ ამ სიტყვებმა გამოაბრუნეს. მიაშტერა დედას თავისი ნათელი თვალები, თითქოს სთხოვდა გაიმეორეო.

— ერეკებიან ეშმაკის კერძებს!

ვალია წამოდგა. ნაპერწკლიან თვალებს დედას არ აშორებდა.

„შენ იცი, დედი, მე რა გადამხდა?" — ეკითხებოდა უსიტყვოდ, ხმაამოუღებლივ და წითლდებოდა. — „არაფერი არ ვიცი, შვილო". — „ვერც გეტყვი, დედი, ვერც გაგიმხელ... ვერც გაგიმხელ..." — ამბობდა თავისთვის და სახეში აშტერდებოდა, იქნებ იცისო.

ტანთ ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

იყო წყნარი დილა.

ალმოსავლეთით მოჩანდა წითელი, მოყვითალო ხანძარი, რალაცის მაუწყებელი ალი სწვავდა შეთეთრებულ ცასა და მიწას. ვაისმა ქუხილის მაგვარი გუგუნიც.

ჩქარი ნაბიჯით გაიარა დაბის ფართო და თოვლით დაფარულ ქუჩაზე, თითქოს სადღაც მიეშურებაო. კენარებივით იდგნენ მავთულდაწყვეტილი და დათოვლილი ბოძები. ხეებზე ელმურტულებდნენ ჩიტები: კაჭკაჭი, ქრცვინი, წიწკანა. „არც მათ მიუტოვებიათ ეს გავერანებული დაბა. ნეტავი თუ პოულობენ საკენკს, ნეტავი თუ მაგათთვის მაინც გადარჩა რამე?!"

აი, გვერდში ჩაუარა საბავშვო ბაღს, სადაც ისე ლამაზად გაატარა შარშანდელი წელი. წუთით შეჩერდა, შეხედა ჩამონგრეულ კედელს და ოდნავ გაღიმა. მერე ამ ღიმილს მწარე ბალღამი შეერია...

„სად არიან ჩემი პაწიები. სად არის ია, ოქროყვავილა, იასამანი... განა რომ იყინებიან ტყეებში... იქნებ დაიხოცნენ კიდეც"...

განაგრძო გზა სწრაფად და უაზროდ. თითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა.

მუხლებმა გადამწვარ სახლთან მიიყვანეს.

აი ცაცხვიც. შეჩერდა. ის ჩუმად იდგა და დასცქეროდა ჩანაბზირებულ კედლებს. რალაცა შუქმა გაანათა მისი გამოტანჯული, გამხდარი სახე. შესცქ-

ქეროდა ცაცხვის ხეს და თავისთვის რაღაცას ჩურჩულებს. მერე თითქოს გამოერკვაო, დამუშტული მკლავები მაღლა ამართა და ცრემლნარევი ხმით იყვირა.

სულ ახლოს და ახლოს ისმოდა ზარბაზნის ხმები, დაბის აღმოსავლეთ მხრიდან ბრძოლის ყიჟინა მოვარდა.

ვალიას სმენა და გული ამ ხმამ გაიტაცა. სირბილით წავიდა.

„იქნებ ერთი ტყვია მეც მომხვდეს!...“ — ფიქრობდა გულში.

გერმანელთა შტაბს რომ მიუახლოვდა, ვალია ხედავდა თუ შენობიდან როგორ გამოჰქონდათ რაღაც ყუთები, ქაღალდის შეკვრები, ფუთები. ამავე დროს მის წინ გრუხუნით ჩაიარეს ქვემეხებმა, მას მოჰყვა გამოქცეული ჯარისკაცების მთელი ხროვა.

აივანზე გადმოდგა ჩასუქებული, დაბალი და წვრილთვალება ოფიცერი. მან დაიყვირა:

— მანქანა!

მაგრამ იმავე წუთას აფეთქდა ხელყუმბარა. სქელი, დაბალი ოფიცერი ჰაერში აიტაცა.

მანქანაც მოქროლდა, მაგრამ მეორე ხელყუმბარამ ის ნაფოტებად აქცია.

გაქცეულები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, რაღაც არაადამიანურად ღრიალებდნენ და უსულოდ ეცემოდნენ.

ვალია ნატრობდა ერთ პატარა, შემთხვევით ტყვიას, მაგრამ ხელყუმბარის ერთი ნამსხვრევიც კი არ შეეხო.

გაქცეულთა ტალღა შემდეგ ქუჩაზე გადაეშვა.

გამოჩნდა ტანკების წყება. ხუთქიმიანი ვარსკვლავები მრისხანედ მოსჩანდნენ ზედ.

ვილაცამ შენობის სახურავზე აირბინა, მტრის დროშა მოჰგლიჯა, ტარგადატეხილი და დაფხრეწილი ძირს ჩამოაგდო, წითელი დროშა აღმართა კვლავ.

თითქოს ქვესკნელიდან ამოდიოდნენო, აქამდე სადღაც მიმალულმა ხალხმა აავსო ქუჩა. წითელი ბაირაღებით და ფერადი თავსაფრების ფრიალით ეგებებოდნენ უკან დაბრუნებულ ძმებს. ქალები და მოხუცები მიიწევდნენ წინ ხელებგაშლილნი და თვალებზე ცრემლმორეულნი.

ქუჩებზე შემოვარდა კავალერია და ხმალამოღებული დაედევნა მტრებს.

ტანკები შორიახლო შეჩერდნენ. ფოლადის კარები გაიღო და გამოვიდნენ ტანკისტები.

აგერ ალექსეიც გადმოვიდა.

ვალია უცქერის გაშტერებული, თავზარდაცემული, შეძრწუნებული. უხარია, რომ ხედავს თავის ალექსეის, უძვირფასეს და უახლოეს მეგობარს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრის, წინ ბიჯსაც ვერა სდგამს. ვალიამ შეამჩნია, ალექსეის დაღლილ და დატანჯულ სახეზე რომ ღიმილმა გაითამაშა და მისკენ წამოვიდა.

„არა, მე მას თვალებში ვერ შევხედავ... ალექსეიმ იცის, რაც გადამხდა... არა, მან არ იცის თუ რა გადამხდა, მაგრამ ის უსათუოდ იგრძნობს, მიხვდება... რომ ვერც იგრძნოს, მე თვითონ ვეტყვი, მე თვითონ გავაგებინებ, მაგრამ მე ამის თქმა რომ არ შემიძლია?!“

ალექსეი კი ვალიასაკენ მოაბიჯებს დაღლილი და მოქანცული ნაბიჯით.

ვალია შემოტრიალდა. მას სურს გაიქცეს სადმე შორს, რაც შეიძლება შორს, თუნდაც სადმე გადაიკარგოს, ოღონდ ძვირფასსა და საყვარელ თვალებს პირისპირ არ შეხვდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი თვალი იქვე მდებარე თოფმა მოიტაცა. იარაღთან მიირბინა, დასტაცა ხელი, რაღაც წყურვილის მოლოდინში აღფრთოვანებულმა საკეტი გადახსნა. ხავსე ვაზნებმა შეანათეს თვალებში; საკეტი სიხარულითვე გადაჭეტა და ვაიქცა. ის მირბოდა დაბის დასავლეთისაკენ, საიდანაც სროლის ხმა და ბრძოლის ყიჟინა მოესმოდა. გული უცემდა მღელვარედ და მძლავრად. მირბოდა და უსიტყვოდ გაიძახოდა: „მე ის მოვკალი... მე ის მოვკალი... კიდევ... კიდევ... კიდევ მოვკლავ!..“

ალექსეი უკან დაედევნა. ის მისდევდა იჭვითა და უცნაურობით შეპყრობილი. შორიდან უკვე ხედავდა, თუ როგორ შეიჭრა ვალია ცეცხლის არეში. ალექსეის უნდოდა ეყვირა ყელში მობჯენილი გრძნობებისაგან, საშინელებისაგან. მაგრამ ხმა ჩაუწყდა. ჩაშრა.

შორს, დაბის გადაღმა გადარეკეს მტრის ხროვა. მებრძოლები გვამებზე გადადიოდნენ. ცხენოსნები სცელავდნენ და სთელავდნენ.

ალექსეი გაშმაგებული მოვარდა. მან თვალნათლივ დაინახა, რომ დაეცა ვალია. თავზარდაცემული ელოდა მის წამოდგომას. მაგრამ ის აღარ ამდგარა.

მართლაც ის გულაღმა ეგდო... მისი სახე აღარ მშვენოდა, მას ზიზღისა და სიძულვილის მწარე ნაღველი გადაჭროდა. ცივი, ცისფერი თვალები აღეშართა ცისაკენ, ცა კი აყრიდა თოვლის ბრჭყვიალა ვარსკვლავებს...

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ANDRO LOMIJI

# MIRZA

## I

ზღვაური ხმაურობდა იმ ღამეს, ანძაზე მავთულებს ამღერებდა.

— ზღვამ თუ გაწყინა, არ შეგეშინდეს, მეზღვაურად არავინ დაბადებულა. ზღვას შეეჩვევი. ბოცმანი მოვა ნავსადგურის სამორიგეოდან და ყულეს გა-ვემგზავრებით, — მითხრა ხომალდ „გელენჯიკის“ მოხუცმა კაპიტანმა ისმაილ გოგიტიძემ, გაკოჟრილი ხელი მხარზე მომითათუნა და მერე აფრებს სინჯვა დაუწყო.

ხომალდის მარჯვენა გვერდზე დაკიდებული ფანარი თოვლს ეჯიბრებოდა და კაპიტანს სინათლის გამჭვირვალე ფიფქებს აყრიდა.

ხომალდზე ამოვიდა ბოცმანი არტემ ჩიქოვანი და სახომალდო დავთარი გადასცა კაპიტანს.

ნაოსნები ხელის ჯალამბარით ეზიდებოდნენ ჯაჭვს და ღუზას. ტალახიანი ჯაჭვის რგოლები რახრახებდნენ.

— მარჯვედ, ბიჭებო! — კაპიტანმა ბოხი ხმით დასძახა ნაოსნებს.

ღუზა ამოიღეს, გემბანზე დასდეს და აფრები გაშალეს.

— ღუზა გემბანზე იმისათვის ამოგვაქვს, რომ ღელვის დროს იქანავებს და შეიძლება გვერდი შემოგვინგრიოს, — ამიხსნა ბოცმანმა და საჭე მარცხნივ მიაბრუნა. ხომალდი შეტრიალდა, ზვირთზე ავიდა და ნაპირს მოშორდა.

კაპიტანი და ნაოსნები სამზარეულოში ჩავიდნენ.

შუქურა ძლივს მოსჩანდა, როცა ხომალდი ზევით ავარდა და მერე ცხვირით ისე სწრაფად დაეშვა, რომ შეშინებულმა მაგრა დავხუჭე თვალები. ხომალდის ცხვირი ისევ ასრიალდა ტალღაზე და სიხარულით ავივსე; მეც მომინდა შებმა ზვირთებთან და ქართან.

არტემი თვალს მადევნებდა: შიში ხომ არ აღუძრა ღელვამ. უხერხულ მდგომარეობიდან თავი რომ დამეღწია, ვკითხე:

— არტემ, როგორი კაცია კაპიტანი?

ბოცმანის დათოვლილი, გრძელი, მშვილდივით მოღუნული ულვაშები ფანრის შუქში ახალ მთვარესავით ელვარებდნენ. მან ულვაშებზე ხელი ჩამოისვა და თოვლი ჩამოიწმინდა.

— კეთილი კაცია, მაგრამ მიკვირს, რომ მიგიღო. ნაოსნის ადგილი ჩვენ არა გვქონდა. ზარმაცები არ უყვარს, იცოდე. აგერ სამოც წელს გადასცილდა და დაღლილობა რა არის, არ იცის. ჩვენს შორის იყოს, მაგრამ ერთი უცნაური ხნე სჭირს. შუალამისას ხშირად გვინახავს რიონის ხიდის მოაჯირზე გადაყუდებული და ჩაფიქრებული. ბევრჯერ ვცადე გამეგო მიზეზი, მაგრამ დღემდე ვერ გავიგე.

ღელვა მატულობდა.

გული მერეოდა. კუჭი და ნაწლავები ყელში მებჯინებოდა.

— ეგ არაფერია, გაკაუდები, — მამხნევებდა ბოცმანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავბრუ მეხვეოდა, ღონე შემომელია, მუხლები მეკვეთებოდა, — ვკვნესოდი: „გამიყვანეთ ნაპირზე, მიშველეთ.“

— შე დალოკვილო, აბა ეს რა ღელვაა? ზღვამ გამოგცადა, — ბუნდოვნად მესმოდა ბოცმანის სიტყვები.

ჯიბიდან პატარა ბოთლი ამოიღო და პირში არაყი ჩამასხა. გადავყლაპე. უკეთ ვიგრძენი თავი.

— ჩადი ქვევით, მოისვენე. სიტყვა არ წამოგცდეს, თორემ დაგკინებენ, ძეზღვაურები სხვანაირი ხალხია. ღელვის დროს არაყი იქონიე თან.

სველ კიბეზე ფეხი დამიცურდა. საფეხურები კისრის მტვრევით ჩავირბინე.

მაგიდაზე დაყრდნობილი მოხუცი, ცალთვალა მზარეული ქალი წიგნს კითხულობდა.

მწვანე შუქსაფარიანი ლამფის შუქი ლეღვის ფოთლებად ეყარა იატაკზე და ნაოსნების ლოგინზე.

მარცხენა გვერდზე დავწექი, თბილ საბანში გავეხვიე.

ხანდახან „გელენჯიკის“ ცხვირს ტალღა ზედიზედ სცემდა. ერთ ადგილას გაჩერებული ხომალდი ირყეოდა, თრთოდა, თითქო უნდა დაიმსხვრეს და დაიშალოსო. მაშინ მაგიდაზე ხტოდა ლამფა, გადასავარდნად ემზადებოდა, მაგრამ მზარეული ხელს ჩასჭიდებდა და უკანვე მიასრიალებდა. შემდეგ ისევ მიიწევდა და ირწეოდა ხომალდი.

მტკიოდა თავი, მტკიოდა გულიც. მსურდა ნაოსნებთან საუბარი გამება, საუბეგეშო რამ მომესმინა, მაგრამ მეშინოდა დაცინვისა. ბტანჯველი მარტოობა ვიგრძენი და ჩემი გაუხარელი ბავშვობა მომაგონდა, მომაგონდა დედა: ლოყებჩაცვენული, გაფითრებული მუშაობს ქარხანაში და სალამოთი ბრუნდება დაღლილი, ძლივს სუნთქავს. მცირე ხანს ისვენებს სკამზე. მერე წყალში ალბობს პურის გამხმარ ნატეხებს, ან მეზობლისაგან სიმინდის ფქვილს სესხულობს და ჭადს აცხობს. ცრემლი სდის დანაოჭებულ სახეზე და მეუბნება: „სჭამე, შენ მოგიკვდეს დედა“... კუბოში რომ იწვა, ვუკოცნიდი სამუდამოდ გაცივებულ ხელებს და ვემუდარებოდი: „დედი... შენ დაგენაცვლე, დედი!.. სად წახველ, დედიკო?..“ დედა კი სდუმდა, ნაწვალები, თმა-ჭაღარა, ძვალტყავად ქცეული. ცოცხალი რომ იყოს, გავახარებდი, შუბლზე ვაკოცებდი, ჩემს ნაამაგარს მივუტანდი. მაგრამ... ქვეყნიერების ყოველი კუნჭულიც რომ მოვიარო, ვერასოდეს ვეღარ ვნახავ სიყვარულითა და ნაღველით ამოლესილ იმ შავ, დიდრონ თვალებს, იმ თმას, იმ სახეს, ვერასოდეს ვეღარ გავიგონებ: „სჭამე, შენ მოგიკვდეს დედა“. მამა ნაოსანი იყო და ზღვაშივე ჰპოვა ბინა. იქნებ სწორედ ამ ხომალდის ქვეშ ჰყრია მამაჩემის დასილული, უპატრონო ძვლები?

წამოვიწიე, მზარეულს თვალი შევავლე, მერე თავზე საბანი წავიხურე და მწარედ, მწარედ ავქვითინდი.

ჩემს თავთან ლილისფერ ილუმინატორზე წანწკარებდნენ და გალობდნენ წყლის შხეფები. თითქო ილუმინატორი ცისფერი მერცხლების ბუდე იყო და მერცხლები ჟღურტულებდნენ სიცოცხლის მარადიულ გაზაფხულზე და სიყვარულზე.

## II

გამალვიძეს. გემბანზე ამოვედი. უძლეველი ადამიანის დინჯი თვალებით ვიმზირებოდი. თოვლს გადაეღო, ქარი ჩამდგარიყო. გაცრეცილ ღრუბლებიდან, როგორც თეთრ საცერიდან, იმარცვლებოდა მთვარის ნათელი.

ვარხვები და გედები დათოვლილი ყინულის დიდი ნატეხებივით დაკურავდნენ ზღვაზე.

ზვირთები „გელენჯიკს“ ეჯახებოდნენ. ზღვის ფსკერს ხომალდი მძლავრად ეცემოდა.

საჭეს კაპიტანი მართავდა. იგინებოდა, ღელავდა.

ბოცმანი გრძელი ჭოკით ზომავდა ბოლაზის სიღრმეს და დროგამოშვებით იძახდა: ორი მეტრია! მეტრნახევარია!

— აქ ხშირად ისილება და იცვლება ბოლაზი. რომ დაირღვეს ხომალდი?— ჩაიბუტბუტა შეშინებულმა, ნაყვავილარმა, შუატანის ახალგაზრდა მეზღვაურმა და ხელები შეიორთქლა.

პასუხი არ გამიცია. ზურგი ვაქციე ზიზღით. თითქო მეზღვაური კი არა, ჩემი გუშინდელი, სამარცხვინო, ქალაჩუნური ცრემლებით სველი ღამე მელაპარაკებოდა.

„შე ობერო, რა გატირებდა გუშინ? ეს არის შენი ვაჟკაცობა?“—ვამბობდი გულში და მძულდა ჩემი თავი.

— სამი მეტრია! — გაეხარდა არტემს და ჭოკი გემბანზე დააგდო.

მდინარე ხობის მარჯვენა ნაპირზე ტანმაღალ, ბებერ, დათოვლილ ალვის ხეებს ეძინათ. გაეშალათ თეთრი თმები და მუხლებამდე ჩამოეყარათ.

ზღვის ნაპირი შავი ზოლივით გაწოლილიყო. ზედ თეთრი წინწკლებივით ჩამწკრივებულიყვნენ თოლიები.

ხობში შევცურდით, ხე-ტყის სახერხ ქარხანას გავუარეთ და ხომალდი იქ ძივაყენეთ, სადაც მდინარე „ცივს“ შავი შუბლი მიუბჯენია ხობის ლურჯი სხეულისათვის.

ბოცმანმა და ნაოსანმა თავ-თავიანთ ბინებისაკენ გასწიეს.

სამზარეულოში ჩავედი, გათოშილი ხელები თუჯის გაწითლებულ ღუმელზე გავითბე. მოკლედ დახერხილი შეშა კუთხეში ეყარა. შეშაზე მიცუცქული მზარეული თავს აქანქარებდა, სთვლემდა. ჩაიდანში დუღდა წყალი. ჩაიდანის სახურავს ორთქლი აწვებოდა. სახურავი ზევით იწევდა და ისევ ეცემოდა, თითქო ისიც სთვლემსო. ზინ... ზინ... ზინ... ხმაურობდა სახურავი და ძილს მგვრიდა.

კაპიტანი შემოვიდა. გამილიმა. სკამი მივართვი. მან მხარზე კვლავ მომითათუნა ხელი, ჩამოჯდა და მკითხა:

— როგორა ხარ, ბიძიკო? ხომ არ მოიწყინე?

კაპიტანის ოდნავ მოგრძო, მზით გარუჯულ სახეში იყო რაღაც წმინდა, ბშობლიური. ხშირ, თეთრ წარბებს დათოვლილ ბუჩქებივით ჩამოსწოდა ხოლმე და მხოლოდ თვალებით, პატარა ზღვისფერი თვალებით ეშმაკურად ციმციმებოდა.

უსაზღვრო სიყვარული ვიგრძენი კაპიტანისადმი. რატომღაც მჯეროდა, რომ ძოხუცებულობის ჟამს მამაჩემიც კაპიტანი იქნებოდა, რომ მას სწორედ ისეთივე სახე ექნებოდა, როგორც ისმაილს. რაღაც თბილი და კარგი მინდოდა მეთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რიონის ხიდზე რაიმე ხომ არ შეგემთხვათ, ბიძი?

კაპიტანმა წყრომით გადმომხედა.

— ვინ გითხრა?

შევიშმუშნე და თვალები დავხარე.

— ჩემო ბიძიკო, ყოველ ადამიანს აქვს თავისი პატარა დარდი. არავისათვის არ არის ეს საინტერესო.

კაპიტანი წამოდგა. ამოიოხრა.

— მშობლები გყავს?

— არა მყავს, ბიძი. მამა არ მახსოვს, დედა კი მენშევიკების დროს გარდაიცვალა. თქვენთან ვიქნები სულ.

იგი სკამზე დაეშვა, თავზე ალერსიანად გადამისვა ხელი. მცირე ხანს მიყურა და შემდეგ, ნაღვლიანი ხმით დაიწყო:

„ცხრაას თვრამეტ წელს, ჩემო ბიძიკო, გემ „მიხაილზე" ვმუშაობდი ბოცმანად. მაისის ბოლო იყო, ჯამაგირი დაგვირიგეს. მე და მეზღვაურმა პეტრე სკრიპჩენკომ გადავწყვიტეთ, ყელი ჩაგვესველებინა. საღამო ჟამს გამოვეწყვეთ სუფთად და საქეიფოდ გავსწიეთ. რესტორანი გაჭედილი დაგვხვდა ხალხით. კუთხეში პატარა მაგიდა დავიკავეთ. ჩვენს გვერდით ლიქიორებით სავსე მაგიდაზე ვახშმობდნენ მოხუცი, ჩასუქებული, ტანმაღალი, ულაყივით მოჭიხვინე თავადი დადიანი, სამი შანდილოსანი და ქადაგად ქცეული, პირხმელი, ულვაშებ-აწკიპინებული გერმანელი ოფიცერი. მაშინ გერმანელები თარეშობდნენ საქართველოში. დადიანის ახალგაზრდა, მწვანეთვალებიანი მეუღლე ვნებიანად შესცქეროდა პეტრეს განიერ მხრებსა და კუნთებიან მკლავებს. დადიანი ამჩნევდა ამას, ოფიცერს უღიმოდა, თვალებს ნაბავდა და თან ბუჯღლუგუნს სცემდა მეუღლეს. ოფიცერიც ნაბავდა თვალებს და მაგიდის ქვეშ ფეხს აცოცებდა ქალების ფეხებისაკენ.

იმ დროს რესტორანში მთვრალი რუსი მეზღვაური შემოვიდა და თავადს პაპიროსი სთხოვა. თავადმა მოზვერივით დასწია თავი და ქვეიდან შეუბღვირა. ოფიცერმა კი ჯიბიდან მოოქროვილი პორტსიგარი ამოიღო, ერთი ღერი პაპიროსი ძირს დააგდო და მთვრალ მეზღვაურს მიმართა: „აიღე, რუსო ძაღლო, ბოლშევიკი იქნები".

მეზღვაურს გული მოუვიდა: ძაღლს რისთვის მიწოდებ, შე მხეცო! შევარცხვინე შენი პაპიროსიო.

მაშინ ოფიცერმა წიხლი ჰკრა. მეზღვაური მხარით მიენარცხა კედელს. სკრიპჩენკომ ხელზე იკბინა და ადგომა დააპირა. ძლივს შევაკავე პეტრე. მეზღვაური წელში გასწორდა და ლაზათიანად, მეზღვაურებმა რომ ვიცით, ისე შეაგინა დედა. ოფიცერმა იმ წამსვე ბოლჩიდან რევოლვერი ამოიძრო და ესროლა. მეზღვაური ჩაიკეცა და დაეცა. შემდეგ კარგად არ მახსოვს რა მოხდა. მე და სკრიპჩენკო დავერიეთ თავადს და ოფიცერს და გაგიხარია — ვხილეთ. მაშინვე დაგვაპატიმრეს და ციხეში გვიკრეს თავი.

სიმართლე რომ გითხრა, ჩემს თავს არა ვნაღვლობდი. ციხეში ჯდომა ჩემთვის ახალი არ იყო. მირზა მიტრიალებდა თავში, იმაზე ვდარდობდი სულ. მაშინ ყულევში ახლად დასახლებული ვიყავი. როცა ყულევიდან მივდიოდი, მეზობელს ვუტოვებდი მირზას და ფულს ვაძლევდი. ის უვლიდა ჩემს ბიჭუკელას. ყველა კაცი ხომ კაცი არ არის? მეზობელს რომ გაეგო — ისმაილი დაეპატიმრესო, მირზასათვის უარი ეთქვა რჩენაზე. რა ექნა ცხრა წლის ბავშვს? წამოსულა ყულევიდან, ნავსადგურში მოუნახავს ჩემი კარგი ამხანაგი, ფეხ-

საკლის მწმენდავი, ომში ფეხებმოჭრილი ებრაელი და იმას შეჰკედლებია. იმ ებრაელმა ამიხილა თვალები, ლენინის წიგნები იმან გამაცნო. მირზასაც თურმე ფეხსაცმელის წმენდა დაეწყო. ყველაფერი ეს მიამბო მირზამ, როცა ციხეში მინახულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა, აღარ იკითხავ, როგორ მოხდა ჩვენი შეხვედრა?

ციხის უფროსი ზედამხედველი ზაზა ქოიავა გულქვა, შურიანი, ორპირი და მლიქვნელი კაცი იყო. მუდამ ჩვენს საკანთან ეგდო, რომ უფროსთან დავესმინეთ. მუდამ გვიღრენდა ის გულშავი, უფროსებს კი ფინიასავით დასდევდა. ცხვირი ჩაქუჩს მიუგავდა, ყურები კი უზომოდ დიდი და შავი ჰქონდა.

ერთხელ ზაზამ მიხმო, თუთუნი გადმომცა და შემომიღრინა: „თუთუნი შენმა შვილმა გამოგიგზავნა. ციხის უფროსმა ნება დაგრთო შვილის ნახვისო".

წარმოიდგენ ჩემს სიხარულს? სკრიპჩენკოს ვეცი და გადავკოცნე. მან არ იკოდა ქართული, მიყურებდა ერთხანს და მერე შემეკითხა სიხარულითა და სინანულით: თავისუფლდები?

— შვილი მოსულა ჩემი! — ვიყვირე და გავექანე.

ფეხშიშველი მირზა შეხტა ჩემს დანახვაზე, მაგრამ ახლო არ მიმიშვეს.

— შენ ნუ გეშინია, მამილო, ძია ლენინი ჩქარა გამოგიშვებს ციხიდან, — მახარა გამომშვიდობებისას.

ლენინის სახელი რომ ახსენა, აღარ ალაპარაკეს. ზაზამ ფეხი ამოჰკრა და წინ გაიგდო. მოაჯირიდან გადავხტი, ზაზას დავაფრინდი, ქვეშ მოვიგდე და რაც ძალი და ღონე მქონდა, რამდენჯერმე მუშტი შემოვკარ სახეში. დამესივნენ მაშინ ძაღლებივით, მცემეს და აგურის იატაკზე დამანარცხეს. გონება დავკარგე... შარშანწინ, როცა ბოლშევიკებმა გაგვანთავისუფლეს, გავეშურე ნავსადგურისაკენ... ქალაქიდან გამგზავრებისას, ღამით, მთვრალი გერმანელი ოფიცრების ბრძანებით ერთად გაებაწრათ მირზა და ებრაელი, ზედ რკინის დიდი ღერძი მიებათ და რიონში ჩაეძირათ".

ისმაილს ხმა აუთრთოლდა.

— არა, არ უნდა კვდებოდეს ადამიანი, არ უნდა ურიგდებოდეს სიკვდილს, — განაგრძო მან. — რომ იცოდე... როგორ ჰგავხარ მირზას...

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაინრიხ ჰაინე

# გერმანია[1]

## თავი XI

ტაციტი აღწერს ტევტობურგის ტყეს,
სახელგანთქმული ეს ტყე აქ არის;
ამ ტყის კლასიკურ ჭაობში თვითონ
ვარი ჩაეფლო რომის ლაშქარით!
ამ ჭაობებში ჰერუსკთ თავადმა,
ჰერმანმა სძლია ლაშქარი მისი
და ეს ტალახი გერმანელთაგან
თაყვანისცემის შეიქნა ღირსი.
ჰერმანის ქერათმიან ურდოებს,
რომ არ ეძლია ლეგიონები,
არ გვექნებოდა თავისუფლება
და გავხდებოდით რომის მონები!
მათს წესს და ენას შევითვისებდით,
დამპყრობთ გავლენას ვინ აირიდებს,
ჩვენც ვესტალკები გვეყოლებოდა
და დაარქმევდნენ შვაბებს კვირიტებს.

. . . . . .

## თავი XII

ტყით მიდიოდა ღამეში ეტლი,
ნელი ჯაგჯაგით დიდხანს იგორა,
მაგრამ უეცრად გატყდა ბორბალი
და სანუგეშო არა იყო რა.
ფოსტალიონი დაეშვა სოფლად,
ირგვლივ ღამე და ტყე იყო ბნელი,
მე მარტო დავრჩი და შორს მომესმა
გულის მომკვლელად ღმუოდა მგელი.
ღმუოდნენ მგლები, შიმშილისაგან
გახელებული და ნაწვალები,
როგორც სანთლები შორს ანთებული,
ღამეში ჩანდნენ მათი თვალები.
იქნებ მათ ჩემი მოსვლა გაიგეს,
მოგროვდნენ ბნელში თვალთა
ცეცებით,
აანთეს შუქი და ახლა მღერის
ჩემს გასართობად ხროვა მხეცების.
მე მიმღერიან ამ სერენადას,
მასში ყალბი ხმა არ ეღერს არცერთი!
გულაჩუყებით მივიღე პოზა
და მოვახსენე სიტყვა ასეთი:
„ო, ძმაო მგლებო! თქვენში
მოხვედრით
ბედნიერი ვარ, ავმაღლდი ცამდე,
თქვენი ღმუილი რომ გავიგონე,
სასიყვარულო ხმა განვიცადე.
რასაც ახლა ვგრძნობ, როგორ
გამოვსთქვა,
გადმოსაცემად სიტყვა არ კმარა.
ეს წუთი, ჩემთვის ულამაზესი,
ჩემს ნათელ ხსოვნას დარჩება მარად.
ჩემდამი ნდობა რომ გამოხატეთ,
ჩემგან გეკუთვნით დიდი მადლობა,
თქვენ კვლავ მომენდეთ განსაცდელის
ჟამს,
როცა ძნელია ვინმეს დანდობა.
ძმებო, თქვენ ჩემში არც კი დაეჭვდით,
თუმც სურდათ თქვენთვის მახის
დაგება,
მე რომ ძაღლების მომხრე არა ვარ,
თქვენ თვითონ ძალგიძთ ამის გაგება.
თქვენ გიღალატოთ და ცხვრის
ფარაში
ჰოფრატად დავდგე ცხვარივით
მშვიდი?
ცილისმწამებლებს არ ვედავები,

---

[1]) დასაწყისი იხ. „მნათობი", № 1.

მე მათთან კამათს სირცხვილად
ვთვლიდი.
ზოგჯერ ცხვრის ტყავში თუ
გავხვეულვარ,
ვწრუნავ, სიცივემ რომ არ დამაზროს,
მაგრამ გჯეროდეთ, ბედნიერება
არ მინატრია ცხვრების არასდროს.
ცხვარი, ძაღლი და ჰოფრატი არ ვარ,
არც ვირთევზა ვარ განწყობილებით—
მგელი ვარ გულით, მგელი ვარ სულით
და ისევ მგლური შემრჩა კბილებიც.
მეც თქვენთან ერთად დავიწყებ
ღმუილს,
ვითომ მეც თქვენებრ მგელი ვარ
ერთი,
არ გატყდეთ, ძმებო. მაგრად იყავით
და დაგიფარავთ მაღალი ღმერთი!"

## თავი XIII

მზე პადერბორმში მეტად მწუხარე
სახით გამოჩნდა ცაზე ამ დილით.
ოხერ მიწას რომ მუდამ ანათებს —
ამათ შრომა არის ნამდვილი.
ერთს გაანათებს ნახევარ სფეროს,
მეორისაკენ იმ წამსვე უხვევს,
და მეორესთან როცა მიაღწევს,
მაშინ პირველში ღამეა უკვე.
დაბლა გორდება სიზიფის ლოდი,
კასრს ვერ ავსებენ დანაიდები,
მზე, დამაშვრალი ასე ამოდ,
ტყუილად ბრწყინავს ცაზე დიდებით.
როგორც კი გაჰქრა რიურაჟის ნისლი,
დილის ნათელში ჩვენება ვნახე,
მოულოდნელად გამომეცხადა
გზისპირად თვითონ ჯვარცმულის სახე.
ტანჯულო შვილო ჩემი ტომისა,
მე შენი სახე მაღონებს მუდამ;
სულელო, თურმე მისთვის ეწამე,
რომ შენი ტანჯვით ქვეყნის ხსნა
გსურდა!
ცბიერად გაგცეს საყდრის მწყემსებმა,
სასტიკი იყო ეს გახუმრება,
მაგრამ სიტყვებში რად ეხებოდი
სახელმწიფოს და ღვდელმსახურებას?
საუბედუროდ, მაშინ ჯერ კიდევ
არვინ იცოდა დაზგა საბეჭდი,
თორემ სტამბაში წიგნს დაბეჭდავდი
და ზეცის კითხვებს შიგ გაარჩევდი.
გაბედულსა და თამამ [illegible]
ამოიღებდა ყველგან [illegible]
გადარჩებოდე ჯვარცმას ადვილად,
არ გაწამებდნენ ასე მხეცურად.
ახ! მთაზე სიტყვა რად არ სთქვი
ფრთხილი,
ნიჭიერი და მუდამ ჭკვიანი,
რატომ დაესხი თავს ფარისევლებს,
რად მიაყენე შენს თავს ზიანი.
— მევახშეები და ბანკირები
სდევნე ტაძრიდან, არ დაგინდია...
და დღესაც, სხვების სამაგალითოდ,
შენი სხეული ჯვარზე ჰკიდია.

## თავი XIV

ციცი ქარია, ტრიალ მინდორზე,
ტალახში, ნისლში გზების მკვლეველი
მივდივარ, გულში რეკავს სიმღერა:
„მზეო, ცეცხლი ხარ შურისმგებელი!"
ეს ძველისძველი სიმღერა არის,
მას მიმღეროდა ძიძა ჭალარა.
„მზეო, ცეცხლი ხარ შურისმგებელი!"
თითქოს მესმოდა ტყიდან ნალარა.
სიმღერა იგი მკვლელზე მღეროდა,
ვისაც სიცოცხლე ჰქონდა ხალისად;
ის ჩამომხრჩვალი ტირიფის ტოტზე
იპოვეს ტყეში შესაბრალისად.
და განაჩენი ტირიფის ტოტზე
იყო მიკრული მკაცრად მეტყველი,
ფემას სამსჯავროს იძია შური:
„მზეო, ცეცხლი ხარ შურისმგებელი!"
მკვლელმა მიიზღო სამაგიერო,
სასტიკი იყო მზე ბრალმდებელი,
და ოტილია მოკვდა ძახილით:
„მზეო, ცეცხლი ხარ შურისმგებელი!"
ამ სიმღერაზე მე მომაგონდა
გამზრდელი ძიძა, მოხუცი ნაზი,
თვალწინ დამიდგა ჩემთვის ნაცნობი
მისი ნაოჭის ყოველი ხაზი.
ის მიუნსტერის მხრიდან იყო და
სათხრობად ჰქონდა დიდი მარაგი:
საშინელ ზღაპრის, ლექსის, ლეგენდის,
სიმღერისა და იგავარაკის.
გული მიცემდა, როს მიამბობდა,

მთლად ზღაპარში და ფიქრში წასული,
თუ როგორ უდგა მინდორში ბატებს,
ქერათმიანი მეფის ასული.
ის ბატებს უდგა და საღამო ხანს,
დაბრუნებისას, ბატებს რომ სდევდა,
ქალაქის კართან შეჩერდებოდა
და ერეოდა უსაზღვრო სევდა.
კარს ეკრა ქალა ცხენის თავისა,
ასული გმობდა თავის გაჩენას,
მამის სახლიდან უცხო ქალაქში
იგი ამ ცხენმა შემოაქენა.
„ფალადავ, კარზე დაგკიდეს!“
ოხრავს,
ასული ცრემლით სავსე თვალებით
და ცხენის ქალა ეტყვის პასუხად:
„მე ახლა მხოლოდ შენ
მებრალები!“
„დედას რომ უთხრან ჩემი ამბავი...“
ოხრავს და ისევ ცრემლი ადგება;
კვლავ უპასუხებს ქალა ცხენისა:
„მოკლავდა მხოლოდ ამბის გაგებს!..“
სულგანაბული ვუსმენდი ძიძას,
მას უბრწყინავდა ფართო თვალები,
როცა ხელმწიფე როტბარტის ამბავს
ჰყვებოდა ჩუმად და მოკრძალებით.
„ის არ მომკვდარა — მეტყოდა ძიძა —
მკვდრად ტყუილად სთვლის ბევრი
სწავლული;
მას მთაში გაჰყვა ერთგული რაზმი
და იმალება ტყეში გასული.
იმ მაღალ მთაში — კიფჰაიზერში,
გამოქვაბული არის ერთგვარი,
მის თაღებიან დარბაზებს უხვად
ანათებს შუქი მოსაჩვენარი.
პირველ დარბაზში თავლაა ცხენთა,
მრავალი ცხენი მუდამ მზად არი.
ბრწყინავენ ვერცხლით მოკაზმულები,
თვალს მოგჭრის მათი ძუა-ფაფარი.
ყველას ადგია უნაგირები,
მოკაზმულობა შვენით კეთილი,
მაგრამ არც ერთი არ იძვრის, თითქოს
თუჯისგან იყონ გამოკვეთილი.
სძინავს მეორე დარბაზში ლაშქარს,
ჯარი წევს ბევრი ათასეული.
სასტიკ სახეებს წვერები შვენით
და მაგარია მათი სხეული.
თავით ფეხამდის შეჭურვილთაგან,
თითქოს ბრძოლისთვის ყველა მზად
ბიბლიოთეკის
მაგრამ სძინავთ და თვალს არ ახელენ,
უძრავი არი მათი აბჯარი.
მესამე დარბაზს ხმალი და შუბი
ამშვენებს კედლის გასწვრივ
გაკრული —
მახვილები და მუზარადები,
მთლად ყველაფერი ძველი ფრანკული.
დგას ზარბაზნები. დავლაა იგი
გამარჯვებული მეფის ლაშქარის,
მათ ზემოთ დროშა ბრწყინავს
სამფერი,
როგორც გვირგვინი ნაალაფარის.
შემდეგ დარბაზში თვითონ როტბარტი
ასეულ წლობით ცხოვრობს ქებული,
ქვის ტახტზე ზის და ქვის მაგიდაზე
მკლავს დაყრდნობია ჩაფიქრებული.
მიწამდის სწვდება დიდი ხელმწიფის
წვერი წითელი, ვით ცეცხლის ალი.
ხან წარბს შეიკრავს განრისხებული,
ხან ეხუჭება უეცრად თვალი.
ფიქრს წაუღია, თუ სძინავს მეფეს?
შორიდან ძნელი არი სათქმელად,
დრო მოვა, როცა აღსდგება იგი
სამაგიეროს გადასახდელად.
ააფრიალებს დროშას, გასძახებს:
„აბა ცხენები ჩქარა, სად არის!“
და უმძიმესი აბჯრის ჩხარუნით
ფეხზე დადგება წამსვე ლაშქარი.
აშიხვინებულ ცხენებს უმალვე
მოახტებიან და აჩქარებით,
დაჰკრავენ ბუკს და ზათქით, ხმაურით
გაფრინდებიან, როგორც ქარები.
გამოიძინეს ზორბად და შვენით
კარგი ცხენი და ხმალი გამჭრელი!
თვითონ ხელმწიფე მიდის დამსჯელად
და მკვლელებს ელით მკაცრი სასჯელი.
მათ გერმანია მოჰკლეს — ასული
ქერათმიანი, შუქის მფრქვეველი,
მკვლელებს სიკვდილით უნდა
მიეგოსთ...
„მზეო, ცეცხლი ხარ შურისმგებელი!“
ყველას, ვინც კოშკში ზის ჩაკეტილი,
ვისაც სინდისი არ ახსოვს, ყველას,

მისწვდება მეფის დამსჯელი ხელი
სამაგიეროს გადასახდელად...“
ო, რეკავს ძიძის ზღაპარი, თითქო
კვლავ ვიყო მისი ყურისმგდებელი
და ცრუმორწმუნე გულშიაც რეკავს:
„მზეო, ცეცხლი ხარ შურისმგებელი!“

## თავი XV

ნემსივით ჩხვლეტენ ცივი წვეთები,
წვიმს, იყინება მთელი სხეული,
მიჯაგჯაგებენ ლაფში ცხენები,
ძუებს იქნევენ ქანცმილეულნი.
ფოსტალიონმა დაუკრა ბუკით
ჩემთვის ნაცნობი სიმღერა ტკბილი:
„ჭიშკარს გაშორდა სამი მხედარი...“
მე მომერია ნელნელა ძილი.
ჩამთვლიმა ეტლში, დავხუჭე თვალი
და აი, ჩემი სიზმრად ნახული:
უეცრად მოვხვდი იმ მთაში, სადაც
რობრატს აქვს თავის გამოქვაბული.
ქვის მაგიდასთან, ქვის ტახტზე
მჯდარი,
ქვის ქანდაკივით იგი ვერ ვნახე,
მისი სიმკაცრე მსმენია, მაგრამ
სულაც არ ჰქონდა მრისხანე სახე.
ნანგრევებს შორის დამატარებდა,
საუბრით სურდა ჩემი გართობა
და მაჩვენებდა ანტიკვარიუმით
სიძველეებს და იშვიათობას.
ზარადხანაში მასწავლა ლახვრის
მარჯვედ ხმარებას რა გვიადვილებს,
და ასეული წლით მოდებულ ჟანგს,
მზრუნველად სწმენდდა კალთით
მახვილებს.
ხელში აიღო ფარშევანგების
ლამაზი ფრთები, ბრწყინვალე ფერის,
ზუჩებს, ფარებს და ძველისძველ
ჩაჩქნებს
ნაზად მოსწმინდა დიდიხნის მტვერი.
ბაირალს მტვერი რომ მოაშორა,
სთქვა: „სატრაბახოდ ეს დამრჩენია:
დროშის ტარს ჭიამ ვერ ავნო
დღემდის,
აბრეშუმს ჩრჩილი არ გაჩენია!“
როცა შევედით დარბაზში, სადაც
შეჭურვილები იწვენ მხედრები,
ხელმწიფე უცებ მობრუნდა ჩემსკენ
და ჩუმად მითხრა, თითქოს
ვფიქრობ
ვფიქრობ
ვფიქრობ

„რა საჩქაროა,—მომიგო მეფემ
და გაიღიმა ხალისიანად,—
ერთ დღეს რომი არ აშენებულა,
კეთდება კარგი საქმე გვიანაც.
დღეს არ გაკეთდა, ხვალ გაკეთდება,
ნელა იზრდება მუხა მაგარი.
„chi va pino, va sano"—მახსოვს,
რომში ანდაზა იყო ამგვარი.

## თავი XVI

მოულოდნელმა ეტლის ჯახანმა
გამომაღვიძა და თვალებს ვახელ,
მაგრამ ხელახლა ჩამეძინა და
სიზმარში ისევ როტბარტი ვნახე.
ვმასლაათობდით, მიმოვდიოდით
ჩუმ დარბაზებში ჩვენ ორი ეხლაც;
მეკითხებოდა სხვადასხვა ამბებს,
როგორიაო ცხოვრება ქვეყნად.
თითქმის შვიდწლიან ომს აქეთ იმას
ქვეყნიდან ცნობა არა ჰქონია,
არცერთი სიტყვა, არცერთი ჭორი
მის ყურებს აღარ გაუგონია.
ის კითხულობდა მოსე მენდელსონს,
აგრეთვე კარშინს, დიდ ინტერესით.
იკითხა შემდეგ მან დიუბარი,
სატრფო თვით ლუი მეხუთმეტესი.
„ჩამორჩენილხარ, მეფევ!—
შევძახე,—
მოსე, რებეკაც, იმისი ცოლი,
სადღა არიან?! შვილი აბრამიც
იხრწნება უკვე მიწაში მწოლი.
ამ აბრაამმა ლიასთან ერთად
მეტად ყოჩაღი შვილი შვა ფელიქს:
გზა გაუწალდა ქრისტიანობამ—
რეგენტი გახდა კარის კაპელის.
დიდი ხანია მოკვდა კარშინი,
მკვდარია კლენკეც, იმისი ქალი,
შვილიშვილსა კი, ჰელმინა ჩეზის,
არ დაუხუჭავს ჯერ, ვგონებ, თვალი.
დიუბარი ხომ... სანამდის ლუი
ცოცხალი იყო, იგი ძალიან
კარგად ცხოვრობდა. მერე ბებერმა,
გილიოტინზე სული დალია.
ეს მეხუთმეტე ლუი მეფურად
გარდაიცვალა თავის ლოგინზე,
მეთექვსმეტეს კი და მის მეუღლეს
თავები დასჭრეს გილიოტინზე.
ანტუანეტა დედოფალს თავი
მტკიცედ ეჭირა, არა [illegible]
დიუბარი კი გაგიჟებულ[illegible]
სტიროდა მწარედ და გაჰკიოდა".
უცებ წამოდგა იმპერატორი,
გადაფითრდა და წამოიკვნესა:
„გილიოტინა? ღვთის გულისათვის,
გამაგებინე, რა არის ესა?"
„ეს—შევეცადე მე განმარტებას,—
თანამედროვე მეთოდი არის
იმ ქვეყნად ხალხის გასამგზავრებლად,
განურჩეველად წოდების, გვარის.
მანქანა არის იგი ახალი.
არცა თუ რთული, ასე მგონია,
გილიოტინა დაარქვეს, რადგან
ის გილიოტინს მოუგონია.
რომ დაგაკრავენ თასმებით დაფას,
მაშინვე დაფა ეშვება ქვევით
და ორ ძელ შუა შედის; ჰკიდია
სამკუთხოვანი ნაჯახი ზევით.
თოკს ჩამოსწევენ, და ის ნაჯახი
დაბლა ჩამორბის ხალისიანად,
და შენს მოჭრილ თავს მყისვე ტომარა
შეეგებება ძირს ხერხიანად."
აქ კაიზერმა იყვირა: „კმარა!
გისმენ და გულზე ცეცხლი მედება,
წყეულიმც იყოს იგი და ღმერთმა
მაშოროს მისი ამოქმედება!
ვაი, სირცხვილო! დაფაზე თასმით
დაკვრა მეფისა და დედოფლისა!
ეს ხომ იქნება სრული მოსპობა
ეტიკეტის და კანონთ ძალისა!
ან შენ ვინა ხარ? ეს ლაპარაკი
ჩემთან შენობით თავხედურია.
ჭკუით იყავი, ყმაწვილო, თორემ
მაგ ფრთებს დაგაჭრი მე შენ
სრულიად.
შენი უჭკუო ლაყბობის გამო
გული ამევსო ბოლმით და შხამით,
თვით შენი სუნთქვა ამბოხი არის,
და შეურაცყოფ მეფის ტახტს ამით."
როცა მოხუცი თავზე დამესხა
ასე მკაცრი და გააფთრებული,
ავღელდი მეცა, და გადმოხეთქა,

რაც სულში მქონდა დაგუბებული.
„ბატონო როტბარტ! — წამოვიძახე, —
შენა ხარ მხოლოდ ზღაპრული სული.
იძინე. ჩვენ კი უშენოდ შევძლებთ
თავისუფლება ვიპოვოთ სრული.
„რესპუბლიკელებს“ ვერ გადურჩებით:
რა გესლიანად გაეცინებათ,
თუ კი აჩრდილი გვირგვინოსანი
ჩვენ წინამძღოლად მოგვევლინება!
მე შენი დროშაც მომბეზრდა მეტად:
ძველგერმანული მიდრეკილება,
სამფეროვანი ალამის მიმართ
სტუდენტობიდან მეთაკილება.
ყველას ეჯობებს, კიფჰაიზერში
რომ იჯდე შენთვის ჩუმად და
მშვიდად.
უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენ
ხელმწიფე
უკვე აღარც თუ გვჭირდება დიდად.“

. . . . . .

## თავი XVII

მინდენი არის ციხე-ქალაქი,
გამაგრებული ყოველი კიდით,
მაგრამ პრუსიულ ციხეებისა
მე მოყვარული არა ვარ დიდი.
ჩვენ აქ მოვედით გვიან საღამოს,
ასაწევ ხიდსა აღმოხდა კვნესა
ზედ რომ შევდექით; არხსა
ვხედავდით
ძირს, უფსკრულივით პირღიას,
ბნელსა.
იმუქრებოდენ ბასტიონები
მაღლა, ჰაერში ასულნი მრგვალად.
გაიღო ჩვენს წინ კარი ჭრიალით
და დაიხურა ჭრიალით კვალად.
ოჰ! მე ვიგრძენი გულის ტკივილი
იმგვარად, როგორც ოდისემ მაშინ,
როს პოლიფემმა ვეება ლოდით
მას შესავალი დაუხშო ქვაბში.
მოვიდა ჩემთან მკაცრად კაპრალი,
„რა გქვიან?“ — მომცა კითხვა
პირველი.
„მე მქვიან „არვინ“, ვარ მე ექიმი,
ვარ ბისტგადაკრულ თვალთ
ამხილველი.“
მე სასტუმროში სულ დავიბუნდი
და უხალისოდ ვახშამი ვჭამე.
დავწექი, ძილი გამიკრთა, [illegible]
ლოდად საბანი მე [illegible]
სქელბუმბულიან საწოლს ეფარა
წითელი ფარდა ორივე მხარეს;
ჭუჭყმოდებული ფოჩი შუაში
ჰქონდა ბალდახინს უფერულს,
მდარეს.
წყეული ფოჩი! მის გამო ძილი
თვალზე ერთ წამსაც არ მომეკიდა.
როგორც დამოკლეს მახვილი მკაცრი,
ის ჩემი თავის ზემოთ ეკიდა.
მეგონა ზოგჯერ, იმისი სახით
ყურს ჩამწიოდა თავი გველისა:
„შენ ციხეში ხარ სამარადისოდ,
ნუ გაქვს იმედი ხსნის და შველისა.“
„ნეტა შემეძლოს, რომ ვიყო ახლა, —
ვეხრავდი მწარედ მე მთელი
მკერდით, —
პარიზში ისევ, ჩემსავ ბინაში,
ჩემი ძვირფასი მეუღლის გვერდით!“
მეჩვენებოდა ხანდახან, თითქოს
შუბლს მისერავდენ ცივი ხაზებით;
ეს იყო თითქოს ცენზორის ხელი,
და მერეოდა თავში აზრები.
ვგრძნობ, ყანდარმებმა, თეთრ
სუდარებში
გახვეულებმა, იწყეს ტრიალი,
შემოეჯაჭვნენ გარშემო საწოლს,
და ბორკილების მესმის ჩხრიალი.
აჰ! აჩრდილებმა ხელი წამავლეს,
სადღაც ხრამებში წამიღეს თრევით,
მერე ჯაჭვებით შავად ამართულ
ფრიალო კლდეზე მიმაკრეს ზევით.
კვლავ ბალდახინის ფოჩი ბინძური
თავზე დამცქერის! ბეწვის თვალები,
და მაინც ვარწევ — ეს ძერა არის,
აი მოშავო ფრთები, ბრჭყალები.
ის წაგავდა პრუსიულ არწივს,
მან დამიგლიჯა კლანჭით სხეული,
გაპობილ მკერდში ღვიძლს
მიკორტნიდა, —
და მე ვკვნესოდი ცრემლმორეული.
დიდხანს ვკვნესოდი; მამლის ყივილმა
გამინიავა სიზმარი შავი.

მე, ოფლიანი, საწოლში ვიწექ,
კვლავ ფოჩად იქცა ფრინველი ავი.
ავდექ, მინდენი დავტოვე მალე,
სასწრაფოდ ფოსტით გავსწიე ჩქარა
და ბუკებურგის მიწაზე მხოლოდ
ამოვისუნთქე უშიშრად, წყნარად.

## თავი XIX

ო, რა შეცდომა დაუშვი, დანტონ,
და დაისაჯე კიდევაც მიტომ!
თურმე ყოფილა შესაძლებელი,
ფეხსაცმელებით სამშობლო ზიდო.
მე ბუკებურგის მხარე მომეკრა
ფეხსაცმელებზე მთლიანად თ�ქმის.
როგორი იყო ტალახი გზაში,
რა ენა ასწერს, რაგვარად ითქმის!
აქ, ბუკებურგში, მსურდა შემეევლო
მე პაპიჩემის სახლისთვის თვალი.
ბებიაჩემს კი რაც შეეხება —
იყო ჰამბურგში აღზრდილი ქალი.
მე ჰანოვერში მიველ შუადღით,
გავაწმენდინე ჩექმები კარგად.
მერე ქალაქის შესწავლა ვიწყე:
განა უმიზნოდ მგზავრობა ვარგა?
ღმერთო, როგორი სისუფთავეა!
არსად არ ჰყრია გზებზე ნაგავი;
რა შშვენიერი შენობებია,
რა საამური დასანახავი!
მე მომეწონა აქ მოედანი,
დიდი სახლებით შემორტყმულია.
ცხოვრობს აქ მეფე თვის სასახლეში,
შესახედავად დიდებულია.
(სასახლე მეფის). მის შესავალში
საგუშაგოა დადგმული ორი.
გუშაგნი დგანან თოფიანები,
სჯობს ჩაუარო შენ იმათ შორით.
სთქვა ჩიჩერონემ ჩემმა: „აქ
ცხოვრობს
ერნსტ ავგუსტუსი, კაცი ძლიერი,
უბრწყინვალესი ტორი და ლორდი,
ჯანღონით სავსე, თუმცა ხნიერი.
ის ცხოვრობს მშვიდად, იდილიურად:
ჩვენთა მოძმეთა ბუნება წყნარი
და მოშიშარი მას უკეთ იცავს,
ვიდრე მისივე გვარდიის ჯარი.
ჩვენ ვხედავთ ხოლმე მას, და
ყოველთვის
ამბობს, რომ ბედითია, ტანმაგენია,
რომ ტახტზე ჯდომა, გვთავაზობნობა
მშვიდ ჰანოვერში მოსაწყენია.
მას ბრიტანული ცხოვრება მოსწონს,
შეჩვეულია; ამიტომ ავი
სპლინი აწუხებს. ვშიშობ კიდევაც,
არ ჩამოიხრჩოს უეცრად თავი.“

## თავი XX

მე ჰარბურგიდან ჰამბურგს ჩაველი,
სულ ერთ საათში. იყო საღამო,
ჰაერი სუფთა. დამქათქათებდა
თავზე ვარსკვლავთა შუქი საამო.
სიხარულისგან კინაღამ გრძნობა
დაჰკარგა დედამ, რომ დამინახა.
ზე წამოიჭრა, ხელი ხელს დაჰკრა.
„ჩემო ბიჭიკო!—წამოიძახა.—
შვილო, ხომ იცი, არ მინახავხარ
ეს ეს უკვე ცამეტი წელი.
აბა საჭმელი რა მოგიტანო?
მოგაშივებდა მგზავრობა ძნელი.
მაქვს თევზი, არის შემწვარი ბატი
და ფორთოხლები შესანიშნავი“.
„მომეცი თევზი, შემწვარი ბატი
და ფორთოხლები შესანიშნავი.“
შევექცეოდი მე მადიანად,
დედაჩემი კი კითხვაზე კითხვას
ბედნიერ სახით მაძლევდა; ზოგჯერ
საჩოთიროსაც ურევდა სიტყვას.
„როგორი მოვლა გაქვს უცხოეთში? —
ფრთხილად იკითხა ამბავი მან
რძლის,—
მეოჯახეა, თუ არა? იცის
წინდების ნემსვა, დაკერვა საცვლის?“
„გემრიელია, დედიკო, თევზი,
მაგრამ სიჩუმის მოყვარულია:
შესაძლოა, ფხა გამეჩრას ყელში,
და ნურას მკითხავ ჯერლა სრულიად“.
როდესაც ბოლო მოვუღე თევზსა,
ბატი დამიდგეს წინ მე წვნიანი.
დედამ დაიწყო — აქეთ და იქით,
ისევ შეკითხვა ხიფათიანი:
„სადა სჯობია ცხოვრება, შვილო,

საფრანგეთში, თუ ჩვენს ქვეყანაში?
ხალხს რომელს არჩევ — ჩვენსას თუ
მათსას,
რომ არჩევანი მოგცე ამაში?"
„დედილო, ჩვენს ბატს ვერა სჯობს
ბატი,
მაგრამ, აბა რა დასაფიცია,
ფრანგებმა უკეთ იციან შეწვა,
წვნის შეზავებაც უკეთ იციან."
მერე, ბატმაც რომ თავი დაგვიკრა,
მოჰყვა ფორთოხალთ ნაზი კრებული,
პატივისცემით ჩემდამი; გემო
მათი მეჩვენა მე დიდებული.
დედამ თავისი გამოკითხვები
ათას ამბებზე ხელახლა იწყო
დამშვიდებულად, თუმცა მათ შორის
ზოგი შეკითხვა საფრთხილოც იყო.
„მითხარი, შვილო, თუ შეიცვალა
შენი ფიქრები, გრძნობები ბევრად?
კიდევ ერევი პოლიტიკაში?
რა პარტიაში ხარ ახლა წევრად?"
„რა გემრიელი, ოჰ, რა ტკბილია
ეს ფორთოხლები, დედილო, შენი!
მხოლოდ ნაფცქვენი დავტოვე,
ხედავ —
სულ გამოვწურე, რაც ჰქონდათ
წვენი."

. . . . . .

## თავი XXIII

ვით რესპუბლიკა, ჰამბურგსა
სჭარბობს
ვენეციაცა და ფლორენციაც.
აქ ხამანწკა სჯობს! სარდაფში ნახავთ,
რომლის პატრონიც თვით ლორენცია.
საღამო იყო საამო, როცა
კამპესთან ერთად მე გავჩნდი იქა,
რომ ხამანწკაზე რაინვაინის
თითო-ოროლა შეგვესვა ჭიქა.
იქ მშვენიერი ხალხი დაგვიხვდა,
ვიხილე ძველი ამხანაგები;
იჯდა შოფენი იქ, მაგალითად,
ზოგიც ახალი, ყველა საქები.
იყო იქ ვილე ისეთის სახით,
როგორც ალბომი, — ზედ რაპირებით
აკადემიურ მტრებს ალუნიშნავთ,
გრძნობები თვისი გულდამშვიდებით.
იქ იყო ფუსკი, მკაცრი წარბარი,
პირადი მტერი იელოვასა
ის თაყვანსა სცემს მზეს-ბრიტანელს და
ეგებ ვენერა სწამს კანოვასი.
ჩემი კამპე, ვით ამფიტრიონი,
იჯდა სიამით გულავსებული.
სახით გარშემო აფრქვევდა ნათელს,
როგორც მადონა გაბრწყინებული.
მე დიდის მადით ვსვამდი და ვსჭამდი,
თანაც ვფიქრობდი გარშემო მჭვრეტი:
„კამპე უთუოდ დიდი კაცია —
გამომცემელი ყველაზე მეტი.
სხვა რომელიმე გამომცემელი
მე მამყოფებდა ხშირ-ხშირად მშიერს,
ეს ღვინოსაც კი მასმევს; არასდროს
არ ვუღალატებ კაცს ასე ძლიერს.
იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი,
რომ გააჩინე ეს ყურძნის წვენი,
და იულიუს კამპე მაღალი
გამომცემელი გახადე ჩვენი!
იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი,
ყოვლად ძლიერო, დიდება შენდა,
რომ გააჩინე ზღვაში ხამანწკა,
რაინვაინი ხმელეთსა ზედა!
ამასთანავე მოგვყავს ლიმონი,
ამ ხამანწკაზე დასაწურავი.
გთხოვ, კუჭს მოხარშვა არ გაუძნელო,
არ მათქმევინო მე სამდურავი!"
რაინვაინი მე გულს მიჩვილებს,
მიქარწყლებს ნაღველს და
ჭმუნვარებას,
იგი წარმოშობს ყოველთვის ჩემში
მშვენიერ გრძნობას—კაცთმოყვარებას.
ოთახსა ვტოვებ, გარეთ გავდივარ,
დაველტეტები ძილწართმეული;
სასიყვარულო ტოლად სწყურია
სულს თეთრი კაბა თითოეული.
ამგვარ წუთებში მე ვდნები თითქმის
ვნებააშლილი, სიამით მთვრალი;
რუხია ჩემთვის ყოველი კატა,
ელენე არის ყოველი ქალი.
დრეზანის ქუჩით მივდივარ, ვხედავ
გაბადრულ მთვარის ნათელში,
გვერდით,
მე ჩამიარა ქალმა მაღალმა

ზეაზიდული ვეება მკერდით.
სახე მას ჰქონდა მრგვალი, ჯანსაღი,
ვარდის ლოყები, ალუბლის პირი,
თვალები ჰქონდა ფირუზის ფერი,
შეწითლებული ოდნავად ცხვირი.
თავზე მას ტილოს ჩაჩი ეხურა
უცხოდ ნაკერი, ნაოჭიანი,
მაღლა გუჯასტებშემოვლებული
ისე, ვით ციხე ქონგურიანი.
თეთრი ტუნიკა მას გატიტვლებულ
ნაკუთლებამდე კარგად სწვდებოდა.
რა ნაკუთლები! ფეხები მისი
ორ დორიულ სვეტს შეედრებოდა.
მას მეტყველება ჰქონდა სახისა
მეტად უბრალო, მთლად მიწიერი,
მაგრამ ზეკაცურ უკანა ნაწილს
მაღალ ბუნების აჩნდა იერი.
მომიახლოვდა, მითხრა: „სალამი!
ელბაზე მოხველ — რაღა სჯობია!
წასული იყავ ცამეტი წელი,
მაგრამ ცვლილება არ დაგტყობია.
ეგებ დაეძებ მშვენიერ სულებს,
მათ შორის განცდილ ნაზ სიამესა,
როცა წარსულში ამ ტურფა ადგილს
შენ, მეოცნებე, სტეხდი ღამესა.
უკვე ყველანი შთანთქა ცხოვრებამ,
ამ გველეშაპმა ასთავიანმა...
ველარც წარსული, ველარც ისინი
ველარ იხილა მგზავრმა გვიანმა!
ველარ იხილო, სიყმაწვილეში
რომ გიხიბლავდენ გულს ყვავილები,
გალმერთებული ჩემს მიერ, დასჭკნენ
და განიავდენ ქარტეხილებით.
ყველა გასთელა სასტიკმა ბედმა,
ყველა დამჭკნარი, გამომშრალია.
ჩემო კეთილო, ეს არის ხვედრი
მისი, რაც ტურფა, რაც მაღალია.“
„ვინა ხარ შენა?—შევძახე,—მიმზერ,
როგორც სიზმარი ძველი წლებისა!
კოლოსალურო, სადა გაქვს ბინა?
მომეცი ნება გაცილებისა.“
მან გამიღიმა და მითხრა: „სცდები,
თუ მე მიცანი მაგნაირ ქალად.
ვიცავ ერთგულად მაღალ ზნეობას,
პატიოსნება ვიკისრე ვალად.
გგონივარ ეგებ ვინმე გოგონა
მე, წუთიერი სიამის მგვრელი?
არა, იცოდე, ვარ ჰამონია,
ღვთაება—ქალაქ ჰამბურგის მცველი.
შეიცდი, შეკრთი, [illegible]
თავი გეჭირა მებრძოლის დარად!
მაშ ვინდა მაინც, რომ გამაცილო?
ნულარ აყოვნებ, წამოდი ჩქარა!“
და მე სიცილით წამოვიძახე:
„ვარ მე მორჩილი ჩემის ბედისა,—
თან გამოგყვები, თუნდაც მელოდეს
შენთან წიაღი ჯოჯოხეთისა!“

## თავი XXIV

და ვიწრო კიბით სულმოუთქმელად
როგორ ავფრინდი, ვერ მოვიგონებ;
სულმა ძლიერმა და უხილავმა
ამაფრთოვანა თავისით ვგონებ.
აქ, ჰამონიის მყუდრო ბინაში
წუთებს წუთები სწრაფად გაება,
და წრფელის გულით ისევ სიყვარულს
მეფიცებოდა თვითონ ღვთაება:
„ძველად, ხომ იცი,—ამბობდა ქალი,—
მე სატრფიალოდ მხოლოდ ის მსურდა,
ვინც უგალობდა გულით მესიას
თავისი ჩანგის ხმასავით სუფთა.
ჩემი კლოპშტოკის ქანდაკი, ხედავთ,
თავისი თავით ამკობს განჯინას...
ხშირად ვიყენებ ქუდის ყალიბად
და სიკვდილს იმან გადამარჩინა.
ამიერიდან სატრფო — შენა ხარ, —
დაფნით შემკული შენი სურათი,
ჩემს სასთუმალთან მუდამ იქნება
აგრე, სიცოცხლის დასასრულამდი.
თუმცა ბედკრული ჩემი შვილები
ბევრჯელ გაჭკილე, ავად ახსენე, —
ღლეიდან მაინც დასდე პირობა
და მათი კვნესით მეც დამასვენე.
მჯერა, უთუოდ შეიცვლებოდი
წელიწადების მძიმე გავლითა, —
ვინმე ჩერჩეტი კაცის მოთმენას
დროება თვითონ შეგასწავლიდა...
ერთი მითხარი, უამინდობას
მაინც რატომღა არ ეკრძალები. —
ჩრდილოეთისკენ მაშინ იჩქარი,
როცა დგებიან ზამთრის დარები“.

„ჩემო ღვთაებავ, — მივუგე, — ფიქრი
ჩაძირულია გულში სრულიად,
მაგრამ ყოველთვის, მოულოდნელად
ამოტივტივდეს მონატრულია.
კარგად ვცხოვრობდი ერთის
შეხედვით,
გულს კი არავინ მიხალისებდა. —
ვინატრე მაშინ ჩემი სამშობლო
და განმიახლდა მიმქრალი სევდა...
ცა საფრანგეთის, მუდამ მსუბუქი,
გულზე დამაწვა, როგორც ავსული,
და ვისწრაფოდი გერმანიისკენ,
რომ ნეტარებით მომეთქვა სული.
მენატრებოდა ტორფის სურნელი,
მამაპაპური ჩიბუხის ბოლი,
მოვისწრაფოდი და ფეხისგული
თრთოდა გერმანულ მიწაზე მსრბოლი...
და იმ საზარელ გოლგოთისკენაც
მოშიხაროდა ავრე სირბილით,
სადაც ჭაბუკი ჯვარზე გამაკრეს
და დავდიოდი ეკლის გვირგვინით...
ტირილით მსურდა მენახა მიწა,
ჩემს მიერ უკვე ცრემლით ნამული, —
უთუოდ ამგვარ უაზრო სევდას
თვით სიყვარული ჰქვია მამულის...
ო, ასეთ სნეულ სულისკვეთებას
მე არ გავუმხელ ქვეყნად არავის, —
იგი ჭრილობად მიმაჩნდა მუდამ,
ხალხის თვალთაგან დასაფარავი...
და მძულდა მე ის მაწანწალები,
აქ სამოწყალოდ რომ გაიარეს,
ქუჩად გაჰქონდათ პატრიოტიზმი
და გვიჩვენებდნენ ყველა იარებს.
ვით მათხოვრები უსირცხვილონი,
არ თაკილობდნენ ბატონთა ყოლას,
გვთხოვდნენ: შაური თანაგრძნობისა
შესწირეთ მენცელს და შვაბურ
სკოლას“.
ჩემო ღვთაებავ, ხედავ, სიმკაცრე
ეხლა სრულიად მაქვს დაძლეული...
მაგრამ ავად ვარ, უნდა მიწამლო
და განმიკურნო გული სნეული.
დიახ, ავად ვარ, მხოლოდ შენ ერთი
თუ დამიამებ სულს მეგობრობით.
შენ შეგიძლია გამანებივრო
და ჭიქა ჩაი დამისხა რომით“.

## თავი XXV

ჩემმა ღვთაებამ ჩაი მომართვა
და რომი სატკბოდ ჩაეხვეტეზე,
თვითონ კი ჩაი არ მოისურვა,
რომს დაეწაფა თავგამეტებით.
მე საფეთქელით მომეყრდნო მხარზე,
(მშვენიერებით თითქოს მამკობდა),
გვერდზე მოექცა გვირგვინი ოდნავ,
მაგრამ საამოდ ლაპარაკობდა:
„მე აქ შემკრთალი ვფიქრობდი
ხშირად,
რომ გარყვნილების ბუდე პარიზი
და ქარაფშუტა ფრანგთა ცხოვრება,
არ იყო შენი შესაფერისი.
ნუ დაბრუნდები მათთან, აქ დარჩი
თუ გულის წმინდა გრძნობას
ენდობი,
აქ შეურყვნელი წესი ბატონობს,
ჩვენთან უმანკოდ შენც გაერთობი...
მოლბა გოეთანიც — მკაცრი ცენზორი,
არ შეგაფერხებს თვისი დასტურით.
ეხლა, ისე ვით „მგზავრის სურათებს“
არ წაშლის ხელით ახალგაზრდულით.
არც ისე ცუდად ვცხოვრობდით
მაშინ,
ან და ნუთუ არ მოხერხდებოდა
თავის დაბნევა მონობისაგან
სიკვდილით, როგორც რომში
ხდებოდა.
ხალხს ჰქონდა ჩვენში
თავისუფლება —
თავისი ფიქრი, თავისი აზრი. —
მხოლოდ ჰბოჭავდა თითო-ოროლას
წიგნის წერისთვის კლანჭები ბასრი...
თუმცა ხანდახან წლების სიმძიმეს
ვგრძნობდით, არაა დასაფარავი, —
მაგრამ სიმშილით გერმანულ ციხეს
არ უმსხვერპლია მგონი არავინ...
რაა ცხოვრების თავისუფლება,
გულში ოცნება თუ ამოშალა,
თუ მან დააჭკნო თვით იდეალი
ანუ ოცნების წმინდა შროშანა...
უთუოდ ჭკნება ჩვენი ლირიკა,
გულთამხილავებს არ ამკობთ დაფნა, —
თავადებ შორის ფრეილიგრატის

„შავი თავადიც“ დაეცა დაბლა.
შეგეძლო ჩემის შემწეობითა,
შენ რომ არ იყო ასეთი ყბედი,
საბედო წიგნით და სარკეებით
შენც გამოგეცნო მომავლის ბედი.
მე გაგიმხელდი ერთ საიდუმლოს,
რაც არ სმენია არავის ამბად, —
რომ მომავალი შენი სამშობლო
გენახა... მაგრამ, იყბედებ ალბათ“.
„ჰოი, ღვთაებავ, — ხვეწნით
შევსძახე, —
მსურს თვალი მოვკრა მომავლის
სურათს.
და შემიძლია ხმაც კი არ დავსძრა,
გულჩათხრობილმა მამაკაცურად...
მზადა ვარ ყველა პირობისათვის,
ვფიცავ, ერთგული დუმილიც ვიცი,
ოღონდ მითხარი რით დაგარწმუნო,
რომელი სიტყვით, რომელი ფიცით“.
მაშინ ღვთაებამ სთქვა: „შემომფიცე
ისე, ვით ძველად მელირსებოდა, —
როგორც აბრაამს ელიაზარი
გზად მიმავალი ეფიცებოდა.
ასწიე კალთა ჩემი კაბისა,
თეძოზე აგრე დამადე ხელი
და შემომფიცე, რომ არ იქნები
წიგნით ან სიტყვით ამ ამბის
მთქმელი.“
რა საზეიმო წუთი მეღირსა,
როცა ღვთაების წინაშე მდგარი,
გულის აღგზნებით ვეფიცებოდი,
როგორც მორწმუნე ელიაზარი...
ავსწიე კალთა მისი კაბისა,
თეძოს შევეხე მთრთოლვარ ხელებით
და მას შევფიცე, რომ ვიმდუმარებ
ჩემის წიგნებით და მეტყველებით...

## თავი XXV

უცებ აენთო ჩემი ღვთაება.
(სჩანს რომმა სისხლი გაახალისა)
და ნაღვლიანად ისმოდა მაინც
თითოეული სიტყვა ქალისა:
„უკვე ვბერდები... ჩემი შობის დღე
დღეა ჰამბურგის დაბადებისა. —
დედას კი, თევზთა დედოფლად
ცნობილს,
საყანედ ჰქონდა ზვირთი ელბისა,
დიდი ხელმწიფე ყოფილა მამა,
ერქვა კაროლუს მაგნუსი [illegible]
თვით ფრიდრიხ დიდ[illegible]
მეფე,
ვერ დასჩაგრავდა ჭკუით და ლონით.
საშვილიშვილოდ ახენში დარჩა
ტახტი, რომელზეც მან იქორწინა,
ხოლო ეს, ღამით საჯდომი ტახტი,
მისი ანდერძით დედას ხვდა წილად.
დედამ ეი იგი მე დამიტოვა,
შესახედავად არ არის დიდი,
მაგრამ როტშილდი რომ შემეკაკროს,
მილიონადაც აღარ მივყიდი.
აგერ, ხომ ხედავ, კუთხეში მიდგას,
შესახედავად ძველთა ძველია,
ტყავ გადახეულს სჭამს უკვე ჩრჩილი
და მაინც მეფის სავარძელია.
მიდი, ასწიე მისი ბალიში
და დაძეძილი კარგად გასჩხრიკე —
ხვრელს დაინახავ. ერთი უბრალო
ქვაბიც იქნება იმ ხვრელის იქით.
ის ჯადოქრული ქვაბია, მუდამ
სდუღს, ავსებული მაგიურ წვენით,
თავს გაბედულად ხვრელში თუ
შეჰყოფ,
ქვეყნის მომავალს მიხვდები შენით. —
სწერია ბედი გერმანიისა
ამოიკითხე სანატრელი და
არ შეუშინდე, თუ ამოჰქროდეს
მყრალი ჰაერი იმავ ხვრელიდან“.
სთქვა და რატომღაც წასკდა სიცილი.
მაგრამ, ეწადა გულს უალრესად
და გაბედული ცნობისმოყვარე,
დახარბებული მივვარდი ხვრელსა.
ღმერთო, რაც ენახე, — როგორ
გავამხელ,
სიცოცხლედ მიღირს პირობა
თითქმის. —
რა არ ვიხილე, რა არ ვისუნთქე
მათი სიმყრალე, სიტყვით არ ითქმის!..
აქ ვინც გაიხრწნა ისტორიულად,
სულითვე ყარდა თვით სიცოცხლეში,
და ეხლა ბოლოს ორთქლდება შხამად
უსაძაგლესი იმისი ლეში...
ყარდა ძაღლების სხვადასხვა ჯიში,

უფრობთა ფურთხის ლოკვას ჩვეული,
ბუდამ ტახტის და საკურთხეველის
სიკეთისათვის სულდალეული.
თვით სენ-ჟიუსტმა, მახსოვს,
კომიტეტს
აცნობა მათი ავი ბუნება, —
ნელსაცხებელით და ვარდის წყალით
მანკი ვერასდროს განიკურნება...
მაგრამ, ყველაფერს გადააჭარბა
ჩემმა შეხვედრამ გერმანულ
სულთან,—
უბრალო სუნთქვაც ველარ შევძელი,
თუმცა მომავლის შეგრძნობა
მსურდა...
გულთ შემიღონდა... თვალის გახელით
ისევ ღვთაება ვიგრძენი ჩემთან,
მის გაშლილ მკერდზე მისვენებული
ვისმენდი, გული აღგზნებით სცემდა.
თვალები ვნებით უელვარებდა,
სახეც ღვიოდა ალმოდებული,
შემომხვეოდა ვაკხურად პოეტს
და იმღეროდა აფრთოვნებული:
„მოლხენით ცხოვრობს თულის
ხელმწიფე,
თასი აქვს ერთი შესანიშნავი,
როცა ამ თასით გადაჰკრავს ღვინოს,
მხოლოდ ღა მაშინ უბრუის თავი.
მას აემღვრევა ფიქრებიც მაშინ
მათში გარკვევას ამაოდ ელი, —
მეფე უთუოდ გასცემს ბრძანებას,
უნდა როგორმე ჩაგავლოს ხელი.
ჩრდილოეთისკენ ნუ წახვალ, იგი
თულიის მეფის სახელს ატარებს,
მის ისტორიულ სკოლას გაექეც,
მის პოლიციას და მის ჟანდარმებს.
დარჩი აქ. ჩვენდა საკეთილდღეოდ
თანამედროვე სიკეთეც კმარა, —
მივირთვათ ღვინო და ხამანწკები,
მომავალი კი დავჩქმალოთ ჩქარა.
დავჩქმალოთ... ჩემი ტროფიალის
გვერდით
არ მინდა ჰყარდეს გულშემზარავი...
ჯერ გერმანელი პოეტი, ვფიცავ,
არ ყვარებია აგრე არავის.
თითქოს ქუჩიდან ღამის გუშაგთა
ტკბილი სიმღერაც მოისმის გვიან,—
ის ჰიმენეის ფერხული არის,
მას საქორწილო სიმღერა ჰქვიან.
აი, მსახურნიც მოჰყვნენ ცეკვებით,
გზა ჩირაღდნებით [illegible]
თითქოს მაყრიონს მოსურდა ცეკვა
და ჩირაღდნები ფერხულს უვლიან.
აი, ბრწყინვალე ბრძენი სენატიც
და უხუცესნი მთელი ქალაქის,
ხველებას მოჰყვა თვით ბურგომისტრი,
ალბათ დაუდგა დრო ლაპარაკის...
დიპლომატიურ კორპუსს ვერ ხედავ,
სურთ საგანგებოდ ჩაცმულ-ჩაკერილთ
მცირე შენიშვნით ჩვენც მოგვილოცონ.
ბედი სხვადასხვა ქვეყნის სახელით...
სასულიერო წოდებას უნდა
მაღლით დაგვლოცოს თვისი
ნათელით...
მაგრამ, ვაი, რომ უკვე ცენზორი
გვიახლოვდება გრძელ მაკრატელით.
გამოირბინა, როგორც ველურმა,
რკინის ჩხარუნით მთელი მანძილი,
და ულმობელის ხელით გადასჭრა
საუკეთესო შენი ნაწილი“...

## თავი XXVII

შემდეგ ამისა გერმანელ პოეტს
თავს რაც გადახდა იმავ ღამითა, —
გიამბობთ, როცა გაზაფხულდება,
გაგართობთ უკეთ სანახავითა.
დრო პირმოთნეთა შთამომავლობის,
მადლობა ღმერთს რომ უკვე კრულია.
იგი ნელნელა წვება კუბოში,
თვისი სიფლიდით გაგუდულია...
ჩემი ალალი გულის ნათელი
არის ნათება ცეცხლის ალისა, —
და ჩემი ქნარის მთრთოლვარე სიმი
ხმით გამოთქმაა სინარნარისა...
ოდესღაც თვითონ ძალა ღვთიური
იყო ამ ქნართან განუყოფელი, —
მასზე უკრავდა არისტოფანე —
განსვენებული ჩემი მშობელი.
მეც უკანასკნელ თავის წერისას
ვბაძავდი ოდნავ ჩემის ოცნებით,—
ფინალით მამის კომედიებში
გამოირჩევა მისი „ფრთოსნები“.
დღეს მეფეს მოსწონს კომედიები...

მაგრამ რომ იყოს ცოცხალი ეხლაც
მისი ავტორი,—ძმურად ვურჩევდი,
რომ პრუსიელთან ერიდოს შეხლას...
უთუოდ ცოცხალ არისტოფანეს
არ ასცდებოდა ხელებზე ხუნდი,
გზაში ყოველთვის გამცილებელად
ეყოლებოდა ჟანდარმთა გუნდი.
მეფეე!—გიცქერი მე კარგი თვალით,
და გაიგონე ჩემგანვე თქმული:
თუმცა მკვდარ პოეტს აფასებ მხოლოდ,
სჯობს შეიწყნარო ცოცხალთა
გულიც...
ნუ შეაჩვენებ ცოცხალ პოეტებს,
იმათ ხელთ არის ცეცხლი, მახვილი,—
თვით ზევსის ელვა-მეხიც ყოფილა
ჩვენი ფიქრების გამოძახილი.
თუ გინდა, წყევლა-კრულვით შესძარი,
ყველა ძველი და ახალი ღმერთი.
დაჰგმე ოლიმპი, და იელოვა...
მაგრამ არ შესძრა პოეტის მკერდი...
დიდია ღმერთთა შურისძიება,—
ძნელია მათგან დაიცვა თავი,—
ანუ ქარცეცხლი ჯოჯოხეთისა
როცა მძვინვარებს კეპრიელთ შავი.—
მაგრამ არიან ხომ წმინდანებიც
იმათი ლოცვა ცოდვილებს ეხმარება,
წირვა, შეწირვა და ბანაკვნიდ
საიქიოშიც კი მხსნელად ელით.
მე ვიცი, ქრისტეს მეორედ მოსვლა
აქცევს ჯოჯოხეთს ღია კარებად.
და მსაჯულთ მძიმე განკითხვის
დღესაც
ვინმე უთუოდ გაეპარება.
მაგრამ არსებობს სხვა ჯოჯოხეთი,
ხებუნებრივი ხმით წარუშლელი,
თუ იქ ჩავარდა ვინმე ცოდვილი,
ლოცვა-კურთხევით ველარ უშველი.
შენ ალბათ იცნობ დანტეს ჯოჯოხეთს,
საბედისწეროდ შექმნილ ტერცინებს,—
ვინც იქ ჩააგდო თვითონ პოეტმა,
ტანჯვას წმინდანი ვერ ააცილებს.
ო იმ სიმღერის ალით შეპყრობილთ
ძალა ვერ იხსნის თვითონ ღმერთისა...
ვესმის, გვიფრთხილდი.—თორემ
შერისხვას
ვერჩიოს ცეცხლი ჯოჯოხეთისა.

დასასრული.

თარგმანი — ბ. აბაშიძის, კ. ჭიჭინაძის და კარლო კალაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიოს ჩხეიძე

# ლიახვის პირას

„მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობა, როგორც დაუძინებელი მტერი რუსეთის პროლეტარიატისა, ყოველთვის წინ ეღობება პროლეტართა შეერთების საქმეს. ის ავაზაკურად სდევნის რუსეთის „უცხო“ ერების ნაციონალურ კულტურას, მათს ენას, ზნეჩვეულებას, დაწესებულებებს. ის ართმევს მათ აუცილებელ მოქალაქეობრივ უფლებებს. ყოველ მხრივ ავიწროებს მათ, ფარისევლურად სთესს მათ შორის შურსა და მტრობას, ერთმანეთის სისხლს აღვრევინებს და მით აშკარად გვიჩვენებს, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ერთადერთი მიზანია: ერთმანეთს გაადამტეროს რუსეთის ერები, გაამწვავოს მათ შორის ნაციონალური განხეთქილება, გაამაგროს ნაციონალური კედლები, რომ უფრო კარგად დაეშოროს ერთმანეთს რუსეთის პროლეტარები, რომ უფრო კარგად დააჭუყმაცოს მთელი რუსეთის პროლეტარიატი წვრილ ნაციონალურ ჯგუფებად და მით სამარე გაუთხაროს მუშათა კლასიურ თვითშეგნებას, მათს კლასიურ გაერთიანებას“.

**„როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური კითხვა“ — გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, 1904 წელი.**

## თავი I

— აქ გაჩერება არ შეიძლება! — დაუღრიალა კოჭლმა და ფიჩხივით ჩამომხმარმა, ქალივით გრძელ თმიანმა, მონასტრიდან დათხოვნილმა ნამორჩილარმა მეეზოვემ ხურჯინიან გლეხს, რომელიც პუშკინის ქუჩით სემინარიის შენობასთან მივიდა და ალაყაფის კარის ჩრდილში დასვენება დააპირა. გლეხმა, თითქოს გაფრთხილება მას არ ეხებაო, ზედაც არ შეხედა მეეზოვეს, თაღის ძირთან მივიდა და ის იყო ხურჯინი მიწაზე უნდა დაედო, რომ მეეზოვე შიგნით შევარდა, კარი მაგრა მოჰკეტა, სარკმლიდან გრძელი კეტი გამოაცურა, გლეხს უსწორა, მუცელზე მიაჭირა, მიაწვა და ჩრდილს იქით გააჩოჩა ტვირთიანად. გლეხი მაინც არ შეეპუა, ჩრდილს უფრო ენერგიულად მიეძალა. მეეზოვემაც ყვირილ-ღრიალს უმატა:

— შე ეროდო, რად არ გესმის, არ შეიძლება!

— მითომ რა დაშავდებაო? — ჰკითხა ადამიანის ასე დაუფასებლობით გაკვირვებულმა პავლია მეზვრიშვილმა.

— ერთი ამ ჭუჭყიანს დამიხედეთ, სიტყვას რომ მიბრუნებს! გეუბნები: არ შეიძლება, მორჩა და გათავდა! თუ გამიძალიანდები და ყურს არ გაიბერტყავ, მე ვიცი შენი წამალი, გიჩვენებ თამაშს! — დაემუქრა მეეზოვე, კარი გამოაღო, გამოვარდა და გულადად შეუტია ურჩს. პავლიამ სწრაფად უგანა, მოქნეული კეტი აიცდინა, დაავლო ხელი ხურჯინს, წაათრია, გასცილდა

ალაყაფის კარის არეს, გადასჭრა ქუჩა, მოპირდაპირე ფილაქანზე დადგა და ამაყად მოიღერა კისერი.

უკან გამოდევნებული მეეზოვე შუა ქუჩაზე მონუსხულივით შეჩერდა, მაგრამ ღრიალს კი არ დაეხსნა. მიაძახა:

— არც მანდ შეიძლება, აქაურობას, ამ ქუჩას სულ გასცილდი, დაიკარგე!

— რატომ, შე ცუდო კაცო, რას ვაშავებ? შვილს ვუცდი, შვილს! ასეროგორ დაგავიწყდა ღმერთი და ნამუსი, რომ გლეხს ერთი საბელმწიფო გზა აქვს და იქაც ალარ ანებებ ჩაქოქინებას? ამასა ხარსაც არ ჰკადრებენ და მე, რაც არ უნდა იყოს, ღვთის გაჩენილი კაცი ვარ, ხელმწიფე იმპერატორს გადასახადს ვუხდი, — გამოედავა პავლია და ორი ნაბიჯი გადადგა წინ აყუდებულ მეეზოვისაკენ, რომელმაც, ცოტა არ იყოს, პავლიას საბუთით შეფიქრიანებულმა განუშორებელი კეტი თოფივით მიიდო ფეხებთან, ბრუტიანი თვალებით ასწონ-დასწონა მოძალადის მოყვანილობა, ვირი ხარ, რა გესმისო, ჩაიბურტყუნა, ჩახუნით გასწია უკანვე, ალაყაფის კარისაკენ, კეტი ისევ მოსინჯა და უფრო მოიმარჯვა. ირიბად დადგა, თითქოს ცოფიანი ძაღლი აპირებს შიგ შეჭრას და, რადაც უნდა დაუჯდეს, არ უნდა გაუშვასო.

— რა იქნებოდა, ე მაგ ღვთის ჩრდილში მეც დამესვენა და ოფლი შემეშრო! — არ ეშვებოდა შუა ქუჩაზე გამაგრებული პავლია.

— ის იქნებოდა, რომ არ შეიძლება! ნაბრძანები მაქვს, ახლო არავინ გაეკარო და გავაჩერო. რა ვიცი, ვინა ხარ? ეშმაკი ხალხი გამრავლდა ქვეყანაზე. ჰო-და, ვინ იცის, საიდან მოხვედი და რას დაეხეტები!

პავლიამ ამაზე გულიანად გადიხარხარა, რამაც ზეეზოვეს მოთმინება გამოელია და ქაქანი დააწყებინა:

— შენ იცინე და თუ საქმეს გააჭირებ, ინსპექტორს ვაცნობებ, ყანდარმს დავაძახებინებ და მაშინ ქვის ქვეშ გაგაცინებ.

— ყანდარმს ჩემთან რა ესაქმება! — დაუწია ხმას ახლა მართლა შეშინებულმა პავლიამ და ხვეწნის კილოზე გადავიდა: — შვილს ვუცდი, შე კაი კაცო, შვილს, მზეზე დავიწვი, შემოვალ მაგ გრილოში, იქნებ ბავშვს მანდედან თვალიც მოვატანო, გავაგებინებ, რომ აქა ვარ, ვუცდი, და შენი არაყი ჩემზე იყოს.

— არაყი! არაყი! — გაიმეორა მეეზოვემ. — რომელ შვილს?

— როგორ თუ რომელსა? ოცი კი არა მყავს! გიტა მეზვრიშვილს ვუცდი.

— კარგად სთქვი, ვისა? — შეეკითხა შემკრთალი მეეზოვე.

— ვისა და იმასა, ჩემ შვილ გიტა მეზვრიშვილსა.

— ნწუ, ნეტ, არ მინდა შენი არაყი, უკან დაიწიე, შორს დადექი, გზას არ გამოსცილდე აქეთ. ამ ერთი საათის წინათაც ვიღაც გოგო კითხულობდა. ისიც აგრე ამბობდა: დაჲ ვარო. ყველა ტყუიხართ, თუ ის დაჲ იყო, შენ კი მამა ხარ, რატომ ერთად არ მოხვედით? ვერ მომატყუებთ, ვიცნობ გიტა მეზვრიშვილს. ის არის, წელს რომ ათავებს და, ღვთის მადლით, როგორც იქნება, აქაურობას მოსცილდება, წავა და ალარ დაბრუნდება.

— მერე რა, შე კაი კაცო, რას გემცხეთა, ავი კაცია თუ რა მოხდა?

— ღმერთო დამიფარე! — შეღაღადა მეეზოვემ და პირჯვარი გამოისახა.

— ღმერთმა ჩემი შვილისაგან უნდა დაგიფაროს? ანგელოზისაგან რა ღვთის დაფარვა გჭირდება? ი ჩვენ სოფელში იმისი კაჭკაჭსაც არ ეშინიან და შენთვის რა უნდა ევნო?

— ანგელოზიო, აი რას ამბობს, უფალო! მოდი და ამის გამგონენ ჭკითხე ჭკუა გლეხს. რა უნდა ევნო ჩემს შვილსა, მისი სოფელში კაჭკარეც არ ეშინიაო, რა დაფარვა გჭირდებაო. სწორედ ამაზეა ნათქვამი: ჭაობი წყნარია, არ ინძრევა, შიგ კი, თუ ფეხი ჩაგიცდა, ეშმაკს ხელი ეზიდა, ეკოჭახარში ჩაგავლებს და ჩაგითრევსო. აბა, ის შენი ბიჭია ღვთის ფეხის მომჭმელი, თორემ სხვას რა უშავს! ღვთის წინაშე, კაცმა რომ სიმართლე სთქვას, სული არ წაიწყმინდოს, ქვას არ ისვრის, სხვასავით უზრდელი არ არის, სულ ძია ზოსიმეს მეძახის, მაგრამ მაინც რად გინდა? რაც უფროს კლასებში გადავიდა, ღვთისა, წმინდის სახარებისა და კაცის მგმობელი იულიანე გახდა. მისი ოინების გადამკიდემ აგერ კინაღამ სამჯერ სამსახური დავკარგე და, როგორც ხედავ, უფალმა არ გამიმეტა სიმშილით მოსაკლავად, გადამარჩინა ხიფათს, შემინახა. რაღა მე? ჩვენი რექტორისას რად აღარ იკითხავ? ერთი ბეწვით გადარჩა დათხოვნას, ეს დროული, განათლებული და უსათნოესი ღვთისმმოსავი წმინდანი კაცი. ასე ამბობენ: იმ შენი შვილისაგან მღვდელი და ღვთის მსახური კი არა, ეშმაკი, იროდი და ბელზებელი გამოვაო.

— ეშმაკი და ბელზებელი რათა, ფუი მავნე კაცსა! — მწარედ ჩაიდუდუნა პავლიამ შვილის ძაგებით შეწუხებულმა და კედელს მიეყუდა გარუჯული ნალოსავით. დარდის გასაფანტავად თვალი მოავლო არე-მარეს, მაგრამ ცის ლურჯი გუმბათის მეტი ვერაფერი დაინახა. მაღლა ცქერაში კი ვიღაც ზედ წამოემტვრა, შეაგინა და კედელს მიახალა. პავლიას მისკენ არც მიუხედავს, ყური და თვალი ალაყაფის კარისაკენ ჰქონდა.

სემინარიის ეზოდან არეულ-დარეული ხმაური მოისმა. პავლიამ სუნთქვა შეიკრა და სცადა ამ ერიამულში ეცნო სიცოცხლეზე უფრო საყვარელი შვილის ხმა. გულში კი კიბოსავით ფხოჭნიდა, გონებას უკაწრავდა ავყია მეეზოვის ნათქვამი: ეშმაკი, იროდი და ბელზებელი გამოვაო.

ეშმაკისა სჯეროდა, მაგრამ არ ეშინოდა, იროდი და ბელზებელი კი ძალზე აფიქრებდა.

აბა როგორ არ დაფიქრებულიყო? მის სათაყვანებელ შვილს ადარებდნენ თოთხმეტი ათასი ბავშვის მკვლელსა. აბა როგორ არ არეოდა გონება? ნასწავლი შვილის, მღვდლის მაგივრად შინ ბელზებელი უნდა მეყვანა. ბელზებელი, რაც ათასჯერ მაინც გაუგონია დეკანოზ თომა ჩუთაშვილისა და მისი მედავითნის ქადაგებიდან, ისეთ საშინელ რამედ წარმოედგინა, რომ მის გაგონებაზე წმინდა გიორგის ახსენებდა ხოლმე.

ამას კი ფიქრობდა პავლია, მაგრამ შვილის ნახვის წყურვილი კისრის ძარღვებს თოკებივით უჭიმავდა, თავს მაღლა აწევინებდა, ეგების კარის ჭუჭრუტანებში მოვკრა თვალიო. ბოლოს, ის ხმაურიც რომ მისწყდა, არც არავინ აქეთ გამოვიდა და ვერც ვერაფერი კარს იქით დაინახა, ისევ მეეზოვეს გამოელაპარაკა:

— ისიც არ იცი, რა დროს გამოვლენ?

— არ ვიცი, — მკვახედ ესროლა მან და ზურგი შეაქცია.

პავლიამ მოიფიქრა: აქ ურემი გაუსაპნავად ვერ გაივლისო, მიიხედ-მოიხედა, დაინახა კერძო სახლის ალაყაფის კარი, დაავლო ხელი ხურჯინს, შიგ შეათრია, დასდო წითელ ყუთზე და თხის სურის თოკს მარყუჟს გამოჰკრა ხელი, ტიკჭორის თითს თავი ამოაშვერინა და შესცინა მეეზოვეს, რომელიც პირდაპირ იდგა და მრისხანე სახის გამომეტყველებით მისჩერებოდა მას. პავლიამ ულვაშებზე ხელი გადაისვა და ანიშნა, აქ მოდიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეეზოვე ცოტათი შეყოყმანდა, მერე ხელი ჩაიქნია და წვერ-ულვაშის სწორებით გასწია მისკენ. კეტი კი იღლიაში გაირჭო. ხურჯინზე დაბრილ პავლიას თავს დააჯდა.

— ეს რა არის? — ჰკითხა.

— ღვთის ზედაშე, ბატონო, — მიუგო პავლიამ და ხურჯინს ნაპირები გაუფართოვა. თითბრისფერი ღვინოთი მათარა გაავსო, ღმერთი ახსენა, მოიყუდა, გამოსცალა, ისევ გაავსო და მეეზოვეს მიაწოდა მარჯვენაში, მარცხენაში კი შუაზე გადატეხილი ნაზუქი ჩაუდო.

მეეზოვემ აქეთ-იქით მიმოიხედა, ხომ არავინ მხედავსო, წითელ ყუთს ამოეფარა, მათარა ასწია, პირთან მიიტანა, ღვთის ხსენებისა და სადღეგრძელოს მაგივრად ჩაიბურტყუნა: ჯანი გავარდეს, დღეს მაინც მიდის აქედანაო, და გადაჰკრა. პავლიამ მეორედ, მესამედ, მეოთხედ აუვსო მათარა. მეეზოვე ამბობდა: „ორი შესარგია“, „ღმერთი სამებითაო“, „ცხენი ოთხ ფეხზეო“, და უკან მოუხედავად, ნაჩქარევად მათარას მათარაზე სცლიდა. მეხუთეზე კი პავლიას ხელი ხელზე მიადო და მათარა აღარ გაავსებინა.

— კმარა, მეტი აღარ შეიძლება, აქ სოფელი კი არ არის. სამსახურში ვარ, — ჩაილაპარაკა. კეტი მხარზე გადაიდო, გატრიალდა, ნაზუქი მოკბიჩა. ეს რა კაი პური სცოდნია თქვენს მხარეშიო, — უთხრა და ფეხების ბლანდვით ისევ სადარაჯოს მიაშურა.

— ჩქარა გამოვლენ? — მიაძახა პავლიამ, ქრთამის ძალით გამბედაობას მომატებულმა.

— მორჩებიან საქმეს და გამოვლენ! — გასცა მეეზოვემ პასუხი და კეტი კედელს მიაყუდა.

პავლიამ ერთხელ კიდევ გაავსო მათარა, დალია და დაასკვნა: ამ ბაბაყულისაგან არაფერი გამოვაო. ტიკჭორიდან ჰაერი დაფუქა, თხის სურის თოკი მოუჭირა თითს, თვალში ჩატენა, ხურჯინი ყუთის ძირად ჩაიტანა, წამოწვა. ზედ თავი მიდო, თუშური ქუდი თვალებზე დაიფარა და როგორც სამკალში ტრიალ მინდორზე, დაძინება დააპირა, მაგრამ საშინელმა სუნმა და ვირთაგვების წრუწუნმა მალე ისევ ზეზე წამოაგდო.

სემინარიაში გამოსაშვები კლასი-ღა იყო დარჩენილი. ივნისი ილეოდა. დირექცია აყოვნებდა ატესტატების გაცემას.

უმცროსი კლასები ადრე გამოსცადეს და გაუშვეს, დაითხოვეს საზაფხულო არდადეგებისათვის. გამოსაშვები კლასის მოსწავლეებისა იყო ის ერიამული, პავლიამ რომ გაიგონა წელან სემინარიის ეზოდან. რექტორი მათ დათხოვნასაც თუნდაც ათ ივნისამდე მორჩებოდა, სხვა დრო რომ ყოფილიყო ღა სხვა რიგი მოწაფეები რომ ჰყოლოდა გამოსაშვებ კურსზე. სწორედ ეკუა დაჰკარგეს ყმაწვილებმა.

არც ერთი კურსდამთავრებული, თუ ოდნავ ნიჭს იჩენდა სწავლაში, მღვდლად კურთხევის ან უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში წასვლის სურვილს არ აცხადებდა.

საქართველოს ეგზარქოსი კი დაჟინებით მოითხოვდა: კურსდამთავრებულ სემინარიელებს განცხადებები მიერთმიათ ეპისკოპოზისათვის მღვდლად კურთხევაზე, ან უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში წასულიყვნენ. პედაგოგიურ საბჭოზე რექტორმა სიტყვა წარმოსთქვა: ძველი დრო აღარ არის, კარზე და მონასტრებში გაზრდილი მღვდლებით იოლად ვერ წავალთ. ხალხმა სარწმუნოებას კრიტიკა დაუწყო, ღმერთი დაავიწყდა. უცოდინარი

მღვდლები სარწმუნოების შერყევასთან საბრძოლველად, ხალხის ხელში ჩასაჭერად უძლურნი არიან და რევოლუცია მოხდებაო.

არავითარმა ხერხმა არ გასჭრა. კურსდამთავრებულები ნაბიჯებს იკრუნებდნენ. ალარავის ემორჩილებოდნენ. რექტორს სიცილს აყრიდნენ. [illegible] ბანი იყვნენ: სულაც არ მიეღოთ ატესტატები, „მგლის ბილეთები“ დაეჭირათ ხელში, ოღონდ მღვდლობას არ გადაჰკიდებოდნენ. ამ აზრს ადგნენ და პირგაუტეხელად იცავდნენ კიდეც.

ეს რამდენიმე წელიწადი იყო, სემინარიიდან ჯუღაშვილის გასვლის შემდეგ, ყოველ წელს, ივნისში ერთი და იგივე მეორდებოდა: ყმაწვილები, გასაშვებები, უარს ამბობდნენ მღვდლობაზე და სასულიერო წოდების მიღებაზე.

პავლია შვილის დაგვიანების გამო ჩამოვიდა ქართლიდან თბილისში და თან დეკანოზ თომა ჩუთაშვილის საქირაო ჩამოიტანა. ხარ-ურემი საბურთალოს ბაღში დააყენა და თვითონ შვილს მიაშურა სკოლაში.

მეხუთე წელიწადი სრულდებოდა, რაც შვილი სემინარიაში სწავლობდა და არ ყოფილა შემთხვევა, ხუთ ივნისს შინ არ მოსულიყო. წელს კი აგერ ივნისი დაილია, მკამ მოატანა, შვილი-კი არსად გაჩნდა, შინ ვერ მოვიდა. ცოლმა ცეცხლი შეუკეთა, კაცო, ადე, ჩადი ქალაქში, ბავშვის ამბავი მოიტანეო. პავლიაც ცოლზე ნაკლებ არ შფოთავდა. არ იცოდა მიზეზი დაგვიანებისა, ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, ქირა წამოიღო და გამოსწია.

კიდევაც რომ გაეგო მიზეზი, იქნებ ვერც მიმხვდარიყო მის აზრს. არ გაეგებოდა რად უნდა ეთქვა სემინარიადამთავრებულს უარი პავლიასათვის ისეთ ძმხიბვლელ და დიდ ღირსებაზე, როგორც გლეხისათვის იყო მღვდლობა და სასულიერო წოდებაში გადარიცხვა.

იცოდა მხოლოდ: შვილი ამთავრებდა სემინარიას და ახლა ერთადერთი სურვილი სწვავდა, — ამ გავარვარებულ მზისა და ნაგვის ყუთის სუნისთვის ძანამდე გაეძლო აქ, სანამ კურსდამთავრებული შვილი გამოვიდოდა გარეთ და ნახავდა, მიულოცავდა გაბედნიერებას.

მზად, უკლებლივ ჰქონდა ხურჯინში დედის ჩალაგებული ძღვენი. ამას გადასცემდა და თუ შვილი სოფელში წასვლას არ მოისურვებდა, პავლია არას იდარდებდა. ცოლს მშვიდობის ამბავს წაუღებდა და ამით კმაყოფილი იქნებოდა.

ეზოში კვლავ ატეხილმა ჟრიამულმა პავლია ისევ გამოიყვანა ფილაქანზე, ალაყაფის კართან ისევ იდგა მეეზოვე და ახლა ისიც კეტით ხელში ეზოს სილრმეში იცქირებოდა. ჟრიამული გაძლიერდა და მოახლოვდა. მეეზოვემ კარი გააღო და გამოჩნდნენ კიდევაც სემინარიელები. წყვილად გამოდიოდნენ კარში, ცოტა მოშორებით ჩერდებოდნენ, იცვლიდნენ ქუდებს, ლანძღვა-გინებით ჰგლეჯდნენ და ფარატინებს აყრიდნენ სემინარიის შენობის კედელს.

უკანასკნელად, კენტად გამოვიდა პავლიას შვილი. კარს გამოსცილდა თუ არა, იმანაც სხვებსავით ქუდი მოიხადა, გასწია, გაფხრიწა და ჰაერში შეისროლა.

მეეზოვემ, თითქოს მძიმე დამნაშავე ტუსაღები თავიდან მოიცილაო, კარი მხიარულად მიუგდო, განუშორებელი კეტით გარედან, ზურგით მიეყუდა კარს და პირჯვარი გამოისახა. ამ დროს მას ბიტა მიუახლოვდა და ხელი გაუშვირა:

— მშვიდობით, ზოსიმ! ჰა ჩემი ხელი.

— თქვენც მშვიდობით! — მიუგო მეეზოვემ, რომელმაც, მიუხედავად ჩლუნგი გონებისა, ხელად შეაფასა გიტას კეთილშობილი საქციელი, ერთბაშად მიუტევა უკანასკნელი ორი წლის ნაწყენობანი და [illegible] სკოლიდან სამუდამოდ მიმავალ სემინარიელს.

— ჩემით ბევრი უსიამოვნება გადაგხდა, ზოსიმ, მაპატიე.

— არაფერია. ცხენი ოთხ ფეხზე სდგას და ისიც კი წაიბორძიკებს ხოლმე. ნაწყენობამ ჩაიარა, აი, ხომ ხედავ, კაცი გახდი, გაათავე, მიდიხარ და, ღვთის მადლით, მეც აქა ვრჩები. რაც იყო, იყო! აგერა, მგონია, ვიღაც გიცდის, მამა ვარო, ამბობს. წელანაც ვიღაც გოგომ გიკითხა. აგრე თქვა, და ვარო, მე კი არც ერთს არ დავუჯერე, კარგად ვიცი, რასაც ეძახით დაოს ახლანდელი ყმაწვილები. ჯერ დაოა, მერე ხედავ „პოპადია“ გახდა, შენ კი, ზოსიმ, მოგატყუეს და სასაცილოდ გაგხადეს. რადგან ეს ასეა, არავითარი ტყუილი ჩემთან არ გავა, ჩემი საქმე ვიცი, ერთგული მოსამსახურე ვარ.

— აბა სადა? — ჰკითხა გიტამ, მოტრიალდა და ქუჩას თვალი მოავლო.

— აქა ვარ, შვილო! — მისცა ხმა პავლიამ და დაიძრა ადგილიდან.

მამა-შვილი ერთმანეთს მივარდნენ და გადაეხვივნენ. ჩახუნით მიუახლოვდა მათ მეეზოვე. შეჩერდა, ხარბად აახამხამა თვალები და გულდაწყვეტით სთქვა:

— აი, ყველაფერი ძლიერ კარგი, მართლა მამა ყოფილა.

პავლია ამაყად გასწორდა წელში. მეეზოვეს მხარზე დაჰკრა მძლავრი ხელი და უთხრა:

— ამისაგან დაფარვასა სთხოვდი ღმერთსა?

შერცხვენილი მეეზოვე გაბრუნდა და წავიდა.

— დაასრულე. შვილო, კურსი, ხომ? — ჰკითხა შვილს მამამ, სურვილით ავსილმა: შვილთან სალაპარაკოდ რაც შეიძლება საპატიო კილო და სიტყვები მოემარჯვებია.

— როგორც იყო, მამილო, დავასრულე, მოვრჩი, მოვცილდი ამ გიჟების და დამთხვეულების სახლს, — წარმოსთქვა გიტამ და ტვირთის სიმძიმით გაჭაჭულ მამას ხურჯინის თვალი აუწია მხარზე გადასადებად.

— მე ის მოვიმოქმედე ჩემს ყოფაში, რაც შევძელი. ასე მგონია, მეტიცა. მე ჩემი შემისრულებია, ეხლა შენ იცი, გამიზრდიხარ, ხალხში გამირევიხარ, — აუკრა ხელი საყვედურს პავლიამ და ფეხი გადაადგა. მამა-შვილი უბრად დაადგნენ გრძელ ქუჩას.

ბოლომდე გალიეს გოლოვინის პროსპექტი და ჩაუხვიეს ვერის სასაფლაოს გალავანში. ფშატის ძირად თხელ ჩრდილოში დასხდნენ. სანამ პავლია ლურჯ საფენს გაშლიდა, სასმელ-საჭმელს ამოალაგებდა, გიტა ჩაუფიქრდა მამის უკანასკნელ ნათქვამს და ადვილად მიხვდა, რომ საყვედურით გული ატკინა მშობელს, რომელსაც მისთვის მთელ თავის სიცოცხლეში კარგის მეტი არა სწადდა-რა, მონანიებულის გულით და პირზე ღიმილით დაარღვია სიჩუმე:

— მამილო, შენ კი არ გესაყვედურებოდი.

— აბა სხვისას მე ნუ მეტყვი. ერთი კიდევ შემიძლიან. თუ ვინმე გმტრობს, თუ რამე გიჭირს, მითხარი, გამიტყდი. მამაშენი ჯაბანი არ არის. შევესრისები მტერსა და დუშმანს. გამაგებინე, მიმითითე, რომელმა გიმტრო, რა დაგიშავა და რა წაგიხდინა. თუ არა და, უბრალოდ ცოდოში ნუ გამახვევ. უწიგნო კაცი ვარ. ბარისას და გუთნისას შუა ძილში მივხვდები, რაც გლეხს

მოეთხოვება. სხვისა კი, თუ არ გამაგებინებ, თუ არ მიჩვენებ და თვალნათლივ არ დამანახვებ, არა ვიცი-რა. გავიგებ და იქნებ ვერც კი ავიკრა ხელი. მე იქნამდე არავინ მიმიშვას, რადგან იმოდენი ღირსება არ მაქვს, შენ სწავლაში თუ რამე გულსაწყვეტი გაქვს. ამისა შენ თითონ. გაუფლელ-ასულ ზრდა ხარ, ხალხი და ქვეყანა გინახავს, შენი სწავლისა, როგორც სჯობდეს, გარანდულივით გახედე, ათჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი.

— მამი, დედაჩემი როგორ არის?

შვილის კითხვამ, სიტყვის ბანზე შეგდებამ მამა საგანს ვერ ააცილა.

— მეცა და დედაშენიცა კარგად მაშინ ვართ, როცა შენი კარგად ყოფნა და სიკეთე გვესმის. ჩვენ მიმავლები ვართ. აქამდე ალმართი გვქონდა, უღელს ჩვენ ვაწვებოდით, აგვქონდა მძიმედ დატვირთული ურემი მთის წვერზედა. აგვქონდა და ავიტანეთ კიდევაცა. იქავე დალმართი დაიწყო. გაჭირვება იყო ზემოთ სვლა და ამ გაჭირვებას სიხარულს ვეძახდით, რადგან ზემოთ მივიწევდით და წინ დასაქანი და ვაკე გველოდა. სიხარული ადამიანმა ზრდით და წინსვლით უნდა ზომოს. წინსვლაში რომ სისხლი და ცრემლი შეგხვდება, უკან სვლის ქეიფსა და ბედნიერებას გერჩიოს, თუ კაცი ხარ და სოფელში ცხოვრობ.

— მამი, იქით მიმავლობამდე ჯერ ადრეა, გული რად გაგტეხია?

— ვინ გითხრა, რომ გული გამიტყდა? იქნება ადრეცაა იქით წასვლამდე, მაგრამ იმ ჩემი ცოდოთი სავსე მთის წვერზე ძალიან ვიწრო ვაკე ალმოჩნდა. მახათივით წვერი ჰქონია. ძალიანაც რომ გინდოდეს, ვინ გაგაჩერებს! ფეხის მოკიდება ჭირს, მარტო კაცი რადა ღირს მტრადა, ბუნებას და ღმერთს რომ თავი დავანებოთ.

მამის სიტყვებმა გიტა ძალიან ჩააფიქრა. ნათლად დაინახა: თავისი გულის დარდები ჰყოფნიდა საზიდად პავლიას. მიმატებას აღარ საჭიროებდა და რაც უნდოდა ეთქვა გიტას, აღარ უთხრა, გულში ჩაიმარხა. სათქმელი და საწუხარი კი ბევრი ჰქონდა.

მამა-შვილი კარგა ხანს ისხდნენ ფშატის ჩრდილში, ისაუბრეს, ისადილეს. მზეც გადახარა. ნაშუადღევის გრილმა ნიავმა ჩამოუქროლა მტკვრის პირს და ამოიჭრა სასაფლაოზე.

პავლიამ ისევ მოჰკრა პირი ხურჯინს, წავიდნენ. ვერის დალმართის თავში აძხანაგის ბინაზე დააცლევინა გიტამ მამას ხურჯინი, პავლიამ ოლლის ჭურისაკენ იბრუნა პირი და ჰკითხა გიტას:

— როდისთვის გელოდოთ, შვილო?

— ამ კვირაში, როგორც კი საქმეებს გავარიგებ, — დააიმედა გიტამ.

— იქნება დროს გატარება გინდა, გამოუძეხი ამხანაგებს და შეესტუმრეთ. თუ გლეხობით არ დაგვიწუნებს ნასწავლი ხალხი, პურმარილისა ნუ გეფიქრება. ისეთ სუფრას გაგიშლით მე და დედაშენი, ისეთი პურ-ღვინით გაგიმასპინძლდებით, რომ ზედ ნათელი ედგეს, ოდონდაც ამოდით, მხიარულება ამოიტანეთ, ეზოში გაიარ-გამოიარეთ, ხალხს ეჩვენეთ, მტერმა და მოყვარემ დაგინახოთ.

— გმადლობთ, მამი. მაგით არ შეგაწუხებ, ახლაც წამოვიდოდი, გული მომწევს ღედის სანახავად, მაგრამ საქმე არ მიშვებს. ცოტა რამე მაქვს მოსაგვარებელი და სულ ჩქარა ამოვალ, მოულოდნელად დაგესხმით თავსა.

— აბა, მშვიდობით, ღმერთი იყოს შენი შემწე! — დალოცა მამამ, ხვლი ჩაძოართვა, გადაჰკოცნა, ჩოხის კალთები აიკრიფა და გასწია.

გიტა ერთ ადგილას გაჩერდა და მიაჩერდა მიმავალ მამას, ერთგულ და თავდადებულ მშობელს, რომელსაც გადაეწყვიტნა, შვილისათვის შეეწირა თავისი სიცოცხლე და რომელიც ამ გრძნობით ხარობდა. ეს ... მობრუნდა და ხმამაღლა იყვირა:

— გიტავ, შვილო, გამიგონე, მობრუნდი!

— აქა ვარ, მამილო! — მიაწვდინა ხმა გიტამაც და გაექანა.

— აკი მავიწყდებოდა, ცუდ ილბალსაც დავიწყებიხარ, — უთხრა მამამ და ხელი უბეში ჩაიდო. წითელი ცხვირსახოცი ამოაძრო, გაშალა, ჯერ ერთი ყურე გაუხსნა, ამოიღო ლურჯი ხუთმანეთიანი, მუჭაში დაიჭირა, მერე მეორე ყურეს მიადგა. იქიდანაც ორი ცალი სამმანეთიანი ამოიღო, ერთად შეკრიბა და გადასცა: — ეს ორი სამმანეთიანი დედაშენმა გამოგიგზავნა, შარშანდელ ჩირებში აიღო, ეს ხუთმანეთიანიც ჩემადა გქონდეს, დაგჭირდება, გამოგადგება. ფულს თუ გონიერად მოიხმარ, კარგი მანქანაა, თუ არა და უბედურებაა. ერთი ესეც, შვილო, კაცნი ვართ, თუ ვინიცობაა რამე დაგჭირდეს, გასაქანი აღარ გქონდეს, ბარძიმ თუშელიშვილთან მიდი, ნუ მოერიდები, თვითონაც ნასწავლია და ნასწავლი ხალხი უყვარს. თუ გააგებინებ, რომ ჩემი შვილი ხარ, არაფერს დაგზარდება, უარით არ გამოგიშვებს და შენც ულირს საქმეზე, იმედი მაქვს, არ მიხვალ. სამაგიეროსას შენ ნურას იდარდებ, მე და იმას იქ, სოფელში, ჩვენი ანგარიშები გვაქვს და შენი აქ პატივისცემისათვის მე იქ გავუსწორდები. დეკანოზ თომასაც მიმართე, თუ საჭირო იქნება. იმაზედაც მაქვს იმდენი პატივისცემა, რომ ხათრს ვერც ის წაუვა სადმე. იმასაც მე გავუსწორდები სოფლის მეზობლობით. სხვა აქ გლეხკაცსა არავინა მყავს, გარდა კნიაზ ელიზბარისა. იმასა კი, ძლიერ გთხოვ, ნუ შეაწუხებ, საქმეს ნუ დაიჭერ, იმი გლეხები ვიყავით და რაკი-ღა, ღვთის მადლით, თავიდან მომიცილებია, იმი ჰაერიც აღარ მინდა საზიარო.

ეს უთხრა პავლიამ და გზას გაუდგა. ხარები უწყლობით დამეხოცებიანო, გაიფიქრა. გიტამ თერმეტი მანეთი ჯიბეში ჩაიდო და ხალხში შეერია.

კურსდამთავრებულებმა ამალამისთვის პირობა დასდეს, შეხვედროდნენ ერთმანეთს გამოსათხოვარ ვახშამზე, სამიკიტნოში, მარტოდ, თავისუფლად.

იმერეთიდან ქართლში გადმოსახლებულ ბარძიმ თუშელიშვილს გიტა იცნობდა, ბევრჯერ ენახა, თუმცა ჯერ არც კი დალაპარაკებოდა.

გიტას ოდნავ აშინებდა კიდევაც ის ვეებერთელა, გოლიათი ტანის ვაჟკაცი, მავრიცით შავგვრემანი და ცხვირა.

ბევრი რამე გაეგონა მის სიკეთეზე, მაგრამ ვერ წარმოედგინა, თუ იმ კაცისაგან სათნოებისმაგვარი რამე წარმოსდგებოდა. მეტად ხარის შესახედაობა ჰქონდა. ამიტომ გადასწყვიტა, მამის რჩევა თუშელიშვილის შესახებ, თუნდაც სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდნოდა, აინუნში არ მიეღო და იქვე ამოიგდო გონებიდან მისი სახე.

თომა დეკანოზზე მამის რჩევა არ სჭირდებოდა: რუსა, დეკანოზის ქალიშვილი, ქალთა ეპარქიალური სკოლის მოსწავლე იყო. ამ ვეებერთელა ქალაქში ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც გიტა გაუმხელდა ხოლმე თავის გულისნადებსა და ჭირს, იმას, რაც ისე ძლიერ სტანჯავდა, რომ სოფელში დედის სანახავადაც ვერ გაჰყვა მამას.

## თავი II

ქართველ დეკანოზ თომა ჩუთაშვილს იმ დროში ნაკლებად დასახლებულ ვერის ზემო მხარეს, ახლანდელი დენდროლოგიური ბაღის მახლობლად, ედგა თავისი, როგორც თვითონ იტყოდა, ქართულ ყაიდაზე აგებული, უშუშაბანდო, ორგვლივ აივნებით შემორტყმული ორსართულიანი სახლი. ეს მიდამოები დეკანოზს სოფელს აგონებდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: სანამ აქამდე ქალაქი ამოაღწევს, მანამ მეც მეყოფა სიცოცხლეო. აივნებზე შეშვებული ჰქონდა უსურვაზი, საყურძნე ვაზი და ყვავილოვანი ბარდები. ეზოში ხეხილი ედგა და აქა-იქ მარად-მწვანე ბუჩქებიც ერგო. სახლსა და ეზოს გარს აგურის მაღალი გალავანი ერტყა, რკინის ჭიშკარიანი.

ქალაქის ამ ბაღსა და სახლ-კარში დეკანოზს დატოვებული ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი რუსუდანი.

თვითონ სამსახურის გამო მრეკლში იყო, სოფლად, მამაპაპეულ სახლკარში. იქ ეწეოდა მღვდელთმსახურებას და თავზე ედგა ქართლის პირობებზე არც თუ მცირე მამულს.

ქალაქში მისი ქალიშვილის რუსუდანის შინაურობას შეადგენდნენ: ერთი წყვილი გაუთხოვრად დარჩენილი მამიდა, რომელთაც რუსუდანი „დავარს დავარზე“ ან დავარ დიდი და დავარ პატარას ეძახდა, ერთი მზარეული და ორი მოჯამაგირე გასაგზავნ-გამოსაგზავნად და შინ საჯაგლაგოდ.

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის რუსუდანი იყო ქალაქად ამოდენა სახლკარის, მამიდებისა და მსახურების უღვიარებელი, მაგრამ ფაქტიური პატრონი და მბრძანებელი. დავარ დიდი და დავარ პატარა დიდიხანია, რაც ველარაფერს უბედავდნენ მას.

რუსუდანი საეპარქიო სასწავლებელში დაიარებოდა გაკვეთილებზე, გულმოდგინედ მეცადინეობდა და წარჩინებულადაც სწავლობდა.

რამდენიმე წლით იყო უმცროსი გიტა მეზვრიშვილზე, სოფელ მეზობლის ბიჭ სემინარიელზე, რომელთანაც ნაცნობობა და მეგობრობა იმ დღიდან უფრო გაიზარდა, რაც ერთხელ მამამ, პავლიამ, გიტა შემოდგომაზე ქალაქში ურმით ჩამოიყვანა, დეკანოზის გამოტანებული ქირაც ჩამოუტანა, სამი დღე-ღამე რუსუდანისას გაათია ეზოში, გიტა სემინარიაში მიაღებინა, დეკანოზის მეგობრის, ღვთისმეტყველების მასწავლებლის პროტექციით.

კუპრივით შავ-თმა-წვერა, ქვრივი დეკანოზი თომა ჩუთაშვილი ყოველ მოხერხებულ დროს თბილისის სტუმარი იყო.

საერო ცხოვრებაზე გულნაკლული, ფარულად თუ აშკარად, როგორც შესაძლებლობა დაანახებდა, ცოდო-მადლის ადვილად დამფარავ ქალაქში ერთიათად ინაზღაურებდა დანაკლისს.

190... წლის მაისის ბოლო და ივნისის დასაწყისი თომამ თბილისში გაატარა შვილთან და დებთან. რუსუდანი ფრიადი ნიშნებით გადავიდა შემდეგ კლასში, დეკანოზმა რაღაც საეპარქიო საქმეზე დავიდარაბაც თავის სასარგებლოდ შეატრიალა ეგზარხოსთან. წაიქეიფა კიდევაც თავის სახელობის ფარდულში ახალ მწვანილზე, ბატკანზე და მოემზადა მრეკლში გასამგზავრებლად. ამ დროს მოხდა პატარა და გაუთვალისწინებელი შემთხვევა. საღამოს თომა აივანზე ისვენებდა, მოჯამაგირეს, მზარეულს და მეეზოვეს უბარებდა, როგორ მოქცეულიყვნენ ზაფხულში, როცა რუსუდანი მამიდებითურთ სოფლად გაემგზავრებოდა, რომ მოულოდნელად ჭიშკარს მოადგა ქალაქელი ნაცნობების მთელი ჯგუფი. სტუმართმოყვარე თომას მათი მოსვლა გაუხარდა და მზარეულს ვახშამი შეუკვეთა.

დიასახლისობდა რუსუდანი. მისი გულია მასპინძლობით გასარეკელმა ტუმარმა ქალებმა ერთსულოვნად აღიარეს: რუსუდანის ხნოვანობაში ჩვენ გათხოვილები, ქმარშვილიანები ვიყავით და რომ რუსუდანი ჯერ გასათხოვარია. გაგიჟებით უყვარდა თომას ქალიშვილი. სტუმრებს ლანჩაკმა და იმ ადმოჩენამ, რომ შვილი გასათხოვრად წამოეწია, გამგზავრება გადაადებინა ივნისის ბოლომდე.

თუ გასათხოვრად ვარგა, დროა ხალხს ვაჩვენო ქალიო, გადაწყვიტა და ნაფიქრის განხორციელებას შეუდგა.

მოჯამაგირეები, მზარეული და დავარ პატარა სოფელში აფრინა. რუსუდანისათვის ახალი ტანსაცმელი შეუკვეთა და განუცხადა: დაბადების დღეს გიხდიო.

წასულებმა ოთხი-ხუთი დღის შემდეგ სავსე ურმები მიაყენეს კარს. მეურმეთაგანი ერთი ჩვენი ნაცნობი პავლია მეზვრიშვილიც იყო. ხორაგი და საკლავები რომ დაათვალიერა, ღვინო რომ მოიმარაგა, დეკანოზმა წერილები დაწერა და დაუგზავნა მოსაპატიჟებლებს. დაბადების დღის ქეიფის გადახდა ივნისის ბოლო რიცხვებს დაემთხვა. პირველი წერილი თომამ ბარძიმ თუშელიშვილს გაუგზავნა — ქალაქიდან არ დაიძრე. რუსუდანის დაბადების დღეს ვიხდი და იქნებ თამადად დამჭირდეო.

საეპარქიო თათბირზე ჩამოსულ სინოდის ჩინოსანს კი მისწერა:

წვეულება თქვენს პატივსაცემად მაქვს გამართული და, როგორც ყოველ დიდებულ რუსს, საქართველო თქვენც უნდა დაგახსომოთო.

პირადად მივიდა მეფის ნაცვლის კანცელარიაში. თომა მწიგნობარი და სიძველეების მცოდნეც იყო და „სოვეტნიკ“ ჩირკოვსკის, თომასავით სიძველეებისა და მხარეთმცოდნეს სთხოვა — აუცილებლად მობრძანდი და თან წამოიყვანეო ლიბერალი პლეშოვი, რომელიც კავკასიის რუსულ პრესაში საინტერესო სტატიებს ათავსებდა და რომელიც ერთხელ მეფის ნაცვალმა, ცოტას დააკლდა, ერევნის ვიცე-გუბერნატორად დაანიშვნინა სამინისტროს.

ესენი რომ დაითანხმა, თუშელიშვილს, რომელიც წრფელი გულით უყვარდა და სულსა და გულს ენდობოდა, ისევ გაუმეორა მოპატიჟება.

თუშელიშვილს იცნობდა ქალაქ კიევიდან. როცა დეკანოზი უმაღლეს საასულიერო სკოლაში სწავლობდა, ბარძიმიც იქ ისმენდა ლექციებს იურიდიულ ფაკულტეტზე.

ბევრი კარგი გამტანი ამზანაგობა და დახმარება ახსოვდა მისგან დეკანოზს. ამიტომაც გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ კაცის მეგობრობა კუბის ფიცრამდე არ დაეკარგნა.

ორსართულიანი სახლის დიდ დარბაზში ყვნენ ბრწყინვალე სტუმრები შეკრებილნი. უზვი, გემრიელი პურ-მარილით გამხიარულებულთა ხმაური და შეძახილები გიტა მეზვრიშვილის ყურს შორიდანვე სწვდა.

სემინარიადამთავრებული რატომღაც შეფიქრიანდა, დაეპირა უკან გამობრუნება. შესასვლელად გაღებული ჭისკარი გაიხურა კიდევაც, რომ ნაცნობმა მოჯამაგირემ დაინახა, გამოეგება და შეაჩერა, მიაბრუნა, თითქმის ძალით შეიყვანა ეზოში და პირდაპირ სამზარეულოსაკენ წაიყვანა. ამაზე კი ენერგიულად წინააღუდგა გიტა. უარი სთქვა სამზარეულოში შესვლაზე, რამაც მოჯამაგირე ძალიან განაცვიფრა.

— შემოდი, კაცო! — ეხვეწებოდა მოჯამაგირე, — შემოდი! ერთი რიგი-

ანად გამოძეს, რა გენადვლება, ჩვენი სოფლის მიწაზე მოსული ბერ-ჭარილია.

— არა მშიან, რუსუდანი მინდა ვნახო მხოლოდ, მეცი პატივეფა დამიძახე, — შეეხვეწა გიტა.

— კარგი, რახან აგრეა, ვეტყვი გამოვიდეს, თუმცა მე შენ ადგილას ერთი მაგრა გამოვძღებოდი და საქმეც ეს იქნებოდა, — არწმუნებდა ის.

— გმადლობ, არაფრის ჭამა არ შემიძლიან.

— კაცო, ავად ხომ არა ხარ? — გაიკვირვა მოჯამაგირემ, რომელსაც ვერასგზით ვერ წარმოედგინა, თუ გიტას მართლა არა შიოდა: და მერე ვის? მისი მეზობელი გლეხის, პავლია მეზვრიშვილის ბიჭს!

— ავად არა ვარ, სხვა გაჭირვება მადგია, რუსუდანი უნდა ვნახო აუცილებლად, — განუმარტა და დაეღრიჯა გიტა.

მოჯამაგირემ მხრები აიჩეჩა და ტუჩაბზუებულად შეევიდა სტუმრებით სავსე დარბაზში. ისევ გამოვიდა, კიბის შუა საფეხურამდე ჩამოვიდა, მოიხარა და ღმეჭით, ხმადაბლა დაუძახა გიტას:

— საიდუმლოდ ხომ არა?

— ჰო, თუ კი მოხერხდება, აგრე აჯობებს.

მოჯამაგირე წავიდა. გიტა გაძვრა ეზოს იმ მხარეს, სადაც ტვიის ბუჩქები უფრო ხშირი იყო და ამ რამდენიმე წლის წინ მან და რუსუდანმა ბავშვობაში სამ დღეს ითამაშეს ერთად. გული ეუბნებოდა: რუსუდანი უსათუოდ იქ მომნახავსო, იასამნის ბუჩქებს ამოეფარა, გული აუფართხალდა. ინატრა: თუ ასე ძნელი იყო მოლოდინი, ნეტავ არ მოვსულიყავი, ნეტავ გამოსვლა არ შემეთვალაო, მაგრამ გვიან იყო. აივნის კარის ბრახუნი შემოესმა, ვიღაცამ შრაშა-შრუშით ჩაიარა კიბე, მობინდებულში ლანდივით ჩავიდა ძირს და გიტასკენ წავიდა.

— სადა ხარ? — დაბალი ხმით დაიძახა ტვიის ბუჩქის სიმაღლემდე მოლუნულმა რუსუდანმა.

— აი აქ ვარ, რუსა! — ჩურჩულითვე გასცა ხმა გიტამ და წამოიწია.

რუსუდანი ახლო მივიდა, დაინახა მთლად გაფითრებული, ნაავადმყოფარივით მოთენთილი გიტა.

— რა იყო, გიტა, რატომ პირდაპირ არ შემოხვედი?

— შინ რა შემომიყვანდა ჩემ მდგომარეობაში! ნეტავ ცოცხალი არ ვიყო. მერე-და დაუპატიჟებელი სტუმარი თათარზე უარესიაო, ხომ გაგიგონია?

— მაინც რა მოხდა ისეთი, ასე რამ გაგხადა, ფერი რომ აღარ გადევს?

— დავიღუპე, სამუდამოდ დავიღუპე! — სასოწარკვეთილად წარმოსთქვა გიტამ და უბიდან ოთხად შეკეცილი სემინარიის ატესტატი ამოიღო.

რუსამ გამოართვა, გაშალა, თავი დახარა და დააკვირდა. სიბნელეში ძლივს გაარჩია ნიშნები, თავი გადააქნია და უკმაყოფილოდ შეარხია ფოთლიან რტოსავით ქაღალდი, უკანვე დაუბრუნა და იჭვნეულად სთქვა:

— თუ არ ხუმრობ, გაგიჟებულხარ სიხარულით, ან თავის მოწონება გწადიან: რამ დაგლუპა, სულ ხუთიანები გიზის შიგ!

გიტამ ატესტატი ახლო, თვალებთან მიუტანა, მარჯვნიდან მარცხნივ ციფრების წყებას თითი გააყოლა, დასაწყისის გრაფასთან, სადაც ოთხიანი ეწერა, თითი გაჩერა და სლუკუნით სთქვა:

— ეგა, ეგ ოთხიანი მღუპავს, ყოფაქცევაში მიზის.

— მერე რა მოხდა, ამით ვითომ რა შავდება? — იკითხა ქალმა.

— რუსა, ის შავდება, რომ ეს ოთხიანი ყოფაქცევაში, მთელს ამერიკაში მიხურავს ყველა უმაღლეს სასწავლებლის გზას საერო სკოლებში, მისპობს სწავლის განგრძობის საშუალებას, მღვდლობა კი არ მინდა.

— თუ ამ ერთ ოთხიანს მაგოდენა ძალა აქვს, მართალია ყოფილხარ ქალაქ-ხარელი მდგომარეობა არა გქონია! — მწუხარედ უთხრა რუსუდანმა. ატესტატი გამოართვა, შეჰკეცა და გულის ჯიბეში ჩაუდო. კაბის სათავიდან ცხვირსახოცი იძრო, თვალს მოწოლილი ცრემლები მოსწმინდა და უეცრად, თითქოს ცა გაიხსნაო, ჩაეჭდო, ახლად, იმ დღეს დილით პირველად სამართებლით მოპარსულ საულვაშეში აკოცა. გიტა წაბარბაცდა, სიამოვნებამ და ბედნიერებამ თავში დაჰკრა და შეარყია.

— გნახე, რუსიკო, და დარდიც გამიქრა. ოთხიანი კი არა, მთელი ქვეყანა რომ მოვიდეს, არაფრისა მეშინიან, კლდედ გადავიქცევი! — უთხრა გიტამ და ხელები ისე მაგრა მოხვია და მიიკრა ქალი მკერდზე, რომ რუსუდანმა დაიკვნესა.

— ნელა, გამიშვი! — გიტამ გაუშვა.

— გიტა, — უთხრა ისევ ქალმა, — ოთხიანი ოთხიანად იყოს, ეგ არაფერია. ერთი იცოდე მხოლოდ: თუ სადმე იმ სამღვთო წიგნებზე დაგინახე დაყუდებული ან მედავითნე ან მღვდლის ფანთხურა კაბაში, ახლავე დამემშვიდობე, გირჩევნია. ჩემ ლანდსაც ნუ-ღა იხილავ. რომ იცოდე, როგორ მეზიზღებიან ყველა ეგ ნივრის სუნით აყროლებული ბერები და მღვდლები. გამიგონია, დედაჩემიც მაგის ჯავრს გადუტანია, მამა რომ მღვდლად კურთხებულა. მაგ შავმა კაბამ დამაობლა, არც და მყავს, არც ძმა, ტოტებ მიჭრილ ხესავით დამტოვა ქაჯ მამიდების ხელში. მაგრამ არაფერია, ვანანებ მე ამას მამაჩემს. მაშ არა, ხომ?

— არასოდეს, რუსა! ეგ რომ მდომებოდა, ხომ ოთხიანიც აღარ მეყოლებოდა ყოფაქცევაში.

— მაშ ნამდვილად არა?

— არა, მორჩა, მე სასულიერო წოდებისა არ ვიქნები.

— აბა რას იზამ?

— გველის ხვრელში გავძვრები და უმაღლეს ცოდნას მივიღებ. თუ ეს ვერ მოვახერხე, წიგნები და ბიბლიოთეკები ხომ აქ არის, ვიკითხავ და ვისწავლი. თუ ესეც ვერ მოვახერხე, მაშინ ყველაფერზე ხელი ამიღია, ჩავალ ბათუმში, ჩავჯდები გემში და წავალ ამერიკაში.

— იქ მეც წამოვალ, — უთხრა რუსამ და მხარით მიეყრდნო.

გიტამ კვლავ მოხვია ხელი, მკერდზე მიიკრა და ტუჩებში ჩაეკონა.

ამ ნეტარებაში მოესმათ დავარ პირველის ხმა:

— რუსიკო, რუსიკო, სადა ხარ, სად დაიკარგე?

— აქა, მამიდა! — გააგონა რუსუდანმა, ვაეს მკლავებიდან დაუძვრა, მაჯაში ჩაავლო ხელი და თრევა-თრევით წაიყვანა.

რუსუდანს ძალა კიბემდე დასჭირდა, შემდეგ კი გიტა თვინიერად გაჰყვა. ფიქრობდა, ქალი კი არა, ტყვიის ბურთია გახურებულიო. ვერც კი შენიშნა, როგორ გაჩნდა სტუმრების ბრჭყვიალა ფოლაქებით და ლამპებით გაჩირადღნებულ, მროკავ დარბაზში. რუსუდანმა გიტა კართან მიატოვა, მამას მივარდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— მამილო, პავლია მეზვრიშვილის გიტაა აქა.

— რა უნდა, თუ იცი? — ჰკითხა დეკანოზმა.

— ისე, მამილო, სანახავად მხოლოდ. სემინარია დაუმთავრებია, ატესტატში სულ ხუთები ჰყავს, მოვიდა და გვინახულა.

— სემინარია დაამთავრა? ძალიან კარგი, აქ, ახლოს მომყვანი მეუბნებია ღირსება ჩვენთან სტუმრობისა, — უთხრა მამამ ქალს და შვინ[illegible]

რუსუდანიც მიტრიალდა, კართან უხერხულად აყუდებულ გიტას მკლავში ხელი გამოსდო და ახლოს მიიყვანა მაგიდასთან, მამას წარუდგინა.

დეკანოზი წამოდგა, ჯვარი გადასახა, მოწყალებით გაუღიმა, ხელი ჩამოართვა, რაღაც გამოჰკითხა და გვერდით მოისვა თავის თავსა და რუსუდანს შუა. მსახურმა, სწორედ იმ მოჯამაგირემ, წელან რომ სამზარეულოში ეპატიჟებოდა, სუფთა ჭურჭელი მოართვა გიტას. გაბრუნდა, მეორე მსახურთან და მზარეულთან ჩურჩული გაიბა კუთხეში:

— შეხედეთ, ჩვენი პავლიას ბიჭი რა ყოფაშია? ვაი, შენ ჩემო თავო, მე სულელი, სამზარეულოში ვეპატიჟებოდი, ვერ კი მივუხვედი, იქ როგორ შემამყვებოდა. კარგად სცოდნია, სადაც ჯობნებულა ჯდომა. დეკანოზიც როგორ წამოუდგა ზეზედა? ასეა, ძმაო, ნასწავლ კაცსა სხვა მადა აქვს და დაფასებაც აზნაურული. აბა, პავლია ხომ მაგის მამაა და აქ ვინ შემოუშვებს, აქ ვინ დასვამს, ან თვითონ გაბედავს შემოსვლასა და აქ დაჯდომასა? იმის ლოქო ბიჭი, აქაო და ნასწავლიაო, დასვეს კი არა, ფეხზედაც წამოუდგა დეკანოზი. ი გოგოც როგორ ეფაფრება და... აი ჩასკდი, შე უშობელავ, შენა! შეჰფერის კიდეეაცა, ჩემმა მზემა, და აბა ნახავ, თუ აქ რა მოხდეს. ჰაი ჰაი, პავლიავ, თავშივე ჭკუა დაატანე საქმესა და ჰა-დე, ვაკეთდა კიდეეაც შავი დედალივითა.

— ვინ მოიყვანე, ვინაა ჩვენი შემოსწრებული სტუმარი? ვინ მოგვემატა? ინებოს, შესასწრები დაალევინეთ, — ბოხი ხმით სთქვა თუშელიშვილმა დეკანოზისა და რუსუდანის გასაგონად. სასმისები პირდაპირ გადაწოდა და გვერდზე გადაიხარა უცხოს დასანახავად. მოჰკრა თუ არა თვალი სემინარიის ფორმაში გამოწყობილს, ხელი ჩაიქნია და სთქვა: მაგას მსმელობის არა ეტყობა რაო, და დაჯდა. მერე ისევ ჰკითხა რუსუდანს:

— მაინც ვინ არის?

— გიტა, პავლია მეზვრიშვილის ვაჟი, ბატონო ბარძიმ, სემინარია დაამთავრა, ატესტატი ხელში აქვს, სულ ხუთიანები უზის ყველა საგანში, გარდა...

— უთუოდ, გარდა ყოფაქცევისა, — დაასწრო თუშელიშვილმა. — ვიცი, ასე ემართებათ მაგ ხელაღებით ხუთიან სემინარიელ ვაჟბატონებს. დამანახვეთ მაინც კარგად, კიდე არა უშავს-რა, თუ ვაჟკაცად ვარგა.

რუსუდანმა გადიწია, ბარძიმმა ავის თვალით გადახედა დეკანოზის გვერდით სკამზე მობუზულ, ჯავრისგან ჩაქელილ სემინარიელს. რუსუდანი ალაპარაკდა.

— ბატონო ბარძიმ, ძია ბარძიმ, სამწუხაროდ აგრეა, სწორედ ყოფაქცევაში ჰყავს ოთხიანი მარტო. ლამის თავს უბედურება რამე შეამთხვიოს, ისეა გამწარებული. სად უნდა წავიდეს, მართლაც, რაში უნდა გამოადგეს სემინარიის ატესტატი ოთხიანით ყოფაქცევაში კაცს?

რუსუდანმა გიტას ატესტატი გამოართვა, წამოდგა, გაშალა და ბარძიმს აჩვენა. იმანაც ქაღალდი გამოართვა, შორსმხედველი თვალები მოჭუტა და გახედა ნიშნებს. დიდხანს უკირკიტა ოთხიანს და მსჯავრი დასდო:

— ჰო, ასეთ ქონებას არ ქონება სჯობს. თუმცა დიაკვნობას და მღვდლობას არც ეს ოთხიანი მოუშლის. მეტად აბა ატესტატი რად სჭირდება? გლეხკაცისთვის ეგეც დიდია. მღვდლის შვილი ხომ არ არის!

— მე კი ვფიქრობ მეტის ღირსია, მღვდელი და დიაკვანი რა არის? ვიტას სხვა რამე უფრო შეშვენის. მერე, ძია ბარძიმ, როგორ მიყვარს ვიტა, ჩვენებური ბიჭი მაგის მეტი არავინ სწავლობს აქ და ბავშვობიდან ...

არ დაუთმო რუსუდანმა და ბარძიმმა უეცრად იგრძნო ... რუსუდანის მკვრივი ლოყა. ვაუკატს შეაკანკალა სხეულში განაცვიებივით. თავბრუ დაესხა ახალგაზრდა ქალის გულუბრყვილო ალერსმა. გაჭირვებით მიატრიალა თავი, თვალები დაჭარკლა, ნეტავ მართლა ასეა თუ არაო, და მართლაც შიგ თვალებში შეეფეთა გასათხოვრობის კანდიდატის შეწითლებული ლოყების სხივი.

ხარივით ვაუკაცი გახევდა, სუნთქვა შეუნელდა, თითქოს ბუდიდან ამომხტარი გული არსად უნდა გაუშვას და თავის ადგილას დააბრუნოსო, ხელი ჩოხის უბეში შეიყო და მარცხენა მკერდის ძუძუს რბილი ჩაიბღუჯა. რუსუდანი არა ცხრებოდა, ნაკვერჩხალივით ელავდა და ენას არ აჩერებდა:

— ძია ბარძიმ, ბატონო ბარძიმ, ცოდო არაა, სულ ხუთიანებში ამოგდებული წინა კბილივით ეს ერთი უსინიდისო ოთხიანი და ისიც ყოფაქცევაში? გეომეტრიაში, რუსულში, გეოგრაფიაში, ან ისტორიაში მაინც ყოფილიყო!

— არ მესმის, რად არის ცოდო? ის ნიშანი დაუწერეს, რაც დაიმსახურა. ერთი თვითონაც ჰკითხე, იქნება არც გაუხარდებოდა ყოფაქცევაში ხუთიანი. ეს რომ ასეა, მე ნამდვილად მწამს და შენ რა გაწუხებს?

— ძია, ნუ მიმიკიბ-მომიკიბეთ, ბატონო. ოთხიანის მაგივრად ყოფაქცევის უჯრაში ხუთიანი უნდა ჩაისვას ან ატესტატი მთლად შეიცვალოს.

— მერე მე რა ვქნა, რას ვუშველი?

— გადაასწორებინეთ ოთხიანი ხუთიანად ან შეაცვლევინეთ ატესტატი, ვისაც მისი ან გადასწორება ან შეცვლა შეუძლიან.

— აჰ, არ შემიძლიან.

— როცა არ გინდა, გაჭირვებულს მოეხმარო, რას არ მოიგონებ. თორემ თქვენთვის აქ შეუძლებელი არა არის-რა. მე ვიცი, გიცნობთ, ამისთანები გავიკეთებიათ?!

— კერძოდ ეგ საქმე არ შემიძლიან.

— აბა დაიხსომეთ თქვენი ორი დანაშაული. პირველი: ჩემს თხოვნაზე უარი მითხარით, მეორე: კეთილი საქმე არ გინდათ გააკეთოთ. ამის შემდეგ ვეცდები, იქნება უთქვენოდ შევძლო ეგ შეუძლებელი. თქვენ კი დაიხსომეთ, თქვენს სიცოცხლეში არ დაივიწყოთ.

— რადგან არ ხუმრობ, ცდა ბედის მონახევრეა, ვსინჯოთ, რა გამოვა, — დაუჩქარა ეთქვა ბარძიმმა ამ გაცელქებულ ვოვოსაგან სირცხვილ-ნამუსშ ჩაგდებულმა.

— ეგეც ბარაქალა თქვენგან, — ჩაიბურტყუნა რუსუდანმა.

— თუ ვერ შევძელ, რას იზამ, რუსიკო? წინასწარ გამაგებინე შენი განაჩენი? — ჰკითხა ბარძიმმა და ჩაიმღერა ხმადაბლა:

„ნეტავი მოვკვდე ხის ძირად,
ფურცელნი დამეფინოსა,
მოვიდეს ქალი ლამაზი,
გულს ცრემლი დამადინოსა“.

— რა უნდა ვქნა, ნამდვილად მე რა შემიძლიან, რა უნდა დაგიშავოთ? მეცოდინება მხოლოდ, რომ უძლური ვინმე ბრძანდებით, მეტი არაფერი. ეს

რომ მეცოდინება, თქვენი სასჯელიც ეს იქნება, ძია ბარძიმ, ბატონო ბარძიმ, თქვენ ამას არ იზამთ, უთუოდ გააკეთებთ, უთუოდ დაეხმარებით.

ბარძიმმა მორჩილად სთქვა:

— ვცდი, ვცდი. უთუოდ რამეს გავაწყობ, ან მე ბარძიმ თუშელიშვილი არ ვყოფილვარ!

— თუ გააკეთებთ, იცოცხლეთ, — სახეში ჩასძახა რუსუდანმა, დაბრუნდა თავის ადგილას, დაჯდა, წვრილი და გრძელი თითები ნაზად მოავლო ბოჰემურ ბროლის თლილ ჭიქას და რამდენიმე წვეთი წითელი ღვინო ეშხიანად წამწამების ხამხამით მოსვა.

სტუმრები მხიარულებდნენ. თუშელიშვილი ყოველნაირად უწყობდა ხელს სუფრას. ნაკლებად მხიარულებდა თომა. ამისი მიზეზი მას უთვალავი ჰქონდა. პირველი ის, რომ მასპინძლური ზრუნვა სჭირდებოდა მეორედ ის, რომ მღვდლის სამოსელში ამ დიდ ჩინოსნებთან თავის გუნებისად გადაკვრა არ შეეძლო. ეს თავის გაცემა იქნებოდა. ისედაც ათას რამეს ლაპარაკობდნენ მის თავაშვებულ ქეიფზე ქალაქში. მარტო ის რად ღირდა, რომ ყველამ იცოდა — ორთაჭალაში ერთ ფანჩატურს მისი სახელი ერქვა. მესამეც ის, რომ თამადად თვითონ კი არა, თუშელიშვილი იყო. თომას გულის ჭირს მიხვედრილი ბარძიმ თუშელიშვილი ზეიმობდა, ხანდახან დასცინოდა კიდევაც თომას, ეუბნებოდა: მელას თავისი ტყავი სჯის და არა საქათმეო, და სადღეგრძელოებში თავის საქმეებს აჭახრაკებდა.

სანამ მანდილოსნების სადღეგრძელოებს მორჩებოდა, ღობურად მოსდევდა. მერე პიროვნებებზე გადავიდა. არჩევდა ჩინებით უფროსებს, ადღეგრძელებდა და სასმისს აშრობდა გამოგვალულივით.

სუფრაზე ჩამოვარდნილ საუბრებში მოხდენილად ერეოდა. ცდილობდა სასაცილო მხრით მოეჩვენებინა ყველაფერი, რაც არ უნდა სერიოზული რამ თქმულიყო. ორჯერ მოჰკრა ყური დიდ ჩინოვან სტუმრების ჩუმად დალაპარაკებას დეკანოზმა: „ნე გლუპ“, ამას ბარძიმზე ამბობდნენ ჩინოსნები.

საუბარი კავკასიაში სწავლა-განათლების გავრცელებაზე ჩამოვარდა. სუფრაზე ახსენეს ერმოლოვი, პასკევიჩი, ვორონცოვი და მურავიოვი.

ბარძიმიც ამას ელოდა. წამოდგა. ჩაის ჭიქა გაავსო, სინოდის წარმომადგენელი ამოიღო ნიშანში, ჩინით სხვაზე აქ მაინც და მაინც არც თუ დიდი. რუსეთიდან ჩამოსვლის მიზეზით ისეთის ენაწყლიანობით შეაქო იგი, რომ წარმართი „ტუზემცები“ დაავიწყა, აღტაცებაში მოიყვანა.

უწმინდესი სინოდის ჩინოსანი წამოდგა, შემოუარა სუფრას, თუშელიშვილთან მივიდა, ჯვარედინად გადაჰკოცნა, მკლავი მკლავში გაუყარა და სამადლობელი დაცალა. დაცლილი სასმისები პირქვე რომ დააყირავეს, უწმინდესი სინოდის საერო ჩინოსანმა ერთხელ კიდევ გადაჰკოცნა.

გათამამებულმა თუშელიშვილმა ლარტყასავით გრძელი და მძლავრი ხელი ბეჭებში მოსდო, თვითონ უკან დაიწია, თავის ადგილზე დააყენა, გიტასა და რუსუდანზე მიუშვირა ხელი და უთხრა:

— ბატონო, ამათი და მთელი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის მაგივრად დავლიე თქვენი სადღეგრძელო, მიუხედავად იმისა, რომ იმ ვაუბატონს, სემინარიიდან დღეს მიღებულ ატესტატში სულ ხუთიანები უზის, გარდა...

— ყოფაქცევისა... თბილისის სასულიერო სემინარიისაგან ასეთ სიურპრიზებს მიჩვეულნი ვართ და მიუხედავად ამისა, თუ იმ ყმაწვილის სურვილიც იქნება, ამას ოთხიანი ხუთიანად შეეცვლება ყოველგვარი პირობების გარეშე.

აწეული ტონით განაგრძო თუშელიშვილის სიტყვა უწმინდესი სინოდის საერო ჩინოსანმა და სახეზე ალმურ-ავარდნილი დაბრუნდა თავის ადგილზე.

გიტას ყველაფერი გალუცინაცია ეგონა. შეუძლებლად ეჩვენებოდა ლაპარაკი. მაგრამ უფრო მეტი მოელოდა თურმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწმინდესი სინოდის ჩინოსნის სადღეგრძელო ჩირკოვსკიმ, მეფის ნაცვლის კანცელარიის ბობოლამ, „სოვეტნიკმა“, მხარეთმცოდნემ და სიძველეთა მცოდნემ და ქართველების „პატრიოტმა“, იმით დაამთავრა, რომ იმ ბედნიერ ახალგაზრდისათვის გააკეთებდა იმას, რასაც შესაძლებლობის ფარგლებში ლიბერალი პლეშოვი ურჩევდა.

ხუმარა, ოდნავ დამცინავ-თვალებიანი, მომცრო ტანის პლეშოვი უმალვე წამოდგა, მოკლედ ადღეგრძელა უწმინდესი სინოდის ჩინოსანი და ჩირკოვსკის გადაკრული სიტყვა თვითონ ჩამოაყალიბა რამდენიმე სიტყვით.

— ბატონებო! — სთქვა მან. — ჩემი თვალსაზრისით, საქართველოს მშვენიერ, ნოყიერ და ჰავით სამოთხესავით შეზავებულ მიწა-წყალს რაც შეიძლება მეტი და კარგი მომზადებული და განსწავლული მეურნე სჭირდება. თუ მაგ ყმაწვილის სურვილიც იქნება, იალტის სამეურნეო სკოლაში გავუწევთ პროტექციას, სტიპენდიითაც უზრუნველვყოთ, — ეს სთქვა და ჩირკოვსკის შეხედა. ჩირკოვსკიმ თანხმობის ნიშნად დააქნია „ჭკვიანი“ და „მოწყალე“ თავი.

სტუმრებმა ჭერის ამნგრევი ტაში დასცხეს.

გახარებული გიტა დეკანოზისა და მის ქალიშვილის შუაში სარ-გადაყლაპულივით იდგა და თავი ზღაპარში ეგონა.

ცოტაოდენი ღვინით შეზარხოშებული, უწმინდესი სინოდის ჩინოსანის, ჩირკოვსკისა და პლეშოვის ბარათებით უბეავსილი გიტა მეზვრიშვილი ბარბაცით დაპყვა თავქვე და მოგვიანებით ჩავიდა დათქმულ სამიკიტნოში, სადაც დღეს გამოშვებული, კურსდამთავრებული ამხანაგები ერთხელ კიდევ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და მერე იქნებ სამუდამოდაც დასცილდებოდნენ.

კურსდამთავრებულებს გიტას მოსვლის იმედი დაეკარგათ, დამსხდარიყვნენ სარდაფის განაპირა ოთახში და ვახშამს შესდგომოდნენ. ეჭამათ პირველი და გადაეკრათ ღვინო. გიტამ ფრთხილად გაიარა სარდაფი და ოთახს ყური მიუგდო. ამხანაგებს უიმისობა ეტყობოდათ. მოულოდნელად ჰკრა ხელი კარსა და შევიდა. ამხანაგები ზეზე წამოცვივდნენ. ყიჟინით წაავლეს ხელები და შეაბურთავეს ჭერში. სკამები მისწი-მოსწიეს, დასვეს და თამადამ საზამბაროდ წინ ოთხი ცარიელი ჭიქა დაუდგა და გაუვსო. გიტა წამოდგა, სულმოუთქმელად გამოსცალა ჭიქები. თამადამ ახლა მოზრდილი ჭიქა გადმოუდგა, დაუსხა და უთხრა:

— გიტა, ამ ჭიქაზე სთქვი, რას აპირებ მომავალში. ჩვენ კი უკვე ვთქვით ყველაფერი და დავასკვენით კიდეც: ცუდ მთვარეზე გავჩენილვართ, წასულია ჩვენი საქმე, უკან, ბავშვობასა და ყმაწვილობაში ბედნიერება არ გვინახავს, წინაც პერსპექტივაში, საკეთილო ვერა გავარჩიეთ-რა. შენ როგორღა?

თამადა სკოლაშიაც გამოირჩეოდა თავისი უიმედობით და ბედისწერის დევნით. თუნდაც გაკვეთილი კარგად სცოდნოდა და კუთვნილი ფრიადი ნიშანი მიეღო, ის მაინც ბედისწერას მიაწერდა ხოლმე თავისი შრომის, მეცადინეობისა და საკუთარი თავის უნარს.

— მე კი აგრე არ ვფიქრობ, — შესძახა გიტამ. — საქმე წასული რად უნდა იყოს? თუ ბედს მაგოდენა ფეხები აქვს, რომ გარბის, ჩვენ რაღად ვდგავართ? ვდიოთ, ვდიოთ, იქნება დავეცნეთ კიდევაც. ცხვირპირი ჩავილეწოთ, თანაც გა-

დავყვეთ. მერე რა? ძიებაში მკვდარს რა სჯობიან? ყველაზე უკეთილშობილესი ადამიანი მაძიებელია. უპერსპექტივობა პერსპექტივიან მომავლად გადავაქციოთ. გულგატეხილს, ბრძოლაზე ხელაღებულს თვალიც მეფეთხრა, ასე თუ იქნება, ასე თუ მოვიშალეთ, გამოდის ანაფორა სულში გვაცვია. [illegible] ბეჭებზედაც ჩავიცვათ, გადავიქცეთ ყორნებად.

თამადა წამოვარდა და იყვირა:

— აცათ, ბიჭებო, დღეს დილით აგრე როდი მღეროდა გიტა. აბა, გვითხარი, რა მოხდა, რა შესცვალე, ასე მაგარს რომ გაიძახი. რა გადასწყვიტე, „უჩიტლობა“ სოფელში თუ ანაფო...

— არც ერთი და არც მეორე, ბიჭებო! იალტის სამეურნეო სკოლაში შევდივარ! — მეხივით ისროლა გიტამ. ამხანაგები ენაჩავარდნილებივით დადუმდნენ. რამდენიმე წამის შემდეგ მხოლოდ ისევ დამცინავმა თამადამ დაარღვია სიჩუმე:

— შენი ოთხიანით ყოფაქცევაში იალტის სამეურნეო სკოლაში? რა გაეწყობა, გვჯერა, იქნება მართლაც ასე მოხდეს.

ახლა გიტაც წამოვარდა ზეზე. მაგიდას მუშტი დაჰკრა და დაიღრიალა:

— წყეული ოთხიანი აღარ არსებობს, წაიშალა. ეს ცოტაა, სტიპენდია და პანსიონიც მექნება.

კურსდამთავრებულებმა გადაიხარხარეს, გიტამ სავსე ჭიქას წამოავლო ხელი, გადაჰკრა, ჭიქა დასცა მაგიდას, უბეში ხელი იკრა, საპროტექციო ბარათები ამოიღო და მაგიდაზე დასდო.

— ეს ფაქტსა ჰგავს,—სთქვა თამადამ სადღეგრძელოს მაგიერ, როცა ქაღალდები გადაიკითხა, ჭიქა გაივსო და წამოდგა. — ჩვენ კი იქამდე უნდა ვიცადოთ, სანამ იძულებულს არ გაგვხდის ცხოვრება, ეპისკოპოსთან დაჩოქილი ბივიდეთ და ვთხოვოთ შეგვიბრალოს და მღვდლებად გაგვამწესოს. უჰ, მაგათ სისხლი... ბელზებელები! არაფერი ისე არ ესიამოვნებათ, როგორც ისეთის მომნანიებლის ფეხით თელვა, რომელიც ახალგაზრდობის საუკეთესო, ბავშვის თვალებივით წმინდა იდეალებს, ფიქრებს, ილუზიებს და სიხარულს აფურთხებს და ქოქოლას აყრის. შენ, მგონია, გიტავ, პირველი გადაურჩი ამ ბედს. დაუძვერ კლანჭებიდან გველეშაპს, და შენი ამხანაგები ერთს გისურვებენ მხოლოდ: დაე შენს ცხოვრებას მაინც არგუნოს ბედმა სახელოვანი და კაცური ბოლო — სიკვდილით თუ სიცოცხლით, ეს სულ ერთია. ჩვენც ვეცდებით არ დავიღუპნეთ. არ შეგვყლაპოს, არ ჩაგვითრიოს ტლაპომ, თხლესავით ძირზე არ დაგვილეწოს დუღილმა და ცხოვრებამ ტალახად არ გვაქციოს.

ყველანი ზეზე წამოდგნენ, გაავსეს ჭიქები, დაცალეს და გავიდნენ ქუჩაში. დაემშვიდობნენ ერთმანეთს და თავთავიანთ გზას გაუდგნენ.

ღვინოს მიუჩვეველმა გიტამ ძლივს მიაღწია ნაცნობამდე, სადაც მამის ჩამოტანილი ძღვენი იყო დატოვებული.

მხოლოდ მესამე დღეს გასწია სოფელში მშობლებთან იალტაში წასასვლელად ყველაფრით მომზადებულმა.

## თავი III

ღამით მოჭერილ ყინვას გზა გამოეშრო. მეეტლე ურჩევდა ეტლს ბილიკებს და ურმულის ღიღინით, რაც თავისებურად შეეხამებინა ეტლის სიჩქარისთვის, მიერეკებოდა ცხენებს.

გეუა ჩარეჭოვს, ერთადერთ მგზავრს, კვერნის ბეწვმოვლებულ ბალტოს საყელო აეწია, ხელთათმანიანი ორი თითით საყელოს ბოლოები ცხვირის წვერთან დაეჭირა, ფეხი ფეხზე გადაედო და მისჩერებოდა ეტლიდან გახვეული მეეტლის ზურგს. ხანდახან გადაიხედავდა ეტლიდან და [illegible] ვერ იცნობდა, ჯავრობდა, უსაყვედურებდა, ტუქსავდა მეეტლეს:

— საით მიხვალ, ბიჭო, ან აგრე რად ერეკები, არ დამამტვრიო, რა გეჩქარება, ჩემზე მეტი საქმე გაქვს თუ?

— ადრე მივალ, ბატონო, ცხენებს დავაძლობ და დავასვენებ. სოფელში გავივლ-გამოვივლი. იქნება იაფად ხილი რამე ვუშოვო ბალღებსა.

— ვაჰ, ეს გზა რაღამ გამოცვალა? წელიწადიც არ გასულა, აქ ვიყავი და ველარ მომიმხრია, საით არის სათიხარი.

— ახლა, ბატონო, ახალი გზა გავიდა, — უთხრა მეეტლემ, სადაველებს მოსწია, ცხენები შეატრიალა და ახლად ხრეშდაყრილ გზაზე შეაგდო ეტლი. გაუკვერავ გზაზე რიყის ხრეშით აჯაყჯაყებულმა ეტლმა გეუა იძულებული გახადა ამდგარიყო, კოფას დაყრდნობოდა და შორს მიევლ-მოევლო თვალი.

— აქეთ სად ეშმაკში მიდიხარ, მოაბრუნე ცხენები, ფონები ქვემოთ დაგრჩა. ხათაბალა არ გამიხდე, შე ოჯახქორო!

— რის ხათაბალა, ფონით აღარ გავალთ, მადლობა ღმერთსა, გადვურჩით მაგ სახრჩობელა ფონებსა. ზემოთ ხიდზე გავალთ და პირდაპირ შევალთ სოფელში.

— რას ბოდავ, ხიდს აქ რა უნდა?

— როგორ თუ რა უნდა, ბატონო! ხიდი არის და ისაა. ეს ნამდვილია, ბარე ორჯერაც გამივლია ზედ და ფონით რაღად ვიწვალო. ლიახვის დამთხვეული ხასიათი იცი. მოდის, მოქუხს, ლურჯი ჭავლებით გახარებულ ლოდებს მოაგორებს. საცა არ ვგონია, იქ მოასწრებს ცხენს კოჭში, ჰკრავს და მარილივით დაუფშვნის ძვალსა და ცხენის ზარალს ვიღა ჩივის, თუ პატრონი გადაურჩი უვნებლად. განა ასე არ მოუვიდა ჩვენს ჩაჭყაპესა? პირველი ქუჩერი იყო გორში. აი, და... და... და... ის რომ ცხენებს დაახურებდა ქერითა, ის რომ ერთ ძათლაფა ხაშზე სამ არაყს დააყოლებდა და ცარსკზე გაატარებდა ფაიტონს, კაცის თვალი უკეთესს ვერას ნახავდა. ლიახვმა კი არ დაინდო და, აგერ ნახე, რა მოუვიდა?! მოჰხვია ხელი, მოიტაცა თავის ცხენებიან-ფაიტონიანად, შიგ მტკვარში ჩაიტანა. უფლის ციხესთან იპოვნეს. ახლა, ბატონო, ხიდია აგებული აგერ ზემოთ, ლიახვზე. მართალია, გორის ხიდისთანა არ არის, მაგრამ მაინც ხიდია. მშვიდობით გავალთ მეორე ნაპირს. კაცსაც მეტი რა უნდა? ხიდს იქით, პირდაპირ სოფელში შევალთ, იქ-კი, საყდართან, დეკანოზ ჩუთაშვილის სახლი დგას.

— მაგარი სოფელი ყოფილა: ხიდის აგება ხუმრობა საქმე როდია.

— სოფელსა ლიახვზე ხიდის აგების წელი ვინ მისცა! აბა მაგისი თავი სადა ჰქონდათ. იმ მამაგანათლებულმა ელიზბარმა ითავა და ააგო კიდევაც. გალმაგამოღმა მამულებიც შეაერთა, სასახლეს დაუკავშირა პირდაპირ და სოფლებსაც სიკეთე უყო. ამილახვარს კი არა ჰგავს! ხუთიოდე მაგისთანა ამაგდარი კაცი მისცა კიდევ ჩვენ მხარესა და იქნება კაცს ეშველოს რამე, თორემ ამ გიჟნაჭამ მდინარეებში ცხენები მიფუჭდება. ქირაში ამონაღები სულ ახალი ცხენების შეძენასა და შენაცვლებაში მიდის. ქისას ბარაქა არ დაადგა, ერთ ოთახს სახურავი გადამიხადა ქარმა, იმდენი ვერა ვქენი, კრამიტი შევიძინო და გადავახურო. წყალი ჩამომდის, ბალღები მიცივდებიან.

„ელიზბარმა ითავა და ააგო?! შე სულელო, რა გაგეგება, რა იცი, რომ ათავებინა, რა ჰქონდა გულში? როგორ მიგახვედრო, რომ მაგ ხიდში ჩემი ფული ჰყრია“, — უთხრა გეუამ თავის გულში პასუხად მეეტლეს დაკრეფილ მდინარის ნოტიო, ცივი სუნი და ხმაური მოახლოვდა, სახე მთლად ბაბალა ყვავილის ბეწვში და აწითლებული ყურის კაკნატულები ღრმად შეიკუჭა ყალმუხურ ქუდში.

გეუა ჩარექოვს, გორელ მეხილეს და ექსპორტიორს, გუშინწინ თავის კონტრაგენტ თუმა ჩუთაშვილისაგან წერილი მიუვიდა: კონტრაგენტი დეკანოზი აცნობებდა, საჩქაროდ ასულიყო გეუა მასთან სოფელში მეტად საჭირო საქმეზე. გაკვრით, მისახვედრად იხსენიებდა სათიხრელ აზნაურს უთნელოვს, რომელიც ხელსაყრელ ფასებში ჰყიდდა ბარის მამულს ზედ მიკრული საძოვრითა და ტყეებით.

სხვა დროს, სხვა პირობებში გეუა ფეხსაც არ მოიცვლიდა ასეთ ყინვაში გორიდან. თავადები და აზნაურები სიღარიბის მონატრულებივით გორში კარდა-კარ დაძრწოდნენ თავმომაბეზრებელი მიწა-წყლის თავიდან მოსაშორებლად და ფულად გადასაქცევად. იხვეწებოდნენ: დაიგირავეთ, დაიწიდეთ, შეისყიდეთო.

მას შემდეგ-კი, რაც საჰიპოტეკო ბანკმა გორში თავისი ფილიალი გახსნა და ზუბალაშვილებმა ბაქოში მოგებული ფული მოათავსეს შიგ, გეუას და ბევრ სხვასაც დასაფიქრებელი მდგომარეობა შეექმნათ. თავად-აზნაურნი კარს აღარ უტალახებდნენ ვაჭრებს, არიქა ჩვენი მიწები შეიძინეთო.

ის ოთხიოდე დესეტინა მიწა, რაც სხვადასხვა სოფელში ჰქონდა შეძენილი გეუას, დეკანოზის წყალობა იყო, რომელმაც მიწის საფასურის ოდენა იჯიბა საკონტრაგენტო ჰონორარში. მღვდელი კი არა, ნამდვილი თბილისში გამოქნილი მაკლერიაო, ამბობდა გეუა ვაჭრებში, სანდო ხალხში, მაგრამ დეკანოზი მაინც ყველას ერჩია: ფულს აიღებდა, საქმესაც გაჩარხავდა.

სხვა გზა არა ჰქონდა გეუას. უზრუნველად დებას ფული აღარ ითმენდა, ბანკისაც ეშინოდა, უტრიალებდა ყურში — „ბანკ მოჟეტ ლოპნუტ“-ო.

მეეტლემ ცხენები მიატრიალა და პირდაპირ გაუხვია. პატარა ხნის შემდეგ ფლოქვების ბრაგუნზე მიხვდა გეუა, რომ ეტლი ხიდზე გადიოდა. შეაჩერებინა, გადმოვიდა და ფეხით გადაიარა ხიდი.

ქვისა და ცემენტის ნაგებობა მხოლოდ მდინარის დინების სისწორემდე იყო ამოყვანილი. მას ზემოთ-კი ფერმები და სვეტები მსუბუქი ხისაგან იყო ნაგები. მეორე ნაპირს ჩაჯდა ეტლში და მეეტლეს გამოელაპარაკა:

— კაი კაციაო. მე ვიცი, რაც კაი კაცია! რის თავადია, თუ თავი არ მააჩვენა ხალხსა. კაი კაცობას ბევრი უკლია! ბურჯები წყლამდე ამოუყვანია ქვისა და ცემენტისა, ზემოდან კი სულ ნაძვისა და ფიჭვის მასალაა. ორ წელიწადში ან დალპება და ჩავარდება, ან მდინარე მოჰგლეჯს და გლეხებს გაუხდებათ საწვალებლადა. აქაო და ხიდი იყოო, ააგებინებენ ვალითა და ძალითა. ეს ხიდი კი არა, მახეა, ხაფანგი.

— არ ვიცი, ბატონო, თავადს რა ფიქრი ჰქონდა თავში, როცა ხიდს აგებდა. ეს დღეს გაველი ზედა, შენაც მშვიდობით მიგიყვანე, შინაც მშვიდობით დაგაბრუნებ და ხვალისა კი რა მოგახსენო. იქნება ხვალ ცა და დედამიწა ერთმანეთს შეასკდნენ, წინდაწინ მე გული რად გავიხეთქო? ისეც მოკლეა წუთისოფელი.

არ დანებდა მეეტლე. გეუამ შეუტია:

— გაუჯავრდი, გაუჯავრდი, ჩქარა წაიყვანე! მოხერხებული ეშმაკი ბრძანდება ის ელიზბარი. ქვეყანას თვალს უბამს, აქაო და ღვაწლსა ვდებო. ბევრი ელიზბარი მინახავს, მაგათგან ხეირი არა აქვს არც ხალხსა, [illegible] გეუას მოტყუება ძნელია.

ბიბლიოთეკა

— აი, მოვედით კიდევაც! სოფელი დაიწყო, საყდარიც იქა დგას და დეკანოზის სახლიცა.

სთქვა მეეტლემ და შოლტი მოიქნია. ცხენები შეხტნენ, გაჰკრეს, გაიწიეს, ნალებიდან ნაპერწკლების კვესვით, ნიავივით შეაქროლეს ეტლი სოფლის ვიწრო და ნეხვიან ქუჩაში.

უშარვლო ბავშვების, ბატების, იხვების ყიჟინისა და ჰოე-ჰოეს ძახილ-ხმაურში შეაჩერა მეეტლემ საყდართან აქაფებული ცხენები.

გეუა გადმოვიდა, დეკანოზის სახლს შეხედა: პატრონს მოთუთიავებული თუნუქით გადაეხურნა. ბუხრის მილიდან ამოდიოდა ნისლისფერი თხელი, ხმელი შეშის ბოლი და კაენის კომლივით ეფინებოდა ორსართულიანი სახლის მახლობლად ერთმეორეზე სოკოებივით მიჯუჯგულ ერდოიან მიწურებს.

გეუამ ეზოში ვერავინ დაინახა, არც არავინ გამოეგება და დაუპატიჟებელი სტუმარივით შეჰყვა კიბეს. მეორე სართულის აივანზე კალოშები გაიძრო და, სიცივისაგან შექორფავებული, ქოქინით შევიდა შიგნით.

იქ კი იძულებული გახდნენ დამხვდურები „ჰაას“ ძახილით შეხვედროდნენ, მიგებებოდნენ და ოდნავ აწეულიყვნენ სკამებიდან.

გეუამ პალტო გაიძრო, ქუდი მოიხადა და მოჯამაგირეს გადასცა. პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო წითელ-ჭრელი აბრეშუმის ხელსახოცი და სახიდან ჩამოიწმინდა ნამგზავრი რთვილი, ოთახის სითბოსაგან ცვრებად ნაქცევი. ხელი ყველას ჩამოართვა, მერე ვენური სკამი წაიღო, ბუხართან დადგა და აგუზგუზებულ ცეცხლთან დაჯდა. მოიკითხა დეკანოზის ერთადერთი შვილი რუსუდანი.

— ქალაქშია, ორი კვირა იქნება, მეც არაფერი გამიგია, — მოიმწუხარა მამამ.

დამხვდურები იყვნენ: ჩვენი ნაცნობი ბარძიმ თუშელიშვილი და დეკანოზი, უცნობები კი — მიწა-წყლის გამყიდველი ერთი აზნაური უთნელიძე, იგივე უთნელოვი, ახმახი და ხმელი კაცი, მეორე — დაბალი, ნესვივით მრგვალი და სიმსუქნისაგან ნიკაპ-მკერდ გაერთიანებული გორელი ნოტარიუსი გოგოსაშვილი, მესამე, მაღალი ტანის ვაჟკაცი, მე-19 საუკუნელი რუსი ხალხოსნების მაგვარად შნოიანად ჩაცმული და თმა-წვერ შეკრეჭილი, გახლდათ თავადი ელიზბარი, მეეტლის მიერ უზომოდ ქებული კარგი კაცი, ხიდის ამგები, ქვეყნის მოამაგე და არა ისეთი, როგორიც იყო ამილახვარი.

გეუას მომლოდინე დამხვდურები ერთობოდნენ. ეს ყველაფრიდან სჩანდა. მაგიდაზე, რომელსაც გარს ესხდნენ, ეყარა გათამაშებული ქაღალდი. პირქვე დამხობილი, ძირზე უხვად გალესილი ნახშირით, ლამბაქი და დასაბეჭდი საცობი ადასტურებდა, რომ თამაშობას მხოლოდ გართობის, დროს გატარების ხასიათი ჰქონდა. ამას ისიც ამტკიცებდა, რომ საბეჭდი საცობის კვალი, შავი ნიკორები ყველას მრავლად აჩნდა სახის შიშველ ადგილებზე და ყველანი სასაცილოდ გამოიყურებოდნენ. ნოტარიუს გოგოსაშვილს შავი წრეები ლაბაბზედაც კი ებეჭდა, რადგან სახეზე ადგილი აღარ დარჩენოდა.

ნოტარიუსმა გოგოსაშვილმა გაფანტული ქაღალდი აკრიფა და ბუხრის

თაროზე დასდო. ლამბაქი ბუხარში შეაქნია, ფხვნილი შეყარა და ისეც ბუხრის თაროზე ფრთხილად დასდო. ამის შემდეგ ჯიბიდან ფანქარი ამოიღო, სათვალეები მოიძრო და განაცხადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაც ადრე მოვრჩებით, ის აჯობებს.

— ნასადილევს, — წამოიძახა თუშელიშვილმა.

— როგორ გეკადრებათ! ჯერ რა მოგვიგია, რომ ვჭამოთ? ნასადილევს მე აღარა შემეძლება-რა, გამოუძინებლად. მე მზადა ვარ. მოვრჩეთ საქმესა და მერე პურიც შეგვერგება, — დაიცვა თავისი აზრი გოგოსაშვილმა.

თეთრად ქათქათა ცხვირსახოცი გაშალა, ნერწყვით დაასველა, სარკესთან მივიდა და ნახშირები ჩამოიწმინდა სახიდან და ღაბაბიდან. იქიდან კუთხეს გამოუარა, საწერ-კალამი წამოიღო, სათამაშო მაგიდაზე დასდო, პორტფელი გახსნა და ქაღალდები ამოალაგა. ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ. გოგოსაშვილმა მიმართა გეუა ჩარექოვს:

— აზნაურ უთნელიძეს ფული ჰმართებს თავად ელიზბარისა, აზნაური უთნელიძე მამულს ჰყიდის თქვენზე, გიორგი დარჩოს ძე ჩარექოვზე, იმ პირობით, რომ თქვენი ხელიდან მიიღებს ელიზბარის და მისი მამის მიერ თქვენზე გაცემულ ყველა ვალდებულებას მამულის საფასურის ნაწილში და ამ ვალდებულებების ხელისმომწერზე გადაცემის საშუალებით უთნელიძე გადაუხდის ვალს თქვენს ხელისმომწერ თავად ელიზბარს, რომლის ხელის ძომწერიც, თავის მხრივ უთნელიძე გახლავთ. თამასუქები, ალბათ, თანა გაქვთ. მგონია, გაფრთხილებული ბრძანდებოდით.

— ნასყიდობას დავწერთ და ფულს დღესვე მივუთვლი უთნელიძეს გორში, ნაღდით გადაუხადოს თავად ელიზბარს, — მიუგო მახეში გაბმულმა გეუა ჩარექოვმა და ბრაზიანად გადახედა ელიზბარს, რომელსაც ხედავდა, მაგრამ არა სჯეროდა მისი იქ ყოფნა.

— მაგას არ გეუბნებით, — განუმარტა გოგოსაშვილმა: — თავად ელიზბარს სურს, ამ გზით მაინც დაიბრუნოს თქვენგან თავისი და თავისი მამის ხელწერილები და თქვენზე გაცემული ვალდებულებანი, რადგან ყოველთვის გაურბიხართ, ვალდებულებებს არ უბრუნებთ და პროცენტები ემატება კაპიტალს, რაც ბოლოს მამულს აწვება ხარჯად, და თუ უთნელიძესთან ეს საქმე არ მოხერხდება, მაშინ თავადი მზადაა გადაგიხადოთ დღესვე ჩვენი თანადასწრებით თავნი ულაპარაკოდ, სარგებელი კი საჰიპოტეკო ბანკის ნიხრით, რათა ამიერიდან აღარც სიტყვიერი და აღარც წერილობითი ვალდებულებებით თქვენთან არავითარი საქმე აღარა ჰქონდეს, აღარავითარ შემთხვევაში, გარდა კეთილი ნაცნობობისა.

ის მოხდა, რისიც ეშინოდა გეუას. თავადი ოფიციალური, ფინანსთა სამინისტროს მიერ დაწესებული ნიხრით აპირებდა პროცენტების გადახდას.

უკანასკნელად სცადა მახიდან ამოძრომა და გრძნობებს მიმართა:

— რად უნებებია ეგ კნიაზს. მეც ისე თამამად ვენდობი მაგას, როგორც ჩემი მამა-პაპა ენდობოდა მაგის მამა-პაპასა. მგონია, უღირსნი შვილნი არც ჩვენ ვიყავით და ვართ.

— კარგი და პატიოსანი! რომ უფრო ღირსეული შვილები დარჩეთ ღირსეული მამა-პაპისა, აიღეთ და აქვე გაუსწორეთ ერთმანეთს ანგარიშები. მიიღეთ ვალდებულებებში ფული და თქვენც ნშვიდობით, ისიც მშვიდობით. მიბოძეთ ვალდებულებანი.

— თუ თავადი ელიზბარი აქ იქნებოდა, უნდა გაგეფრთხილებინეთ, ვალ-

დებულებებს თან წამოვიღებდი, — უსაყვედურა გეუამ კონტრაგენტს დეკანოზს.

— დიახ, გაფრთხილებული ბრძანდებით, იმ ვალდებულებებს ... გამოგართმევდათ უთნელოვი, როგორც ნაღდ ოქროს, — დაუზარებლად ... ამბილა დეკანოზმა. გეუა გაბრაზდა, აცახცახდა, აყვირდა:

— თაღლითურად მომატყუეთ!

— რაო, თაღლითურადო? შენზე მეტი თაღლითიც არის კიდევ ვინმე ქვეყანაზე და ისეთიც, რომელსაც შენი მოტყუილება შეუძლიან?! — დაიგრუხუნა ბარძიმ თუშელიშვილმა, ზეზე წამოვარდა, ბარის ტარივით გრძელ, ყავარივით ფართო ხანჯალზე ხელი გაიკრა და დაიღმუილა: — აბა ჩამოდე ვალდებულებები! არავითარ ვახშზე ლაპარაკი არ იქნება, თავადი ფინანსთა სამინისტროს დაწესებული ნიხრით გიხდით პროცენტებს.

გეუა დაიხარა, მოიბუზა, ნოტარიუსს თითები აუთამაშა მალულად, „ვაჰო", ჩაიკვნესა და ერთხელ კიდევ სცადა:

— ჩემმა მზემ, მამის სულის განათლებამ, აჯობებს გორში გავსწორდეთ, ჩემს საკუთარ სახლში ჩაგაბარებთ ვალდებულებებს. დაე ისე იყოს, როგორც გინდათ პროცენტების ანგარიში, პურ-მარილიც იქ იყოს, სხვა სამსახურიც.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ამოიღე და დადე ვალდებულებები, მერე გინდა გორში წადი და გინდა ჯანდაბაში! — დაუღრიალა ისევ თუშელიშვილმა და ხანჯალი სანახევროდ ამოიძრო ქარქაშიდან.

გეუა მოიზღარბა, ბუხრის კუთხეში მოიკუჭა, ქვემოდან შეხედა სულთამხუთავივით თავზე დამდგარ თუშელიშვილს და ძლივს ამოსთქვა:

— ფულს ხომ ნაღდად?

— ნომინალურ ღირებულებას ნაღდად, სარგებელს ჰიპოტეკური ბანკის, ესე იგი ფინანსთა სამინისტროს ნიხრით. აქვე, ამავე წუთს.

სწორედ პროცენტებისა და სარგებლის პირობა სწვავდა გეუას და ეს იყო მიზეზი, რადაც აჭიანურებდა ვალდებულებების დაბრუნებას. ჰქონდა მეორე ფიქრიც: როგორმე ვახშური პროცენტი იმდენზე აეყვანა, რომ თავადის მამული ხელთ ეგდო. ეს ხლართი რომ ჩაეშალა, ამან გაამწარა და გამოტყდა:

— ფინანსთა სამინისტროს ნიხრი რომელია! ფული ორმოცი წელიწადი ჰამოს კნიაზმა, ასარგებლოს, ატრიალოს და მე კი ნიხრით გამისტუმროს? ეს რა სიტყვაა, ასეთი რამ ჩვენ არ გვითქვამს, ასეთი პირობა არა გვდებია, კაცი ხომ არ უნდა დამაქციოს!

— ამოიღეთ! — ხმა-შეკავებული მუქარით შესძახა თუშელიშვილმა და კიდევ გაივლო ხანჯალს ხელი.

— ჰა, კარგი, ოღონდაც ფული მიჩვენეთ.

ელიზბარმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, ამოიღო ოცდაათი მტრედისფერი ეკატერინეს კონა და ცალ-ცალკე ზაპა-ზუპით დაყარა სათამაშო მაგიდაზე.

გეუამაც ხელის კანკალით ამოიღო ვალდებულებები და დაჰყარა იმავე მაგიდაზე.

გოგოსაშვილმა ისინიც გაშალა, ლანცეტივით დაადო ფანქრის წვერი, ჩამოსწერა ვადები, გამოჰყო თავნი, გამოუანგარიშა პროცენტები ნიხრის მიხედვით, შეაერთა და ჯამი გამოიყვანა.

ელიზბარის ფულიდან ორიათას ოთხასი თუმანი გამოაცალკევა რაღაც მანეთებით და კაპეიკებით. გეუას მიუხვეტა. სამაგიეროდ ვალდებულებებს ხე-

ლი დახვია, ერთხელ კიდევ დახედა, სათითაოდ დაშმუშნა, მიბრუნდა ბუხრისაკენ და სათითაოდ ჩაყარა ცეცხლში.

გეუამაც ფული ნელ-ნელა ჩაიწყო ჯიბეებში. აქეთ-იქით თვალს აცეცებდა, თუშელიშვილი სადა დგასო და თან ამბობდა:

— გამძარცვეთ, გამძარცვეთ, სამოც ათასამდე დამაკელით ჩემი ალალი სარგებელი. ღმერთი აღარ არის! რა მოხდა, შუა დღისით გამძარცვეთ, საქვეყნოდ, მოტყუებით!

— მევახშეობისათვის რომ თავად ელიზბარს არ ვუმოწმოთ, ამდენი ნაღდი ფული რომ ხელში ჩაგითვალეთ, გასამრჯელო გვიბოძეთ. აბა გეუა, შემოგვხედე, იქნება სასამართლოში პირზე დასადგომად არ გამოვდგებით, — უთხრა ნოტარიუსმა გეუას.

— სამოცი ათასი მანეთიდან, რაც თქვენმა საქმეში ჩარევამ დამაკლო კნიაზ ელიზბარის სასარგებლოდ, იქედან აიღეთ. მე კი მეყოფა, რაც მომივიდა, რაც ამაგლიჯეთ, — იუარა გეუამ.

— თქვენი ნებაა, როგორც გერჩიოთ, ისე მოიქეცით. ხოლო თუ შემთხვევა იყოს, ჩვენ არა დაგვაბრალო რა. კანონის ხალხი ვართ, სიმართლეს მოვახსენებთ, რასაც გვკითხავენ. ნოტარიუსი ვარ მოწმედ.

— ბარემ-ღა პიჯაკიც გამაძრეთ, — ჩაილაპარაკა გეუამ და ჯიბისაკენ წაიღო ხელი, შრიალით ამოაძრო ორ-ორი ცალი ეკატერინე და თვალებ-დახლეჩილ დეკანოზსა და ნოტარიუსს ჩაუტენა ხელში. თანაც დააყოლა: — ჰა, ესეც თქვენ, ჰარამი იყოს! — და უნებურად უკან მიიხედა. მიიხედა და, დაინახა რა თუშელიშვილის დაბღვერილი ვეფხვის თვალები და აქოჩრილი შქერივით წარბები, ისევ ჩაიკრა ჯიბეში ხელი. კიდევ ამოიღო სამი თუ ოთხი ცალი ათთუმნიანი, მიაწოდა და შეეხვეწა:

— ბარძიმჯან, ოღონდაც გზაში ნურსა შემეყრები და ესეც შენ. ღმერთმა შეგარგოს, გეუასთან ხანჯალი რად გინდა, განა სიტყვა ვერ გასჭრის?!

— ჩემი სიტყვა ხუთი ცალი კატო გახლავთ, იქნება გგონია, არ მეკუთვნის?

გეუამ კვლავ ჩაიყო ხელი ჯიბეში, ამოიღო ორი ცალი კატო, მიაწოდა და კიდევ უთხრა, შეეხვეწა:

— ჰა, ბარძიმჯან, ესეც შენა, ჯანი გავარდნია, ამის იქით დამეხსენ.

თუშელიშვილმა ფული გამოართვა, გადაიწია ჩოხა-ახალუხის კალთები, მონახა შარვლის ჯიბე და ჩაიდო შიგ.

— ჰაი, ჰაი, ჩამიგდეთ ხელში და შამჭამეთ, თქვენ ღმერთს რას ეუბნებით?!

— გულს არც მე დაგწყვეტთ, — განაცხადა აქამდე მდუმარედ მჯდომმა ელიზბარმა. დარჩენილი ფულიდან თითო ცალი კატო იმანაც ამოიღო და დაურიგა ნოტარიუსს, დეკანოზს და თუშელიშვილს.

ნოტარიუსმა პორტფელი და ქაღალდები აიღო, გვერდზე გადასდო და ყველას მიმართა:

— ძმამ ძმას ანგარიში უყო და ისევ ძმები იყვნენო. ახლა მაჭამეთ, თორემ ლამის არის გადავიქცე, — სთქვა ეს და ნაღვაწარით დაღლილმა წამოიწია, მძიმე შრომისაგან მოღლილივით დაიხვნეშა, რუმბივით გაბერილ ღიპზე მარჯვენა დაირტყა და გაიბა:

— ეს არის, ძმაო, რაც არის, თორემ ადამიანი ადამიანს არას აწყენინებდა. ამას რა მოეხერხება? ამასთან არც უარი გაგივა, არც არა მაქვს, არც

არ ბშოვება. ეს ოხერი რომ ამოგძახებს, ჩამოჰყარეო, მაშინ კაცს კაცად კი ალარა ხედავ.

— რას მიშვრებით, ხალხო, თქვენი გაარიგეთ, ჩემი რაღა იქნა? ბარემ იმასაც მოვრჩეთ სადილამდე. ფული აქ ამილია, მე ამისი გორში წამღები არა ვარ, აქავე უნდა დავტოვო.

— შენ ვითომ რაო? — გაიკვირა ნოტარიუსმა, ვითომ ვერ მიხვდა გეუას გულის ჭირს.

— უთნელოვის მამული, ხალხო, მე ფული რად მინდა! — ისტერიკა ნაცემივით აყვირდა გეუა ჩარექოვი.

— უთნელოვს მამული ალარა აქვს გასასყიდი, — შეუბრალებლად გაამხილა ნოტარიუსმა.

— მაშ რა უყო მამულსა, რა ჰქნა, რით ჰფარავს ვალსა?

— უთნელიძემ მამული დეკანოზს მიჰყიდა, მორჩა და გათავდა, ნასყიდობის ქაღალდი წუხელის დავსწერეთ, — უფრო შეუბრალებლად და ფლეგმატურად მიუგო ნოტარიუსმა და მძიმე ნაბიჯებით ორიოდეჯერ გაიარ-გამოიარა ოთახის სიგრძეზე.

გეუა უეცრად დამშვიდდა. გაიცინა, ულვაშები გაისწორა, ფული მოისინჯა ჯიბეში, ხომ შიგ მიდევსო, და ხუმრობის კილოზე გადავიდა:

— კარგი, ძმაო, ღმერთმა შეგარგოთ, ქართველმა რომ კარტის თამაში ნახშირზე დაიწყო და გეუამ ეს თავისი თვალით დაინახა, მეტი ჭკუა მმართებდა, რაც მომივიდა — ახია, ამასა გთხოვთ: აქედან გამიშვით კეთილად გორში, ჩემს სახლში მივიდე მშვიდობით და ამაზედაც ყაბულს ვარ. თქვენგან ესეც დიდი გამორჩომა იქნება, ჩემმა მზემ! ვაი დედასა, როგორ ჰარიფად ჩაგივარდით ხელში. ვაი, დედასა, დედასაა! დეკანოზო, მღვდელიც ბევრი მინახავს, ტერტერაცა, პატრიცა და მოლაცა, აგეთ გაიძვერას კი, როგორიც შენა, მუხრანელ ჩარჩსაც ვერ წარმოვიდგენდი. ღვთის მსახური კი არა, ღვთის რისხვა ჰაკარაკი ვინმე ყოფილხარ.

— რას ამბობ, რას, გეუა? რა მამა აბრამის ბატკანი შენა მყევხარ, ასეთები გაგიკვირდეს. ღმერთი ცაშია, ჩვენ კი ცოდვილები მიწაზედა ვართ. ფული რომ სულ არ დაგიკარგეთ, კიდევაც მადლობელი არა ხარ! — შეუტია დეკანოზმა და ანიშნა მსახურს, რაღას უყურებ, ხალხს მოშივდა, სადილი შემოიტანეთო.

— ეგ რომ არ ვიცოდე, ხომ აქამდე შავიშლებოდი, — სთქვა გეუამ და ხელი ჩაიქნია.

ამ დროს ელიზბარმა შეიხედა აივნიდან და დაიძახა:

— ბატონო თოდა! აივანზე გამობრძანდით, ცოტა რამ სათქმელი მაქვს.

ელიზბარი მორჩა თუ არა გეუასთან ანგარიშის გასწორებას, აივანზე გავიდა. ბოლთას სცემდა იქ, ხარბად ისუნთქავდა კავკასიონიდან ჩამოქროლილ და დაზამთრებულ ქართლის ცივ, სალ, მშრალ, ჯანისა და მადის მომგვრელ ჰაერს. თვალს აყოლებდა, ერთობოდა მიწურების ბანებზე დაყრილ ჩეჩქის ქექვაში გართულ ცელქ, ენაჭარტალა და ჭრელ-ჭრელებში ჩაცმულ კაჭკაჭის გუნდებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავრენტი კალანდაძე

# სამამულო ომი და ქართული საბჭოთა პოეზია

დიდ ალმომავალ კულტურას ფესვები ყოველთვის გარკვეული ისტორიული სიმართლის ნიადაგში ჰქონდა გადგმული. ეს სიმართლე დღეს თანამედროვე პროგრესიული კაცობრიობის მოწინავე ლაშქრის ბანაკშია. ეს ის მაღალი იდეალებია, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის რაზმავენ და ამოქმედებენ საბჭოთა ხალხს კაცობრიობის საშინელი მტრის — ფაშისტური ურდოებისა და ფაშისტური ბნელეთისმოციქულობის წინააღმდეგ. ეს არის ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს სიმართლე. ის აწრთობს ყველაზე მოწინავე შეგნებას, ყველაზე მოწინავე გემოვნებას, უმაღლესი ტიპის ხასიათს — საბჭოთა გმირს.

და თუ ოდესმე რომელიმე ეპოქას და მისი მოწინავე იდეალების განხორციელების საქმეს ესაჭიროებოდნენ დევგმირები, გოლიათები, ისინი ყველაზე მეტად სჭირდებიან და ყველაზე მეტად შეეფერებიან ჩვენს სტალინურ ეპოქას. კიდევაც იბადებიან სტალინური ეპოქის გმირები, გოლიათები, უმაღლესი ტიპის ხასიათები. განა ერთი და ორი? უთვალავი და უანგარიშო. მათ შორის პირველია ყველა დროის ბრძენთა შორის უბრძნესი, ყველა დროის გიგანტთა შორის უგიგანტესი—ს ტ ა ლ ი ნ ი. დღითი-დღე მატულობს და ივსება გმირების თანავარსკვლავედი ადამიანთა მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში. განა ეპოქის სტალინური სიმართლით არ არის ნაწრთობი ხასიათი დევგმირ სოსნოვსკისა, რომელიც თავისი სხეულით გადაეფარა მტრის ტყვიამფრქვევს, დახურა ამბრაზური და ამით საშუალება მისცა წითელი არმიის ქვედანაყოფს მივარდნოდა ფაშისტურ ურდოებს და მუსრი გაევლო მათთვის? ასევე არ არიან ნაწრთობნი პირტახია, გასტელო, 28 პანფილოველი გვარდიელი და ძრავალი სხვა? ბევრი სახელი ვიცით უბადლო გმირებისა ჩვენი ცხოვრების, ბრძოლისა და მუშაობის სხვა დარგებიდანაც. იქნებ ზოგიერთ დარგში, მაგალითად, ხელოვნებასა და ლიტერატურაში, გიგანტების დაბადებას უფრო ხანგრძლივი პროცესი სჭირია. მაგრამ გიგანტები ამ დარგშიაც უნდა წარმოიშვან. ამისი თავდებია ეპოქის სტალინური სიმართლე, ამისი თავდებნი არიან უკვე წარმოშობილი საბჭოთა გმირები — უმაღლესი ტიპის ხასიათები, რომელნიც ადრე თუ გვიან მიაღწევენ თავიანთ სრულყოფილ მხატვრულ განსახიერებას. ამისი თავდებია ის, რომ საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა მიიმართებიან სწორი გზით, ემყარებიან უდიდეს ეპოქალურ სიმართლეს, — მისი გმირია ჩვენი ეპოქის უმაღლესი ტიპის ხასიათი.

ეს ხასიათი უაღრესად ადამიანურია. ის ეპოქის სიმართლის ორმა შეგნებით არის გამოჭედილი. ეს ხასიათი ორგანულ მთლიანობაშია გონებრივ დონესთან, ადამიანურ შეგნებასთან. ინტელექტი და შეგნება ამ ხასიათის საფუძველი და საზრდო. ეს არ არის ზოოლოგიური, რასიული ხასიათი, რასაც ფაშისტური ბნელეთისმოციქულები ქადაგებენ. ნიცშეანური ბოდვაა მათი გამოსავალი წერტილი. ნიცშე ისტერიული პარადოქსებით მიჰკივის გონებასა და შეგნებას, კრულავს და სწყევლის მათ. ის ზეკაცის ბატონურსა და მტაცებლურ ხასიათს ეთაყვანება. ეს არის თანდაყოლილი ხასიათი მტაცებელი ფრინველისა და ნადირის, სვავისა თუ აფთარის, რომელთა გვაროვნულ ბუნებას შეადგენს მსხვერპლისათვის კლანჭების ჩავლება, დაკორტვნა და დაგლეჯა, სისხლის სმა და ხორცის ჭამა. ფაშისტური კანიბალებიც მიჰყვებიან თავიანთი იდეოლოგიური წინამორბედის ბოდვას. ისინი რასიულ ხასიათს უპირისპირებენ ადამიანის ინტელექტს, ადამიანის შეგნებას, მათის აზრით, რასიული ხასიათი არის რაღაც თანდაყოლილი, თავისთავადი თვისება, ის შეგნებასა და ინტელექტს ეწინააღმდეგება, ის შეგნებასა და ინტელექტზე მაღლა სდგას. ამ ნიცშეანურ ბოდვას ისინი გუნდრუკს უკმევენ და არიული რასის მსოფლიო ბატონობის საბუთად სთვლიან.

ფაშისტური ბნელეთისმოციქულთ სურთ მტაცებელ მხეცთა ზოოლოგიური საწყისები აღიარონ ადამიანთა საზოგადოების საწყისებად. მათ სურთ თავიანთი ნამდვილად მხეცური, სადისტური ხასიათი გერმანელი ხალხის რასიულ ხასიათად გამოაცხადონ. რა საარაკო დაცინვაა კანტისა და ჰეგელის, შილერისა და გოეტეს მიმართ!

კაცობრიობის დიდი მომავალი სულიერი კულტურის ყოველ ნაკადს დღეს იმ დიდ ისტორიულ სიმართლეში აქვს დადებული სათავე, რომლისთვისაც ასე თავგანწირულად იბრძვის საბჭოთა ხალხი და მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცდამეერთე წელი ქართული საბჭოთა მწერლობისათვისაც დიდი გამოცდის წელია. რაც კი რამ არის ქართულ მწერლობაში საღი, ცოცხალი, მზარდი და საუკეთესო, დიდი სტალინური ეპოქის სიმართლით გაიმსჭვალა, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გზნებით აინთო.

წერის სხვადასხვა მანერის, სხვადასხვა თაობისა და სხვადასხვა ნიჭის, დიდი და პატარა, ახალგაზრდა და სახელმოხვეჭილი მწერლები ერთპირად ამეტყველდნენ მგზნებარე პოეტური სიტყვით ვერაგ მტერზე ძლევის, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობებისა და საბჭოთა დევგმირების შესახებ. ცხოველი და უჩრდილოა გამარჯვების ნებისყოფა, გამარჯვების რწმენა.

ამ ჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ქართველ მწერალთა შემოქმედების მთლიანი მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზი. ჩვენ არ ვლაპარაკობთ შესრულების განსაკუთრებულ ოსტატობაზე. პირიქით, ამ მხრივ შეიძლება ზოგიერთი აუგიც ითქვას ბევრის მიმართ.

ქართველი მწერლების ხმა ფაშისტური კანიბალების წინააღმდეგ მრისხანედ და მკაფიოდ გაისმა.

სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე თითქოს ახალი ძალით ამეტყველდა. ჩვენ გავიმარჯვებთ — აი მისი ძირითადი მოტივი. და ეს მოტივი მან თავისებურად გახსნა სამამულო ომის თემებზე დაწერილ ლექსებში. პოეტი ზოგჯერ გარდასულის, ისტორიულის ხვეულებშიც იცქირება, იქიდან

მოჰყავს მაგალითები და მხატვრულად ასაბუთებს ჩვენი გამარჯვების გარდუვალობას, საბჭოთა ხალხის საქმის სამართლიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვერა, ის ვერ გაიმარჯვებს — მთელის აზრით, მთელის გრძნობით,
საბჭოეთი ძლიერია ხალხთა ძმობა-მეგობრობით.
დაეჯახე უნდობარ მტერს, ხალხთა რისხვა-ჟრიამულო,
რადგან სამართლიანია ჩვენი ომი სამამულო“.

პოეტი ღრმად განიცდის იმ დიად ისტორიულ სიმართლეს, რომელიც ჩვენი სამშობლოს ფუძეს შეადგენს. ეს ფუძე ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიითაა ჩაკირული.

„ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის, იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს —
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ურთიერთ რწმენის ურყევ საფუძველს“.

რევოლუციის ქარსა და გრიგალში დაბადებული გმირული წითელი არმია იცავს დღეს სამშობლოს, „რომელსაც მოაქვს კაცობრიობის თავისუფლება და გამარჯვება“. პოეტი საბჭოთა ადამიანების სიამაყეს გვიხატავს საბჭოთა ქვეყნის დიდი ისტორიული მისიის შეგნებით, იმის შეგნებით, რომ სწორედ ამ დიდი ისტორიული სიმართლის ქვეყანაში,

„ჩვენს სამშობლოში
წყდება ბედი
კაცობრიობის“.

პოეტს კარგად ესმის, რომ საბჭოთა ხალხი, დევგმირი ხალხი, ღირსია უბრწყინვალესი ისტორიული შარავანდედისა, ღირსია თავისი ბრძნული პარტიის და მთავრობისა, ღირსია ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიისა. დიახ, საბჭოთა ხალხმა თავისი გაუგონარი ბრძოლით, შრომით, შემოქმედებითი უნარით დაიმსახურა ეპოქის სტალინური სიბრძნე, როგორც მისი უმაღლესი იდეალებისა და ნებისყოფის ბრწყინვალე გამოხატულება. ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის უძლეველობისა და გამარჯვების ურყევი რწმენა:

„მოსიყვარულე,
ხმამაღალი,
მძაფრი და შალი
ხევიდან ხევზე
მიგუგუნებს
ძახილი „ს ტ ა ლ ი ნ“.
„ს ტ ა ლ ი ნ“ გაისმის
და იგი ხმა
უსაზღვრო ნების,
ხმაა ქვეყნისთვის
თავდადებულ
მილიონების“.

და პოეტი ამ თავდადებულთა მილიონებში სამართლიანად ხედავს სულით ძლიერ ადამიანებს, შეგნებულ გმირებს.

სამამულო ომისადმი მიძღვნილ ლექსებში გალაკტიონ ტაბიძე ქმნის პოლიტიკური სიმძაფრის მოტივებს. ამ გზით თავისებურად ეხმაურება პოეტი დღევანდელი ჩვენი ცხოვრების მტკივნეულ საკითხებს. პოეტი ნერგავს შეგნებულ საბჭოთა პატრიოტიზმს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლოსათვის
თავდადების
დრონი მეფობენ!
იგი გვეძახის
ბევრის მოწმე,
ბევრის მგონები.
სამშობლოსათვის
ოცნებობდნენ
და ოცნებობენ
ადამიანთა
პატიოსანთ
მილიონები!“

ძლიერია ალიო მაშაშვილის პოეტური ხმა. სოციალისტური სამშობლოს მწვავე განსაცდელის ვითარებაში ალიო მაშაშვილმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ის ჭეშმარიტად ნიჭიერი და უნაძალადევო პოეტია. მძაფრი გულწრფელობით გამოხატა ზიზღი ვერაგი მტრის მიმართ, ვაჟკაცური გულისწყრომა ლაჩრისა და მოღალატის მიმართ, შეგნებული რწმენა გამარჯვებისა.

საბჭოთა ქვეყანა ხიშტებით ამოძრავდა. ქუჩები, მოედნები, შარაგზები, რკინიგზები და რკინიგზის სადგურები დიდი სამამულო ომის რიტმით აძგერდნენ. ალიონიდან მოკიდებული გვიან ღამემდის ისმის ფრონტისაკენ დაძრული წითელი არმიის ნაწილების მხედრული სვლის რიტმი, თქარა-თქური, გრუხუნი. ისმის ომახიანი გუგუნი წითელარმიელთა ლაშქრულისა და რომელი საბჭოთა პატრიოტის გული არა სძგერს ამ დროს უსაზღვრო მზრუნველობით და სიყვარულით სამშობლოს მცველ მებრძოლთა მიმართ? ვისი სული არ არის სავსე უკურნებელი სიძულვილით ფაშისტ მტარვალთადმი? ვის არა სურს ამ დროს სათითაოდ მოეხვიოს საბჭოთა მებრძოლებს — სტალინურ ვეფხვებს და პოეტთან ერთად შესძახოს: „დასცხეთ, დაჰკარით მტარვალებს! დაჰკარით, თქვენი ჭირიმე!“ სამამულო ომის სუნთქვით საბჭოთა პატრიოტში წარმოშობილი ასეთი განწყობილება ასაზრდოებს მაშაშვილის ლექსებს:

„პირსისხლიანი, მკაცრი, თავზე დაგვესხა მტერი,
ადგა, ვით ერთი კაცი, მთელი საბჭოთა ერი.
მშიერ ყორნების ხროვა მოილტვის გულის ძგერით,
რომ დაიტაცონ გროვად ჩვენი პური და ქერი.

მაგრამ სტალინის ჯარი მტერზე ხმალამოღებით,
მიდის ნაბიჯით ჩქარით და გამარჯვებას მღერის“.

ა. მაშაშვილმა წარმოსთქვა უმძაფრესი წყევლა სამშობლოს მოღალატის მიმართ. მაგრამ ეს არ არის წყევლა უძლურებით და უსასოობით გამოწვეული, ეს არის შეჩვენება ვაჟკაცური, გმობა და კიცხვა, რისხვა და ზიზღი ხალხისა მოღალატის მიმართ.

ა. მაშაშვილმა თავის მგზნებარე საბრძოლო განწყობილებას შესაფერი სადა და ნათელი ფორმაც მოუნახა. კლასიკოსთა ლექსის სილაღე და ხალხური სისადავე პოეტს განახლებული და შეზავებული აქვს რევოლუციურ პოეტურ სიმკვეთრესთან.

ბუნებრივია, რომ დიდი სტალინი და მისი ბრძნული ხელმძღვანელობა პოეტის შთაგონების მთავარი წყაროა.

„ადგა გმირთ-გმირი სტალინი, დასძრა მშრომელთა ლაშქარი,
წინ ელვის ხმალი მიუძღვის, ბრძოლებში ნაკაშკაშარი“.

დიდი ბელადის მოწოდებაზე მტრის წინააღმდეგ ამოძრავდა საბჭოთა ქვეყნის ყველა ძალა, ყველა სასიცოცხლო ძარღვი.

„მტერს ჩვენი პური მოუნდა, მოსულა ქვეყნის მძარცველად,
მაგრამ ყოველი თავთავი სკდება ტყვიების მარცვლებად“.

პოეტი მკაფიოდ გადმოგვცემს იმ აზრს, რომ კაცობრიობის ხსნა საშინელი ხოცვა-ჟლეტისაგან, დიდი მსოფლიო ტრაგედიებისაგან მხოლოდ იმ უუმაურეთის ძირფესვიანად მოსპობაშია, რამაც წარმოშვა მიხაკისფერი ურჩხული — ჰიტლერი და ჰიტლერიზმი. კაცობრიობის ხსნის დროშა კი ხელთ უპყრია საბჭოთა ხალხს, რომელსაც ხელმძღვანელობს ბრძენი ბელადი, დიდი სტალინი:

„მხოლოდ სიკვდილი!
მტერს არ ელის მეტი საბსნელი,
მოკვდება ომიც,
სხვის მიწაზე გადატანილი,
ბრძოლა იქნება
სასტიკი და უკანასკნელი.
კაცობრიობას გადაარჩენს
გმირი სტალინი“.

სამამულო ომის გმირებს დასტრიალებს პოეტის ფიქრი და აზრი. შესანიშნავი ლექსი უძღვნა მან მფრინავ ა. წურწუმიას. გმირებისადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტის ხმა ძალუმ მოწოდებად გაისმის. იგი მათში ხედავს მაღალ მიზნებს, ღრმა შეგნებას. ეს შეგნება ხდის საბჭოთა მებრძოლებს უდრეკ გოლიათებად. პოეტის სიმღერა იმთავითვე ენათესავება ამ გმირთა სულისკვეთებას:

„მე მუდამ ბრძოლის ლექსებით ვღაღადებ, განა ვსტირი მე,
მტრის გულის ასაფეთქებლად ნაღმად დამქონდა სტვირი მე,
დღეს ჩემი თოფი თან მახლავს, გავსწმინდე, გავაყირიმე,
მტერს ტყვია რომ არ ვაგემო, ხომ შევირცხვინე პირი მე,
სამშობლო გასაჭირშია, მზად ხართ? მთელის ხმით ვყვირი მე,
მთებიდან, დაღმართებიდან — მზად ვართ! — მეძახის გმირი მე“.

ქართველი ხალხის გმირული წარსულის ფერებს ხშირად იმარჯვებს სიმონ ჩიქოვანი, რომ ამ ფერთა შუქითაც გაანათოს საბჭოთა ხალხის ვერაგ მტერთან გმირული კვეთების ელვარება.

ეს თვისება განსაკუთრებით ნათლად მოსჩანს სამამულო ომის თემატიკის ლექსებში. ამ თემატიკაში პოეტი თვალსაჩინო ნაყოფიერებას იჩენს. შეგნებულ, სტალინური სიბრძნით შთაგონებულ გმირობისა და გამარჯვების სახეებს უმღერის ის. საბჭოთა ქვეყნის საქმის სამართლიანობა და სტალინის სიბრძნე, — აი რაში ხედავს პოეტი ჩვენი დიადი სამშობლოს აუცილებელი გამარჯვების პირობას. ეს სიბრძნე შთააგონებს გმირობასა და მამაცობას საბჭოთა ადამიანებს, ეს სიმართლე აღაგზნებს გულს მაღალი იდეალებით და წარმოშობს საარაკო თავდადებას:

„ძმაო, მიგიძღვის სიმართლე ჩვენი
და ოქტომბრისთვის დაღვრილი სისხლიც,
გმირო, მიგიძღვის უკვდავი ბრძენი
და მტერს სიკვდილი დაეცი რისხვით“.

ასე მიმართავს პოეტი სამოქალაქო ომის ხანაში დაბადებულ მამულის დამცველ ვაჟკაცებს. სამშობლოს და მამულის ცნებაში პოეტს შეაქვს, როგორც მთავარი, საბჭოთა ქვეყნის საკაცობრიო სიმართლე და სტალინური ბრძნ. ამ სიმართლისა და სიბრძნის ძალით საბჭოთა მამულიშვილი სასწაულებს ახდენს. გმირობას, რომელიც გასტელომ, მიშაკოვმა, შალამბერიძემ, პირტახიამ და სხვებმა ჩაიდინეს, „მხოლოდ შესძლებს საბჭოთა კაცი". პოეტი ისწრაფვის პოეტურად აღბეჭდოს ამ გმირთა უკვდავი სახე სათითაოდ. საბჭოთა დევგმირებში პოეტს ხიბლავს შეგნებული რწმენა, გონებრივი სილაღე, მიზნის სიცხადე და სიდიადე. თავის დაღუპვაც მტრის დასალეწად გამოიყენა საბჭოთა დევკაცმა გასტელომ:

„გულში ჩაგვენთო სახება შენი.
ვარვარა ფრთების შხუილი მესმის,
მკლავს გიკაჟებდა სამშობლოს ბრძენი,
ცად გამაგრებდა მამულის ფესვი".

მამულის ფესვი ასაზრდოებს სწორედ საბჭოთა მებრძოლებს, „საბჭოთა მიწის სიმართლეს", „მართალი კერის... სითბოს" და დიდი მოვალეობის შეგნებას. ამიტომაც არის უტეხი საბჭოთა პატრიოტის ნებისყოფა, ამიტომაც არის, „რომ უკვდავება გმირობას ახლავს და მარადისი ცხოვრება" უხმობს გმირს.

ჟამთა სვლა ვერ წაშლის ისეთ გმირთა სახელებს, როგორიც მიშაკოვი და შალამბერიძეა:

„უკრაინაში ამართულ ბორცვზე,
როგორც კვარცხლბეკზე, ისე ახველით.
რამდენჯერ ბორცვი ტყვიებით მოსწვეს
და ვერ წაშალეს თქვენი სახელი.
მაღლობზე დარჩა გმირობის დაღი.
თქვენი სახელი იცოცხლებს, ძმანო!
ამ ბორცვზე მალე აღსდგება ბაღი,
ცხოვრებას თქვენსას რომ დაემგვანოს".

მოხდენილი და მრავალისმთქმელი პოეტური სახეა გმირთა ცხოვრებას დამსგავსებული ბაღი. და განა მართლაც უეჭველ ბაღად არ იშლება ხალხის ხსოვნაში მაღალი იდეალებით სავსე გმირთა ცხოვრება და ბრძოლა?

განა დაუვიწყარი ხარ არის გმირი, რომელიც ტყვიით უპასუხებს მტერს, ვინც ფულით ცდილობდა გმირის მოსყიდვას. ეს იყო პირტახია. და პირტახიას მსგავსი მრავალია საბჭოთა მებრძოლებში, რომელთაც „ჯაჭვის პერანგად" მორგებიათ ბელადის სიტყვა, რომელთა „გულში რეკავს სტალინისგან ბრძნულად თქმული გამარჯვება".

დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე თავისი პოეტური მოვალეობა ასე განსაზღვრა ა. აბაშელმა: დასთმე სხვა ყოველგვარი სიმღერა, კილო, აზრი, გაიმსჭვალე ერთი აზრით — ვერაგ მტერზე გამარჯვების აზრით, დაგრჩეს მხოლოდ ყივილი, ხმალივით ბასრი:

„რომ ყველაფერი, რაც შენში ფეთქავს
გმირული, მძაფრი და პირუთვნელი,
მგზნებარე სიტყვა, რაც უნდა გეთქვა,
მაგრამ ამ დღისთვის დარჩა უთქმელი,
იმ ერთ ყივილში მოზღვავდეს ერთად,
როგორც მომსკდარი მთიდან ლანქერი.
კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა!
გადაივიწყე სხვა ყველაფერი".

და ამ მოვალეობას მტკიცედ ასრულებს პოეტის კალამი. ერთი ფიქრით და ერთი მიზნით არის გამსჭვალული ყველა მისი ლექსი. ეს მიზანია ადამიანობის ვერაგი მტრის — ფაშისტური ურდოების შემუსვრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის ამ ლექსებს სამამულო ომის თემაზე არ ახასიათებს ძველებური ობიექტივიზმი, არ ახასიათებს ტენდენცია, რომ პასიური მჭვრეტელობით დაგვიხატოს მოვლენათა გრანდიოზულობა, განწყობილებათა მდგომარეობა. პირიქით, ეს ლექსები წარმოადგენენ ლექსებს-ლოზუნგებს, ლექსებს-მოწოდებებს:

„ჩვენ ავასრულოთ ეს განაჩენი,
ბელადის მიერ დამტკიცებული,
რომ დამარცხებულ მტრების ნარჩენი
უკუგარბოდეს ზარდაცემული“.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი მოითხოვს ფრონტისა და ზურგის ერთიანობას, ფრონტისა და ზურგის მჭიდრო, ორგანიულ კავშირს. ეს არის გამარჯვების საწინდარი. პირსისხლიანი მტერი იმედოვნებდა, რომ ჩვენი ზურგი ვერაგული თავდასხმის უმალვე რღვევასა და დაშლას დაიწყებდა. მაგრამ თავხედი და უგუნური მტერი მოსტყუვდა ანგარიშში. საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ზურგი ერთი ათად უფრო მთლიანი და მონოლიტური გახდა სწორედ დიდი განსაცდელის დროს. ფრონტი არის ზურგში მყოფ ადამიანების — მამების, დედების, ძმებისა და დების მთავარი საზრუნავი და საფიქრებელი. საბჭოთა ქალის პატრიოტულ განწყობილებას გადმოგვცემს ა. აბაშელი დედის სიტყვებით შვილისადმი:

„შენ წახვალ, მე აქ დავრჩები,
ქვეყანას აქვე ეჭირდები,
მე აქ შენეულ კომბაინს
ხელმარჯვედ ჩავეჭიდები.
შენ იქ სისხლს დაღვრი, მე ოფლად
აქ დავეფრქვევი ყანასა.
დღეს ეს ორივე თანაბრად
სჭირდება ჩვენს ქვეყანასა“.

საბჭოთა ადამიანის სიფხიზლე მტრის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების ერთ-ერთი პირობაა. დიდი ბელადი ბრძნულად აფრთხილებდა და აფრთხილებს საბჭოთა ხალხს, რომ მტრები ყოველთვის შეეცდებიან ჯაშუშები, დივერსანტები და მავნებლები შემოგვისიონ. მტერი უმალვე გამოიყენებს საბჭოთა ადამიანის მცირეოდენ სისუსტესა და ნებისყოფის მოდუნებას. ეს კარგად ესმის პოეტს და ამიტომაც მოგვიწოდებს — „ავლაგმოთ ყველა ხელის შემშლელი“,

„ვიყოთ ფხიზელნი დღითა და ღამით
და გამოვისხათ თვალი ათასი,
რომ არ დაღვაროს მტრის ხელმა შხამი
სამშობლო ქვეყნის ოქროს კალთაზე“.

საბჭოთა პატრიოტმა არ უნდა დაიზაროს არც ერთი პატარა და დიდი საქმე, რაც ფრონტისათვის, რაც სამშობლოს დაცვისათვის არის საჭირო:

„ვაშენოთ, ვჭედოთ, თუნდ ეზიდოთ ქვები,
ნურც ერთი შრომა ნუ გვეზარება.

ყოველი საქმე ღირსია ქების,
თუ ქვეყნის დაცვას დაეხმარება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ყოველი საქმე, ისევე, როგორც ყოველი გმირობა, ღირსია ქების, თუ სოციალისტური სამშობლოს დაცვის საქმეს ემსახურება, — ეს არის მაღალი პატრიოტული შეგნება.

ოქროს ლივლივითა და ლამაზმანების ეშხით შთაგონებული მუზა, რა კი ის საბჭოთა პოეტის მუზაა, დღეს უნდა გადაიარაღდეს, მებრძოლის ამბავი უნდა აიცხას. ასეც იქცევა ი. გრიშაშვილი.

„დავიხსომოთ ორი სიტყვა:
„სამშობლო“ და „გამარჯვება“, —

მოგვიწოდებს ის. მაგრამ როგორი სამშობლო? სამშობლო, რომლის გული და გონება კრემლია და იქ მყოფი ბელადი:

„კრემლს დავუდგეთ დარაჯებად!
და დავსახოთ უკვდავ მცნებად:
„სამშობლო“ და „გამარჯვება“.

ამ დიადი მიზნისათვის უნდა აღიგზნოს მებრძოლთა გული, ამ უკვდავ მცნებით უნდა განიმსჭვალოს ფრონტი და ზურგი. განსაცდელში ჩავარდნილ სამშობლოს წინაშე თავისი ვალის მოხდისაკენ მოუწოდებს პოეტი შინ დარჩენილ პატარა პატრიოტებს, ფრონტისათვის შრომისაკენ მოუწოდებს ჩვენს დებსა და დედებს. სამშობლოს სიყვარულით გულსავსე ბარათაშვილის სოფიოსა და სხვა გმირი ქართველი ქალების მოგონებით შთააგონებს პოეტი ახლანდელ ქართველ ქალებს სამშობლოსათვის თავდადებას:

„ცეცხლი ვერაგებს — მკაცრი და მწველი!
ერთად ვიფიქროთ ბრძოლის საგანზე,
გავხსნათ გულების წმინდა საგანძე,
ვიხსნათ სამშობლო წაუბილწველი.
ავასრულებდეთ შოთას დანაბარს:
დავსცხოთ! დავარტყათ! ერთად! თანაბარ!“

ხალხის გმირული წარსული, როგორც ძვირფასი მემკვიდრეობა, თანამედროვე პატრიოტული სულისკვეთების შესატყვისი, ახალი გმირული აღტყინების ერთ-ერთი წყაროა. დიდ რუს ხალხს ჰყავს ისეთ შარავანდედით მოსილი გმირები, როგორიცაა ალექსანდრე ნეველი, დიმიტრი დონსკოი, მინინი, პოჟარსკი, სუვოროვი და კუტუზოვი, რომლებიც სიმამაცისა და სიმხნევის სულს მოჰბერენ მებრძოლთ. ქართველ ხალხსაც მოეპოვება მემკვიდრეობითი გმირობის დიდი შთამგონებელნი: დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული, გიორგი სააკაძე, სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ერეკლე მეორე და სხვა მრავალი. მაგრამ მათი გმირობა და თავდადება ჩვენ გვხიბლავს და გვიტაცებს არა როგორც ისტორიული თავისთავადობა, არამედ როგორც ახალი გმირობის წყარო. ისინი ჩვენთვის ძვირფასნი არიან იმდენად, რამდენადაც „გაგვზარდეს კაცად“, რამდენადაც გვაახლოებენ ჩვენი დროის უბადლო გმირებთან. სწორედ ერთგვარი ისტორიული განდგომილების უარყოფა აქვს მხედველობაში პოეტ ი. გრიშაშვილს, როცა მეისტორიეს მიმართავს:

„მეისტორიევ, წიგნი დახურე!
კმარა, წარსულზე თქმა ამაყური!
თავი აიღე, მზეს გადაჰყურე
და ახალ გმირებს მიაპყარ ყური“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე რამდენია უბრწყინვალესი ახალი გმირი!

ქარქაშში მახვილი მანამ არ ჩაიგება „ვიდრე მტერს არ წარვხოცავთ“, — ასეთია საიერიშო ძახილი გ. ქუჩიშვილისა. ის ხომ საბრძოლო ძახილის პოეტია საერთოდ. დღეს კი მისი ლექსების ყოველი ფრაზა სუნთქავს ფაშიზმისადმი ზიზღით, დაუნდობელი ბრძოლის მოწოდებით. პოეტი მზად არის გასცვალოს კალამი თოფზე, რადგან მას სწამს, რომ საბჭოთა პოეტისათვის, ისევე, როგორც ყოველი საბჭოთა პატრიოტისათვის, ყველაფერზე მაღლა დგას მოქალაქეობრივი მოვალეობა სამშობლოს წინაშე:

„დღეს მეც მინდა ჩავიცვა
არმიელის ფარაჯა,
მინდა ფრონტს ვამსახურო
აზრიცა და მკლავიცა;
მინდა ვიყო დარაჯად
ჩვენი ქვეყნის მთა-ველის
და გულმკერდით დავიცვა
მისი ყველა მტკაველი!“

პოეტი აღფრთოვანებულია იმით, რომ ბელადის დაძახილზე ერთპირად აღსდგა მთელი ქვეყანა, რომ უშრეტია ჩვენი ქვეყნის ძალა, მისი ფიქრიც და აზრიც ამ მებრძოლ ძალებს უმღერიან, მათ მოუხმობს თავდადებული ბრძოლისაკენ.

ლექსის მხატვრულ ფონს მეტწილად ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან იღებს პოეტი გ. ლეონიძე. ეს არის მისი ერთგვარი პოეტური ნაპირი, საიდანაც ის საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ გრძნობებს უმღერის. გმირობა მხოლოდ სამართლიანი საქმისათვის, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის უმაღლესი გამოხატულებაა. ქართველ ხალხს არა ერთი სამართლიანი ომი უწარმოებია უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, არა ერთ ქართველ გმირს დაუდვია თავი სამშობლოსათვის, ხალხისათვის, და დღეს, როცა ჩვენი ხალხი ეწევა სამართლიან ომთა შორის ,ყველაზე უფრო სამართლიან ომს, ბუნებრივია, რომ ჩვენი გმირული წარსული, ჩვენი ისტორიული გმირები განსაკუთრებული სხივმოსილებით გვევლინებიან და სამართლიანი საქმისათვის თავდადებას შთაგვაგონებენ. აქ არ არის ხასიათის რასიული ნაკადის აპოლოგია. არის მხოლოდ სამართლიანი საქმისათვის თავდადებისა და გმირობის მემკვიდრეობითი აღქმა. ამ მემკვიდრეობას ჩვენ ვაფასებთ, ვაგრძელებთ და ვაღრმავებთ. თუ წინათ:

„ხმალს დავსჭყიტოდით, ვიბრძოდით
თავისუფლების გულისთვის“,

დღეს ათკეცად გვმართებს

„სამშობლოსათვის,
სტალინისათვის,
ძმანო, ვაუკაცნო, შევმუსროთ მტერი,
რომ ხერხემალში გადაილეწოს
და აღარ დარჩეს მისაგან მტვერიც“.

და ამ ვაჟკაცებს, ამ სტალინურ ვეფხვებსა და არწივებს, მტრის ხერხემლის მლეწავთ — წურწუმიას, ლებანიძეს, პირტახიას და სხვებს უმღერის გ. ლეონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე მოხდენილი და მგრძნობიარე ლექსით შეეხო ი. აბაშიძე სამამულო ომის დიად მოტივებს. ლექსში „ლენინი ჯავშნოსანზე“ მოცემულია დიადი ქალაქის მღელვარება მრისხანე განსაცდელის დღეებში.

„ქუჩებს დაბედავს ლენინის თვალი
და ძველ ჯავშნოსანს საომრად ფერავს,
დადგება ზედ და ბრძოლაში უხმობს
დიდი ოქტომბრის უდიდეს კერას“.

პატრიოტი მამის ცხოველი გზნებით არის დაწერილი ლექსი „შვილო, სამშობლო გეძახის!“ სამშობლოსათვის თავდადებას მოუწოდებს პოეტი შვილს და თანაც მშობლიური მზრუნველობის თბილ გრძნობას ატანს.

ამავე ხასიათისაა რ. გვეტაძის ლექსი „შვილის წერილი“. ამ წერილში პოეტი გულწრფელი განცდით გადმოგვცემს ფრონტზე მყოფ შვილის პატრიოტულ სულისკვეთებას. რ. გვეტაძემ სამამულო ომის თემაზე დასწერა აგრეთვე პოემა „ლელა“, რომელშიაც პოეტი აგვიწერს ქართველი გოგონას—ლელას ტრაგიკულ ბედს, გვიჩვენებს ფაშისტი გერმანელი ოფიცრების მხეცობას და უკრაინელი ჭაბუკის — პავლოსა და წითელი არმიის ქართველი მეთაურის გმირულ ბრძოლას ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ.

ი. აბაშიძის ლექსი „საქართველოს პოეტებს“ წარმოადგენს მიმართვას საქართველოს პოეტებისადმი. სამშობლოს მართალი და ღრმა გაგება აქვს პოეტს. საბჭოთა სამშობლო არის უმაღლესი აზრების სავანე და ეს სამშობლო, როგორც მოამაგე დედა, მკურნალად უდგას თავის შვილებს, არ აკარებს მათ შხამსა და ლენცოფას. დიახ, საბჭოთა ქვეყანა უმაღლესი საკაცობრიო აზრებისა და იდეალების სავანეა. მხოლოდ ამ ქვეყანაში ანათებს ის მცხუნვარე მზე, რომელიც სპობს ლენცოფასა და შხამს. ეს შხამი და ლენცოფაა ფაშიზმის სულიერი საზრდო. ამიტომ არის ჩვენი სამშობლო, უმაღლესი აზრებისა და იდეალების ქვეყანა, ღირსი იმისა, რომ მისთვის თავი დასდონ მისმა შვილებმა:

„ძმებო, ვანანოთ მტერს ვერაგობა,
შავ სამარეში ნახონ ბინები,
ვერ შეგვიგინონ ოქროს ბაღები,
ჩვენის ჰანგებით ნაფოფინები.
. . . . . .
და მის დიდებას მკერდით დავიცავთ,
რომ ხალხს ვაშოროთ მგლები, ომები.
კაცობრიობის მტერზე დაიძრა
დიდი სტალინის ლეგიონები“.

ი. აბაშიძემ შესანიშნავი ლექსი სთქვა ამ ლეგიონების ერთ-ერთი გმირული ლაშქრის — საბჭოთა პარტიზანების შესახებ.

მთელი რიგი ღრმა პატრიოტული შთაგონებით შესრულებული ლექსი უძღვნა სამამულო ომს კარლო კალაძემ. ლამაზ და მოხდენილ სიმღერაში პოეტმა რამდენიმე შტრიხით მოგვცა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევისა და საომარი აბობოქრების სურათი. თბილი ლირიკული გზნებით არის დაწერილი ლექსი „ჩვენს ქალიშვილებს“. პოეტი ცოცხლად ხატავს საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევგმირების ნაზი და მზრუნველი საბრძოლო მეგობრის—ქართველი საბჭოთა ქალიშვილის სახეს:

„შრიალა კაბაც მდელოს ფერია,
ქუდზე ვარსკვლავის შუქი ციმციმებს,
მხნედ შეეთვისა და მოერია
მხარი სამხედრო ქმრის სიმძიმეს“.

აღსანიშნავია ლექსი „უსახელო მთის ბალადა“. ამ ლექსში კ. კალაძე თავისი ნათელი პოეტური სიტყვით გადმოგვცემს საბჭოთა ვეფხვების — მიშაკოვისა და შალამბერიძის გმირულ ბრძოლასა და თავდადებას. გმირთა ქებაა გამოთქმული ლექსში „მიმართვა ქართველი გმირებისადმი“.

სანდრო შანშიაშვილმა გადმოგვცა საკოლმეურნეო სოფლის სულისკვეთება და მრისხანება ვერაგი მტრისადმი ლექსში „კოლმეურნის წერილი წითელარმიელ შვილისადმი“. საბჭოთა პატრიოტულ სულისკვეთებას გამოხატავს ლექსიც „ქართველი დედა“. შესრულების მხრივ სანდრო შანშიაშვილის ლექსებს ახასიათებს დრამატიული მონოლოგების მანერა.

ჩვეულებრივი საბრძოლო-რევოლუციური პათოსითაა დაწერილი ს. ეულის ლექსები სამამულო ომის თემაზე. ლექსში „არასდროს“ გამოთქმულია იმის რწმენა, რომ საბჭოთა ხალხი წითელ დროშას არასდროს არ დახრის და ამ დიდი სამამულო ომით ის საბოლოოდ მოსპობს ფაშიზმს. აღფრთოვანებული ლექსი უძღვნა ს. ეულმა დედა მოსკოვს:

„გვწამს, მტერი მალე უკუიქცევა
შენი ბრძოლით და მისი სახელით,
ვინც გამარჯვების რწმენას იძლევა,
ვინც არის ჩვენი სამშობლოს მზსნელი“.

საბრძოლო მოწოდებები ახასიათებენ მეტწილად კ. ბობოხიძის ლექსებს. პოეტი მოგვიწოდებს „კომუნიზმის სანგრების“ გამაგრებისაკენ, ლენინისა და სტალინის საქმისათვის თავგანწირვისაკენ და

„თუ სამშობლოსთვის საჭირო იყოს,
მას შეეწიროს სიცოცხლე ჩვენი“.

კ. ბობოხიძე გამოირჩევა საბრძოლო-პატრიოტული ლექსების მნიშვნელოვანი ნაყოფიერებით.

სამამულო ომის თემაზეა დაწერილი დ. გაჩეჩილაძის ორი ლექსი „ოცნება გმირზე“ და „უკანასკნელი სიტყვა“. ბევრი სითბო და სინათლეა ამ ლექსებში. საბჭოთა დედის მგზნებარე გულისცემაში თითქოს ჰგრძნობთ მთელ იმ სიყვარულსა და მზრუნველობას, რომელსაც მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა იჩენს თავისი სახელოვანი წითელი არმიის, თავისი საოცარი გმირების, თავისი საამაყო შვილების მიმართ. ლექსში „უკანასკნელი სიტყვა“ პოეტი გვიხატავს დაჭრილი და მომაკვდავი საბჭოთა მეომრის შესანიშნავ სახეს. ფიზიკურად დასუსტებული და მომაკვდავია საბჭოთა მებრძოლი, მაგრამ უტეხი და უძლეველია მისი ნებისყოფა. ათრთოლებული ხელებით იგი კვლავ ახერხებს მტრის განგმირვას. სასიკვდილოდ დაჭრილი მებრძოლის უკანასკნელი მართალი სიტყვა არის სტალინი.

პატარ-პატარა ეპიზოდურ სურათებს იძლევა პოეტი ვ. გაბესკირია. ტყეში თენდება, ჩიტი გალობს, მზვერავს სიფრთხილით უკვირდებიან ტყის განაბული ყვავილები, მაგრამ როცა საბჭოთა მზვერავს შეიცნობენ, სიხარუ-

ლით შემოეხვევიან გარს. ბალი გადაუთელია მტერს ისე, რომ ბალიანსაც კი გული სწყდება. მაგრამ იქვე წყარო ჩურჩულებს: „კვლავ აყვავდებიო“. დაჭრილ და მომაკვდავ საბჭოთა მეომარს ტფილ-მეგობრები დასტრიალებენ, თავს, ელოდებიან მის უკანასკნელ სიტყვას. დაჭრილი თვალს გაახელს და ეკითხებიან: „ჩვენები ხიდზე თუ გადავიდნენო“. ძველი ციხის ნანგრევებთან შესვენებულ და მიძინებულ ლაშქარს მამა-პაპათა აჩრდილნი ადგანან თავს და ჩუმად ლოცავენ. ამავე მანერით არის შესრულებული ვ. გაბესკირიას „სამამულო ომის სურათები“.

აღსანიშნავია შ. აფხაიძის ლექსი „ვფიცავ ჩემს მიწას“. ამ ლექსში პოეტი იძლევა საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე და მტკიცე ფიცს, რომ მოძმე ერების მებრძოლებთან ერთად ისიც, ქართველი მებრძოლიც, თავს დასდებს აყვავებულ საბჭოთა სამშობლოსათვის. ფაშისტური მტრების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოწოდებაა პოეტის მეორე ლექსი „ლაშქრული“:

„რისხვად დაეცეთ მტერს თავზე,
ვიყოთ სტალინის ნებისა,
სულ მალე შეაშრიალებს
ლაჟვარდს ნაღარა ლხენისა“.

ქალაქი-გმირი, ქალაქი-გოლიათი—ლენინგრადი მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს დღეს. ბუნებრივია, რომ ლენინის ქალაქი საბჭოთა პოეტების შემოქმედებითი შთაგონების განსაკუთრებულ საგანს წარმოადგენს. მოხდენილი ლექსი უძღვნა ლენინგრადს მ. პატარაიძემ. ამ ლექსში მან გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ არ შეიძლება დაეცეს ლენინის დროშა, რომ ვერაგი მტერი ძლეული იქნება და ის ვერ წაბილწავს „რევოლუციის ბუდეს და აკვანს“.

სტალინური ეპოქის უმაღლესი ტიპის, ხასიათების — სამამულო ომის გმირების სახეებს ხატავენ და მათ უკვდავ სახელებს ქებას ასხამენ თავიანთ ლექსებში პოეტები ვ. გორგაძე, ხ. ვარდოშვილი, გ. ცეცხლაძე და სხვ.

სამამულო ომის თემებზე დასწერეს ლექსები და მოთხრობები ა. ქუთათელმა, ს. თავაძემ და სხვებმა.

რამდენიმე კარგად დაწერილი ლექსით გამოეხმაურა გ. აბაშიძე ფაშისტურ ურდოებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის თემებს. მოხდენილად გააზრებული სტრიქონებით აქვს მას გახსნილი სამშობლოსათვის გმირთა თავდადების მოტივი:

„ტყვია გატეხავს ბევრ გულის ფიცარს,
გულს კი ვერ გატეხს, გული ჩვენია.
ვინც სიმართლეს და სამშობლოს იცავს,
სიცოცხლე მუდამ მას დარჩენია“.

მხოლოდ საბჭოთა პატრიოტს შეიძლება ახასიათებდეს ბრძნული გულცივობა და ზიზღი სიკვდილისადმი მაშინ, როცა დიადი მიზნებისათვის ებრძვის იგი მოსისხლეს. გმირული სიკვდილი უკვდავების დამკვიდრებაა:

„სიცოცხლეს ერთხელ სჯობნის სიკვდილი:
სამშობლოსათვის თუ იღუპები“.

და განა ეს სტრიქონები ზედ გამოჭრილი არ არის გასტელოს, სოსნოვსკის, პირტახიას, 28 პანფილოველი გვარდიელის და მრავალი სხვა დალუბული გმირის მაგალითზე? გ. აბაშიძემ ბალადაში „მტრები“ დაგვიხატა ... ებრძოლის გოლიათური შერკინება ფაშისტურ მოიერიშესთან. ლექსში „ფრონტის მეგობარი“ გვიჩვენა საბჭოთა ქალიშვილის, მედიცინის დის მაღალი სულისკვეთება.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას ახალი ძალა შემატა სამამულო ომმა ზრდისა და დავაჟკაცებისათვის. „მილიონობით ჭირისუფალი“ ჰყავს გულს, რომელიც ანთებულია სტალინური სიმართლით, მილიონობით გული სძგერს მებრძოლისათვის, რომელიც გზას მიიკაფავს თავისუფლების მაღალი იდეალებით და იცავს ამ დიდ სიმართლეს:

„განა ამ გრძნობას რა შეედრება,
ვაჟმა დაიცვა ხალხთა სიმართლე,
თავისუფლების წმინდა შეგნება
მამულისათვის გზას გაგინათებს“.
(რ. მარგიანი).

პირსისხლიანმა ფაშიზმმა უდიდესი მსოფლიო ტრაგედია დაატეხა თავს კაცობრიობას. საბჭოთა პოეზიისათვის უცხოა ამ ტრაგედიის მარტო გრანდიოზული სანახაობით გატაცება. ქართულ საბჭოთა პოეზიაში მკაფიოდ გამოსჭვივის უდიდესი განსაცდელის შეგნება, მძაფრი პასუხისმგებლობის გრძნობა. ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი ვერაგი მტრის შესამუსრავად. სიცოცხლეც კი, სიცოცხლეც არ ენანება ჭეშმარიტ საბჭოთა პატრიოტს სამშობლოსათვის. ეს მაღალი გრძნობაა ახალგაზრდა პოეტის ი. ნონეშვილის გულში, როცა ის ნატრულობს:

„ო, ის ყუმბარა ვიყო ნეტავი,
ჰიტლერის გულზე რომ დაეცემა“.

მაგრამ დიდი საფრთხე და განსაცდელი უფრო მეტად აკაჟებს და ასალკლდევებს საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მოქალაქის, საბჭოთა პოეტის ნებისყოფას:

„დღეს, როცა მტრებმა შემოარღვიეს
ჩვენი საზღვრები ბილწი ხელებით,
როცა აკვნებსაც უშენენ ტყვიებს
კაცობრიობის სისხლის მსმელები...
. . . . . .
უფრო მძაფრდება ჩემი სიმღერა,
ძლიერდება და რისხვით ივსება
და გამარჯვება ტრფიალად მჯერა,
რადგან ბელადი
წინ მიგვიძღვება“.
(ლ. ასათიანი).

საბჭოთა ხალხის გარდუვალი გამარჯვების რწმენას აძლიერებს ჩვენი ქვეყნის ხალხთა გმირული წარსული, უდიდესი საბრძოლო გამოცდილება.

„განა ცოტა გვინახავს
მტრის ჯარების თარეში?
სამამულო ბრძოლაში
ბრძოლის ჟინით ვიწოდით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ბედნიერ მხარეში,
ვაჟკაცების ჭხარეში,
დამარცხება უნდოდათ?
გამარჯვება ვიცოდით".
(ალ. შენგელია).

ჩვენ ომი არა გვსურდა, ჩვენ მშვიდობიანობას ვანხორციელებდით და ვქადაგებდით ყველგან და ყოველთვის. მაგრამ, რაკი „ჩვენს საზღვრებთან გველი გაწვა" (მ. მიქელაძე), რაკი ვერაგი მტერი თავს დაგვესხა, ჩვენ გვესაჭიროება გმირობა არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიაც:

„ფრონტზე წასულ გმირთა ნაცვლად
უნდა გახდე შრომის გმირი".
(მ. მიქელაძე)

ამას ეუბნება თავის მეჯნურს ფრონტზე მიმავალი საბჭოთა პატრიოტი. ის მიდის იქ მტერთათვის რისხვის დასატეხად, სამშობლოსათვის თავდასაღებად, მიდის იმ რწმენით, რომ

„ჩვენი ლაღი ხალხი სხვის ყმად
არ გახდება არასოდეს".

დიადი საბჭოთა ხალხი აღსდგა ბედნიერების გადასარჩენად, აღსდგა ისე, როგორც არავინ და არასდროს, ერთსულოვანი და ერთპირი. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ რაკი საქმე ომზე მიდგა, ყველაფერი მტერზე გამარჯვების საქმეს უნდა დაექვემდებაროს, უდიდესი მსხვერპლი უნდა იქნას გაღებული, „უნდა სიმტკიცე, უნდა ძალა მივსცეთ ქვემეხებს". და პოეტის ხმაც, „ამ დღეებში შუბად აწვდილი",

იყოს საყვირი...
. . . . . .
ლექსი გავიდეს ბრძოლის ველზე, ხანძრად განცდილი".
„წითელ ლაშქარში ჩადგეს, როგორც ქვეყნის ქუხილი
და ყოველ მებრძოლს ასროლინოს დროზე ყუმბარა!"
(გ. კაჭახიძე).

ასე ემსახურება ქართული საბჭოთა პოეზია საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის საქმეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეროლნტი ძიქოლძე

# მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან

## რომანტიკოსები

ქართველი რომანტიკოსები ვიწრო ლიტერატურულ სკოლას არ წარმოადგენენ სრულიად გარკვეული სოფლმხედველობით და ბრძოლის პროგრამით. ყველა ისინი ევროპულად განათლებული ადამიანები არიან, თანამედროვე ჰუმანისტური იდეალებით აღჭურვილნი, მაგრამ ურთიერთ შორის აშკარად განსხვავდებიან თუ კულტურული ორიენტაციით არა, ყოველ შემთხვევაში ლიტერატურული სიმპატიებით.

ქართველი რომანტიკოსების თაობის უფროსი წარმომადგენელი ალექსანდრე ჭავჭავაძე, როგორც პოეტი, ჯერ კიდევ ორი სამყაროს, ერანის და ევროპის მიჯნაზე იმყოფება: მის პოეტურ შემოქმედებას ყველაზე მეტად ემჩნევა სპარსული პოეზიის ზეგავლენა. გრიგოლ ორბელიანი უფრო დასავლეთისაკენაა გადახრილი, ვიდრე აღმოსავლეთისაკენ, მაგრამ სრულიად თავისუფალი არ არის მუხამბაზური ლირიკის ტრადიციებისაგან. ბოლოს, ამ ლიტერატურული თაობის უმცროსი წარმომადგენლები, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვახტანგ ორბელიანი, სავსებით დასავლეთისაკენ არიან პირმობრუნებულნი.

თვით ევროპული და რუსული ლიტერატურის წრეში ქართველი რომანტიკოსები სხვადასხვა ადგილას ეძებენ შთაგონების წყაროს. ალექსანდრე ჭავჭავაძის სიმპატია ფრანგი კლასიკოსებისაკენაა მიმართული, ის ფრანგულიდან სთარგმნის კორნელის, რასინის და ვოლტერის დრამებს, „ცინნას“, „ფედრას“, „ალზირას“, ლაფონტენიდან „ჭრიჭინას და ჭიანჭველას“, ხოლო რუსულიდან პუშკინის ორიოდე ლექსს. გრიგოლ ორბელიანის მთავარ პოეტურ ნაწარმოებს „სადღეგრძელოს“ რუსი რომანტიკოსი ჟუკოვსკის გავლენა ეტყობა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ფრანგი, პოლონელი და გერმანელი რომანტიკოსების მონათესავე სულია თავისი გადაჭარბებული გრძნობიაერობით, თავისი კულტით, რეალური სინამდვილიდან ლტოლვით; ბოლოს, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ძლიერია პატრიოტული პუბლიცისტიკის ნაკადი: ამ მხრივ ის ახლო სდგას შემდგომი თაობის პოეტებთან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ უცხო გავლენების და პარალელების მიუხედავად ქართველი რომანტიკოსები მაინც ერთ თავისებურ პოეტურ ოჯახს წარმოადგენენ ორიგინალური ფიზიონომიით და პირადი შთაგონებით.

ისინი ყველანი მაღალი არისტოკრატიიდან წარმოსდგებიან და ბაგრატიონებთან არიან დაკავშირებული ნათესაობით ან მამაპაპათა სამსახურით.

გრიგოლ ორბელიანი ერეკლე მეორის ქალის ელენეს შვილისშვილია, ხოლო ვახტანგ ორბელიანი იმავე მეფის ქალის თეკლეს შვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანის დისწულია. ბოლოს, ალექსანდრე ჭავჭავაძე ერეკლე მეორის და გიორგი მეცამეტის გამოჩენილი დიპლომატის გარსევან ჭავჭავაძის ვაჟია. მათთვის ნაციონალური დინასტიის დამხობა რამდენიმეჯ პირად კატასტროფასაც ნიშნავდა. მათ საფუძველი ჰქონდათ ეფიქრნათ, რომ ქართლ-კახეთის მეფის კარზე ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს შეასრულებდნენ, ვიდრე რუსის ჯარის ოფიცრობა ან, მით უმეტეს, რუსის კანცელარიის მოხელეობა იყო.

მაგრამ მათი პატრიოტიზმი ღრმა და გულწრფელია, ის არ აიხსნება მარტოოდენ პირადი მარცხით ან წოდებრივი უკმაყოფილებით. ისინი ახდენენ საქართველოს წარსულის იდეალიზაციას, ჰქმნიან ისტორიული ნანგრევების და სასაფლაოების კულტს, ადგენენ ლიტერატურულ წრეებს, რომელშიც მათ გარდა, მათი ნათესავები, მეგობრები და პატივისმცემლები შედიან. მათი შეხვედრები უფრო ბანკეტებს ჰგავს, ვიდრე ლიტერატურულ სალონს ან ლიტერატურულ კლუბს. ისინი პროფესიული მწერლები არ არიან, ძლიერ ცოტას სწერენ, ლიტერატურული შრომისათვის არავითარ გასამრჯელოს არ ღებულობენ, თავიანთ ნაწერებს იშვიათად ხედავენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ან, მით უმეტეს, დაბეჭდილი წიგნის სახით, ერთის სიტყვით რამდენიმეჯ საშუალო საუკუნეების ოსტატებს ჰგვანან; მაგრამ არსებითად ისინი მაინც, დიდი მანძილით არიან დაშორებული ძველი მონასტრების ჰიმნოგრაფებს, მეფის კარის მგოსნებს და აშუღებს, არსებითად მაინც თანამედროვე პოეტები არიან, რომელთათვისაც ფართო საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტის დამყარება აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს. ბოლოს, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისინი არყევენ ტრადიციული თექვსმეტმარცვლოვანი შაირის ხანგრძლივ ბატონობას, ამთავრებენ ქართული ლექსის ტექნიკურ რეფორმას, რომელიც დავით გურამიშვილმა და მამუკა ბარათაშვილმა დაიწყეს, და ჰქმნიან ელასტიურ ფორმებს, უფრო გამოსადეგს აზრის და გრძნობის ნიუანსების გამოსახატავად.

ამ პოეტური თაობის უფროსი წარმომადგენელი ალექსანდრე ჭავჭავაძეა. ის დაიბადა 1786 წელს პეტერბურგში. მამამისი გარსევან ჭავჭავაძე, რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო, მისი უშუალო მონაწილეობით დაიდო ნოვოგიორგიევსკის ტრაქტატი (1783), რომელმაც ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის ვასალურ სამეფოდ აქცია. შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ის ჯერ მეფე ერეკლეს და შემდეგ მეფე გიორგის სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენლად ითვლებოდა პეტერბურგში. თავდაპირველად ალექსანდრე პეტერბურგის ფრანგულ პანსიონში სწავლობდა, შემდეგ, როცა მამამისი თბილისში დაბრუნდა, მან ოჯახში განაგრძო სწავლა შინაური ფრანგი მასწავლებლის ხელმძღვანელობით. გარდა ფრანგულისა მან შეისწავლა გერმანული და, ალბათ, სპარსული ენაც. 1804 წელს მთიულეთში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ამ აჯანყებას ანტირუსულად განწყობილი ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილიც შეუერთდა ფარნაოზ ბატონიშვილის მეთაურობით. ალექსანდრე ჭავჭავაძე შინიდან გაიქცა და მეამბოხეებს მიემხრო. საქართველოს მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა აჯანყება ჩააქრო, ხოლო მისი მეთაურები დაატყვევა. დატყვევებულთ შორის აღმოჩნდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც, რომელიც გამო-

ძიების შემდეგ სამი წლის ვადით ტამბოვში იქნა გადასახლებული. მაგრამ მას, როგორც ეკატერინე მეორის ნათლულს, და ალექსანდრე პირველის კამერპაჟს იმავე წელს დანაშაული ეპატივა და პეტერბურგში დასახლების უფლება მიეცა. მან დაასრულა პაჟთა კორპუსი და სამხედრო სამსახურში შეავიდა. 1811 წელს საქართველოში დაბრუნდა და მთავარმართებელი მარკიზ პაულიჩის ადიუტანტად დაინიშნა.

არისტოკრატიულ რუსულ სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს მოხდა, ალბათ, ალექსანდრე ჭავჭავაძეში ის სულიერი გარდატეხა, რომელმაც ის მხურვალე სეპარატისაგან ზომიერ ოპორტუნისტად აქცია. როცა 1812 წელს რუსეთის ხელისუფლებას კახეთის გლეხკაცობა აუჯანყდა, ის მეამბოხეთა წინააღმდეგ გამოვიდა და მსუბუქად დაიჭრა კიდეც. იმავე წელს ის ბარკლაი დე ტოლის ადიუტანტად დაინიშნა, მონაწილეობა მიიღო იმ ბრძოლებში, რომელსაც რუსის ჯარი ნაპოლეონის წინააღმდეგ აწარმოებდა, და პარიზში შევიდა მოკავშირეების ჯარებთან ერთად. უნდა ვიფიქროთ, რომ განათლებული ევროპის ახლო გაცნობა ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენდა ახალგაზრდა ქართველ მხედარზე, როგორც მან გავლენა მოახდინა მის თანამებრძოლებზე, რუს არისტოკრატ ოფიცრებზე, რომელთაც შემდეგ შეთქმულთა კავშირი შეჰქმნეს და 1825 წლის დეკემბერში პეტერბურგში სამხედრო აჯანყება მოახდინეს თვითმპყრობელობის დასამხობად. მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძის დემოკრატიული გატაცება არ გასცილებია წმინდა ლიტერატურულ სფეროს და აქაც მას ეპიზოდური ხასიათი აქვს. რევოლუციურ პარიზში ყოფნის კვალი ატყვია ერთ მის ლექსს, სადაც ლაპარაკია „მდაბალთ ჩაგვრასა და მტაცებლობაზე“ და სადაც მომავალი თანასწორობაა ნაწინასწარმეტყველები.

მაგრამ, საერთოდ, როგორც თავისი აზროვნებით და მსოფლშეგრძნობით, ისე ცხოვრების მანერითაც ალექსანდრე ჭავჭავაძე უფრო ახლო იდგა ძველ არისტოკრატიულ საფრანგეთთან, კოსმოპოლიტურ და ფრივოლურ მეთვრამეტე საუკუნესთან, ვიდრე მის თანამედროვე დემოკრატიულ პარიზთან. როცა ის ნაპოლეონის ომების დამთავრების შემდეგ პოლკოვნიკის ჩინით და რუსული ორდენებით დაჯილდოვებული სამშობლოში დაბრუნდა, თავისი მამული წინანდალში და თავისი სალონი თბილისში ევროპული გაფაქიზებული კულტურის პატარა ცენტრად აქცია; თავისი ქალების ნინოს და ეკატერინეს გათხოვებით ის დაუმოყვრდა ცნობილ რუსის მწერალს გრიბოედოვს და სამეგრელოს მთავარს. ლიტერატურული ინტერესი, მხიარული დროსტარება მას ხელს არ უშლიდა გულმოდგინეობა გამოეჩინა სამხედრო და ადმინისტრაციულ სამსახურში და საკმაო ბრწყინვალე კარიერა გაევლო. მან მონაწილეობა მიიღო მრავალ სამხედრო ექსპედიციაში ლეკებისა, სპარსელებისა და ოსმალების წინააღმდეგ, ხოლო განსაკუთრებით სახელი გაითქვა 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომში, როცა ბაიაზეთი აიღო.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს აქტიური მონაწილეობა არ მიუღია 1832 წლის შეთქმულების მომზადებაში, მაგრამ ამ შეთქმულებაში მრავალი მისი მეგობარი და ნათესავი იყო ჩაბმული; ეტყობა მას შეთქმულთა წრეებში დიდი ავტორიტეტი ჰქონია, მათ განზრახული ჰქონიათ ის დროებით მთავრობაში შეეყვანათ. როგორც მთავრობის გამოძიებამ გამოარკვია, ალექსანდრე ჭავჭავაძემ იცოდა ფარული საზოგადოების არსებობის ამბავი, თუმცა არ იზიარებდა მას მიზნებს. ამიტომ ის მსუბუქ დამნაშავეთა კატეგორიაში მოჰყვა

და დასჯილ იქნა სამი წლის ვადით იმავე ტამბოვში გადასახლებით. მართალია, მას იქ ერთ წელიწადზე მეტი არ დაუყვია, რადგან ნიკოლოზ პირველმა სასჯელი შეუმსუბუქა და სამშობლოში დაბრუნების ნება მისცა, მაგრამ, როგორც ეტყობა, პოეტს მძიმედ განუცდია სამშობლოდან გაძევება. ამ წლის განცდებს უნდა გადმოსცემდეს მისი ცნობილი „მუსტაზადი“, სადაც მძაფრი ანტირუსული სტროფონები გვხვდება:

უწყით ყოველთა მახლობელთა მამულნი მაზნი,
ურიცხვნი ტყენი, ბალახ ბევრნი, მრავალ ათასნი,
მუნა მყოფელნი ყოვლ მშფოთველნი, სიტყვა ლაქათნი,
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირ-ბნელნი, სათნი,
აქვსთ ყოველთვის ხელად სჯულად ძველად საფრთხე, საცთურნი...
გვძლივა სოფელმან, ხელმყოფელმან აწ გვაგო შურნი.
ქაჯთ ყოფაქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელჰყოფენ მგლურად;
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად;
მოყვარეთ ტკბილთა, ხანდაზმილთა გულთა ჰსწყევლენ მტრულად,
კაცთა მკლავნი, ლიზღნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი,—
გვძლივა სოფელმან, ხელმყოფელმან აწ გვაგო შურნი!..

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძემ დიდი ადმინისტრაციული თანამდებობა და გენერალ-ლეიტენანტის ჩინი მიიღო და ხელახლა დაუბრუნდა ნებიერ ცხოვრებას. პოეტი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა: ის გაქანებული ეტლიდან გადმოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა (1846). დასაფლავებულ იქნა კახეთში, შუამთის მონასტერში.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სრულყოფილი ტიპია ქართველი არისტოკრატისა, რომელიც სუფრის კულტურას, დარდიმანდული დროსტარების სიყვარულს და ცხოვრების ოსტატობას აერთებს მაღალ და ინტენსიურ გონებრივ კულტურასთან. ის თითქო გრძნობათა ცხოვრების ზედაპირზე მოძრაობს, გურამიშვილივით და ბარათაშვილივით ღრმად არ ჩადის ადამიანის სულში, მაგრამ მას აქვს არაჩვეულებრივი არტისტული სინარნარე, რაც თვით მის ტანჯვას მსუბუქად ხდის, ხოლო მის სიხარულს ანთავისუფლებს ყოველივე სიტლანქისა და აბეზარობისაგან. ბედნიერებაშიც და უბედურებაშიც ის ერთნაირად მოხდენილი და მომხიბლავია.

გავიხსენოთ, მაგალითად, როგორი ვაჟკაცური თავდაჭერილობით ეგებება ის სატრფოს განშორებას, როგორ ელის მის დაბრუნებას, რომელიც ისევე აუცილებლად მიაჩნია, როგორც ჩასული მზის ხელახლა ამოსვლა:

ეამნი რბიან, შენცა მელტვი,
ჰოი სულგრძელო საყვარელო!
როს მომიხვალ, როს დამატკბობ,
ეჰა წამო სანატრელო!
ბაგე ვარდო, ნამით სველო,
სუნნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს,
ჰოი სპეტაკო, ზამბახთ ველო!
ცრემლნი ჩემნი ალს გულისას
ვერას აკლებს ძალსა წვისას:
ესე ცეცხლი ვერვინ აქროს,
თუ არ შენვე, აღმგზნებელო!
მზეს მიხედე, მარად დილით,
ცრემლს ვით უშრობს მდელოთ სხივით.
დილა ჩემი როს გათენდეს,
პირო ბადრო და ნათელო?!..

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკის სათავეები შორეულ წარსულში იკარგება. მან დაამუშავა იგივე მუდმივი ტემები, რომელთაც დამთავრებული მხატვრული ფორმა ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის პოეტებმა მისცეს. შეშვიდე და მეექვსე საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე: საფომ, ალკეომ, ანაკრეონტმა. ძველი ბერძნული სატრფიალო ლირიკის განვითარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ კუნძულ ლესბოსზე, სადაც საფო და ალკეო ცხოვრობდნენ, ქალი ისე კარჩაკეტილი არ იყო, როგორც სხვაგან საბერძნეთსა და აღმოსავლეთში. მას შეეძლო მამაკაცს თავისუფლად შეხვედროდა და მასთან ერთად მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სანადიმო პოეზია კი წარმოიშვა და განვითარდა განსაკუთრებით ატიკაში, სადაც მიღებული იყო სიმპოსიონის გამართვა, ე. ი. ერთად შეკრება არა მარტო საქეიფოდ და დროს სატარებლად, არამედ მხიარული და გონების მაზრდოებელი საუბრის გასამართავადაც. ბერძნულმა ეროტიკულმა და სანადიმო ლირიკამ ყველა კულტურულსანი ერის პოეზიაზე მოახდინა გავლენა; მან გამოხმაურება იპოვა თვით ქრისტიანულ რელიგიურ საგალობლებში, სადაც მისი ფორმა დარჩა, მხოლოდ შინაარსი შეიცვალა. მაგრამ, ბუნებრივია, რომ ვერსად ამ ჟანრმა ვერ მიიღო იმ გენიოსური უშუალობისა და სიახლის ელფერი, როგორიც მისი პირველი შემქმნელების ხელში ჰქონდა. მათი სიმღერებიდან გვესმის ახალგაზრდა ქალის კისკისი, ციკადის ჭრიჭინი, იადონის სტვენა, ან ნაკადულის წკრიალი, იქიდან გვიცქერის ბუჩქებში მიმალული ეროტი, იავარდის გვირგვინებით შემკული ქალვაჟი, ხოლო ხანდახან მღელვარებით ენადაჩლუნგებული, თვალებდაბინდული და გაფითრებული მიჯნური. არც ერთი მათი ტაეპი არ წარმოადგენს გადამღერებას, ყოველი მათი განცდა ინდივიდუალურად განუმეორებელი და გულწრფელია.

სულ სხვა ხასიათისაა ის ეროტიკული ლირიკა, რომელიც ახალ სპარსულ ენაზე შეიქმნა განსაკუთრებით მეთოთხმეტე საუკუნის პოეტის ჰაფიზისა და მისი მიმდევრების შემწეობით. მაჰმადიან სპარსელისათვის ღვინო უცხო ხილია, ის საზოგადოებაში ვერ ხედავს პირახდილ ქალს. ამიტომ სპარსელი პოეტი მოკლებულია შთაგონების ერთ მთავარ წყაროს, მან ლამაზი ქალის სახის ნაკვთები მოგონების ან მიღებული შაბლონის მიხედვით უნდა დახატოს. იგივე ითქმის სქესობრივ გრძნობაზე, რომელიც ჰარამხანის შეხუთულ ატმოსფეროში ან კანონიერი ცოლქმრის სარეცელზეა ნებადართული. როგორც ძნელად მისაწვდომ საგნებს, ქალსა და ღვინოს სპარსულ ლირიკაში კიდევ უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე ქრისტიანი ერების ლირიკაში, მაგრამ ორივე მოკლებულია სხეულს. ამას გარდა ზოგიერთი სპარსელი მისტიკოსი პოეტის შემოქმედებაში ქალსა და ღვინოს მხოლოდ ალეგორიული მნიშვნელობა აქვთ.

სპარსული ეროტიკული ლირიკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართულ ლიტერატურაში ალექსანდრე ჭავჭავაძის წინამორბედი ბესიკია, რომელმაც თავისი რეალური, ნაწილობრივ ტრაგიკული სიყვარულის ვნება მანერულად გადმოსცა სპარსული ნიმუშების წაბაძულებით. მისი „ტანო ტატანო“ საუკეთესო მაგალითია ამ მუსიკალურად სრულყოფილი, მაგრამ კონკრეტულობას მოკლებული და ცივი პოეზიისა. ეს ლექსი ადვილად იმღერება, მაგრამ ძნელია ისეთი ქალის პლასტიკური სახის ნათლად წარმოდგენა, რომელსაც ვარსკვლავივით მანათობელი ტანი, მთვარის პირისახე, ნარგისის თვალი, ბროლის ყელი, გველის მსგავსი ნაწნავები, ქარვისფერი ლოყები

და ნარინჯისფერი ძუძუები აქვს. მით უმეტეს ძნელია მისი წმინდა ჭალური ეშხის განცდა.

იმ ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძეზე სპარსელმა ლირიკოსებმა და ბესიკმა მოახდინეს, ის მაინც მათ ეპიგონად ვერ ჩაითვლება. ღვინოს და ქალს ის განიცდის როგორც ძველი ელინი ან, უკეთ ვთქვათ, როგორც გემოვნებაგაფაქიზებული ქართველი, მხოლოდ ამ განცდას ის ხშირად ისეთი პოეტური ენით გადმოგვცემს, როგორც სპარსელს შეეფერება: „თვალთა მიბნელებს მაგა სახის ჩადრით ბურვანი, ბედმან გაგვყარნა, შემომყარნა ამად ურვანი“. მასში ხანდახან თავს იჩენს ბახუსური ღრეობის სული, კახური ღვინო მას სიფრთხილეს, სიკვდილის შიშს, თვით სატრფოსაც ავიწყებინებს, ღვინის ოხშივარი ავსებს დარბაზს, წინანდლის პარკს, ყოველივეს თითქო რაღაც ნირვანის ძილი იპყრობს. მაგრამ აი ხეებს შორის მისი სატრფოები ჩნდებიან როგორც კლასიკური მითოლოგიიდან გამოსული ნიმფები, მათი სურნელება უერთდება ნარგიზებისა და ზამბახების სურნელებას, და თბილი ზაფხულის ნელი სიო ჰფანტავს გამაბრუებელ ბურუსს:

> მას წალკოტსა მშვენიერსა, სად მდელონი შენაკრბიან,
> სად ზამბახნი სპეტაკობენ, სადა ვარდნი წითლად ჰღვიან,
> შორის ბუჩქთა კუპიდონნი იდუმალად იმალვიან,
> მუნ არ ურჩევ სიერნობას, ვისაც გულნი ეწყალვიან.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში ჩადროსანი ქალები თითქო გვერდით უდგანან მკერდგაღებილ ქალებს, ვისი და რამინი სალამს აძლევენ აპოლონსა და გრაციებს. სპარსული სტილის მუხამბაზებისა და ბაიათების გვერდით გვხვდება ევროპული სტილის რომანსები ან თითქმის კლასიკური შთაგონების და ფორმის ლექსები. ასეთია, მაგალითად, მისი ოთხსტრიქონიანი ლექსი „მემთვრალისადმი“, სადაც მოქეიფე დარდიმანდი წარმოდგენილია ახალმოვლენილ ნარცისად, რომელმაც მდინარის სარკეში კი არა, წითელი ღვინის სარკეში დაინახა თავისი სილამაზე, თავისი თავი შეუყვარდა ნარცისივით და ღვინოს სვამს არა ლოთობის სიყვარულით, არამედ რათა თავისი თავი ჩანთქას. ეს პატარა შედევრი მოგვაგონებს ერთ ანაკრეონტულ ლექსს ჰელენისტური პერიოდიდან; ადვილი შესაძლებელია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე იცნობდა მას:

> გვირგვინსა ვწნავდი... ვარდებში
> ეროტს წავაწყდი; მაშინვე
> ფრთებში წავავლე მას ხელი
> და სწრაფ ღვინოში ჩავაგდე.
> ავავსე თასი, დავლიე
> ღვინო და მასთან ეროტიც.
> ჩემს სიმღერებში მას შემდეგ
> ის დაფრთხიალობს მსუბუქად.

ალექსანდრე ჭავჭავაძე მოკლებულია რელიგიურ ინტერესს, დაჯერებული სენსუალისტია („მგრძნობელობა ჰსჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა“), არავითარი მეტაფიზიკური სამყაროს არსებობა, არავითარი საიქიო ცხოვრება არ სწამს, სცდილობს არც ერთი მსწრაფლმავალი ბედნიერი წუთა არ დაჰკარგოს, მაგრამ მას აქვს ღრმა ჩაფიქრების მომენტები, როცა პესიმიზმი იპყრობს ადამიანის და ერის ტრაგიკული ბედის წარმოდგენის წინაშე („სხვადასხვა დროის კაცი“, „ყმაწვილი ქალის საფლავზე წარწერილება“, „ოგოჩა,

ტბა ვრცელი" და სხ.). ბუნება მის პოეზიაში არ ცხოვრობს დამოუკიდებელი ცხოვრებით, ის მხოლოდ ადამიანის განცდების ანარეკლს წარმოადგენს, ამიტომ მისი პეიზაჟი მოკლებულია მკვეთრ კონტურებს, მას თითქმის ენების ბურუსი ჰფარავს:

ᲰᲡᲫᲔᲠᲡ ᲒᲚᲐᲮ-ᲒᲣᲚᲘ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ, ᲛᲚᲝᲓᲔ ᲨᲔᲜᲘ ᲣᲬᲧᲚᲐᲕᲡ ᲗᲛᲔᲜᲐᲡ;
ᲰᲡᲪᲔᲛᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲗᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲛᲐᲠᲐᲛ ᲐᲒᲠᲫᲜᲝᲡ ᲕᲘᲡᲡᲐ ᲡᲛᲔᲜᲐᲡ?
ᲒᲖᲘᲡ ᲒᲣᲨᲐᲒᲐᲓ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲡᲐ ᲮᲐᲜ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲜᲘ ᲛᲐᲪᲗᲣᲜᲔᲑᲔᲜ,
ᲮᲐᲜ ᲤᲝᲗᲝᲚᲜᲘ ᲨᲔᲠᲮᲔᲣᲚᲜᲘ ᲨᲠᲘᲐᲚᲘᲗᲐ ᲛᲪᲔᲛᲔᲜ ᲖᲠᲖᲔᲜᲐᲡ.
ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲬᲧᲓᲘᲐᲓᲔ ᲛᲝᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲒᲘᲨᲠᲘᲡ ᲗᲛᲐᲡᲐ,
ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲪᲘᲡᲐ ᲒᲐᲔᲚᲕᲔᲑᲐ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲪᲠᲘᲡ ᲨᲣᲥᲗᲐ ᲤᲔᲜᲐᲡ.
ᲗᲕᲘᲗ ᲜᲘᲐᲕᲗᲐ ᲜᲔᲚᲘ ᲥᲠᲝᲚᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲓᲒᲔᲜᲡ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ ᲢᲙᲑᲘᲚᲡᲐ,
ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐ ᲪᲔᲪᲮᲚ ᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲡ ᲚᲐᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲑᲘᲠᲓᲐ ᲚᲮᲔᲜᲐᲡ!
ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲝᲓᲔᲡ ᲢᲠᲤᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲓᲐᲓ ᲨᲔᲘᲬᲘᲠᲔ ᲡᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ,
ᲐᲛᲐ ᲑᲐᲒᲘᲗ ᲨᲔᲜᲡᲐ ᲑᲐᲓᲐᲮᲨᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲰᲛᲐᲓᲚᲐ ᲖᲔᲜᲐᲡ!
ᲘᲒᲘ ᲐᲛᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲔᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ ᲠᲝᲛᲔ ᲛᲝᲛᲙᲚᲐ ᲛᲝᲨᲝᲠᲔᲕᲔᲑᲘᲗ,
ᲙᲐᲕᲨᲘᲠ ᲔᲥᲛᲜᲐ ᲝᲠᲗᲐ ᲒᲕᲐᲛᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲔᲜᲐᲡ!
ᲜᲣᲗᲣ ᲓᲐᲰᲒᲛᲝ ᲨᲔᲜᲡᲐ ᲰᲧᲠᲝᲑᲘᲚᲡ ᲗᲕᲘᲡᲗᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲗ ᲚᲐᲦᲐᲓ ᲛᲝᲗᲥᲛᲐ?
ᲠᲐ ᲕᲰᲧᲝ, ᲔᲜᲐ ᲐᲨᲘᲙᲘᲡᲐ ᲐᲠ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲒᲠᲘᲚᲗᲐ ᲔᲜᲐᲡ!

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲐᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲧᲣᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ. ᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲕᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲓᲐᲡᲐᲛᲚᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲣᲚᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲚᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲚᲐᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲦᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲛᲓᲔ ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲚᲘᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘᲗ „ᲒᲝᲒᲩᲘᲡ ᲢᲑᲘᲗ" ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔᲛ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲨᲘ ᲦᲠᲛᲐᲓ ᲩᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲪ: ᲓᲘᲓᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲝᲑᲘᲗ ᲞᲝᲔᲢᲛᲐ „ᲒᲝᲒᲩᲘᲡ ᲢᲑᲐᲨᲘ" ᲣᲤᲝᲠᲛᲝ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲜᲒᲠᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲘᲡᲔ ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ, ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲘᲛᲓᲘᲓᲘᲜᲓᲔᲚ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲗᲕᲘᲗ ᲣᲡᲔᲘᲠᲜᲘᲐ ᲢᲑᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲖᲔᲝ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲮᲚᲝᲡ ᲛᲓᲒᲐᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲑᲔᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲨᲣᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲛᲐ ᲛᲘᲡ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲣᲠ ᲫᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲥᲝᲜᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲖᲔ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲡᲘᲪ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ, ᲘᲡᲘᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲡᲘᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲓᲐᲐᲓᲒᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲛᲚᲣᲞᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲗᲐᲜ, ᲛᲘᲡᲘ ᲮᲨᲘᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲚᲨᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲔᲠᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲐ; ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲢᲠᲤᲘᲐᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ, ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲡ ᲜᲘᲜᲝᲡᲐᲓᲛᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲬᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕ ᲤᲘᲖᲘᲝᲜᲝᲛᲘᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔ-

ბაა: ალექსანდრე ჭავჭავაძე მუდამ ნებიერი ეპიკურელი იყო, ის ცხოვრების საბოლოო მიზნად მუდამ ინტელექტით და ხელოვნებით გაფაქიზებულ განცხრომას სთვლიდა: მრავალი მისი ლექსი ნაზი მელანქოლიის ბურუსშია გახვეული, მაგრამ ის არასოდეს არ ამაღლებულა ცხოვრების [illegible] ოპტიმიზმის შეგნებამდე. გრიგოლ ორბელიანსაც, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პერიოდში, მოეპოვება ანაკრეონტული განწყობილების რომანსები, სადაც ის ცხოვრების სწრაფმავალ სიამოვნებათ უმღერის, მაგრამ მისი შემოქმედების მთავარი მოტივი მაინც ტრაგიკულია. ეპიკურეიზმი მხოლოდ ერთი ქვემდებარე ელემენტია მის მრავალმხრივ და კონფლიქტების გათიშულ ბუნებაში. საერთოდ მისი მორალი უფრო სტოიკურია. ის ფიქრობს, ადამიანის ზნეობრივი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მკაცრი ვალდებულება შეასრულოს საკუთარი თავის, ოჯახის, გვარის, სამშობლოს, სახელმწიფოს წინაშე: „სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა“.

გრიგოლ ორბელიანი 1800 წელს დაიბადა პატრიარქალურ არისტოკრატიულ ოჯახში, სადაც ძლიერი იყო ბაგრატიონების სამეფოს მოგონებანი, რაიცა ადვილი გასაგებია, ვინაიდან დედა მისი ხორეშან ერეკლე მეფის შვილისშვილი იყო. ძველი ქართული მწერლობისა და საღმთო წერილის სიყვარული მას ჯერ ანჩისხატის დეკანოზმა დიმიტრი ალექსი მესხიშვილმა ჩაუნერგა, ხოლო შემდეგ მღვდელმა ხელაშვილმა, რომელიც ქართულ ენას ასწავლიდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ეს სასწავლებელი გრიგოლს არ დაუსრულებია, არამედ საარტილერიო სკოლაში გადავიდა, რომლის დასრულების შემდეგ სამხედრო სამსახურში შევიდა. ერთხანს ალექსანდრე ჭავჭავაძის ხელქვეითადაც მსახურებდა კახეთის სამხედრო ხაზზე. მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ბრძოლაში ჭარელი ლეკების, სპარსელების და თურქების წინააღმდეგ, სხვათა შორის დაესწრო ერევნის ციხის აღებას 1827 წელს, როცა მან თავისი ცნობილი „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი დასწერა. 1831 წელს გრიგოლ ორბელიანი სამსახურის საქმეების გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

ამ მოგზაურობის აღწერაში („მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურგამდის“) არის ერთი ადგილი, დიდად საინტერესო იმდროინდელი ქართველი პატრიოტული და სეპარატისტული ინტელიგენციის სულიერი განწყობილების დასახასიათებლად. გრიგოლ ორბელიანი მოგვითხრობს, რომ მას გზაზე ვინმე გენერალი ივანე აფხაზი შეხვედრია, რომელიც გრაფ პასკევიჩთან მიდიოდა თურმე, რათა მონაწილეობა მიეღო აჯანყებულ პოლონელთა საწინააღმდეგო ბრძოლაში. ეს გენერალი აფხაზი ავტორს გამოყვანილი ჰყავს მტკიცე ზნეობის ადამიანად, გონიერ პოლიტიკოსად და გულმხურვალე ქართველ პატრიოტად; მაგრამ გრიგოლ ორბელიანთან საუბარში ის ამ აზრს იცავს, რომ ქართველ ხალხს არც რეგულარული ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლია, არც დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა. ამიტომ რუსებისაგან საქართველოს დატოვება დიდი უბედურება იქნებოდა ამ უკანასკნელისათვისო. ქართველი ტომები დიდხანს გათიშულნი იყვნენ და ერთმანეთის სისხლს ანთხევდნენ. „აწ ძლივს შეერთდნენ და ამიერიდან უნდა შეერთხოცდნენ და შეადგინონ ერთი მრთელი: წებოთი მიკრული არ დადგების დიდხანს, თუ მზე არ შეაერთებს და არ შეადუღებს მას. ჩვენი მზე არის დრო. დრომან უნდა გაგვანათლოს, გვასწავლოს ურთი-

ერთობა და მამულის შეყვარება და შეგვაერთოს ერთითა გულითა, ერთითა ფიქრითა ყოველნი ნაწილნი ძველისა საქართველოსანი. გარშემოზღუდულ არის რა საქართველო მტერთაგან, ჯერ არს რათა ყოველი ქართველი აღინთოს მამულის სიყვარულითა და თვითეულმან აღირჩიოს გზა ლეონიდისა".

გრიგოლ ორბელიანი თავისი სეპარატისტული იდეალების დასასაბუთებლად აფხაზის წინააღმდეგ იმ მოსაზრებას იშველიებს, რომ ქართველები ძველთაგან მხნეობით, მამულის სიყვარულით და ბუნებითი გონებით არიან ცნობილი, რომ რეგულარული ჯარის შექმნა ერეკლე მეფემაც კი შესძლო, რომ ოსმალეთი და ირანი თავს აღარ დაესხმის აღდგენილ საქართველოს და სხ. მაგრამ მკითხველი ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობს, რომ პოეტს თვით არ სწამს თავისი საბუთების სიმტკიცე.

პეტერბურგში გრ. ორბელიანი გაეცნო და დაუახლოვდა საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილებსა და დედოფლებს; როგორც სჩანს, აქვე გაეცნო ის რესპუბლიკელ დეკაბრისტების იდეებს. ამ ახლადგაცნობილმა ადამიანებმა და იდეებმა ერთგვარი გავლენა იქონიეს მის პოლიტიკურ აზროვნებაზე. ამას მოწმობს ის გარემოება, რომ მან ქართულად გადმოთარგმნა ნიკოლოზ პირველის მიერ ჩამოხრჩობილ პოეტ დეკაბრისტის რილეევის „ნალივაიკოს აღსარება", ამასვე მოწმობს მისი დღიურის სიტყვები, რომელიც იმავე შემოდგომაზე ნოვგოროდშია ჩაწერილი: „ფიქრმან ნოვგოროდისათვის არ დამაძინა დიდს ხანს. გონებაში წარმომიდგა რესპუბლიკური უწინდელი ამათი მმართველობა, სიმდიდრე, ვაჭრობა და მხნეობა ამის მოქალაქეთა, ვეჩეს ზარი (ანუ ბუკი), რომლითაც შეიკრიბებოდა ხალხი მძიმის საქმის გარდასაწყვეტად, ნოვგოროდის რაყიფობა მოსკოვის მეფეებთან და შემდეგ დამხობა მისი მრისხანე ივანეს მიერ. ვიდრე იყო რესპუბლიკა, ნოვგოროდი ყვავილოვნობდა ვაჭრობითა, მხნეობითა, სიმდიდრითა და იყო სხვათა რუსებზე უმეტეს განათლებულიცა და თვით თათართ მონებასაცა გადურჩა: გარნა აწ აღარც აჩრდილი სჩანს უწინდელისა მის შეძლებლობისა, რკინისა ხელმან შეიპყრა და განაქარვა ყოველი დიდება მისი".

ნოვგოროდშია დაწერილი აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის პატრიოტული ლირიკის ერთერთი საუკეთესო ნიმუში „იარალის", მიძღვნილი მისი უფროსი მეგობრის იარალი შანშიაშვილისადმი, რომელიც ნებაყოფლობით გაჰყვა გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილებს და პეტერბურგში ცხოვრობდა. პოეტმა ნათელსა და გამჭვირვალე ფორმებში გადმოსცა არა მარტო სამშობლოს მოშორებული ადამიანის სევდა, არამედ ქართული სუფრის თავისებურობის შეგრძნობაც. ლექსის ერთერთ საუკეთესო ადგილს წარმოადგენს ძველი ყაბახის ასპარეზობის აწერა, დიდი დინამიზმის გრძნობით შესრულებული:

ჰკრეს ნაღარასა—განიყვეს ორად,
აჰა საამო სჩანს სანახავი:
ცხენთა გრიალი,
შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი,
ყურთმაჯთ ბრიალი,
უზანგთა ცემა,
ცხენით ქვე ხტომა,
კვალად შეხტომა
და ხმალთ კრიალი!..

ზოგი არწივსა ზეცას მფრინავსა,
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა,
ჯირითი ზოგის ზუზუნით, მოჰქრის
და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის „იარალის“ ანტირუსული ტენდენცია დანაშაულობათა სიაში ჩაეთვალა ავტორს, როცა ის 1833 წლის გაზაფხულზე თბილისში ალმოჩენილ შეთქმულებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს და სამშობლოში გამოგზავნეს. მაგრამ გამოძიებამ გამოარკვია, რომ გრიგოლ ორბელიანი შეთქმულთა კავშირის აქტიური წევრი არ ყოფილა და სამი თვის პატიმრობის შემდეგ ის გაანთავისუფლეს. ავლაბრის ყაზარმის კედლებშუა გატარებულმა დღეებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს პოეტზე. ერთს თავის მეგობრისადმი მიმართულ წერილში ის სწერდა: „სწრაფად მივფრინდი თბილისს, მაგრამ უფრო სწრაფად ავლაბრის ყაზარმაში ამოვყავ თავი, სადაც სამი თვე ვიჯექი, დერვიშივით დუმილსა და ამქვეყნიურ ამაოების შესახებ მსჯელობაში გართული. სწორედ ამ დროს დედაც მომიკვდა. ჩემი ფანჯრის პატარა ჭუჭრუტანიდან ვხედავდი, როგორ გაასვენეს მისი კუბო. მტერსაც კი არ ვუსურვებ, რომ ჩემი ტანჯვა გამოსცადოს. ქვად ვიქეცი, ყოველივე დავივიწყე, თვით დედის სიკვდილიც კი, და რამდენსამე დღეს უჭმელ-უსმელი, უძილო და უტყვი ვიყავი: ცრემლიც არ გადმომიგდია. რამდენიმე დღის შემდეგ გამომიშვეს, თითქოს დედის სიკვდილით მეყიდოს ეს თავისუფლება. მამის სახლი დაცარიელებული და დამწუხრებული დამხვდა; იქ ოცდარვა დღე დავყავი, ვითომ აწეწილი საქმეების მოსაგვარებლად, მაგრამ ნამდვილად, ვგონებ, სულ არა გამიკეთებია რა. ღამის შუქზე, თვალცრემლიანი ვეამბორე დედის საფლავს და წაველ ნოვოჩინსკი. რაზმში, სადაც ვიყავი განწესებული“.

ამავე განცდებთანაა დაკავშირებული გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსი „ჩემს დას ეფემიას“, რომელშიც პათეტიკური ფორმის მიუხედავად უნაზესი ლირიკული გრძნობებია გამოხატული; მაგრამ ეს უკვე იმედგაცრუებული ადამიანის გრძნობებია, ნაწილობრივ პოლიტიკური მარცხით, ხოლო ნაწილობრივ პირადი უბედურებით და მარტოობით გამოწვეული:

მწუხარების დროს ჟამნი მსწრაფლნი ვლიან ნელიად,
და უბედურის სახეზედა ღრმად ჰბეჭდვენ თვის კვალთ,
არღა აჰყავდეს გული ჩემი ორგზის ამ სოფლად,
მახვილი გულით ვერ აჰგლეჯონ შემდეგ სიხარულთ.

ამ ზნეობრივი კრიზისის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი ოპორტუნიზმის გზას დაადგა და თანდათან შეეგუა რუსეთის მეფის მთავრობას; მაგრამ ამ გზაზე ის უკან მოუხედავად ვერ მიდიოდა და მასში დროდადრო იღვიძებდა მეამბოხე პატრიოტის და ერეკლე მეფის ქედმაღალი ჩამომავლის სული. 1841 წელს მან მონაწილეობა მიიღო გურიის აჯანყების ჩაქრობაში, ხოლო მომდევნო წელს ის გადაყვანილ იქნა შამილის წინააღმდეგ მომქმედ რუსის ჯარში. დაღესტანში გრიგოლ ორბელიანმა თხუთმეტი წელი დაჰყო და დიდი ნიჭი გამოიჩინა როგორც სარდალმა და დაპყრობილი პროვინციების მმართველმა. მთიელთა ომების ერთი რუსი ისტორიკოსი სწერს: „ავარიელებმა თავადი გრიგოლ ორბელიანი ცოტა არ იყოს გულცივად მიიღეს, ვინაიდან ის ქართველი იყო. საქართველოს დამრბეველ ავარიელებს თავიანთი თავის დამცირებად მიაჩნდათ ქართველისადმი დაქვემდებარება. მაგრამ თა-

ვადის ალერსიანმა მოპყრობამ, ხალხთან ლაპარაკის უნარმა და ადგილობრივი ზნეჩვეულების ცოდნამ ჩქარა ყველანი მოინადირა. ჩვენ ვერ გადავიბედნია ჩვენი აზრი გამოვთქვათ თავადი გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანის მიმზიდველი ხასიათისა, მაღალი განათლებისა და სამხედრო სარეველ „ბინახებ“. თვით გრიგოლ ორბელიანიც ერთ კერძო წერილში ადასტურებს, რომ ჭეშმარიტი მოპყრობა მას აუცილებლად მიაჩნდა დაპყრობილთა გულის მოსანადირებლად: „მაშ რა ვქნა, მე ხომ სჯულიერი არა ვარ მემკვიდრე, რომელთანაც ხალხი არის დაკავშირებული ბუნებითვე; მე მხოლოდ ერთი გზა მაქვს ხალხის შეძინებისა, — მოწყალება, მას უკან სიმართლე და ამათ ჩვეულებისამებრ ქცევა და სამართალი“. დაღესტანში ის ძველს სპარტანელივით ცხოვრობს, მისი „დივანხანა უფანჯრო, უკარო და უმინო გახლავთ“, „სხვებრ აქა ჩემი ცხოვრება არის ძალლური ამ ბრიყვსა და უგუნურს, გაუთლელს ხალხში“. ის დასვენებას პოულობს „დავითნის“ და „ვეფხის ტყაოსნის“ კითხვაში, მას მხოლოდ ოცნებით შეუძლია კულტურული და ნებიერი ცხოვრების ატმოსფეროში გადავიდეს: „თქვენი გაბრწყინვალებული სალონი სავსეა ინგლიჩნებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით“, სწერს ის მანანა ორბელიანს: „ჭეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვნატრობ, ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო“. ამისდამიუხედავად ის არასოდეს არ ივიწყებს თავის გაჭირვებულ ნათესავებს, რჩევით ან ფულით ეხმარება მათ, განსაკუთრებით მზრუნველობას იჩენს თავისი დისწულის „თავისი საყვარელი ტატოს“ — ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი. ამას გარდა თავისი ჯამაგირის დიდ ნაწილს ის იმისთვის ხარჯავს, რომ ნადიმი გაუმართოს შემორიგებულ ავარიელებს ან მათი ვერცხლისმოყვარული მეთაურები მოისყიდოს.

მაგრამ ამასთანავე გრიგოლ ორბელიანი თავისუფალია ყოველივე სანტიმენტალობისაგან მეამბოხე მტრის მიმართ. როცა რუსის ჯარის ერთი ნაწილი, რომელშიც მისი უმცროსი ძმა იმყოფება, ერთს აულს იპყრობს, ის თავის ძმას სწერს: „გეთაყვანე, ილიკო, სალტა მოახნევინე ნიშნად სრულიადი გაოხრებისა ძველებურის ქართველთ ჩვეულებისამებრ“. 1848 წლის ივლისში რუსის ჯარმა გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით გერგებილი აიღო. იმავე ილიკო ორბელიანისადმი მიმართულ წერილში ის სწერს: „სოფელი ასე დავანგრიეთ, რომ საცა იყო გერგებილი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე; ბაღებიც გავკაფეთ... როგორც იცი ლეკების სიგიჟის ამბავი, გამოგვიდგნენ სიგიჟით; ერთს რედუტში, საცა იყო ჩაფლული წამალი, შეიყარნენ მრავალნი; აქეთ ხევიდან გალვანიზმის შემწეობით იქ ააფეთქეს წამალი, სამოცდაოთხი კაცი და სამი ბაირაღი ასწია ზეცაში და იქიდამ ჩამოყარა ხევში; შენ იფიქრე მათი შიში და განკვირება! გერგებილის ნაიბი ჰუსეინ პირდაპირ აფრინდა სამოთხეში, ამიტომ რომ იმის ნაფლეთები ვეღარსად უპოვნიათ“. ეს სიმკაცრე მას არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ზნეობრივადაც მართებულად მიაჩნდა, იმიტომ რომ ლეკებს წარსულში ქართველი ერის წინაშე, მისი აზრით, დიდი დანაშაული მიუძღოდათ: „ეს სულ საქართველოს სისხლის ღალადისია“, ამბობს ის. ამ პერიოდში პოეტი თითქო სრულიად განთავისუფლებულია თავისი ახალგაზრდობის წლების რომანტიკული გრძნობებისაგან. ის ირონიით ლაპარაკობს ლეკის მეომარ ქალებზე, რომელნიც ლეგენდარული ამორძალების მემკვიდრეებად ჩაითვლებოდნენ, თუ მათ გმირული სამხედრო სიქველე არ დაეთმოთ სქესობრივ სიამოვნებათა გულისათვის. როცა ის თბილისიდან ერთი ქართველი მანდილოსნისაგან

წერილს ღებულობს, თავის ძმას სწერს: „ეჰ, იყო დრო, რომ ერთის მისის წერილისთვის მილიონს მივსცემდი, მაგრამ მილიონი არ მქონდა“.

1858 წელს გრიგოლ ორბელიანი თბილისში გადმოიყვანეს. მას ებოძა გენერალ-ადიუტანტის ჩინი და უმაღლესი ორდენები, და [illegible] მთავარმართებლის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. მასთან სადარბაზოდ მოდიოდა რუსეთის იმპერატორი, მას მეგობრობდნენ დიდი მთავრები და მეფის მოადგილეები, როგორც სპორტის გულმხურვალე მოყვარული, ის მონაწილეობას ღებულობდა ნადირობასა და დოღში, ესწრებოდა კრივსა და ჭიდაობას. პეტერბურგში ყოფნის დროს ის შეხვდა თავის დიდ მოწინააღმდეგეს, საპატიო ტყვეობაში მყოფ შამილს. მაგრამ მან დაჰკარგა თითქმის ყველა ახლობელი ნათესავი და მეგობარი და ორიოდე ერთგული მსახურის ანაბარა დარჩა თავის ცარიელ პალატში: მისი დანიშნული სოფიო ორბელიანი სხვაზე გათხოვდა უნაყოფო ლოდინის შემდეგ, ხოლო მისი ხანგრძლივი ტრფიალის საგანის ნინო ჭავჭავაძისაგან მას მხოლოდ მჭმუნვარე მოგონება შერჩა, რაიცა მან ღრმა და გულწრფელი ელეგიური გრძნობით გამოხატა თავის ლექსში „მოგონება“. მას გულს უკლავდა ქართველი თავადაზნაურობის დეგრადაცია, ხოლო სამშობლოს ძველი დიდების აღდგენა შეუძლებლად მიაჩნდა. როცა 1865 წელს სახელმწიფო გადასახადის შემოღებისა გამო თბილისის ხელოსნებმა და წვრილმა ვაჭრებმა აჯანყება მოახდინეს, ის მათ წინააღმდეგ გამოვიდა. ის ჩაება მამათა და შვილთა ლიტერატურულ ბრძოლაში და კონსერვატიული აზროვნების, მორალის და მეტყველების დასაცავად პასკვილი დასწერა თერგდალეულთა წინააღმდეგ. პოეტის უკანასკნელი ლექსები უღრმესი პესიმიზმითაა გამსჭვალული, ისინი თითქო ფეოდალური საქართველოს და მისი უკანასკნელი ტრუბადურის გრიგოლ ორბელიანის სულთათანას წარმოადგენენ:

> დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
> დაემხო ჩემი სამშობლო,
> გულს მიკლავს უიმედობა,
> საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

გრიგოლ ორბელიანი გარდაიცვალა 1883 წელს. ის დიდი ზეიმით, რომელშიც ქართველ საზოგადოებასთან ერთად რუსის მოხელეობამ და მხედრობამ მიიღო მონაწილეობა, ქაშვეთის ეკლესიის გალავანში იქნა დასაფლავებული.

გრიგოლ ორბელიანმა დიდი კონკრეტულობა შეიტანა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში. მაშინ, როცა ჰარმონიული სულის პატრონი ალექსანდრე ჭავჭავაძე სამყაროს შეგრძნობას მუსიკალურად გადმოგვცემს, ხოლო როცა საგნების და ადამიანების ასახვას სცდილობს, უფრო ხშირად მათ მთრთოლვარე სილუეტებს იძლევა,—გრიგოლ ორბელიანი მატერიალურ ქვეყანას პლასტიკურ ფორმებში ასახავს, როგორც ნამდვილი ნათელმხილველი. მკითხველი ჰხედავს, რომ პოეტის ჭრელ სუფრაზე მოთალი, თევზი და მწვანილი აწყვია, მის თანამესუფრეთა ოფლიან შუბლს კოჯრის გრილი სიო დაჰბერს, მისი სატრფოები ვარდს ყნოსავენ ან ეტლში სხედან და მტვრიან გზაზე მიჰქრიან, მის წინ ამართული მთის ჭალარა მწვერვალს ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივი ეალერსება, როგორც ქალი მოხუცებულ მამას. მისი „სალამო გამოსალმებისა“ ქართული პოეტური შემოქმედების უდიდესი მიღწევაა, როგორც უნაზესი რომანტიკული ტრფობის გრძნობის გამოხატვა რეა-

ლისტურად შეგრძნობილი პეიზაჟის ფონზე. იგივე ითქმის მისი „სადღეგრძელოს“ ზოგიერთ ადგილზე. მაშინ, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი პეიზაჟს უფრო ქუფრი ფერებით ხატავენ, გრიგოლ ორბელიანი ბუნების სურათის ასახვაში თითქო მცხინვარე ფერადებს ხმარობს და ამით რეფორმას ახდენს ამ დარგში:

ცისკარმან აღმოსავლეთი
ვარდისა ფერად შეღება,
ცას სიხარული მოჰფინა
და ქვეყანასა შვენება!
აენთნენ ცეცხლის ალებრივ
შორს გაბნეული ღრუბელნი;
ცა მშვენიერობს, ნათდება,
მასა შევნატრით მხილველნი.

ამ კონსერვატიული აზროვნების და მორალის ადამიანმა, ამ მორწმუნე ქრისტიანმა, რომელიც „ფსალმუნსა“ და ეპიტაფიებს სწერდა სასულიერო პოეზიის ზეგავლენით, რეფორმისტის როლი შეასრულა ახალ ქართულ პოეზიაში. უწინარეს ყოვლისა მან არაჩვეულებრივად გააფართოვა და გააღრმავა პატრიოტული და ეროტიკული გრძნობა; მან თავისი ლირიკა თავისი ბიოგრაფიის კონკრეტულ ფაქტებს დაუკავშირა და ამით მშფოთარე ცხოვრების ძაგისცემა გვაგრძნობინა. ის შედის ბეთანიის ნახევრად დარღვეულ ტაძარში და კედელზე თამარ მეფის გამოხატულებას ხედავს. ეს მისთვის არ არის მარტოოდენ უსიცოცხლო ისტორიული ნაშთი, მარტოოდენ ფერმკრთალი ფრესკო. არა, ესაა ღრმა ტრაგიკული ხილვა, რომელიც პოეტის სულის განწმენდას და ამაღლებას იწვევს; მისი გრძნობა ჯერ თითქო წყნარი და შეუშფოთებელია რაღაც რელიგიური მოკრძალების ზეგავლენით, შემდეგ მას სიამაყე იპყრობს ძველი საქართველოს ბრწყინვალე კულტურის წარმოდგენასთან ერთად, ბოლოს ის სასოწარკვეთილებას და თავის დამამცირებელ უიმედობაში ვარდება, როცა თანამედროვე საქართველოს მდგომარეობას ხედავს.

პატრიოტული და სამხედრო ლირიკის თავისებურ შეერთებად უნდა ჩაითვალოს გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“, რომელშიც ისტორიული გმირები ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, პატარა კახი და სხ. გამოდიან არა მარტო როგორც სამხედრო სიქველის შთამგონებელნი, არამედ როგორც პატრიოტულად განწყობილი ჯარის ცოცხალი თანამებრძოლნი. ამ ნაწარმოებში არის ადგილები, რომელიც ისე გაისმის, როგორც გამარჯვებული ლაშქარის სიმღერა („თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი“), არის ისეთი ადგილებიც, რომელიც სამშობლოს სამსხვერპლოს წინაშე წარმოთქმულ ჰიმნს ჰგავს („ჰე მამულო სასურველო“ და სხვ.); ზოგი ტაეპი მორალურ-დიდაქტიური შეგონების შთაბეჭდილებას იწვევს, ხოლო ზოგი იდეალისტური სიყვარულის ქებათა-ქებას წარმოადგენს. რუსეთის იმპერატორის ტოსტს, რომელიც პოეტს ერთს ვარიანტში ჩაურთავს პოლიტიკური მოსაზრებით, არავითარი ორგანიული კავშირი არა აქვს მთელი ნაწარმოების ძირითადი პოლიტიკურ ტენდენციასა და სულიერ განწყობილებასთან, ხოლო ეპილოგი, რომელიც შეურიგებელი ქართველი პატრიოტის ალექსანდრე ორბელიანისადმია მიძღვნილი, გვიანაა დამატებული და ხანშიშესული, სასომიხდილი ადამიანის დაღლილობას გამოჰხატავს: ის წყნარი ტრაგიკული აკორდით ამთავრებს მთელს ამ პათეტიკურ სიმფონიას.

გრიგოლ ორბელიანმა გააფართოვა ქართული ლირიკის თემატიკა და განაახლა მისი ფორმა. ძველი ქართული სასულიერო პოეზიის და რუსული პოეზიის ზეგავლენით მან ურითმო ლექსი ოღადგინა. მან პოეზიაში [illegible] უფლება მიანიჭა მდაბიო მოქალაქეებს, ეშხით და ღვინით [illegible] ბალისელ ხელოსნებსა, თევზის და მწვანილის დამტარებლებს: ბოლოს, თავისი იდეური მოწინააღმდეგეების, თერგდალეულების ზეგავლენით დაწერილ „მუშა ბოქულაძეში“ მან პროტესტის სულს მოკლებული, მაგრამ ადამიანური ღირსების გრძნობით დაჯილდოებული ქართველი მუშის პორტრეტი დახატა.

გრიგოლ ორბელიანის დისწული და უმცროსი მეგობარი ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ყველაზე ნათლად გამოკვეთილი ინდივიდუალისტია მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მის ლირიკაში პოეტის მე გარეშე სამყაროს უპირდაპირდება როგორც დამოუკიდებელი და ნაწილობრივ მტრულად განწყობილი ძალა. ის თითქმის სრულიად თავისუფალია მუხამბაზური პოეზიის გავლენისაგან და პირველი პრინციპიალური დასავლეთელი ქართველი პოეტია როგორც აზროვნებით, ისე ლექსის ფორმით. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების მსგავსად მისი შემოქმედების ძირითადი ტონიც ტრაგიკულია, მაგრამ მისი ტრაგიზმის წყაროს წარმოადგენს არა მარტო შინაგანი კონფლიქტები, არამედ ბედისწერასთან შეტაკებაც. რა იწვევს ამ შეტაკებას? ინდივიდუალობის მისწრაფება თავისი ვიწრო ზღუდეები გადალახოს და თავისი მე გარეგან სამყაროსთან გააერთიანოს ერთს აბსოლუტურ ჰარმონიაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში 1816 წელს. მამამისი მელიტონი ერთხანს თარჯიმანად მსახურობდა მთავარმართებლის კანცელარიაში, რადგან გარდა ადგილობრივი კავკასიური ენებისა, რუსული ენაც გვარიანად სცოდნია. ახალგაზრდობაში მელიტონ ბარათაშვილს მონაწილეობა მიუღია რამდენიმე სამხედრო ექსპედიციაში, სხვათაშორის, ალექსანდრე ჭავჭავაძის მსგავსად 1812 — 13 წლებში აჯანყებული კახელების წინააღმდეგ გამოსულა. რუსი მთავარმართებლების პოლიტიკა საქართველოში ცვალებადი იყო, ისინი ხშირად პირადი ჯინისა და სიმპატიების კარნახით აუქმებდნენ თავიანთი წინამორბედების განკარგულებათ, სცვლიდნენ მათ მიერ დაყენებულ ადამიანებს და სხვ. ამიტომ მელიტონ ბარათაშვილმა რუსეთის ხელისუფლების სამსახურში მაინცა და მაინც მკვიდრი პოზიცია ვერ მოიპოვა თავისი ერთგულების, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და უნარის მიუხედავად. მართალია, ერმოლოვმა ის განჯის ოლქის მმართველად დანიშნა, მაგრამ პასკევიჩმა ამ თანამდებობიდან გადააყენა და შედარებით ნაკლებ პასუხისსაგები ადგილი მისცა. სახელმწიფო სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ მელიტონ ბარათაშვილი თბილისის მაზრის თავადაზნაურობის მარშლად აირჩიეს. ის დროგამოშვებით შეთავსებით გუბერნიის მარშლის მოვალეობასაც ასრულებდა.

მელიტონ ბარათაშვილი მეტისმეტად გულფიცხი და ქედმაღალი, მაგრამ ამასთანავე არაჩვეულებრივად ხელგაშლილი ადამიანი ყოფილა: მისი სახლი ანჩისხატის უბანში მუდამ ღია ყოფილა სტუმრებისათვის, მას ჩქარა გაუფლანგავს თავისი ისედაც ზომიერი ქონება და ვალების გამო დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა. ამიტომ ნიკოლოზ ბარათაშვილს არ ჰქონია უზრუნველი სიყრმე და სიჭაბუკე. წერაკითხვა მას დედისგან უსწავლია, შემდეგ კალოუბნის

საეკლესიო სკოლაში უვლია, ხოლო 1827 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შესულა.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა, როგორც ეტყობა, მამისგან მემკვიდრეობით მიიღო სიფიცხე და ნერვიულობა, ხოლო დედისგან პოეტური სული და ეროვნულ-ეგზალტირებული ბრძოლის სიყვარული. მისი სკოლის ამხანაგები თავიანთ მოგონებებში საკმაოდ გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ ჭაბუკ პოეტზე: ის ყოფილა მხიარული, ანცი, ცეკვისა და თამაშის მოყვარული, ხელგაშლილი და გამტანი მეგობარი, ამასთანავე ფხიზელი და ცნობისმოყვარე. მაგრამ, როგორც ეტყობა, მას ახალგაზრდობაშივე გამოუმეღავნებია ირონიული ჭკუა და მელანქოლია, რომელიც შემდეგ ალბათ უხვად ასაზრდოვა მისმა ოჯახურმა მდგომარეობამ და მისმა პირადმა მარცხმა, სახელდობრ გიმნაზიის კიბეზე ჩამოვარდნამ და ფეხების ოდნავ დაშავებამ.

მის პოეტურ ნიჭს ადრე გაუღვიძია და ლექსებისა და სტატიების წერა ჯერ კიდევ გიმნაზიის სკამზე დაუწყია. მისი გონებრივი ინტერესების სიფართოვესა და მის გემოვნების სიფაქიზეს მოწმობს ის გარემოება, რომ გიმნაზიის ხელნაწერ ჟურნალში, რომელსაც მისი მეგობარი მიხეილ თუმანიშვილი რედაქტორობდა, მას მოუთავსებია „ვისრამიანის“ რუსული თარგმანი და სტატია „პაპიზმის ამაღლებასა და დაცემაზე“, გიმნაზიაშივე დაუწერია მას ფრონდისტული სულით გაჟღენთილი სატირიკული ლექსი, რისთვისაც უმაღლესი ხელისუფლების და სასწავლებლის დირექტორის დავალებით მამამისს ის მკაცრად დაუსჯია.

საშუალო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილი სამხედრო სამსახურში ვერ შევიდა კოჭლობის გამო, ხოლო ოჯახის ხელმოკლეობამ მას უმაღლეს სასწავლებელში შესვლაზე უარი ათქმევინა. ოცი წლის ჭაბუკი იძულებული გახდა მოხელედ შესულიყო კავკასიის უზენაეს სასამართლოში, რათა თავისი მცირე ჯამაგირით დახმარება გაეწია თავისი საბოლოოდ გალატაკებული და ლოგინად ჩავარდნილი მამისთვის. ამის შემდეგ მის ოცნებასა და მის ფაქტიურ მდგომარეობას შორის გარდაუვალი წინააღმდეგობა შეიქმნა. იმის მაგივრად, რომ თავის ბიძებივით, გრიგოლ და ილიკო ორბელიანებივით, თავისი ანთებული სულის და თავისი მკლავის ძალა შამილის გმირ თანამებრძოლებზე სცადოს დაღესტნის მთებში, ის იძულებულია თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო დღეები კანცელარიაში გაატაროს, სულის შემხუთავ ატმოსფეროში, გონებაჩლუნგი მოხელეების გვერდით, რომელთა წრე, მისი ერთი წერილის სიტყვით რომ ვთქვათ, ნაკლებ გამოსადეგია ზნეობის გასავითარებლად. ამისდა მიუხედავად ის დიდ გულმოდგინეობასა და კეთილსინდისიერებას იჩენს სამსახურში, სანიმუშო მოხელედ ითვლება უფროსების თვალში, ქართველობას სახელს უთქვამს მწვანე მაუდიან მაგიდაზე, როგორც ალბათ სხვა პირობებში ბრძოლის ველზე გაუთქვამდა სახელს. მაგრამ ის უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდება, ხშირად გაურბის საზოგადოებას, განმარტოებას ეძებს საღამოს ბინდბუნდში ან სასაფლაოზე. მის ბუნებაში მიზანტროპიის ნაკადი იჭრება. ის მაინც სცდილობს არ დაემორჩილოს პესიმიზმის შემოტევას, თავისი არსებობის კვალი დააჩნიოს ამ ქვეყანას, მშობლიურ ლიტერატურას შეეწიოს თარგმანებითა თუ ორიგინალური შემოქმედებით, სულის მშვიდობიანობა იპოვოს მეგობრებთან შეხვედრასა, ტრფიალებასა, ბუნებასთან შეერთებაში. ის სტოიკურად ებრძვის დუხჭირი და უფერული ცხოვრების პირობებს: „დაიმარხე მშვენი-

ვრება სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმადლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან, — სწერს ის მიკო ორბელიანს: — სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად — ... და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, როგორც მისი მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი მოწმობს, ახალგაზრდა პოეტი თბილისში სრულიადაც განდეგილის ცხოვრებას არ ატარებდა, მას უყვარდა მეგობრების სტუმრად მიღება, თვითონაც ხშირად დადიოდა მანანა ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და სხვა ოჯახებში, სადაც ვახშმობას დარბაისლური საუბარი ან მხიარული დროს ტარება მოსდევდა, ცეკვა, სიმღერა, ლექსების კითხვა, ქალალდის, ნარდის და ჭადრაკის თამაში. და ბარათაშვილი ამ ბანკეტების და ლიტერატურული საღამოების ცენტრალური ფიგურა ყოფილა, როგორც შთაგონებული და გონებამახვილი მოსაუბრე, როგორც აზარტიანი მოთამაშე, როგორც თარის და ჭიანურის კარგი დამკვრელი და მომღერალი.

ამ პერიოდში ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც ეტყობა, რამდენიმე ქალი მოსწონებია, შეიძლება ჰყვარებია კიდეც, მაგრამ არც მისი კერძო მიწერ-მოწერა, არც მისი მეგობრების მოგონებანი კონკრეტულ წარმოდგენას არ იძლევიან მის ნანდაურებსა და სატრფოებზე. თავის წერილებში ის უფრო ირონიულად ლაპარაკობს თავის ნაცნობ ქალებზე, მათ „დიდ დაძგერებაზე", მათ „მალე გაგიჟებაზე", მათ მიდრეკილებაზე „ახალი ცისა, ახალი ქვეყნისა და მოდაში შემოსული ოთხმოცი წლის კაცებისადმი".

1844 წელს ბარათაშვილი დაინიშნა მისი ახლობელი მეგობრის ნახიჩევანის მაზრის უფროსის ლევან მელიქიშვილის თანაშემწედ; იქ პოეტმა მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყო: ერთი წლის შემდეგ ის იმავე თანამდებობაზე განჯაში გადაიყვანეს, სადაც ჩქარა დაავადდა მალარიით და გარდაიცვალა (1845 წლის 9 ოქტომბერს). მისი გვამი დაკრძალულ იქნა განჯაშივე. მისმა მეგობრებმა ფული შეაგროვეს მისი ნაწერების გამოსაცემად და მის საფლავზე ძეგლის დასადგმელად, მაგრამ რატომღაც ეს ვერ მოახერხეს. ისევე, როგორც მის სიცოცხლეში, დიდხანს მისი სიკვდილის შემდეგაც მისი ლექსები მხოლოდ ხელნაწერების სახით იყო ცნობილი მეგობრების და პატივისმცემლების მეტისმეტად ვიწრო წრეში. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა ინტერესი პოეტისადმი გაცხოველდა, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის და ილია ხონელის წყალობით, რომელთაც მისი შემოქმედების პირველი ღრმა და სწორი გარჩევა მოგვცეს, ქართველ მოწინავე საზოგადოებაში დაიბადა აზრი მისი ნეშტის სამშობლოში დაბრუნებისა. ეს აზრი განხორციელდა 1893 წელს. პოეტის თბილისში გადმოსვენებამ გამოიწვია დიდი ნაციონალური დემონსტრაცია, რომელშიც ქართველი ერის თვითშეგნების ზრდა გამოიხატა. ბარათაშვილის ნეშტი დაკრძალულ იქნა ჯერ დიდუბეში, ხოლო შემდეგ, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დროს, გადატანილ იქნა მთაწმინდის პანთეონში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების სახით მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიაში იდეალიზმის ძლიერი ნაკადი იჭრება. ერთი წყარო, რომელიც ამ ნაკადს ჰკვებავს, ქრისტიანული აზროვნებაა, ეს აზროვნება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ ძლიერია საქართველოში, განსაკუთრებით იმ წრეში, სადაც ბარათაშვილი აღიზარდა. მაგრამ ამავე დროს ის გრიგოლ ორბელიანივით მორწმუნე ქრისტიანი არ არის: პირიქით, ის ეჭვი-

ანობით, სკეპტიციზმით შეპყრობილი ადამიანია. მისი კავშირი ქრისტიანობასთან უფრო მორალური ხასიათისაა, ის რელიგიაში ვნების ქართა დამაშოშმინებელ, მყუდრო სადგურის მომცემ ძალას ეძებს. მხოლოდ ერთადერთია ისაა, რომ პოეტი დარწმუნებულია, რელიგიის მიერ აგებული ტაძარი არ არის მკვიდრი და შეუმუსრავი, მის მიერ მონიჭებული სიხარული არ არის ხანგრძლივი, მისი აღთქმანი ჰქრებიან ცივი გონების მახვილის შეხებისთანავეო. რწმენისაგან განძარცული ადამიანი კი მწირი და მიუსაფარია, მის გულში წყვდიადია დასადგურებული.

ზოგიერთ თავის ლექსში („ვპოვე ტაძარი", „სულო ბოროტო" და სხვ.) ნიკოლოზ ბარათაშვილმა დიდი პოეტური სიძლიერით გადმოსცა ის განადგურება, რომელსაც გულუბრყვილოდ მორწმუნე სულში მომწიფებული გონების სკეპტიციზმი იწვევს. მაშინ, როდესაც გრიგოლ ორბელიანი სცდილობდა ქრისტიანების საყდარი და თანამედროვე სწავლის შუქი შეეკავშირებინა, მაშინ, როდესაც მას განსაკუთრებით ათეისტური პარიზიდან მომავალი გავლენისა უშინოდა, ნიკოლოზ ბარათაშვილი ამკლავნებდა, რომ მას განვლილი ჰქონდა რაციონალიზმის და კრიტიციზმის სკოლა და გაცნობილი იყო იმ იდეებს, რომელნიც განათლების ეპოქიდან მომდინარეობდნენ. მაგრამ ის მაინც მატერიალისტური და სენსუალისტური მეთვრამეტე საუკუნის ღვიძლი შვილი არ იყო ალექსანდრე ჭავჭავაძესავით. მას სწამდა, რომ სული აქტიურ, ცხოველმყოფელ ძალას წარმოადგენს, რომ „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის". ამით ის ახლო იდგა თავის ევროპიელ თანამედროვეებთან; რომანტიკოს მოაზროვნეებსა და პოეტებთან, რომელთაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს ცივი გონების თვითმპყრობელობას და ძისი ტახტიდან ჩამოგდება განიზრახეს, რათა ზედ ადამიანის შემოქმედი სული აეყვანათ მისი ფანტაზიითა, ინტუიციითა და ბნელი ინსტიქტებით. ამით თითქო ადამიანის განმარტოებას ბოლო ეღებოდა და ის ბუნების წიაღს უბრუნდებოდა. ბარათაშვილიც შეეცადა ბუნების გასულიერებაში, რომელიც პანთეიზმის წინასაფეხურს წარმოადგენს, ეპოვნა ის, რაც მას ვერ მისცა ქრისტიანულმა რელიგიამ:

> მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის,
> და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!

ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველაზე ღრმა მოაზროვნეა მეცხრამეტე საუკუნის ქართველ პოეტებს შორის. მან შექმნა ტრაგიზმის გრძნობით გამსჭვალული ლირიკა, რომლისთვისაც შესატყვისი ფორმა გამონახა პათეტიკურად და ვაჟკაცურად მეღერავ ლექსებში. ის თითქო საქართველოდან ხმას აძლევს დასავლეთ ევროპიელ, პოლონელ და რუს რომანტიკოსებს, რომელთა პესიმიზმი ნაწილობრივ ეპოქის მოარული სენით იყო გამოწვეული, ტლანქი, პროზაული სინამდვილის გამარჯვებით უმაღლეს იდეალებზე, იმედის გაცრუებით, რაიცა საფრანგეთის დიდს რევოლუციას და ნაპოლეონის ომებს მოჰყვა. რაკი დიდი ჰუმანისტური ილუზიები გაიფანტნენ, რაკი დიდი სოციალური იდეალები შეარყევნენ, მგრძნობიარე და სათუთი ბუნების ადამიანებმა წარმოიდგინეს, რომ საშყაროს ბოლო ეღებოდა, და მათმა პესიმიზმმა რაღაც მეტაფიზიკური ელფერი მიიღო. თითქო აღარაფერი დარჩა შეურყეველი, გარდა ტრაგიკულად გათიშული, გმირული პიროვნებისა, რომელიც გადაჭარბებული კულტის საგნად იქცა ინდივიდუალიზმის ყველა მოგვისთვის, ლეოპარდი ჰქვია მას, ბაირო-

ნი, შატობრიანი, მიცკევიჩი, ლერმონტოვი თუ ბარათაშვილი. ადამიანი შეოთავს და დრტვინავს, მისი მისწრაფება უსაზღვროა, მაგრამ ამასთანავე უნაყოფო, ვინაიდან არა თუ მას, ბოლოს მთელს სამყაროს მოელის სიკვდილი და დაშლა („ფიქრნი მტკვრის პირად"). დიდი ადამიანის ანთებული სული ვერ თავსდება მის სხეულში, ვერ უძლებს მეტოქეობას, მისთვის საქაო და საქიო ერთნაირად ვიწროა („ნაპოლეონი"). სიყვარული რჩეულ სულთა შეულლებაა, თუ სულმა თავისი ტოლი ვერ აღმოაჩინა ან დაკარგა, მას ობლობა და განმარტოებული ძრწოლა მოელის უთვისტომო სოფელში („სული ობოლი"). ადამიანის ცხოვრება არის უმიზნო სრბოლა დაუსრულებელ სივრცეში, ის სცდილობს გადალახოს ბედის საზღვარი, ამ ცდიდან არაფერი რჩება, გარდა გათელილი გზისა („მერანი"). გარეგანი კეთილდღეობის მოპოება შეიძლება მხოლოდ შინაგანი თავისუფლების დათმობით, რასაც საბოლოოდ პიროვნების გაუბედურება და სიკვდილი მოსდევს („სუმბული და მწირი"). ასეთია ტრაგიკული ლეიტმოტივი, რომელიც ბარათაშვილის მთელს პოეზიაში ისმის. მაგრამ პოეტის ლირიკული ნიჭი მრავალფერადია, და ტრაგიკული აკორდების გვერდით გაისმის უნაზესი ელეგიური ტონები, რომელნიც გამოჰხატავენ მის აღტაცებას მშვენიერი ბუნების და მომხიბლავი ახალგაზრდა ქალის წინაშე. გაჭენებული მერანის თქარათქურის და ყორნის ჩხავილის გვერდით მას შეუძლია ბავშვის ტიკტიკი, ჩონგურის ოხვრა ან სუმბულის ნაზი ჩივილი მოგვასმენინოს.

ფილოსოფიური დაფიქრების ბეჭედი აზის ნიკოლოზ ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკასაც. როგორც ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი, რომლის აზროვნების გავლენა ყოველთვის ძლიერი იყო საქართველოში, როგორც შოთა რუსთაველი, როგორც დავით გურამიშვილი, ისე ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთმანეთს უპირდაპირებს მიწიერ და ზეციერ, ხორციელ და სულიერ სიყვარულს და მათ მსგავსად უპირატესობას აძლევს უკანასკნელს. ის ძალიან ცოტა ხანს ჩერდება თავისი სატრფოების გარეგნობაზე, მხოლოდ ორიოდე ხაზით აღნიშნავს მათ გარეგნულ მომხიბლაობას: მათ ნაშალნი გიშრის თმანი აქვთ ან მათნი დალალნი ყრილობენ გველად; ისინი გრძნეულ საყურეებს ატარებენ, თავიანთი ღიმილით ან სიმღერით მათიანე თვალებით დაწყლულებულ გულს არჩენენ; ზოგი მათგანი მოწყენილი და მდუმარეა და სრულიად არა ჰგავს ხორციელ არსებას, ზოგიერთი კიდევ მდინარის ტალღებს მიაქვს და მხოლოდ იქიდან ბედავს საყვარელი ვაჟის სახელის წარმოთქმას. ბარათაშვილის კალმის მიერ დახატულ ქალებს შორის ყველაზე კონკრეტული სახე იმას აქვს, რომელიც წარმოდგენილია მის საუცხოო რეალისტურ ლექსში „ღამე ყაბახზედ": მას თეთრი კაბა აცვია, ის ქურციკივით ყელმოღერებული და მოკრძალებულია, ბუდეშურის მსგავსი ფეხები აქვს, ადვილად წითლდება; მაგრამ ეს პოეტური ხილვაც აჩრდილივით გაირბენს მკითხველის თვალწინ. უმეტეს შემთხვევაში ბარათაშვილს სიყვარული წარმოდგენილი აქვს როგორც უკვდავებაში გადასვლა, როგორც ციისერი, უხრწნელი მშვენიერების ხილვა. პლატონური იდეალიზმის პოეტურ ენაზე გადატანის შესანიშნავ ცდას წარმოადგენს ცნობილი ლექსი „რად ჰყვედრი, კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას". ესაა ერთ-ერთი უღრმესი ნაწარმოები, რომელიც ქართულ ენაზე დაწერილა საზოგადოდ. აქ წარმოდგენილია მშვენიერი სულის იდეა, რომელიც ცვალებადი და წარმავალი ხორციელი სილამაზის წინააღმდეგ სრულიად დამოუკიდებელია გარეგანი შემთხვევებისა და დროების მიმდინარე-

ობისაგან. მშვენიერება ზეცით მოვლენილი სინათლეა; ადამიანი, რომელშიც ღვთაების ნაწილაკია განხორციელებული, სიყვარულის შემწეობით ადის უკვდავების განცდამდე და წარუვალი ჭეშმარიტების შეგნებამდე. ეს ძაფები დაკავშირებულია ქართული ლიტერატურის უძველეს ტრადიციებთან, ოლო ძათ გამოხმაურებას ნახევარი საუკუნის შემდეგ ვპოულობთ სიყვარულის მეტაფიზიკაში, რომელიც ვასილ ბარნოვმა განავითარა თავის მოთხრობებში.

თუმცა ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში უმთავრესად შევიდა როგორც ლირიკის დიდი ოსტატი, მაგრამ მის მიერ დატოვებულ მხატვრულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე მის პოემას „ბედი ქართლისა". ეს პოემა არსებითად მოკლებულია მტკიცე სიუჟეტურ ჩონჩხს, მომქმედი პირები და მოთხრობილი ამბები მკრთალ შთაბეჭდილებას ახდენენ; მაგრამ ის მაინც მნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენს ქართული აზროვნების განვითარებაში, როგორც მთელი თაობის პოლიტიკური აღსარება. კრწანისის ბრძოლის სურათი, რომელსაც პოეტი პოემის დასაწყისში იძლევა, სუსტია; როგორც მხატვარი-ბატალისტი, ის ვერ შეედრება გრიგოლ ორბელიანს: ეტყობა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ომს ნაამბობის და წაკითხულის მიხედვით ხატავს, გრიგოლ ორბელიანი კი პირადად განცდილის მიხედვით. სამაგიეროდ შეუდარებელია მეორე კარის დასაწყისი („მორბის არაგვი არაგვიანი"), სადაც დიდი დამაჯერებლობითაა ნაგრძნობი და გადმოცემული ქართველი კაცის შინაგანი არსება საქართველოს ბუნების გარემოცვაში. მაგრამ პოემის ცენტრალურ ადგილს ერეკლე მეფის და სოლომონ ლეონიძის მღელვარე დიალოგი წარმოადგენს. მოხუცი პატარა კახი დიდი გულთბილობითაა დახატული. გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს ამ ეული მეფის აღსარება, მისი ჩივილი უმადური ქვეშევრდომებისა და უღირსი შვილების წინააღმდეგ. სოლომონ მსაჯული წარმოდგენილია ღრმად მოაზროვნე პოლიტიკოსად, შეურიგებელ პატრიოტად, თავისუფლების მოყვარულად, სპარტანული მორალის ადამიანად. ისინი ერთი მეორის საწინააღმდეგო ტეზისს იცავენ:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა,
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს,
საფლავზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!"
ვეღარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან:
„განზრახვა შენი, მეფეო, მაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჰერთ ქვეშ თავისუფლება".

ვის მხარეზეა პოეტის სიმპატია? მისი პოლიტიკური შეგნება გაორებულია, როგორც გაორებულია მთელი მისი თაობის, კიდევ მეტი, მთელი მეცხრამეტე საუკუნის პატრიოტულად მოაზროვნე ქართველობის შეგნება. რომანოვების რუსეთის ბატონობა მიღებულია როგორც აუცილებელი ბოროტება, როგორც

შესვენება სისხლიანი და ლონის დამცველი მოგზაურობის მიჯნაზე, მაგრამ უზენაეს იდეალად მაინც ეროვნული თავისუფლებაა დასახული.

სხვა რომანტიკოს პოეტების მსგავსად ნიკოლოზ ბარათაშვილმაც ხელი შეუწყო იმას, რომ ქართული ლექსი უფრო მუსიკალური გამხდარიყო. ბარათაშვილის ლექსის კეთილხმოვანებას ჰქმნის არა იმდენად მდიდარი რითმა, რამდენად რიტმის სხვადასხვაობა და მრავალფერადობა. მაშინ, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძის დასტაში თითქო მხოლოდ სიმებიანი საკრავების ხმა ისმის, ბარათაშვილის ლექსი ქღერს ორკესტრივით, რომელშიც ვიოლონებსა და ვიოლონჩელებს გარდა, დოლი და ლითონის ინსტრუმენტები შედის; ამიტომ ის ხშირად უფრო ვაუკაცურ შთაბეჭდილებას ახდენს. ალექსანდრე ჭავჭავაძის მსგავსად ნიკოლოზ ბარათაშვილმაც ერთი ლექსი დასწერა ხალხური პოეზიის მოტივზე („მადლი შენს გამჩენს, ლამაზო"). სამწუხაროდ ორივე პოეტის შემოქმედებაში ეს ცდა შემთხვევით მოვლენად დარჩა, ის მხოლოდ შემდეგი თაობის პოეტებმა, რაფიელ ერისთავმა, აკაკი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ განაახლეს უფრო ფართო მასშტაბით და უფრო ნაყოფიერ შედეგებსაც მიაღწიეს.

თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში ფილოსოფიური იდეალიზმი და ინდივიდუალიზმია გამეფებული, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში იდეალიზმმა რელიგიური განხრა მიიღო, ხოლო ინდივიდუალიზმის ადგილი სოციალურმა დაიჭირა. მის ლექსებში პირველ რიგში ამართულია არა პოეტის მე, არამედ სამშობლოს იდეა, ეს იდეა ყოვლისშემცველი ხდება და თვით რელიგიურ იდეას ეჯიბრება. მართალია, ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში საქართველო წარმოდგენილია ტრაგიკული ისტორიული მოგონებების, ან კიდევ სისხლით შესვრილი ნანგრევების სახით, მაგრამ ეს პოეზია მაინც უიმედო პესიმისტური არ არის: პოეტი საქართველოს ნანგრევებს შუა მომავლის მოციაგე ლამპარს ხედავს.

ფორმის მხრივ ვახტანგ ორბელიანი არა თუ სცდილობს სრულიად განთავისუფლდეს სპარსული ლირიკის ტრადიციების ზეგავლენისაგან, მტრულადაც არის მათდამი განწყობილი:

მე არ მიყვარს ყილო მუხამბაზისა,
ყინტოთ ყილო, ყილო შუა ბაზრისა...
შე მომეცი ყილო რუსთაველისა,
გაფურჩქვნილი, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მდინარი,
ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი.

გარეგნულად ვ ა ხ ტ ა ნ გ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ბედი რამდენიმედ წააგავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედს: იმ იდეალურ სამყაროსა, რომელშიც პოეტი ცხოვრობდა და მისი რეალური არსებობის პირობებს შორის ღრმა დისჰარმონია იყო. თუ მისი ბიოგრაფია არ გვცოდნოდა, მისი შემოქმედების მიხედვით ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით, რომ ის რუსის ჯარის ოფიცერი და ადმინისტრაციის მოხელე იყო.

ვახტანგ ორბელიანი ერეკლე მეფის სიძის, ვახტანგ ორბელიანის ვაჟი იყო, ის 1812 წელს დაიბადა; ამავე წელს გარდაიცვალა მამამისი. ცამეტი წლის ასაკამდე ვახტანგი შინ იზრდებოდა და, როგორც ეტყობა, კარგი ზნეობრივი და გონებრივი სკოლა განვლო თავისი დედის თეკლე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით. ამ ძველ შინაურ სკოლაში პირველი სავალდებულო საგნები

ქართული ისტორია და ლიტერატურა იყო, ამ საგნების საფუძვლიანი ცოდნა ვახტანგ ორბელიანსაც აქვს, ისევე როგორც მის ნათესავებს, გრიგოლ ორბელიანს და ნიკოლოზ ბარათაშვილს. მაგრამ ეტყობა საქართველოს ისტორიის შესწავლა მის ოჯახში ხდებოდა, არა მშრალი გაკვეთილების მიხედვით, არამედ ფანტაზიის აღმძვრელი და გმირული სულის ჩამაგონებელი ამბების გადაცემით:

სული მიკვნესის, გული ჩემი მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება;
რა მაგონდება, რასაც დედა ნორჩს მომითხრობდა;
ის ჟამი იყო, საქართველოს სული ხდებოდა...

1825 წელს ვახტანგ ორბელიანი ვაჟთა კორპუსში შესულა. მაგრამ მას პეტერბურგის ჰავა ვერ აუტანია და ხუთი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა სასწავლებლის დაუმთავრებლად. მან თავის უფროს ძმასა — ალექსანდრე ორბელიანსა და დედას — თეკლე ბატონიშვილთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში; გამოძიების შემდეგ სამხედრო სასამართლომ ორივე ძმა განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეთა კატეგორიაში შეიტანა და ორივეს სიკვდილი მიუსაჯა ხელფეხის და თავის მოკვეთის წესით. მაგრამ ნიკოლოზ I სასჯელი შეამსუბუქა, და ვახტანგ ორბელიანი თავის ძმასა და დედასთან ერთად კალუგაში გადაასახლეს. იქ ვახტანგ ორბელიანმა მხოლოდ ოთხი წელი დაჰყო. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი ლექსები („გამოსალმება", „წიგნი მოწერილი რუსეთიდამ", „მოგონება"), სადაც სიშორის შეგრძნობა სამშობლოს სიყვარულს განსაკუთრებულ სიმძაფრეს აძლევს:

განდევნილს შორსა, შეუწყნარსა ამ წყვდიადს მხარეს,
გული მიძგერს, ვეღარ ვუმზერ შენს ნათელს სახეს!
რაც ვიტანჯები და ვისჯები შორს ყოფნით შენით,
ის იცის ღმერთმა მაღლა ერთმა, არ ითქმის ენით...
სამშობლო ქვეყნით გარდახვეწილს, გულსა დამშვრალსა
სწყურხარ, როგორც სწყურს ცის ნათელი სხივი ბნელს თვალსა,
ვით განდევნილთა თვის ქვეყნითა მის მღერა ტკბილი,
ვით უდაბურში, მზით დამწვარში, მგზავრს წყარო, ჩრდილი!

ამნისტიისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვახტანგ ორბელიანი სამხედრო სამსახურში შევიდა, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ომში და ბოლოს დაჯილდოვებულ იქნა გენერლის ხარისხით და დანიშნულ იქნა თერგის მხრის უფროსად. მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიაში მას დიდხანს არ დაუყვია. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ის საქართველოში დაბრუნდა და სამოქალაქო სამსახურში გადავიდა. პოეტი გარდაიცვალა თბილისში.

სატრფიალო ლირიკას ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში უმნიშვნელო ადგილი უჭირავს; სამიოდე ლექსი, სადაც ის სიყვარულის გრძნობას ცოტა არ იყოს შაბლონური ენით გამოჰხატავს, მისი მომავალი მეუღლისა, სილამაზით ცნობილი ეკატერინე ილინსკის ქალისადმი უნდა იყოს მიმართული. აქ ლაპარაკია იმ საგნებზე, რომელიც ყველა მეტად თუ ნაკლებად პოეტურად განწყობილ შეყვარებულს ახსენდება: ცის ლაჟვარდსა, შავ თვალსა, გიშრის თმასა, ვარდის ბაგესა, ნაზ ბულბულსა და სხვაზე.

ბევრად უფრო ორიგინალური და მჭევრმეტყველია ვახტანგ ორბელიანის პატრიოტული ლირიკის ენა. ის ვნებათა ღელვა, რომელიც ეროტიკული ლი-

რიკის ისტატებმა ქალის ტრფიალში შეიტანეს, ვახტანგ ორბელიანმა სამშობლოს სიყვარულში შეიტანა, და ზოგიერთ მის ლექსში სამშობლოს იდეამ თითქო მშვენიერი ქალის კონკრეტული სახე მიიღო. როგორც ნამდვილ შეყვარებულთ სჩვევიათ, ვახტანგ ორბელიანი თავისი ტრფიალის საგნის, ისტორიული საქართველოს იდეალიზაციას ახდენს: მას ძველი საქართველო წარმოდგენილი აქვს როგორც იდეალური სამეფო, სადაც ხალხი ერთი ხელით პალატებსა და წმინდა ტაძრებს აგებს, ხოლო მეორე ხელით მტერს ებრძვის. ისტორიული საქართველოს საუკეთესო ეპოქებში სიცოცხლე უზრუნველად მიმდინარეობდა, ლხინის, შეჭცევის და სიმღერის დღენი ერთმანეთს სცვლიდნენ; მეომარი ვაჟკაცების ხედვას ატკბობდა „ქალნი, ეშხით სავსენი მათნი შავნი, ცხოველნი თვალნი". ძველს საქართველოში თვით ბატონყმობაც კი იდილიური ხასიათისა იყო.

> ეყვარს მოხუცსა თვის გლეხნი-ყმანი,—
> მისთვის ის ყმანი არიან ძმანი,—
> მათთან ნადიმი და მათთან ლხენა,
> მათ საუბარი, უმზაკვრო ენა.
> ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი:
> ერთად არიან ყმა და პატრონი!

თავის საუკეთესო ლექსებში „იმედი" და „ორი სიზმარი" ვახტანგ ორბელიანმა პატრიოტული გრძნობა რაღაც კოსმიური ტრაგიზმის სიმაღლეზე აიყვანა. მან ეჭვი შეიტანა სამყაროს კანონზომიერებაში და დაჰგმო განგების სამართალი, იმიტომ რომ ვერავითარი ზნეობრივი გამართლება ვერ უპოვა საქართველოს დამხობას. ისტორიული საქართველო წარმოუდგა როგორც ფანტასტიკური ხილვა, როგორც „სისხლის კალო, გმირთ აკლდამი, გულსაკლავი და სავალალო", ან კიდევ სიცოცხლის ცეცხლს მოკლებული ტურფა არსება, რომელსაც მზე ანათებს, მაგრამ ვეღარ ათბობს. მაგრამ ორივე ამ პროგრამულ ლექსს ახასიათებს ძლიერი ოპტიმისტური ნაკადის შეჭრა ტრაგიკულ განცდაში: დიდი მომავლის იმედი მხოლოდ ისეთ ერს უნდა ჰქონდეს, რომელსაც დიდი წარსული ჰქონდა, საქართველოს პალატთა და ტაძართა ნანგრევები ხელახლა აღსდგებიან, საქართველოს ბუნება ხელახლა გაიღვიძებს.

მის მთას და ბარს წერაქვის და ბარის მხიარული ხმა გააცხოველებს. პოეტის რწმენამ, რომ ქართველი ერი, მიუხედავად ყოველივე ტრაგიკული პერიპეტიებისა, უკვდავია, რელიგიური ელფერი მიიღო.

ვახტანგ ორბელიანის პატარა პოემებს („ჯვარი ვაზისა", „განკითხვა", „ობოლი" და სხ.) არ აქვს ნათელი სიუჟეტი, მათი მოქმედი პირები უმოძრაო ფრესკოს სტილით დახატულ არსებათა შთაბეჭდილებას ახდენენ: ისინი უფრო სიკეთის და მშვენიერების აბსტრაქტულ სახეებს წარმოადგენენ, ვიდრე ხორცშესხმულ ადამიანებს. ამ პოემებში ბევრი გრგვინვა, ჭექა-ქუხილი და ზღვის ტალღების ღმუილი გაისმის, მაგრამ ისინი მოკლებული არიან ნამდვილ გრანდიოზულობას. ამ მხატვრული დეფექტების მიუხედავად ვახტანგ ორბელიანის პატარა პოემები მისი ლირიკული ლექსების გვერდით საგულისხმიერონი არიან პოეტის იდეოლოგიის გამოსარკვევად. ქართული კულტურის ერთ მთავარ წყაროდ ის ქრისტიანობას სთვლის: წარმართ ღმერთების შემუსვრის და ქრისტიანული რელიგიის გავრცელების წყალობით გამოვიდა ქართველი ერი ბარბაროსობის წყვდიადიდან და კულტუროსანი კაცობრიობის წრეში შევიდა. ქართული კულტურის მეორე დიდი საძირკველი ელინიზმია: კერძოდ

ქართული გენიის უდიდესი გამომხატველი შოთა რუსთაველი ჰომეროსის და თემისტოკლის სამშობლოს შვილობილია. აქედან ცხადია როგორია ქართული კულტურის მომავალი პერსპექტივა: ის ხელახლა „სწავლისა და განათლების დიდ ქვეყანას“ — შექსპირის, გოეტეს, შილერის სამშობლოს — ევროპას უნდა დაუბრუნდეს.

ვახტანგ ორბელიანის პატარა პოემებს შორის მხატვრული თვალსაზრისით საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მისი „ირაკლი და კოხტა ბელადი“, რომელიც არც ნათლად გარკვეულს სიუჟეტს არის მოკლებული და ბუნებასა და ეპოქის კოლორიტსაც შედარებით უკეთ გადმოსცემს. როგორც ამ პოემით, ისე თავისი მეორე ლექსით „ირაკლი და იმის დრო“, ვახტანგ ორბელიანმა უწყებული ხარკი მიუძღვნა ერეკლე მეორის კულტს, რომელიც ქართულ პოეზიაში გოდერძი ფირალოვმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და გრიგოლ ორბელიანმა შემოიტანეს. მაგრამ ამ უკანასკნელ ლექსში ძლიერია წმინდა პუბლიცისტური ელემენტი, რომელიც საზოგადოდ დამახასიათებელია ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებისთვის. მრავალი მისი ტაეპი გალექსილი თეზისის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ მხრით ის უფრო ახლოს დგას შემდგომი თაობის მწერლებთან, თერგდალეულებთან, ვიდრე რომანტიკოს პოეტებთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესა, გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილთან. თერგდალეულების მსგავსად ისიც წინააღმდეგია განყენებული ხელოვნებისა, პოეზიიდან ისიც პოლიტიკური და სოციალური იდეების პროპაგანდას მოითხოვს და არა მარტოოდენ მშვენიერების კულტს:

შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია,
იმათ ბაღში და იმათ ვენახშია,
დაგვანახვე, რით სწუხს, რით ხარობს გლეხი:
ჩარჩებს დაეც რისხვა და მეხი...
და ჩვენც მაღლა გვამხილე, რათ გვჭირს ავი,
სიზარმაცე და უმეცრება შავი!

ბოლოს, თავის დიდაქტიკურ მორალისტურ ლექსებში ვახტანგ ორბელიანი ჰუმანისტური იდეების, კაცთმოყვარეობის და აზრის თავისუფლების დამცველად გამოდის: „ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა, დეე მაღლა სთქვას, წარმოსთქვას, მასშია ყოფა ნებისა“, ამბობს ის ერთს ადგილას. მისი იდეალია პატრიარქალური ცხოვრება ღარიბ ქოხში, სპარტანულ პირობებში, მაგრამ ისე კი, რომ უმაღლესი გონებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლებოდეს მეგობართან საუბრით, ქართლის მატიანესა თუ რუსთაველის, შექსპირის, გოეტეს და შილერის ქმნილებათა კითხვით.

თუ ვახტანგ ორბელიანი პუბლიცისტიკისკენ გადახრილი პოეტია, მისი უფროსი ძმა ალექსანდრე ორბელიანი (1801 — 1889) პოეზიისკენ გადახრილ პუბლიცისტად უნდა ჩაითვალოს. მისი ისტორიული დრამები და ლირიკული ლექსები მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას, ხოლო მისი პუბლიცისტური ან ისტორიული ხასიათის ნაწერები ფეოდალური საქართველოს, განსაკუთრებით ერეკლე მეორის ეპოქის უკიდურესად ტენდენციურ იდეალიზაციას წარმოადგენენ. თავისი ობიექტურად მოაზროვნე ბიძაშვილის იოანე ბატონიშვილის წინააღმდეგ ალექსანდრე ორბელიანი ამტკიცებს, რომ ფეოდალურ საქართველოში სრული სოციალური ჰარმონია არსებობდა, ბატონყმობა მამაშვილურ ურთიერთობაზე იყო დაყრდნობილი, ოჯახი მტკიცე იყო, ზნეობა გაწმენდილი, სამართალი მიუდგომელი და სინდისიერი, ხოლო

სამღვდელოება და ბერმონაზნობა ანგელოსთა კრებულის მსგავსი. როგორც პუბლიცისტს და ისტორიკოსს ალექსანდრე ორბელიანს უფრო [illegible]ბილი პატრიოტული მოსაზრება ამოძრავებდა, ვიდრე ობიექტური [illegible] ჰეშმარიტების სიყვარული: მას უნდოდა მორალური გავლენა მოეხდინა თავის თანამედროვე ქართველ საზოგადოებაზე, რომელიც დენაციონალიზაციის გზას ადგა, დაერწმუნებინა ის, რომ დამოუკიდებელი საქართველო ყოველ-ძრივ მაღლა იდგა რუსეთის პროვინციად გადაქცეულ საქართველოზე. და ძისი დროისთვის ამ ცდას თავისი ზნეობრივი და პოლიტიკური გამართლება ჰქონდა.

ახალგაზრდობაში ალექსანდრე ორბელიანი „ფარული და განუწყვეტელი ძეგობრობის" ერთერთ ცენტრალურ ფიგურად ითვლებოდა. 1832 წლის შეთ-ქმულების მარცხისა, რუსეთში გადასახლებისა და სასჯელის მოხდის შემდეგ ის ცოტა ხანს სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა, მაგრამ თავისი ცხოვრების უკანასკნელი ნახევარი თბილისში გაატარა, როგორც რუსეთის ხელისუფლე-ბის არისტოკრატიული ოპოზიციის პრინციპიალურად მოუდრეკელმა წევრმა. მაგრამ ქართველი არისტოკრატიის გმირული ასაკი უკვე წარსულს ეკუთვნო-და და მისი ოპოზიცია უფრო ქადაგებაში ან ფარულ დრტვინვაში იხატებოდა, ვიდრე აშკარა ამბოხში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## „მამულს ვუთხრათ გამარჯვება"

„ფედერაცია", 1941 წელი

ვერაგ მტერზე შურისძიების გრძნობამ დიდი საბჭოთა ქვეყნის მთელი ორგანიზმი მოიცვა. მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, როგორც ერთი კაცი, აღსდგა ფაშიზმის წინააღმდეგ და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გმირულად იბრძვის მისი სრული განადგურებისათვის. სახელოვანი ბრძოლის ამ დიად დღეებში საბჭოთა მწერლობა, როგორც ნამდვილი სახალხო მწერლობა, გვერდში უდგას მშობლიური ქვეყნის მამაც შვილებს, ფრონტისა და ზურგის გმირებს და მთელ თავის შემოქმედებით ენერგიას ახმარს მტერზე გამარჯვების საქმეს.

არც ერთ ომს კაცობრიობის ისტორიაში არ უპოვია ხალხში და მწერლობაში ისეთი უშუალო თანაგრძნობა და გამოხმაურება, როგორიც ჰპოვა საბჭოთა ხალხის დიდმა სამამულო ომმა მთელ თანამედროვე პროგრესიულ მსოფლიოში, კერძოდ საბჭოთა ადამიანებსა და მწერლობაში. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი სამართლიანი ომის მიზნები დაკავშირებულია ყველა თავისუფლებისმოყვარული ადამიანის სულთან და ყველას შეგნებული აქვს, რომ ამ ომის წარმატებებზეა დამოკიდებული კულტურის ხსნა, კაცობრიობის გადარჩენა დაღუპვისაგან, ველურობისადმი დაბრუნებისაგან.

ომები, რომელსაც აწარმოებდნენ ფეოდალურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოები წარსულში, წარმოშობდნენ თავის ერთეულ პოეტებს, რომელთა შემოქმედებაშიც ტენდენციურად ისახებოდა ომის ხასიათი. ჩვენი ომის დიდი საკაცობრიო თავისებურება იმაშიაც მჟღავნდება, რომ ნაცვლად ერთეული პოეტებისა, მას უმღერს მთელი მწერლობა. როგორც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, ისე საბჭოთა მწერლობამაც თავისი შემოქმედებითი მუშაობა მთლიანად ომის ინტერესების საფუძველზე გარდაქმნა. ის ერთი მთლიანი აკორდით უმღერს წითელი არმიის გამარჯვებას ფაშისტ ბარბაროსებზე, ჰქმნის სოციალისტური სამშობლოს დაცვის ერთ მთლიან სიმფონიას.

ქართველ მწერალთა დიდმა ნაწილმა სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინა და გვიჩვენა დიდი შემოქმედებითი პოტენცია. მეტი ცხოველმყოფელობა დაეტყო ლიტერატურის ყოველ ჟანრს: ბელეტრისტიკას, პოეზიას, სატირას, დრამატურგიას. მხატვრული გულწრფელობით გვიხატავენ ქართველი მწერლები სამამულო ომის სურათებს, მისი გმირების სახეებს, დიდი უშუალობით გადმოგვცემენ საბჭოთა ადამიანის ზოგად პატრიოტულ სულისკვეთებას. სამამულო ომზე დაწერილი ყველა მხატვრული ნაწარმოები, ყველა ლექსი შთაგონებულია დიდი სტალინის გენიით, შინაგანად განათებულია მისი შორსმჭვრეტელობით, გამარჯვების გარდუვალობის რწმენითა და ფოლადისებური ნებისყოფით.

პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნი „მამულს ვუთხრათ გამარჯვება", რომელიც ახლახან გამოვიდა, ერთერთი მნიშვნელოვანი ხმაა ქართველი პოეტების მიერ შექმნილი ერთი მთლიანი პოეტური სიმფონიიდან.

სიმონ ჩიქოვანი, როგორც ქართველი მწერლების უმრავლესობა, სამამულო ომის დაწყების პირველ დღიდანვე აქტიურად გამოეხმაურა სოციალისტური სამშობლოს დაცვის დიად თემას. აქვე სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოეტმა ამ პერიოდშიაც სავსებით შეინარჩუნა ის დადებითი თავისებურება, რომელიც მასთან ერთად ბევრ ქართველ მწერალს ახასიათებს. ეს ისაა, რომ იგი შორეული ისტორიული თემებით კი არ ეხმაურება დღეანდელი დღის ამოცანებს, თანამედროვე საბჭოთა ხალხების პატრიოტიზმს, არამედ უშუალოდ დღეანდელი დღით; მისი პოეტური შემოქმედების ცენტრში მოქცეულია ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის კონკრეტული მა-

სალა. და, თუ ზოგჯერ პოეტის ლექსებში გაიელვებენ შორეული ისტორიული პარალელები, ისინი მხოლოდ იმ მიზანს ისახავენ, რომ უფრო მეტი განათება მისცეს ახალ მოვლენებს. რასაკვირველია, ამით იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ისტორიულ თემებს არ შეეძლოთ დიდი სამსახურის გაწევა დღევანდელი დღის ამოცანებისათვის. ეჭვგარეშეა, რომ წინაპართა გმირული ბრძოლები გარეშე დამპყრობელთა წინააღმდეგ სამშობლოს დაცვისათვის დიდად ააფრთოვანებს და შთააგონებს თანამედროვე გმირებს... ამ თემებზეც საჭიროა მუშაობა, მაგრამ საბჭოთა პატრიოტიზმის ზრდის საქმეში უპირატესობა საბჭოთა ხალხების სამამულო ომის უშუალო თემას ეჭვს. დღევანდელი დღე უფრო მეტი შინაგანი ძაფებით არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანის სულთან.

სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსები, როგორც აღვნიშნეთ, გადმოგვცემენ საბჭოთა ადამიანის ზოგად პატრიოტულ სულისკვეთებას და გვიჩვენებენ სამამულო ომის ცალკეულ გმირთა პოეტურ სახეებს. მართალია, ყველა ლექსი თანაბარი მხატვრული სიძლიერით არ არის დაწერილი. ეს ლექსები არ გამოირჩევიან მხატვრული ორნამენტებისა და საღებავების სიუხვით, მაგრამ აზრთა სინათლით აღწევენ ისინი მიზანს და ახდენენ მკითხველზე იდეურ-ემოციურ ზემოქმედებას. მისი ლექსები გამსჭვალულია საბჭოთა ხალხის რწმენით: ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენი ომი სამართლიანია და გავიმარჯვებთ იმიტომ რომ წინ მიგვიძღვის სტალინის დიადი გენია.

როცა ფაშისტი ბარბაროსები ვერაგულად დაესხნენ თავს სოციალისტურ ქვეყანას, დიდმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში 3 ივლისს ხალხს სამშობლოსათვის გმირული თავგანწირვისაკენ მოუწოდა. სტალინის ბრძნულმა სიტყვამ ყველა აღაფრთოვანა და აღფურვა გამარჯვების რწმენით, რამაც თავისი ნათელი გამოხატულება ჰპოვა ჩიქოვანის ლექსებშიც:

„სამი ივლისის დილას, დანამულს,
დასძახე შენ და გისმენდით ბელადს,
მოუხმე მშრომელს, მოუხმე მამულს,
ცეცხლი და ძალა შთაგვბერე ყველას“.

საბჭოთა ხალხებს სჯერათ, რომ, როცა მათ წინ მიუძღვის დიდი სტალინი

„არა, არ ელის მამულს ავდარი,
რა-რიგ დაგუბდეს ფაშიზმის შხამი“.

ლექსში „ბელადის სურათს“ პოეტი სწერს:

„შენი სარდლობით მხარე წარმტაცი
მოსპობს სისხლიან ფაშიზმის ბნელეთს.
შენი ლაშქარი მხნე და მამაცი,
იცავს მშობლიურ ზღვასა და ხმელეთს“.

ბელადის „სიბრძნე და გული მართალი“ არის ჩვენი გამარჯვების თავდები; „არ იქნება ისეთი ციხე“, მისმა „შეტევამ რომ არ დალეწოს“.

ფაშისტები ყოველგვარ მსხვერპლზე მიდიოდნენ, რომ წარმატება მიეღწიათ. ჰიტლერელი ჭოფაკები უხამსი ჭორებითა და ურცხვი ტრაბახით აყრუებდნენ ქვეყანას თავიანთი „დიდი“ „გამარჯვებების“ შესახებ და გერმანელ ხალხს მუდმივი სიცრუის ბურუსში ხვევდნენ, ჰპირდებოდნენ რა საბჭოთა კავშირთან ომის სწრაფად დამთავრებას, მაგრამ სტალინის ბრძნულმა სტრატეგიამ და წითელი არმიის ძლიერმა დარტყმებმა ჩაფუშეს და მტვრად აქცეს ფაშისტების „ელვისებური შეტევა“ მთელი მათი სამხედრო-სტრატეგიული გეგმები. ურთულეს პირობებში, როცა „მოსკოვს ესხმოდნენ ყორნები ბნელი“, დიდმა სტალინმა მოსკოვში 6 ნოემბერს წარმოთქმული ისტორიული სიტყვით ერთხელ კიდევ შეაიარაღა ჩვენი ხალხი მხნეობით, ნათელი პერსპექტივითა და მტერზე საშინელი შურისძიების გრძნობით. მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა და გულმოდგინედ უსმენდა სტალინის სიტყვას, რომელშიაც ისმოდა ჩვენი აუცილებელი გამარჯვების მქუხარე ხმა.

სიმონ ჩიქოვანმა ეს განწყობილება კარგად გამოხატა ლექსში „ბელადის სიტყვა“:

„დროშას ემგვანა ვარსკვლავი კრემლის,
შენ განუკურნე მამულს იარა.
ყოველი კუთხე წამოდგა ცეცხლით,
სად შენმა სიტყვამ მოიწკრიალა“.

დიდი სტალინის ამ ისტორიული სიტყვის შემდეგ დაიწყო გარდატეხა, წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებისა და ფაშისტთა ურდოების საბედისწერო ხანა. სტალინის სიტყვამ წარმოშვა ახალი ენტუზიაზმი და გმირობა ხალხში და წითელ არმიაში. გაჩნდნენ სამამულო ომის ახალი სტალინური გმირები, რომელთაც თავიანთი თავგანწირვით საბჭოთა სამშობლოსათვის, მოგვცეს საბჭოთა პატრიოტიზმის ბრწყინვალე ნიმუშები. — ს. ჩიკოვანის ლექსების ერთი ნაწილი გვიხატავს ამ გმირთა პოეტურ სახეებს. ამ ლექსებიდან აღსანიშნავია ლექსი გასტელოზე. სამართლიანად ამბობს პოეტი, რომ მას, რომელმაც თავი გასწირა ხალხისათვის, თავისუფლებისათვის, „უკვდავება ჩრდილივით გაჰყვა“, იგი დაიღუპა, მაგრამ ხალხში დარჩა, როგორც მარად ცოცხალი. ასეთია ყველა გმირის ბედი, რომელიც ხალხსა და სამშობლოს შესწირავს თავს:

„სუნთქვა შესწირე მშობლიურ მხარეს,
ხალხში გადახვალ, როგორც თქმულება.
შენი კოცონი წინ წაიძღვარეს
გმირებმა, შენებრ მომახულებმა“.

ასეთივე სახალხო გმირია ტანკისტი პირტახია, რომელიც მამაცურად უმკლავდებოდა ურიცხვ მტერს, მოსპო ბევრი მათგანი და სახელოვნად დაეცა უთანასწორო ბრძოლაში. მტერმა ზღაპრული გმირის მოსყიდვა განიზრახა, ფული შეაძლია, მაგრამ მან საბჭოთა პატრიოტის ენით უპასუხა მტერს:

„ვინ მევაჭრება! მე ვიბრძვი მხოლოდ“
ტანკის კოშკიდან პასუხი გაეც: —
„უტყუარ ტყვიით ვპასუხობთ ბოროტს,
აი ვყიდით მშობლის მიწას და ჰაერს“.

ლირიკული სითბოთია სავსე ლექსი „მიშაკოვი და შალამბერიძე“. პოეტის ამ და ბევრ სხვა ლექსებში („კრემლის ვარსკვლავი“, „მოსკოველ მეგობრებისადმი“, „მამულისათვის“ და სხვ.) სამშობლოს სიყვარული, გმირობა ამაღლებულია ინტერნაციონალურ შეგნების მწვერვალამდე. საბჭოთა პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობა ერთ მთლიან და უძლიერეს გრძნობად არის გამოხატული. ლექსში „მამულისათვის“ პოეტი გამოხატავდა ჰატარა ერების იმ მშობლიურ აზრს, რომ მათი თავისუფლება დაკავშირებულია ოქტომბრის დიდ რევოლუციასთან, ხალხთა მეგობრობასთან, რომელიც ბოლშევიკებმა განამტკიცეს, და მომავალშიაც ამ პატარა ერების ბედი დაკავშირებულია რუს ხალხთან, საბჭოთა კავშირის სხვა ერებთან ძმურ ურთიერთობაზე. მათი ბედი ახლა წყდება იქ, სადაც წითელი არმია დიდი სტალინის ბრძნული მბედართმთავრობით ვაეკაცურად ანადგურებს გერმანელ დამპყრობლებს. პოეტი მოუხმობს ქართველებს და სხვა ერის შვილებს, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი, შეუპოვრად ანადგურონ მტერი და თავი შესწირონ დიდ სოციალისტურ სამშობლოს.

ეს ახალი ლექსები იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ისინი თავიდან ბოლომდე გამთბარია ოპტიმიზმით. მთლიანად ამ წიგნს თავს დასტრიალებს ერთი გრძნობა: „გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.

ამ გრძნობით აღფურვილი პოეტი გამოხატავს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ერთსულოვან აზრს, როცა ამბობს:

„დიდება სტალინს, მარჯვენა მისი
დააცხრობს, მოსპობს ბნელეთის სამეფოს,
რომ მოაშოროს სამშობლოს ნისლი
და გამარჯვება გადასცეს მამულს“.

ერ. ასტვაცატუროვი

132

## „სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლნი“.

### გამომცემლობა „კომუნისტი“, 1941.

ქართველი ხალხის ისტორია იყო თვითარსებობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის ისტორია. ჩვენმა ხალხმა არა ერთი სახელოვანი გმირი წარმოშვა მამულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

„გმირნო, მამულის მაშვენნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა,
თქვენთა საქმეთა ხსენებით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ყმაწვილი ხმალსა მისწვდება“-ო,

მიმართავდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი საქართველოს წარსულის გმირებს. ილია ჭავჭავაძეს აწუხებდა ის გარემოება, რომ საქართველოს ისტორიაში არ სჩანდნენ ხალხის ფართო მასების წარმომადგენელნი, რომ გამოჩენილ მეფე-სარდალთა და დიდებულთა გვერდით ქართულმა ქრონიკებმა არ შეინახა მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსულ გმირთა სახელები.

თავისუფალ ერთა ძმურ ოჯახში ქართველმა ერმა, მისმა უფართოესმა მასებმა მიაღწია ნამდვილ აღორძინებას, ეროვნულ-კულტურულ აყვავებასა და დავაჟკაცებას.

ამიტომ არის, რომ შემოსეული მტრის წინააღმდეგ ფეხზე დამდგარ რუს და სხვა მოძმე ხალხებთან ერთად, მხარდამხარ, მოწინავე რიგებში იბრძვიან ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებიც.

„სამამულო ომის ცეცხლში იჭედებიან და უკვე გამოიჭედნენ ახალი საბჭოთა მებრძოლები—მეთაურები, მფრინავები, არტილერისტები, ნაღმმტყორცნელები, ტანკისტები, ქვეითნი, მეზღვაურები, რომლებიც ხვალ გერმანიის არმიის რისხვად გადაიქცევიან“.

ბელადის ეს სიტყვები მჭევრმეტყველურად დაადასტურა წითელი არმიის გმირულმა კონტრშეტევამ მთელს უზარმაზარ ფრონტზე. ჩვენი მებრძოლების უმაგალითო სიმამაცემ, ამტანობამ, მაღალმა საბრძოლო წრთობამ უკვე გაჰფანტა მითი გერმანიის არმიის „უძლეველობის“ შესახებ და მთელ ქვეყანას დაუმტკიცა მტრის საბოლოო განადგურების გარდუვალობა.

დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა ფართო მასებში რუს, უკრაინელ, ბელორუსელ და სხვა გმირების გვერდით უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობენ სამამულო ომის მონაწილე ქართველი გმირებიც.

ახლახან „კომუნისტის“ გამომცემლობამ გამოსცა ამ გმირებისადმი მიძღვნილი კრებული „სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლნი“.

ეს წიგნი წარმოადგენს „კრებულს იმ შერჩეული მასალებისას, რომლებიც გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა უკანასკნელი თვეების განმავლობაში“.

კრებულში მოთავსებული მასალა მოგვითხრობს სამამულო ომში მონაწილე ქართველ გმირთა ცხოვრებასა და ბრძოლაზე. საგაზეთო ზომის წერილებში მკითხველი გაეცნობა მცსთვის ახლობელი გმირების ბიოგრაფიის მთავარ მომენტებს და დირსშესანიშნავ საბრძოლო ეპიზოდებს.

კრებული მიძღვნილია იმ 28 ქართველ გმირისადმი, რომელთაც დღემდის განსაკუთრებით ისახელეს თავი გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ შორის არიან საკმაოდ სახელმოხვეჭილი გმირებიც: წურწუმია, ინაური, ჯახიევი, ლესელიძე, კიკნაძე და სხვ.

კრებული ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილების სახელების პოპულარიზაციას.

სამამულო ომის ყოველი დღე ახალ სახელებს მატებს მასში მონაწილე ქართველ გმირთა ოჯახს. ამიტომ „კომუნისტი“-ს გამომცემლობა კარგს იზამდა თუ გააგრძელებდა წამოწყებულ საქმეს და ამ პირველ კრებულს შემდეგი მოჰყვებოდა.

ამგვარ მუშაობაში სასარგებლო და ნაყოფიერი იქნებოდა მწერალთა მიზიდვაც.

ა. — ლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| | | გვ. |
| **დიადი თარიღი** — | | 3 |

## მხატვრული ლიტერატურა

| | | |
|---|---|---|
| **გალაკტიონ ტაბიძე** — | ორ ათეულ წლით, და კიდევ მეტით (ლექსი) | 3 |
| **ალიო მაშაშვილი** — | (ლექსები) მგლების ნაკვალევი | 8 |
| — | მამა | 8 |
| — | დედა და შვილი | 9 |
| **გიორგი კაჭახიძე** — | ისევ ფრონტზეა (ლექსი) | 11 |
| **ალექსანდრე ქუთათელი** — | პირისპირ (რომანი) | 12 |
| **ლადო ბალიაური** — | ქალი გრიგალში. | 40 |
| **ლადო ასათიანი** — | ასპინძა (ლექსი) | 48 |
| **კონსტანტინე გამსახურდია** — | დავით აღმაშენებელი (რომანი) | 50 |
| **ელიზბარ პოლუმორდვინოვი** — | მე ის მოვკალი | 70 |
| **ანდრო ლომიძე** — | მირზა | 77 |
| **ჰაინრიხ ჰაინე** — | გერმანია | 82 |
| **ბორის ჩხეიძე** — | ლიახვის პირას (რომანი) | 95 |

## კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

| | | |
|---|---|---|
| **დავროსი კალანდაძე** — | სამამულო ომი და ქართული საბჭოთა პოეზია | 119 |
| **გერონტი ქიქოძე** — | მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორიიდან | 133 |

## ბიბლიოგრაფია

| | | |
|---|---|---|
| **ვრ. ასტვაცატუროვი** — | „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“ | 157 |
| **ა.-ლი** — | „სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლნი“ | 160 |

ფასი 4 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

# „МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ